

კორნელი ღანელია

**ნარკვევები
ქართული სამწერლო
ენის ისტორიიდან**

ტ. II

კორნელი დანელია



ნარკვევები ქართული სამწერლო
ენის ისტორიიდან

ტ. II



გამომცემლობა „ანიპრსატი“
თბილისი 2009

ქართული საბავშვო ლიტერატურის ცენტრი



UDC (უაკ) 811.353.1'38+811.353.1-26
დ - 197

კრებული შეადგინეს: *ნანა დანელიამ
მაია ლომიამ*

რედაქტორები: *დარეჯან თვალთვაძე
რამაზ ქურდაძე*

100091

© ნ. დანელია, 2009

გამომცემლობა „ნიპონსალი“, 2009

თბილისი, 0179, ი. ჯანაშიას რაიონი, 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-889-9



კონკლი დანკლია

75



წინასიტყვაობის მაგიერ

ადრე წავიდა ჩვენგან პროფესორი კორნელი დანელია – შესანიშნავი პიროვნება, თვალსაჩინო ქართველოლოგი, არაერთი თაობის მასწავლებელი და დამრიგებელი.

63 წელი იცხოვრა. აქედან, სამ ათეულ წელზე მეტი ქართველური ენათმეცნიერების სამსახურს, სტუდენტი ახალგაზრდების აღზრდა-განათლებასა და დაკვალიანებას შეაღწია. ბ-ნი კორნელი ფართო პროფილის ფილოლოგი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერული სიმწიფის ასაკში წავიდა ამ ქვეყნიდან, ძალზე მდიდარი და ანგარიშგასაწვევი მეცნიერული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ბ-ნი კორნელის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი, რომელიც 1998 წელს გამოიცა ბეჭდურად, გახლავთ „ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან“, ტ. I. მასში ავტორმა უცვლელად შეიტანა ადრე გამოქვეყნებული შრომების ნაწილი, რომლებიც ქართული სამწერლო ენის აქტუალურ პრობლემებს ეხება.

ბ-ნი კორნელის განზრახული აქონდა II ტომის გამოცემაც, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა გამოკვლევები „ქართული სამწერლობო ენის ისტორიის სხვადასხვა უბანში: ლექსიკა, ეტიმოლოგია, მწერლის ენა, მწიგნობრული სტილი, მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლების ენობრივი რაობა თუ სხვა კონკრეტული საკითხები“ (იხ. „წინასიტყვაობის მაგიერ“, ტ. I, თბ., 1998,6).

ძნელია ზუსტად განსაზღვრო, როგორი იქნებოდა ავტორის ხელიდან გამოსული II ტომი... ჩვენ შევეცადეთ, მის ქალიშვილიან – ნანა დანელიასთან – თანამშრომლობით, შეგვედგინა კრებული, რათა პატივი მიგვეცო პროფესორ კორნელი დანელიას ნათელი ხსოვნისთვის.

II ტომში, სამეცნიერო სტატიებთან ერთად, იბეჭდება კორნელი დანელიას შრომების ქრონოლოგიური ბიბლიოგრაფია, შედგენილი ნანა დანელიას მიერ.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი ნაწილი

კ. ლანელი

(წარმოადგინა აკად. ა. შანიძემ)

ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის ერთ-ერთ ღირსებათაგანს ის შეადგენს, რომ განსამარტავ სიტყვათა დიდ ნაწილს წყაროზე მითითება ახლავს.

ლექსიკონზე უბრალოდ თვალის გადავლებაც გვარწმუნებს, რომ საბა შენისწინავედ იცნობს წყაროებს. დამოწმებულ წყაროთა მრავალფეროვნება ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ საბას, როგორც ლექსიკოგრაფს, უწინარეს ყოვლისა აინტერესებს სიტყვა, როგორც ლექსიკური ერთეული და არა ის, რა ზასიათის (სასულიერო, საერო...) ნაწარმოებშია იგი დადასტურებული¹.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საბას ლექსიკონის ძირითადი წყარო ძველი და ახალი ალთქმის წიგნებია. ლექსიკონის წყაროთა შესწავლისას ვასათყვალისწინებელია შემდეგი გარემოება: წყაროსთან საბას დამოკიდებულების სრულ სურათს ვერ მოგვცემს ლექსიკონის ბეჭდური გამოცემები, საქარო ავტოგრაფულ ნუსხათა ჩვენების გამოყენება, რადგან მხედველობაშია მისაღები: საბას ლექსიკონის ადრინდელ რედაქციებში დამოწმებული ლიტერატურა უფრო მცირეა, ვიდრე შემდგომ რედაქციებში; ლექსიკონის ყოველი ახალი რედაქცია ახალი წყაროებიდან ამოკრებილი სიტყვებით არის შევსებული, თანაც საბოლოოდ განმარტებული სიტყვა ხშირად კარგავს მითითებას იმ წყაროზე, რომლის საფუძველზეც განმარტა, ასე რომ ლექსიკონის ბოლო რედაქციებისთვის საბას მიერ თავდაპირველად გამოყენებული წყაროების დიდი ნაწილი დაკარგულია, თანაც ბოლო რედაქციებში ბევრი სიტყვის წყაროა უმეტესად ბიბლიის წიგნები².

წყაროებში ძველი ალთქმის ძეგლთაგან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ წინასწარმეტყველთა წიგნებს, რომელთა რამდენიმე ძველი ქართული ვერსია ჩვენამდე მოღწეულია.

ჩვენი მიზანია, განვიხილოთ იერემიას წინასწარმეტყველების წიგნი, როგორც საბას ლექსიკონის მნიშვნელოვანი წყარო და რამდენადმე შევეხოთ საკითხებს: 1) საბას როლი ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილ წინასწარმეტყველთა წიგნების გამოცემაში; 2) რა მიმართებაა ე. წ. «გელათურ ბიბლიისა» (A—110B) და წინასწარმეტყველთა ნაბეჭდი წიგნების ტექსტებს შორის; 3) რომელი

¹ ე. კეკელიძე, ზოგიერთი საკითხი სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული საქმიანობისა, ს. ს. ორბელიანი, საიუბ. კრებული, 1959, გვ. 130.

² ე. მებრეველი, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი, საქ. სს. მწეულის მოამბე, ტ. XIX—B. 1956, გვ. 34. ლ. ქუთათელაძე, სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები (ავტოგრაფების მიხედვით), 1957, გვ. 143.



რედაქციით სარგებლობს საბა წინასწარმეტყველთა წიგნების ლექსიკონში დაქვეყნებული წიგნებისა; 4) რამდენად სწორია განსამარტავად მოყვანილი სიტყვათა ფორმა და ახსნა, მ ნ ი შ უ ნ ე ლ ბ ა .

მე-18 საუკუნის 10-იან წლებში თბილისში ვახტანგ VI-ის სტამბაში დაიბეჭდა წინასწარმეტყველთა ტექსტი და „ახალი აღთქმის“ ნაწილი (მათე, მარკოზ და ლუკას ნაწილი; წყდება ლუკას 23-ე თავის 55-ე მუხლზე), ამ გამოცემის სამი

ცალია დღესდღეობით ცნობილი: ერთი საჭარო ბიბლიოთეკისა ($F \frac{135}{4}$), მეორე—უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა (F 19578), მესამე ხელნაწერთა ინსტიტუტისა (A—51), ბიბლიის სხვა ხელნაწერ წიგნებთან ერთად არის ყდამ ჩასმული³.

ამ გამოცემის მოთავედ და რედაქტორად სულხან-საბა ორბელიანს მიიჩნევენ⁴. თბილისში დაბეჭდილი წინასწარმეტყველთა წიგნები (W) უცვლელად გადაიბეჭდა ბიბლიის ბაქარისეულ გამოცემაში (მოსკოვი 1743 წ. (=M). რ. ბ ლ ე ი კ მ ა საგანგებოდ შეისწავლა „გელათური ბიბლიის“ ხელნაწერი და სწორად აღნიშნა, რომ ამ ნუსხაში (A—1108) დაცული ტექსტი და ბაქარის ბიბლიაში დაბეჭდილი წინასწარმეტყველთა წიგნების ტექსტი სავესებით ერთი და იგივე არის⁵.

რ. ბ ლ ე ი კ ი ი ცნობდა ბაქარის ბიბლიის ბოლოსიტყვაობაში დაცულ ცნობას ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილ წინასწარმეტყველთა წიგნების შესახებ, მაგრამ მან ამის ნაბეჭდი ცალები არ უნახავს. ამიტომ გელათური ბიბლიის ტექსტი მან ბაქარის ბიბლიას შეუღარა და სწორად მიუთითა მსგავსების ფაქტზე. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა მ გაარკვია, რომ „გელათური ბიბლიის“ წინასწარმეტყველთა ტექსტის თავებდ და მუხლებდ დაყოფა და მასში ზოგიერთი არაარსებითი ჩასართის რედაქციულ ცვლილებათა შეტანა საბას ეკუთვნის. მისივე სიტყვებით, საბას მიერ გასწორებული და სასტამბოდ დამზადებული გელათური ანონიმის ავტოგრაფული ხელნაწერი გადაუციათ სტამბაში და ამ დედნიდან აუწყვიათ ტექსტი (ხელნაწერს ატყვია სტამბაში აწყობის ნიშნები, სტამბური ლაქებიო⁶.

გელათური ბიბლიის მომპოვებელს თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა ს ადრე ჰქონდა აღნიშნული, რომ ხსენებული ხელნაწერის თავებდ და მუხლებდ დაყოფა და ზოგიერთი ცვლილების შეტანა XVIII ს. ხელით არის გაკეთებულიო⁷. ამ აღნიშვნას მხარი დაუჭირა რ. ბ ლ ე ი კ მ ა ც⁸. მაგრამ მათ საბა არ მიუჩნევიათ ამ ცვლილებათა ავტორად. გელათური ბიბლიის დამუხლვა და რედაქციული შესწორება საბას მიაწერა პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა მ (და ვფიქრობთ, სწორედ). მართლაც, თბილისში ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი წინასწარმეტყველთა ტექსტი ემყა-

³ ეს გამოცემა შემწყდარა რაღაც მიზეზის გამო (ალბათ, თბილისის აოხრების დროს 1723 წ.) და ცალე წიგნად არ გამოსულა. ა. შ.

⁴ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: მნათობი, 1952, № 4, გვ. 125; ქრ. შ ა რ ა შ ი ნ ი, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 174—177.

⁵ P. P. Блажк. О древне-грузинских версиях Ветхого завета, Известия Кавказского отдела Императорского Археологического О-ва, выпуск VI, (ვალეჲ ამონაბეჭდი, გვ. 2—39).

⁶ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: მნათობი, 1952, № 4, გვ. 125.

⁷ თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 39.

⁸ P. P. Блажк, დასაბ. ნაშრომი, გვ. 8.

რება გელათური ბიბლიის რედაქციას. გელათური ბიბლიის ტექსტი თავმჯდომარე მუხლებად დაუყვია საბას. მასვე შეუტანია ზოგიერთი რედაქციული ცვლილება ხელნაწერში. ამ აზრის სასარგებლოდ ჩვენ შეგვიძლია დამატებით აღვნიშნოთ: ვახტანგ VI-ის სტამბაში ნაბეჭდი წინასწარმეტყველთა ტექსტი რომ გელათური ბიბლიის რედაქციას ემყარება; ამას, ტექსტობრივი მსგავსების გარდა, ისიც ვახაზავს, რომ:

1. გელათური ვერსიის მცდარი წაკითხვები მცდარი ფორმითვე გადასულა ნაბეჭდში; მაგალითები:

1) 18, 4 იერ. „შექმნა იგი ქურბულად და სხულად“. აქ „და“ ზედმეტია.

2) 19, 1 იერ. „მოიგე კარაბაა გამოხელილი კეცისაჲ (უნდა: გამოხელილი კეცისაჲ);

3) 23, 22 იერ. „და დათმცა“ (ერთი „და“ ზედმეტია);

4) 27, 13 იერ. „აღაჰმონოს“ (უნდა: არა ჰმონოს);

5) 50, 44 იერ. მაქანართაგან (უნდა: მაღნართაგან) და სხვა.

11. ისიც ირკვევა, რომ გელათური ვერსიის ნუსხა საბას არა მარტო თავმჯდომარე მუხლებად დაუყვია, არამედ ხელნაწერის ტექსტის კიდევ სითანხმებელიც გაუკეთებია ბიბლიის სხვადასხვა წიგნიდან თავისა და მუხლის ჩვენებით. ეს ნაბეჭდშიც არის გადასული. რის მიხედვით დამუხლა საბამ ტექსტი, ან რას ემყარებოდა იგი, პარალელური ადგილებს რომ აშიაზე მიუთითებდა ბიბლიის სხვა წიგნებიდან? პროფ. ი. ლ. აბულაძემ გაარკვია, რომ მცხეთის ბიბლიის (A—51) დანართი საძიებლები საბას გადმოთარგმნილი აქვს პირველი სომხური ნაბეჭდი ბიბლიიდან (ამსტერდამი, 1666 წ.); მისივე ვარაუდით, საბამ ალბათ, ქართული ბიბლიის რედაქციის დროს სომხური ბიბლია „სხვა მხრითაც გამოიყენა“⁹.

მკვლევრის ვარაუდი სწორი გამოდგა. გამოირკვა, რომ ტექსტის თავმჯდომარე და მუხლებად დაუყვია საბას გაუკეთებია სომხური ბიბლიის მიხედვით. საბას ასევე უსარგებლია ტექსტის კიდევ სხვა პარალელური წყაროს მითითებისას ვოსკანის ბიბლიით. ამ შემთხვევაში ნაბეჭდი ქართული ტექსტი სავსებით იმეორებს სომხ. ბიბლიის ჩვენებას, ხოლო გელათური ვერსიისა ყოველთვის არ შეიცავს კიდევ სხვა წყაროზე მითითებას. წინააღმდეგ სომხური ბიბლიისა. ამას ცხადყოფს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ საბას მიერ შესწორებული გელათური ბიბლიის (G-ს) წინასწარმეტყველთა ტექსტში პარალელური ადგილი მითითება ზოგჯერ არ მოიპოვება იქ, სადაც იგი უნდა ყოფილიყო სომხ. ბიბლიის მიხედვით; ნაბეჭდში კი ზუსტადაა გატარებული ისეთივე ჩვენება, როგორც სომხ. ბიბლიაშია. ეს ფაქტი კი იმას მეტყველებს, რომ ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილ წინასწარმეტყველთა წიგნებს საფუძვლად არ დასდებია გელათური ანონიმის ავტოგრაფული ნუსხა (A—1108). როგორც ამას პ. ინგოროს ეჭვობდა. ამ ნუსხიდან პირდაპირ რომ აღწყობო ტექსტი, მაშინ მათ შორის განსხვავებას არ უნდა ჰქონოდა ადგილი.

⁹ ი. ლ. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, თსუ-ს შრომები, III, 1936, გვ. 262.



პარალელური ადგილების ჩვენება ქართულ ბიბლიაში

პარალელური ადგილების ჩვენება სომხურ ბიბლიაში

იერემიას წინაწარმეტყველების ტექსტი	გელათური ვერსია (A 1108)	ვახანგ VI-ის ატამბაში ნაბეჭდი ტექსტი (W)	ნაბეჭდი სომხური ბიბლია (ამსტერდამი, 1666)
15,9	I მეფ. 2,5 ამოს. 8,9	I მეფ. 2, ბ. 5 ¹⁰ ამოს. 8, ბ. 9	I მეფ. 2, ბ. 5 ამოს. 8, ბ. 9
15,17	ფსალ. 1, [1] დ [ა]. 25, [4]	ფსალ. 1, ა, I და 25, ა, 4	ფსალ 1, ა, I და 25, ა, 4
15,18	—	ქვემ. 30, გ, 15	ქვემ. 30, გ 15
16,10	ზემ. ¹¹ 5,29	ზემ. 5, ლ, [2] 9.	ზემ. 5, ლ, (ყ), 29
16,12	—	ზემ. 7, გ, 26	ზემ. 7, გ, 26
16,13	—	ქვემ. 28, ბ, 8	ქვემ. 28, ბ. 8
17,5	ესა. 30,2	ესა. 30, ა, 2	ესა. 30, ა, 2
17,6	ესა. 31,1	ესა. 31, ა, 1	ესა. 31, ა, 1
17,7	ფსალ. 1,3	ფსალ. 1, ა, 3.	ფსალ. 1, ა, 3
17,10	მთხილ. ¹² 2,23	მთხილ. 2, გ, 23	გამოც. 2, გ, 25
17,11	I მეფ. 16,17	მეფ. 16, ბ, 7	მეფ. 16, ბ, 7
18,6	ესა. 45,9	ესა. 45, ბ. 9	ესა. 45, ბ, 9
18,7	რომ. 9,20	რომ. 20, ბ, 10 ¹⁴	რომ. 9, ბ. 20
18,7	ზემ. 1,10	ზემ. 1, ბ, 10	ზემ 1, ბ, 10
18,11	იონა ¹⁵ 3,8 (დანარჩენი მოწმობა გადაუშლია საბას	ქვემ. 25, ბ, 5 და 35, გ, 12 იონა 3, დ, 8	ქვემ. 25, ბ, 5 და 35, გ, 12 იონა 3, დ, 8

ზემოთ აღნიშნულის გარდა, ნაბეჭდსა და გელათურ ნუსხას შორის ისეთი ტექსტობრივი სხვაობაცაა, რომ შეუძლებელია იგი ბეჭდვის პროცესში მომხდარ უმნიშვნელო ცვლილებად დავსახოთ, მაგ.,

G

(გელათური ბიბლია)

W

(ვახტანგისეული ბიბლია)

განკითხული 15,10, დაეგზნას. 15,14¹

განმკითხული; და აეგზნას.

ქმნილი იქმნა ჩემდა 15,18.

ქმნილ ჩემდა.

ჰმასა სიხარულისასა და ჰმასა

ჰმა სიხარულისასა და ჰმა სიძი-
სასა და ჰმა სძლისასა.

შუშბისასა, ჰმა[სა] სიძისასა 16,9.

აჰა მივეაღერ ჰრავალთა მიხევე-
რეთა და მონადირენენ იგინი

აჰა მივეაღერ მრავალთა მიხევე-
ლართა, იტყუს უფალი, და მოითხევე-
ლენენ იგინი 16,16.

განაბნიენით ცხოვარნი ჩემნი და
განაგარეენით იგინი და არა¹⁵ მოიხი-
ლენით იგინი 23,2.

განაბნიენით ცხოვარნი და განა-
გარეენით იგინი.

¹⁰ თავებისა და მუხლების აღმნიშვნელ ციფრებს შუა მოჭკეული ასოების რიცხობრივი ჩიწმინდობა უნდა აღნიშნავდეს ტექსტის დაყოფას.

¹¹ ქვემ. ნიშნავს ქვემოთ, ზემ.—ზემოთ და მიუთითებს, რომ მსგავსი ადგილი იმავე წყაროში, რომელსაც დამოწმებანი ახლავს.

¹² ხელნაწერში იკითხება მოხილ, რომელიც მოხილ(ვა)საგან არის წარმომდგარი და რვა-
ლურად გამოცხადებას ნიშნავს.

¹³ გელათურსა და სომხურ ბიბლიაში „იონას“ ნაცვლად შეტანილი „იოანე“ იკითხება.

¹⁴ ნაბეჭდ ბიბლიაში შეცდომაა; უნდა: რომ. 9, ბ. 20.

¹⁵ არა! არ G.



G

W

განავლინნა მეფემან იოაკიმ კაცი
გვებტედ ელდათარ, ძე ვოხოროსის 26,22. ძე
ქვაჲ საყუთხედ და ქვაჲ საფუძ-
ველად 51,26.

განავლინნა მეფემან იელდათარ
ოხორის.
ქვაჲ საფუძველად.

განვაზნიო შენ შორის მწყემსი
და სამწყსოა და განვაზნიო მუშაჲი
და სამუშაჲოა 51,23.

და განვაზნიო შენ შორის მუშა-
ჲი და სამუშაჲოა მისი.

— არა დაჯდეს 49,19.
მზარაჟღმან 52,30.

დაჯდეს.
ქონდაქარმან.

სხვაობაა საკ. სახელთა მართლწერაშიც:

პასხორ 20,1; 20,2; 20,3; 20,9.
ხალდეველთა 21,4; ახაზი 22,15.
ნაბუზოდონოსორ 27,6; 46,2.
მადლოლოასა 46,14; მეღსომ,
გალაადი (!)—49,1.
ლომორაჲ 50,40

პასქორ
ქალდეველთა, აჰაზი.
ნაბუქოდონოსორ.
მადლოლოასა; მეღქომ, გალაადი
გომორრაჲ.

სხვაობა თავს იჩენს ისეთ ადგილებშიც კი, რომლებიც გელათურ ნუსხაში
საბას ხელითაა შეტანილი ან ვაცხოველებული; მაგ., საბას ხელითაა ვაცხოველე-
ბული: ჰგო დებ დით მას 51, 8G შდრ. ჰგონებ დით მას W. მსგავ-
სი მაგალითები სხვაც დაიქმნა. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ საბას
მიერ გელათურ ნუსხაში შეტანილ (ჩამატებულ) სიტყვებს, თოქმის ყველას
უპოვია ადგილი ნაბეჭდ ტექსტში. რ. ბლგიკს კი საქმის ვითარება პირიქით
ქონდა წარმოდგენილი, როცა წერდა: აქა-იქ წინასწარმეტყველთა ტექსტი
შესწორებულია, და, თუ არ ვცდები, მოსკოური ბიბლიის მიხედვით¹⁶.

საკითხავია, რის მიხედვით ასწორებდა საბა გელათურ ნუსხას? მის მიერ
ჩამატებულ სიტყვათა და წინადადებათა შესწავლიდან ირკვევა, რომ მას ამ შემ-
თხვევაში არ გამოუყენებია ბიბლიის ძველი ქართული ვერსიები (ოშკურ, იე-
რუსლიმური ტიპისა), არც ისაა მოსალოდნელი, რომ ეს ჩამატებანი საბას თვით-
თონვე შეეტანოს უცხო (სომხ., რუს., ბერძნ.) ბიბლიათა ჩვენებაზე დაყრდნობით
ე. ი. „მისი“ სიტყვები იყოს. საბას ხელთ უნდა ქონოდა გელათური ვერსიის
სხვა ნუსხაც, რითაც აწარმოებდა იგი ტექსტის შეჯერებას გელათელი ანონიმის
ავტორგრაფთან (A—1108). ეს უკანასკნელი ნუსხა რომ ჩასწორებული და გამარ-
თულია საბას ხელით, ალბათ, ამ გარემოებამ აფიქრებინა პ. ინგოროყვას,
ეს ნუსხა მიეჩნია სასტამბოდ გამზადებულ ცალად, საიდანაც, უნდა აეწყოთ ტექ-
სტი; მაგრამ ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ არსებობს სხვადასხვა სახის სხვაობანი
ამ ნუსხასა და ნაბეჭდ ტექსტს შორის; ეს ფაქტი, ვფიქრობთ, შესაძლებლობას
იძლევა ასეთი დასკვნისათვის: მართალია, გელათური ნუსხა (A—1108) შესწო-
რებულია და გამართული საბას მიერ, მაგრამ უშუალოდ ამ ნუსხიდან არ აუწყ-
ვიათ ნაბეჭდი ტექსტი; ეს ნუსხა არაა სასტამბოდ დამზადებული ცალი, ამ ნუს-
ხაში შეტანილი ცვლილებები საბას რედაქტორული მუშაობის ერთ-ერთ სა-

¹⁶ P. Блажк, დასახ. ნაშრ., გვ. 6.



ფებურს შეადგენს და არა უკანასკნელს. ამიტომაც ზოგიერთი სხვადასხვა ნუსხასა და ნაბეჭდ ტექსტს შორის; ეს სხვაობა საბას შემდგომი რედაქტორული მუშაობის შედეგია. ესაა და ეს.

რადგან გარკვეულია, რომ თბილისში დაბეჭდილი წინასწარმეტყველთა წიგნების რედაქტორი ს. ს. ორბელიანი, ამიტომ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ იგი ლექსიკონში შესატანი სიტყვების წყაროდ ამ გამოცემას გამოიყენებდა. ეს ასეც არის. მაგრამ საბას მიერ დამოწმებული სიტყვა ზოგჯერ სხვაობას გვიჩვენებს წყაროსთან შედარებით, რასაც თავისი ახსნა აქვს: საბამ ლექსიკონზე მუშაობა ბევრად ადრე დაიწყო, ვიდრე წინასწარმეტყველთა წიგნები დაიბეჭდებოდა (დაბეჭდვა უნდა მომხდარიყო 1710—1711 წწ¹⁷). ამდენად საბას განსამარტავ სიტყვებთან წყაროებზე მითითება ხელნაწერი ტექსტებიდან უნდა მოგვყვანა. რ. ბ ლ ე ი კ ს შეუსწავლია საბას ლექსიკონში ბიბლიიდან დამოწმებული სიტყვები და იმ აზრამდე მისულა, რომ საბას უნდა ჰქონოდა რთული შედგენილობის ხელნაწერი (рyкoпиcь cлoжнoгo cocтaвa), რომლის სხვადასხვა ნაწილები სხვადასხვა წარმოშობისა უნდა ყოფილიყო, ხოლო წინასწარმეტყველებიდან დამოწმება უსათუოდ მოსკოური გამოცემის ტექსტიდან არის (ე. ი. ბაქარის ბიბლიიდან, ანუ გელათური ბიბლიიდან); თუმცა არის წაკითხვები ძველი ვერსიიდანაც¹⁸. ხოლო ა. შ ა ნ ი ძ ი ს აზრით, „ძველი აღთქმის წიგნებიდან სიტყვების ჩვენებისას სულხანი ზოგჯერ იმ რედაქციას მისდევს, რომელიც ე. წ. მცხეთურ ხელნაწერშია წარმოდგენილი (A—51), ზოგჯერ კი იმას, რომელიც ათონურ დაბადებაშია დაცული და ზოგჯერ იმას, რომელიც ქართული ბიბლიის მოსკოურ გამოცემაშია წარმოდგენილი¹⁹. მკვლევრები საბას მიერ ბიბლიიდან დამოწმებულ სიტყვათა შესამოწმებლად მოსკოურ გამოცემაში დაცულ ტექსტს მიმართავენ, სახელდობრ, როცა დამოწმება წინასწარმეტყველთა წიგნებიდანაა (რ. ბ ლ ე ი კ ს, ა. შ ა ნ ი ძ ე, ს. იორდანიშვილი, ილ. აბულაძე...). მკვლევრებს ისიც შენიშნული აქვთ, რომ ლექსიკონში დამოწმებული სიტყვა ბაქარი-სეულ ბიბლიაში ზოგჯერ არა ჩანს²⁰ და არა ჩანს იგი საერთოდ დღემდე ცნობილ არცერთ ვერსიაშიც²¹. ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ უკანასკნელი აზრის სასარგებლოდ დამატებით მასალებს, ოღონდ მანამდე გვინდა გამოვყოთ საბას ლექსიკონზე მუშაობისას უახლოესი თანამშრომლების წვლილი (ზოსიმესი, ვახტანგ VI-ისა), რომ ვიცოდეთ, რა გეგმის საყუთრივ საბას კალამს მოყვანილი დამოწმებებიდან.

ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში 260-მდე სიტყვა დამოწმებულია იერემიას წინასწარმეტყველების წიგნიდან. ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე მ გამოარკვია, რომ საბას სიკვდილის შემდეგ ზოსიმეს SZ² ნუსხა (H—1429), შეუწამებია Z³-სთან (A—75) და გამორჩენილი 51 სიტყვა ჩაუწერია თავ-თავის ადგილას და თანაც SZ² ცალში დამატებით შეუტანია 228 სიტყვა. ამთავან ზოგიერთი განმარ-

¹⁷ ქ რ. შ ა რ ა შ ი ძ ე. პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 176.

¹⁸ Р. Б л о ж к, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

¹⁹ ა. შ ა ნ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყ ი უ შ ი ძ ი ს და პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, 1928, გვ. XXVI.

²⁰ ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 1949, გვ. XXVII.

²¹ ე. ქ უ რ ტ ი ძ ე, სიტყვის განმარტების ერთი ხერხი საბას ლექსიკონში (ხელნაწ. ინსტიტუტის მოამბე, III, 1961, გვ. 14).



ტებით და წყაროების ჩვენებითაც²². ამ ჩანამატებიდან 20 სიტყვას მივყავართ: აქვს იერემიას წინასწარმეტყველების წიგნზე; მათგან 2 მიმღეობაა (მონივთული 12, 14; მთხელეართა 16, 16), ერთი არს. სახელი (მწვირე 38, 6); ხოლო დანარჩენი ზმნის პირიანი ფორმებია: აღუყიდენ 19, 3; გაამოგებენ 25, 16; გამოიხუნა 50, 23; განაგარენები 23, 16; განვაკიდვე 16,5; განგეცე 38, 16; განიძირეს 12, 2; განუფიწლენ 49, 32; დააქცია 50, 40; დაეშენა 50, 40; დაეშვერ 17, 16; დანი თ გ უ ზ ს მ ა 8, 16; დაყავ 33,3; ვისურვო 13, 14; ვსაარებლბთ 4, 13; იეფის 12, 1.

უნდა აღინიშნოს, რომ განსამარტავად გამოტანა „დანი თ გ უ ზ ს მ ა“-სი არაა გამართლებული, რადგან ისინი სხვადასხვა სიტყვებია (შდრ. ბერძ.

Παχ Δαχ δαοαυαυαυα ... სომხ. *’ჩ დასას ცოხიო გ ყბასქ*).

ცნობილია, რომ ვახტანგ VI-ს საბას ლექსიკონში შეჭქონდა ცვლილებანი: განმარტავდა განუმარტავ სიტყვებს, შეჭქონდა ახალი სიტყვები, უთითებდა წყაროებს. ვახტანგ VI-ს საბას ლექსიკონის ავტორგრაფულ ნუსხეებში შემდეგ სიტყვები ჩაურთავს იერემიას წინასწარმეტყველებიდან: ევრკი და ბაი ლგ; სინონს და კატარაკატსა კთ, კვ; სკირადათა განნიცებისათა; სკირა; ანკანაკება, მემფი 46, 19; კუთვნა 44,3²³.

იერემიას წინასწარმეტყველებიდან დამოწმებულ ზოგ სიტყვას ციტატი ახლავს ადრეულ რედაქციებში, ხოლო საბოლოო რედაქციაში მხოლოდ მითითებაა დატოვებული, ასეთებია: აბს, დამდამივა... (იხ. ქვემოთ). ოლონ კია, რომ თავებინა და მუტლების აღმნიშვნელი ციტრები არცელი იშვიათად აღრეულია. რაც აძნელებს სიტყვის ტექსტში პოვნას. მაგ., დამოწმებულია: კარაბა 17, 1 (უნდა: 19,1); აღგარწმუნებენ 19, 8 (უნდა: 29, 8); აგამოუცდელა 7, 26 (უნდა: 7, 28); კეფი 35, 23 (უნდა: 36, 23) ქერეთი 37, 14 (უნდა: 37, 15); საღუმარი 51, 19 (უნდა: 51, 18); მოქენე 36, 23 (უნდა: 36, 25)...

გარკვეულია, რომ საბას წინასწარმეტყველთა წიგნების ადგილთა დამოწმება მოჰყავს ნაბეჭდი ბიბლიიდან, ე. ი. გ ე ლ ა თ უ რ ი ვ ე რ ს ი ს ტ ე ქ ს ტ ი არის საბას ე რ თ ე რ თ ი ძ ი რ ი თ ა დ ი წყარო, მაგრამ იგი არაა ე რ თ ა დ ე რ თ ი. საბას სხვა რედაქციის (დღეისთვის უცნობი) ტექსტიც უნდა ჰქონოდა ხელთ, რასაც უჩვენებს საბას მიერ განსამარტავად მოყვანილ სიტყვასა და ტექსტში დადასტურებულ ფორმას შორის არსებული სხვაობა. ასეთი სხვაობანი სხვადასხვა ხასიათისაა: 1) საბა განმარტავს პირიან ფორმას, წყაროში კი კნებითი გვარის მიმღეობისაგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელია: „შე ვ ს ც ბ უ ნ დ ი 8, 21 იერ. გეშტერადისავითა“; წყაროშია: „დაბნელდა შე ც ბ უ ნ ე ბ ლ ო ბ ა ა“. საბას იშვიათად როდი მოჰყავს განსამარტავად პირიანი ფორმა, თუ კი იგი ასეთი სახითაა წყაროში. ცნობილია ისიც, რომ ზმნური ფორმების მეთაურად საბას ლექსიკონში საწყისია²⁴. ზემოთ დასახელებულ მაგალითში ამ პრინციპის საწინააღმდეგო ფაქტი გვაქვს. უნდა ვიფიქროთ, რომ საბა სარგებლობდა ისეთი ნუსხითაც. სადაც „შე ვ ს ც ბ უ ნ დ ი“ ეწერა.

2) საბა განმარტავს მიმღეობას, წყაროში კი ზმნის პირიანი ფორმაა. განმარტებულია „მ ო ქ ე ნ ე“ 36, 25; წყაროშია: „... მ ო ქ ე ნ ო ბ დ ე ს“.

²² ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები (ავტორგრაფების მიხედვით), 1957, გვ. 143.

²³ ი ქ ვ ე, გვ. 106—107.

²⁴ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, I. ზმნის ფორმათა მეთაური ს. ს. ორბელიანის ქართულ ლექსიკონსა და ვახტანგ VI-ის თარგმანში ს. ს. ორბელიანი, საიუბ. კრებული, 1959, გვ. 256—257.



3) საბა საწყისის განმარტავს, წყაროში კი მიმღეობაა. განმარტებულია აფოლხეება 5, 27; დაკვეთება 19, 12; გაკვერეტა 2. 13; წყაროშია: ადფოლხე მბული, დაკუ მთებულად, განკვერეტილინი

ა. შანიძეს შენიშნული აქვს ეს ფაქტი და წერს: „მიმღეობის ფორმის ლექსიკური მნიშვნელობის გასათვალისწინებლად სულხანს სათანადო ხმის საწყისის ახსნა მოჰყავს, რადგანაც საწყისი, მისი ფიქრით, ის ფორმაა, რომლებიც ზმნებს მეთაურობს“⁵. ეს დაკვირვება სწორია; თუმცა არაა გამორიცხული, ეს ფაქტი მოდიოდეს გამოყენებულ წყაროთა სხვაობიდან. რადგან ზემოთ აღნიშნული პრინციპის საპირისპიროდ ზოგჯერ საბა განმარტავს მიმღეობას (საარებული 20, 8) და წყაროში კი საწყისი დასტურდება („საარებლობა“).

4) განსამარტავად მოყვანილ სიტყვასა და წყაროში არსებულ ფორმას შორის ისეთი სხვაობებიც დასტურდება, რომლებიც საეჭვოა, საბას ლექსიკოგრაფიული მუშაობის შედეგად მივიჩნიოთ; მაგ.:

საბა განმარტავს:	წყაროშია:
აღდაქი 17, 6.	აღდატი.
აღტუარდულებით 31, 28;	აღტუარდვად.
შებრძვილება 33, 6;	შებრძვლვა.
მძნობელი 30, 19;	მძნობარი.
ნოტიო 17,8;	ნოტიასა.
მტყუანი 8, 8;	მტყუარი.
მულრაობა 48, 2;	მულრაობა.

საბას მიერ განმარტებულ სიტყვებსა და წყაროში დადასტურებულ ფორმებს შორის არსებულ სხვაობათა ზემოთ აღნიშნული ოთხივე შემთხვევა, შეიძლება ითქვას, მაინც არ იძლევა მტკიცე საფუძველს, ეფიქრობთ, რომ საბა სარგებლობდა ბიბლიური წიგნების აქვამად უცნობი ვერსიით. მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც გვარწმუნებს, რომ საბას უსარგებლია ბიბლიის ჩვენთვის უცნობი რედაქციითაც საბა განსამარტავ სიტყვებთან წყაროს ასახელებს, მაგრამ სათანადო ადგილას წყაროში ეს სიტყვები სრულებით არ ჩანს, მათ ნაცვლად სხვა სინონიმური სიტყვებია ნახმარი; მაგ. იერემიას წინასწარმეტყველების წიგნზე მითითებით საბას მიერ

განმარტებულია

წყაროშია

მენი 16,16;	ტურელი AIG ³⁶
ჯურღმული 48,44;	ტნარცუ AI; მთხრებელი G,
დამდამივა 48,2;	და შედებაა A; დამადებემა I(G-ში არაა).

⁵ იქვე, გვ. 257.

³⁶ ლიტერებში აღნიშნულია ქართული ბიბლიის ხელნაწერები: ათონისა ანუ ოჰკისა (A), იერუსალიმისა (I) და გელათისა (G), ვსარგებლობდით AI ხელნაწერთა ფოტოპირებით, რომლებიც ინახება საქ. მეც. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. აქვამად იერუსალიმური ხელნაწერის ტექსტი გამოცემულია: იხ. F. Graffius, *Patrologia Orientalis*, t. XXIX, f. 4. The old Georgian version of the prophets, *criticale edition with a latin translation by Robert Pierpont Blake and Canon Maurice Brier*. Paris. 1961.



ძნელია გადაჭრით თქმა იმისა, ეს უცნობი ვერსია დღემდე ცნობილ მელ რელაქციასთან იდგა ახლოს, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნიშნულად არ უნდა ყოფილიყო დაშორებული გელათურ ვერსიას. ამას გვაფიქრებინებს ამ უცნობი ვერსიიდან მომდინარე საბას ლექსიკონში დამოწმებული სიტყვების ფორმოზომილი სიახლოვე გელათური ვერსიის სიტყვებთან, მაგ. ა ლ დ ა ჯ ი 17, 6:—ა ლ დ ა ტ ი; მ ა ფ ა ი 44,17;—მ ე ფ ე ა.

წყაროს დამოწმებისას საბას გარკვეული მეთოდი აქვს მომარჯვებული. „სიტყვები, რომელთა უეჭვო განმარტებები საბას გააჩნდა, ლექსიკონში ყოველგვარი დამოწმების გარეშე იწერებოდა“²⁷. მაგრამ გამოირკვა ისიც, რომ საბას დამოწმება მოჰყავს ისეთ სიტყვებთანაც, რომელთა განმარტება საერთოდ ნათელია და სიძნელეს არ წარმოადგენს. მაგ., იერემიას წინასწარმეტყველებიდან დამოწმება აქვს ბეგრ ასეთ „არაძნელოვან“ სიტყვას: ადგილი 49, 15; აღსასრული 18,7; დააკცია 50, 40; დაეშენა 50, 40; დამთვალი 31, 12; ვედრება 11, 14; იბორტა 38, 9; ისმინე 17, 20; კლვა 12, 3; მეტყუელი 7, 23; მიტევება 34, 17; მოკუთეთილი 9, 26; მშობი 49,24; ოფლი 8, 6; პოვნა 2, 5; სამალავი 23, 24; სასმენელი 11, 8; სასუდელი 4,7; საწყალობელი 9, 19; საწყევარი 25, 18; საწყუნარი 49, 15; სახილავი 23, 18; სიმარჯვე 11, 18; სმენა 51, 46; სტეგნა 22, 14; ტყეობა 15, 2; შთაწერილი 17, 1; შუადღე 15,9; ცრემლი 9, 1; ძრწოდა 15, 8; წიგნი 36, 21; ჯელოვანი 10, 5; ჭოჯოხეთი 17, 4 და სხვა. ამ ფაქტიდან ჩანს, რომ საბას მიზანი იყო დამოწმება ჰქონოდა არა მარტო ძნელად განსამარტავ სიტყვებს. არამედ ყველას (შესაძლებლობის ფარგლებში) და უმეტესად დამოწმებულის წყარო შეცვლილიყო ბიბლიის წიგნებით²⁸. ვინ იცის, საბა რომ „სოფლისა საქმისაგან უცალო“ არ ყოფილიყო, იქნება ყველა სიტყვას ჰქონოდა დამოწმება (შესაძლებლობის ფარგლებში).

* * *

მკვლევრებს, რომლებიც საბას ლექსიკონს შეჰხებიან. აღუნიშნავთ საბას ნაშრომის ბევრ დიდ ღირსებასთან ერთად ზოგიერთი ნაკლიც. ა. შანიძე, რომელმაც რამდენიმე გამოკვლევა უძღვნა საბას ლექსიკონს, ერთგან შენიშნავს: საბას ლექსიკონში „შეცდომებიცაა, რომელთაც მეცნიერულ გამოცემაში გასწორება უნდა ან შენიშვნების დართვა მაინცო²⁹, და ნიმუშად მოჰყავს ლექსიკონში შესული რამდენიმე არასწორი ფორმა (ეკვატანი, მუჰარაკი, ენიოტი, განბორკება, დლა) და ასწორებს მათ. იქვე აღნიშნულია, რომ „ასეთი შენიშვნების წყალობით სულხან-საბას ლექსიკონი სამაგიდო წიგნად დარჩება მომავალშიც“³⁰. უსათუოდ, სწორია საბას ძვირფასი მემკვიდრეობისადმი ასეთი შიღვომა, რადგან ასეთი შენიშვნები პრაქტიკულად დასარგებლო იქნება ლექსიკონით მოსარგებელ ყველა პირისათვის და თანაც საბას ამ დიდებულ ნაშრომს მნიშვნელობა და ცხოველმყოფელობა არ მოაკლდება მომავალშიც.

²⁷ ე. ლ. მ. ბ. რ. ე. ე. ლ. ი, სულხან-საბა ორბელიანის უძველესი ავტოგრაფი, საქ. საბ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX, 1956, გვ. 23.

²⁸ იქვე, გვ. 30.

²⁹ ა. შანიძე, სულხან-საბა ორბელიანი, როგორც ლექსიკოგრაფი, ჟურნ. მნათობი № 10, 1959, გვ. 109.

³⁰ იქვე, გვ. 110.



სწორი ჩანს იმის აღიარებაც, რომ საბას ლექსიკონის მნიშვნელოვანი თუნი კულტურის ისტორიისათვის მით უფრო ნათელი გახდება. რაც უფრო გამოწვლილი იქნება იგი შესწავლილი (ვერჯერობით მისი შესწავლა მხოლოდ დაწყებულია)³¹.

საბას ლექსიკონში მოხვედრილი არასწორი ფორმები უმეტესად წყაროდან მომდინარეობს. ამის ნიმუშად „ცრულის“ დასახელებაც კმარა. ასეთი უცნაური სიტყვა იქიდან წარმომდგარა, რომ წინა სიტყვის ბოლო ასო (ც) მომდევნო სიტყვასთან შეუერთებიათ³². ტექსტში ყოფილა „არავე ცრული სარეცელთა“³³, ნაცვლად ამისა: არა ვეც რული (ხელნაწერებში ორივე წაითხვება დარჩენილი). მსგავსი შემთხვევები ჩვენც შეგვხვდა საბას ლექსიკონში იერემიას წინასწარმეტყველების წიგნზე მითითებულ სიტყვებთან. მაგალითად:

1. „შეოდახად (50, 2) რომელნიმე დიას იტყვან, რომელნიმე კრონოსა, რომელნიმე ბაბილონს შინა პირველ გამეფებულსა ანუ უკანასკნელსა, რომელსა ზედა იქმნას დაქსნა შეფობისა“.

ეს სიტყვა საბას მოჰყავს გელათური ნუსხიდან (A—1108). სადაც ვკითხულობთ: „შეშბული მიეცა მეოდახ“. განმარტებაც საბას აუღია ამავე ნუსხის შესაბამ ადგილას კიდევ მიწერილი კომენტარიდან, რომელიც წითელი მელნითა დაწერილი და ძალზე გადასულია, ზოგან არც იკითხება: „მეოდახად რომელნიმე დიას იტყვან და რომელნიმე კრონოსა, ბოლო რ... ფად, ბოლო რომელნი პირველ გამეფებულსა (.....) ბაბილ... ანუ უკუანასკნელსა, (რომელსა ზედა) იქმნა დაქსნა შეფობისა“ (A—1108, ფ. 242 რ). საბას შეცდომით კომენტარში დაცული ვით. ბრუნვის ფორმა (მეოდახად) ამოსავლად მიუჩნევია, თუმცა ტექსტში „მეოდახ“ ფორმას ხედავთ. მეოდახ გადმოგვეცემს ბერძ. Μαράμπαχ-ს. ეს უკანასკნელი კი არის ებრ. מֵרֹאד, „მეროდაქ“.

ძველ ქართ. ვერსიებში არის: მაროდაქ (I), მალორაქ (A); ეს უკანასკნელი მეტათეზისითაა მიღებული (მადორაქ-მაროდაქ), ხოლო გვიანდელი ფორმა მეოდახ მოდის მეროდახ-იდან რ-ს ჩაყარდნით (ბერძნ. მ-თ-ია ვად-მოსული). ეს სიტყვა აღნიშნავს ქალდეველთა ერთ-ერთ კერძს. რომელიც ქალდეველთათვის იგივე იყო, რაც რომაელებისათვის იუპიტერო³⁴. ასე რომ უნდა განმარტებულიყო „მეოდახ“ და არა „მეოდახად“.

2. „ასიღამა (8, 7 იერემ.) მიმინოს ჰვავს, ღამით ხედავს. ღამურას უკმობენ (ჰქვიან A) ZA“³⁵. სხვა რედაქციებშიც ძირითადად ეგვევ განმარტებაა დაცული. ეს სიტყვა საბას გელათური ვერსიიდან მოჰყავს: „დასიღამან ცთა შინა ცნა ეამი თჳსი“ (შრდ. ბერძნ. η δειξά τιν εἶπα ἑαυτῶν ἀντὶ τῆς ὁμιλίας τῆς ἐν τῷ ἱερῷ, სადაც. იგი

ღნიშნავს ყარყატს (რუს. арист); საბას განსამარტავად მოჰყავს არა ამოსა-

³¹ ა. ჩიქობავა ს. ს. ორბელიანის „სიტყვის კონა“ როგორც ლექსიკონი. ნაშრომი, ს. ს. ორბელიანი, საიუბილეო კრებული, 1959, გვ. 276.

³² ს. იორდანიშვილი, ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, 1949, გვ. XXX—XXXI.

³³ ლ. ქუთათელიძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, 1957, გვ. 206, სქოლიო.

³⁴ И. Якимов, Толкование на книгу св. пророка Иеремии, С. П., 1880, вып. II, стр. 731.

³⁵ ვსარგებლობთ ი. აბულაძის ხელშეწავილობით დასაბუთებულ დამზადებული საბას ლექსიკონით, სადაც ყველა ავტოგრაფული ნუსხის ჩვენება წარმოდგენილია.



ვალე ფორმა „ასი და“, არამედ მოთხრობითი ბრუნვის ფორმა (ას დედა) რაც გასასწორებელია.

3. „სკირა“ (+48,31 იერმ. ZAA) თივის კედელი (+ სხვას წიგნშია AB) ZAB. სკირადათა განბიციებისათა (38,31 იერემ.) ესრეთ(თ) ითქმის თივის კედელ(ნი) განწმობად(ნი) ZA (+ 48,31 იერემ. B) ესრეთ ითქმის ვითარმედ თავნი მათნი აღპარსულ და წუერნი (+ მათნი C) დაუყენილ (+ სკირა თივის კედელი“ c) BC.

ეს სიტყვები ვახტანგ VI-ს შეუტანია საბას ლექსიკონის აღრეულ რედაქციებში განმარტებითურთ („ესრეთ ითქმის, ვითარმედ: თავნი მათნი აღპარსულ და წუერნი დაუყენილ“), მაგრამ საბოლოო რედაქციაში ვახტანგის განმარტება გამოუტოვებია საბას და თავისი მოუცია („ესრეთ ითქმის თივის კედელნი განწმობადნი). საბასა და ვახტანგის განმარტებებს არაფერი აქვს ერთმანეთთან საერთო; აბა სად „თივის კედელი“ და სად პარსვა. „სკირადათა განბიციებისათა“ გელათურ ვერსიაშია დაცული. ეს ადგილი ასე იკითხება სამსავე რედაქციაში. ლალადებდით კაცთა ზედა ზღუდისათა ვ არ ჯ პ არ ს უ ლ თ ა (I).

ლალადებდით კართა (უნდა: კაცთა) ზედა ზღუდისათა ვ არ ჯ პ არ ს უ ლ თ ა (A).


ქმაჲ-ყავთ კაცთა ზედა ზღუდისათა სკირადათა განბიციებისათა (G).

ცხადია, ვახტანგ VI-ს „სკირადათა განბიციებისათა“ განუმარტავს სათანადო ადგილის ძველი ვერსიის ჩვენების მიხედვით, სადაც ლაპარაკია „ვარჯპარსულ“ კაცებზე. ბერძნულისა და სომხური ბიბლიის სათანადო ადგილი ასე იკითხება: ბერძნ. Βοήθαυε ἐπ' ἀνθρώπου χείρμας ἀνῆλθεν. სომხ. *գուժեցէք յամենայն կողմանց մովարս* 'ի վերայ արանց խցկոց' վնասուցոց' մեկոց. ცხადია, სკირადათა განბიციებისათა მოლის ბერძნული *χειρμας* ათქმნა-დან (ბერძნ. *ἀνῆλθεν* სიმეღე-შდრ. საბას განმარტებანი „განწმობადნი“), გელათური ვერსიისი ანონიმ ავტორს ბერძნული *χειρμας* უთარგმნელად გადმოუღია. ასევე ბერძნულ სეპტანტრაშიც *χειρμας* ებრაულიდან არის უთარგმნელად გადმოსული: ებრ. *בְּיָדָאֵל*.

კირხერეს, რუს. Кирхерес. გრაფიკული მსგავსების გამო დარინგალური П (Б) წაუკითხავთ ლარინგალურ П (Б)-დ, რომლის ვადმოცემა ბერძნული ასოებით შეუძლებელი იყო, ამიტომ П გამოუტოვებიათ, ხოლო სიტყვის მეორე რ (Г) დ-ონად (Г) წაუკითხავთ, ე. ი. *χειρμας* → *χειρμα* → *χειრმა* : *χειрμα* წაკითხვა დაცული ყოფილა კიდევ სეპტანტის კომპლუტენის გამოცემაში³⁶. ებრ. კირხერეს არის ქალაქის სახელწოდება. იგი მდებარეობდა მოაბის მხარის სამხრეთ ნაწილში მალლობზე და თავისი სიმბაგრეებით მიუვლად ითვლებოდა. სახელწოდება აქედან მიუღია: კირ ხარეს, რაც ებრაულად ნიშნავს: კედელი, ზღუდე (სიმბაგრე) მალლობზე³⁷.

საბას ლექსიკონში ცალკეა განმარტებული სკირა იმავე ადგილზე მითითებით (48, 31), რაც სკირადათა განბიციებისათა-ს აქვს. უნდა ითქვას, რომ „სკირა“ სიტყვა არ არსებობს. ვახტანგს და საბას „სკირა“ მიაჩნიათ ამოსავალ ფორმად „სკირადათა“-სთვის, იმიტომ რომ ეს უქანასკნელი გვეგებულა „სკირა“-ს ბუნვა- და რიცხვ-შეცვლილ ფორმად. ქართული წყაროს მიხედვით უნდა განმარტებულიყო „სკირა და“, ან კირა და (ბერძნ. წყაროს

³⁶ И. Якимов, დაახ. ნაწრომი, გვ. 694
³⁷ იქვე, გვ. 675.



გამოყენებით). სკირადა-ში სანის დართვა აუხსნელია. არაა სავარაუდო, რომ იგი „კირადა“-ს წინ მდგომი სიტყვის ბოლო ასო იყოს და მეჭანიკურად დართული მომდევნო სიტყვაზე (ს+ კირადა), სანის დართვას ვერ მივიჩნევთ იმავე რიგის მოვლენადაც, როგორც ეს ს-პილო, ს-პილენძი-ს მსგავს შემთხვევაში გვაქვს. სკირადა-ში სანი მეჭანიკური შეცდომის შედეგი უნდა იყოს.

საიდან გაჩნდა ძველ ქართულ ვერსიებში „ვარჯ-პარსული“? — ბერძნული *αεραμει*-ს მცდარი გააზრებიდან: იგი გავებულ იქნა როგორც *αερα-შენის* („ვპარსავ, ვკრეკ“) ვნებით მიმღეობა აორისტ მეორისა. ასევე ჩანს ეს სიტყვა გავებული სომეხი მთარგმნელის მიერაც, რადგან სათანადო ადგილას სომხურ ბიბლიაში თმის გლეჯაზეა ლაპარაკი. შეუხაბამო თარგმანმა ჩვენს სახელოვან ლექსიკოგრაფებს საბასა და ვახტანგ VI-ს ამ სიტყვის სწორი ფორმისა და განმარტების მოცემა გაუძნელა.

4. „დამდამია“ (48,2 იერემ.) მულრობა(ი), ქადილია AZB იერემ. 48, 2. ნათესავისაგან დამდამია დაცხრომით დაცხრომილ არს“ C.

ადრინდელ რედაქციაში საბას ციტატი მოჰყავს და განმარტება — არა, ხოლო ბოლო რედაქციებში ციტატი წაშლილია და სიტყვის განმარტება მოცემული წყაროზე მითითებით. რადგან საბა „დამდამია“-ს განმარტავს როგორც მულრობას, ქადილს და გელათურ ვერსიაში სათანადო ადგილას „მულრობა“ იკითხება, შეიძლება კაცმა „დამდამია“ და „მულრობა“ სინონიმებად მიიჩნიოს, მაგრამ ნამდვილად ასე არ არის: „დამდამიას“ ფორმაც და განმარტებაც არასწორია³⁸. წყაროებში იკითხება:

არღარა არს მერმე მხიარულება ესებონს შინა მოაბისასა, ზრახეს მის ზედა ძკრი: მოვედით და გამოვჰყუეთოთ იგი თესლთაგან და მადლებემა და ცხრომით და ცხრეს (I).

არღარა არს მერმე მხიარულება ესებონს შინა მოაბისასა, ზრახეს მის ზედა ძკრი: მოვედით და გამოვჰყუეთოთ იგი თესლთაგან და მადლებემა და ცხრომით და ცხრეს (A).

არღარა არს მერმე მულრობა ესებონს შინა მოაბისასა, ისიტყუნეს მის ზედა ძკრნი: მოვედით და გამოვჰყუჭეთოთ იგი ნათესავისაგან და და ცხრომით და ცხრეს (G).

აქედან ცხადია, რომ საბას მოყვანილი ციტატი არც ერთ რედაქციას არ უდგება, მისი წყარო სხვა რედაქციაა, ჩვენთვის უცნობი. ირკვევა, რომ „დამდამიეა“ წარმომდგარია „და“ კავშირის შეერთებით „მედება“ და „მადლებემა“-ს მსგავს „მდამიეა“ ფორმასთან. ბერძნული და სომხური ბიბლიის სათანადო ადგილას „დამდამია“-ს ფარდი სიტყვა სრულებით არ მოიპოვება: ბერძნ. *αεραμει* *αεραμει*; სომხ. *և լսելով լսայցի*, რაც უდრის გელათურ (G) „და და ცხრომით და ცხრეს“. ასევე სლავურში: *молча ყаолакинешь*. მაგრამ რუსულში, რომელიც უშუალოდ ებრაულის თარგმანია, სხენიარი წაკითხვაა: *и ты, Малмена, погннешь*. ამ ადგილის თარგმანთა ნაირფერობა და სიჭრელე წარმომდგარია. „მადმენ“ სიტყვის ბოლისემიურობიდან ებრაულში. ტექსტში ლაპარაკია ქალაქ მადმენის (מַדְמֵן) დაღუპვაზე.

³⁸ „დამდამია“, რომ „მადმენ“-ის შერყენილი ფორმაა, ამაზე ე. ქუ რ ც ი კ ი ძ ე მ მითითა, იხ. ე. ქუ რ ც ი კ ი ძ ე, სიტყვის განმარტების ერთი ზერხი საბას ლექსიკონში, ზელნაწერთა ინსტ. მოამბე, III, 1961, გვ. 10.



„მადმენ“ ფორმა ებრაულში ქალაქის სახელწოდება (და ზნაი ცალკე) ვის, დაცხრომის მნიშვნელობით. Мадмена-слово созвучное с глаголом, означающим: умолять, погибать³⁹. ბერძნულ სექტანტაში „მადმენ“-ი „დაცხრომა“ ზნის მნიშვნელობითაა გადმოღებული. იგი არ გაუვიათ, როგორც ქალაქის სახელწოდება. ხოლო ძველ ქართულ ვერსიებში დაცული ფორმები: „მადმემა“ (I) „მედებაა“ (A), მ-დამივა საბას (დამდამივა) ჩვენს ყურადღებას ცალკეობითად ებრაულ-სირიულ წყაროსაკენ მიაპყრობს.

ზემოთ განხილული სიტყვების გარდა შეინიშნება სქირდება ფორმის ან მნიშვნელობის თვალსაზრისით შემდეგ სიტყვებს: აღდაქი 17,6 ლელვსუარი 29,17; ურაქი 49,27, საგარი 40,5; დეფანი 50,15; სამარავალკაცი 2,33 და სხვებს.

1. „აღდაქი“ (17,6 იერემ.) ბიცი ZABC. მითითებულ ადგილას ცელ რედაქციებში (AI) „ბიციანი“ იკითხება, ხოლო გელათურ ვერსიაში (G-ში) „აღდატი“. საბას. უთუო, „აღდაქი“ სხვა ნუსხაში ამოუკითხავს და სწორად განუმარტავს იგი სინონიმური სიტყვით, რომელიც უნახავს შესაბამის ადგილას სხვა ვერსიებში. წყაროშია: „დაეშენოს აღდატსა“, ბერი. *πατασχηματισε: εν ελπιδι;* სომხ. *բնակեցէ յադասպոսկս*. ქართ. აღდატი მოდის სომხ. *აդასაჟა*-იდან. სომხურში ეს სიტყვა ნაწარმოებია *აჟ* ფორნიდან („მარილი“). იგი ფუძის გოროქვეებითაა მიღებული: *აჟა + აჟა*. ჰვიბშმაინისაზრით, *აჟა* მოდის *აჟ + აჟა*-ის ნათ. ბრუნვის *აჟაჟ* ფორმიდან,⁴⁰ *აჟაჟ* („მარილიანი [ადგილი]“). ქართული აღდატი (←აღდატ←აღტალტ) ძველი ფორმა ჩანს (ჟლ-დ არის გადმოქული), მაგრამ „აღდაქა“ მიღების ფონეტიკური გზები ნათელი არაა. ასეთ ფორმას სომხურისათვის არც აქარიანი იცნობს. შესაძლოა იგი ხალხური, დიალექტური ფორმა იყოს, ანდა შერყენილი.

2. „ლეღვსუარი“ (29, 17). ესე არს კვპტური ზრქელი ფურცელი, რომელი ფურცელთა ზედა მოისხამს ლელუთა (ხე)“. საბა „ლეღვსულელი“ განმარტებისას შენიშნავს, რომ „ვიეთთა ლელვსულელი და ლელვსუარი არა გაურჩევიათ“-ო. წყაროში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: ვითარცა ლელუნი სუარიმისანი (I), ვითარცა ლელუნი სოარემისანი (A), ვითარცა ლელუნი სუარი (G), ბერძნ. *αδ σαα ποσφες...*, სომხ. *խբք գქուჟ ժանս սուսբქի*. ცხადია, „ლეღვსუარი“ ორი სიტყვის ხელოვნური შეერთებითაა მიღებული (ლეღვ+სუარი). „სუარი“ ებრაულიდან მოდის (לשׁוֹרֵי შოყარ, მრ. რ. ფორმა *לשׁוֹרֵי* შრყარნი, ნიშნავს: ცუდი, უფარგისი, *abscheulich, unansehnlich*⁴¹. ძვ. ქართ. რედაქციებში მრ. რიცხვის ფორმა დაცული ებრაული „შოყარ“-ისა, ასევეა სომხურშიც, ოღონდ სომხურში „სუარიმის“ გვერდით სინონიმური მნიშვნელობით *ჟანს* სიტყვაც არის. შესაძლებელი იყო ცალკე განმარტებულყო „ლეღვ“ და „სუარი“. საბას „სუარი“ კიდევაც განუმარტავს ცალკე, როგორც „უჟამო“, მაგრამ „ლეღვსუარი“ მას გაუგავია, როგორც ერთი სიტყვა, ლელვის განსაკუთრებული სახის აღმნიშვნელი, რის საფუ-

³⁹ И. Якимов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 676.

⁴⁰ ა. აქარიანი, *სომხურის ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, 1, 1927, გვ. 162 (სომხ. ენაზე).

⁴¹ W. Gesenius *Hebräisches und Aramäisches Handwörterbuch über das Alte Testament*, Leipzig, 1910, გვ. 848.

F. 2. 991
4



ძველსაც საბას კონტექსტი აძლევდა: „ვითარცა ლელუნი სუარი, რომელიც არა იქამნენ სიჯერკულისაგან (G)⁴²“.

3. „ურაკი (49, 27) ურაკპარაკი“. ეს სიტყვა გელათ. ვერსიამოა: „შეკამნეს ურაკნი ძისა ადერისნი“. ძველმა ქართულმა არ იცის „ურაკ“ ფორმა საერთოდ. დამოწმებული ადგილი ძველ ვერსიებში „ურაკპარაკ“ ფორმითა წარმოდგენილი, ბერძნულშია *ჭეფიძე* (ქუჩა, უბანი), სომხურში— *հրապարակ* (მოედანი, ბაზარი). ურაკი არასწორი ფორმა ჩანს, შესაძლოა იგი მიღებული იყოს „ურაკპარაკი“-ს კომპოზიტად გააზრების შედეგად; ალბათ. გელათური ვერსიის სქოლასტიკური სტილის ავტორმა „ურაკპარაკი“-ს კომპოზიტად გააზრების შედეგად ჩამოაშორა მეორე ნაწილი (პარაკ), ასეთი რამ მას სხვა სიტყვისთანაც უქნია, მაგ., ძველი ქართულის „კაცად-კაცადი“ ფორმის ნაცვლად იგი ისტემებრ ხმარობს „კაცად“-ს, რადგან სათანადო ადგილას ბერძნულ ტექსტში ფუძის გაორკეცებას ადგილი არ ჰქონდა.

4. „საგარი (40,5) ნუზლი“. ეს სიტყვა საბას გელათური ვერსიიდან მოკვყას: „მისცა მას მთავარქონდაქარმან საგარი და ნიჭი“. შდრ. „სცა მას მთაკარანმან საგზალი და ნიჭი“ (AI). საგარი არ უნდა იყოს „საგზალი“ წარყვნილი ფორმა: წარმოებით ისინი ახლოს დგანან ერთმანეთთან (სა-გზალი, სა-გარი); ნათელი არაა, რას უკავშირდება „გარი“. არის იგი იგივე სიტყვა რომელიც „საგრობა“, „თანამოსაგრეს“-ს უძევს საფუძვლად (შდრ. საბა საგრობა I ტიმთ. 1, 18 გარეობით მგზავრ ხაძოლა და მიჭლომა პირმილმა), თუ კავშირშია სომხ. ვარი-სთან *ցարի* „ქერი“, ან ჰინურ „გარი“-სთან (საქმელი). ნ. მარით „გარი“ (*gari*) ბასკურში აღნიშნავს „იფქლს“ *пшеница*)⁴³. ძნელია გადაჭრით რამესი თქმა. მაინც ყველაზე უფრო საფიქრებელია, რომ საგარი ვარე-ს დაუკავშირდეს (სა-გარი, ე. ი. საგარეო, ის. რაც ვარეთ საჭიროებისათვისაა განკუთვნილი, შდრ. სა-გზალი ე. ი. ის. რაც გზაზე საჭიროებისათვისაა განკუთვნილი), ასე რომ საგარი და საგზალი სინონიმები უნდა იყოს. საბათი „ნუზლი—ესე მოყვარემან რა მოგზაურს საზღო მიუძღვანოს“.

5. „დეფანი (50, 15) მომცრო დერეფანი, გინა ზღუდის სახლი“. წყაროებშია: „დაემხუნეს არ დაბაგნი“ (AI). „დაეცნეს და ეფანნი“ (G). საბას უთუოდ, გელათური ვერსიის სხვა ნუსხიდან ამოულია „დეფანი“; ეს სიტყვა გადმოსცემს ბერძნ. *ἑξάπλευρος* (κρητιστινήσ ζυβίμ, αὐρχαγάя стена; защита, оплот, твердыня⁴⁴), სომხ. *Վահագրան-ს* (monument, памятник, башня, столб, бастион), რუსულშია: пави твердыни. ნ. ჩუბინაშვილს საბას მიერ მითითებულ წყაროსთან შეუღარებია „დეფანი“ და მის მიხედვით განუღარტავს: „დეფანი დერეფანი (იერემ. 59,15) „звнраго“⁴⁵. ჩვენ გვგონია, რომ „დეფანი“ და „დაეფანი“-ც წარყვნილი ფორმაა „დერეფანი“-სა. დეფანი შეაძლოა მოლიოდეს „დარეფანი“-დან (შდრ. დარბაზ). დერეფანი 2 სპარს. სიტყვისაგან ჩანს შედგენილი: დარ (د) + ფაჰან (فاهان) (იზაფათით: დერი-ფაჰან)

⁴² ნაბეჭდილია: სივრცულსაგან.

⁴³ ა. აქარიანი, სომხურის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 11, 1926, გვ. 53—86. (სომხ. ენაზე).

⁴⁴ И. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, 1958.

⁴⁵ ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ 1961 ალ. ლონტის რედაქციით.



„ფართო დარი“, ვრცელი აივანი⁴⁶. დეფანი (=დერეფანი) კონსტანტინე მხედვეთ სიმეგრეს, გამაგრებულ კედელს აღნიშნავს; ამდენად საბას განმარტება სწორია: მომცრო დერეფანი, ვინა ზღუდის სახლი.

6. **იდალ** (48,33) „ესე სიტყუა არს სიცოცხლე სიხარულითა“. ძველ ვერსიებში ეს სიტყვა (და არც მისი ფარდი) არა ჩანს, იგი გელათ. ვერსიაშია მხოლოდ: „ღუნოა საწინებელთა შინა შენთა არა დაწინებე განთიად იდალ და, არცა მიმწუხრი არა ყულს იდალ; ბერძ. *οισος ηυ εη? ληυοις σου πρω? οια επατησας, ομμς θελεης οια εποιησας αμξ, სომხ. գինի էր ի հնձանս զը ըզ առաւօտս ոչ կոխեցին և ընչ երեկոյս ոչ հանին գ ձ ա լ զ ն ձ ա ղ ա հ ա რ ա ղ*“ ბერძნულში „იდალ“-ის ფარდად არაფერი ჩანს, სომხურში კი არის *ձ ա ղ ձ ա ղ ա հ ա რ ա ղ* („ხმა მზმობართა“), რუს. крик радости, სლავ. песня. იაკიმოვის ცნობით⁴⁷ სეპტანტის კომპლუტენის 1514—1517 წწ. გამოცემაში დაკვირვება ყოფილა სიტყვა *აქწმ*, რომელიც ებრაულიდან არის უთარგმნელად გადმოტანილი (ებრ. **תִּפְּלָה** ჰენდალ).

ბერძ. *αϊξმ* ფორმას საეჭვოა, მოეცა გელათ. ვერსიის „იდალ“ (მოსალოდნელი იყო ედედ), მაგრამ, ალბათ, „იდალ“ ფორმა გელათურ ვერსიაში ძველი ქართული რედაქციიდანაა ნაანდერძევი, რადგან აშკარად ჩანს, რომ გელათ. ვერსია არაა ბერძნულიდან ხელახალი, დამოუკიდებელი თარგმანი, იგი ძველი ქართული რედაქციის ბერძნულ სეპტანტასთან შეკერების და საფუძვლიანი გადამუშავების შედეგია. საბას „იდალ“ დაახლოებით სწორად განუმარტავს, რადგან ებრ. **תִּפְּלָה** (= **תִּפְּלָה**) Freudengeschrei⁴⁸, ე. ი. მხიარული ხმაურია.

7. **აპის** (48,15 იერ.) რომელმან(ს) ტვირთი ვერ ზიდოს“ ZAB. იერ 46,15 შით, რამეთუ ივლტოდა აპის ზუარაკი რჩეული C.

საბას ლექსიკონის ადრინდელ რედაქციაში მოყვანილი ციტატი მოწმობს, რომ ეს სიტყვა (აპის) საბას ამოღებული აქვს გელათ. ვერსიიდან, სადაც იკითხება: „მით რამეთუ ივლტოდა აპის, ზუარაკი რჩეული. ხოლო იერუსალიმურსა და ოშკურ ხელნაწერებში (IA-ში) ეს სიტყვა არ არის, გამოტოვებულია. ეს აღვილი ასეა გადმოცემული ბერძნულში: *Ἐψαυεν ἀπὸ τῆς Ἀπῆς, ὁ μῆσχος ἔθλαξατὸς σος; სლავურში: Почто ѹбѣжа от тебе Апис, телѣх извраннѣй твой; რუსულში: (У)чего силнѣй твой опрокинут? Не устоял; სომხურში „აპის“ არ არის, არის *ալ* (თიკანი). ჩანს, აპის მოდის ბერძნულიდან (თვით ბერძნულში იგი ებრაულიდანაა შესული). ეგვიპტელები ამ სახელით აღნიშნავდნენ კერას, რომელიც წარმოადგენილი ჰყავდათ ხბოს სახით და რომლის ძლიერებასაც ისინი ენდობოდნენ.⁴⁹ ტექსტში ლაპარაკია, რომ ნაბუქოდონოსორის შემოტევას ვერ გაუძლო აპისმა, „ვერ დაუდგა“ იგიო. საბას განმარტება „რომელმან ტვირთი ვერ ზიდოს“ უნდა მიდიოდეს კონტექსტის გაგებიდან, მაგრამ არაზუსტია.*

⁴⁶ მ. ზუბუა, სპარსული წინაენისმიერები ქართულში. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, V, № 6, 1944, გვ. 655.

⁴⁷ И. Якимов, დასაბ. ნაშრომი, გვ. 697.

⁴⁸ W. Gesenius, Hebräisches und Aramäisches Handwörterbuch, Leipzig, 1910, გვ. 172.

⁴⁹ И. Якимов, დასაბ. ნაშრომი, გვ. 655—656



8. „სამრავალკაცო 2, 23 კეობა“ „სამრავალკაცო 19, 2 საძველესი ვალაქის“

საბა ორ განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულად თვლის „სამრავალკაცო“-ს და წყაროს სხვადასხვა ადგილზე მითითებით სხვადასხვა განმარტებას იძლევა. ნამდვილად კი „სამრავალკაცო“ ორსავე დასახელებულ ადგილას ერთი და იგივე მნიშვნელობის მქონეა. ეს სიტყვა გელათ. ვერსიაშია (G): „იხილენ გზანი შენნი სამრავალკაცოს შინა“ (2, 23); „განხვდენ სამრავალკაცოდ ძეუბისა შვილთა მათასა“ (19,2). ძველ რედაქციებში „სამრავალკაცო“-ს ფარდად „სამარობანი“ გვხვდება IA (სამაროვანი A 2, 23); „სამრავალკაცო“ ბერძნულის კალკია: „სამრავალკაცოს შინა“ 2, 23. ჰუ პილასხერფ, „განხვდენ სამრავალკაცოდ“ 19,2 'ἐξέλθου εἰς τὸ πηλασχεριον. სამრავალკაცო-ს შესაბამისად სომხურში ორივე ადგილას *գիրքգման*-ია („საფლავი“), ებრაულში კი „ველის“ „ხეობის“ აღმნიშვნელი სიტყვა (რუს. თარგმანით *долина* (რომლითაც აღინიშნებოდა იერუსალიმის სამხრეთით მდებარე ადგილი, სადაც ისრაელები ცეცხლში წვედნენ თავიანთ ბავშვებს კერპების მსხვერპლად⁵⁰ (ბაალისა, მელოქისა), ამიტომ ეს ადგილი შესაძლოა წოდებულიყო „მრავალთა სამარედ (შდრ. სლავ. на месте многогробнишном.) ასე რომ საბას განმარტება: სამრავალკაცო (2,23) კეობა; სამრავალკაცო (19,2) საძველესი აკლამა, კონტექსტის მიხედვით სწორია, ოღონდ მათი სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულად ლექსიკონში შეტანა განართლებული არაა.

9. „ვალანებ (49, 31) ვალანასავით“. „ვალანებ“—ის წინ საბას განმარტებული აქვს: „ვალანა (49, 31), რაოდენნი კლიტეებით მოიკრძალებიან ვალანად უწოდენ, რომლისათვის კლიტეთა ვალანლარად უწოდენ“. ცხადია, „ვალანა“-ს განმარტების შემდეგ აღარ იყო საჭირო ხელმეორედ განსამარტავად მოყვანა იმავე სიტყვისა მრ. რიცხვის ფორმით („ვალანებ“). წყაროში სწორედ „ვალანებ“ ფორმაა და საბას ასევე შეუტანია იგი ლექსიკონში: „არა არიან კარებ, არა ვალანებ, არა მოქლონებ (ბერძნ. οὐκ εἰσὶ θύραι, οὐ βάλαντοι, οὐ μοχλοί...). ამ შემთხვევაში ἢ βάλαντοι სიტყვა უნდა ნიშნავდეს რკინის კოტას, ურდულში (მოქლონში) გასაყრელ ჩხირს.“⁵¹

10. „ჭერეთი 37, 16 საპყრობილეში მუშაობა“.

წყაროშია: „მოვიდა ერი სახიდ მღვმისა და ქერეთად (G). ბერძნ. *χερῆθ* უნდა მოდიოდეს ებრაულთან ახლოს მდგომი *χεῦθ* ფორმიდან, სადაც იგი ნიშნავს სარდაფს, საკანს⁵². სლავურში *черет* სიტყვა სქოლიოში განმარტებულია როგორც *узилище*; ასე რომ საბას განმარტება ზუსტად არ უნდა იყოს, როცა იგი „საპყრობილეში მუშაობა“-ზე მიუთითებს.

⁵⁰ И. Якимов, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 59—60; II, გვ. 337.

⁵¹ И. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, 1958, т. I, стр. 286.

⁵² И. Якимов დასახ. ნაშრომი, გვ. 579.

ОБ ОДНОМ ИСТОЧНИКЕ ГРУЗИНСКОГО СЛОВАРЯ

С. С. ОРБЕЛИАНИ

К. ДАНЕЛИЯ

Резюме

В специальной литературе указывается, что при засвидетельствовании в словаре слов из Ветхозаветных книг «Пророков» С. С. Орбелиани ссылается на напечатанный Вахтангом VI-м текст, один экземпляр которого вишит в рукопись «Михетской» библии (A—51); а печатный текст со своей стороны основывается на редакцию «Гелатской» библии (A—1108).

В словаре С. С. Орбелиани только из «Пророчества Иеремии» засвидетельствовано около 260 слов, при изучении которых выясняется: С. С. Орбелиани в своем словаре при ссылках на слова пользовался токой до сих пор неизвестной редакцией текста «Пророков», которая должна была близко стоять к «Гелатской» версии.

Некоторые слова в словаре приводятся в ошибочной форме, что и является результатом самого рукописного текста «Пророков»; такие слова: დამდამივა (48,2) *damdamiva*, ასიღამა (8,7) *asidama*, მეოდახად (50,2) *meodaxad*, სკირა (48,31) *skira*, სკირადათა განბიციებისათა (48,31) *skirada'ta ganbicebisa'ta*.

В статье еще рассмотрены слова, исходная форма или толкование которых нуждаются в уточнениях; таковы: ლელვსუარი (29,17) *leyvsuari*, აღდაჯი (17,6) *aḡdaḡi*, იდად (48,33) *idad*, ურაკი (49,27) *uraki*, დეანო (50,15) *de'pani*, სამრავალკაცო (2,23) *samrawalkaco* и другие.

კავლეს ეპისტოლენი, როგორც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მათი წყარო

კორნელი დანელია

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში განსამარტავ სიტყვათა დიდ ნაწილს წყაროზე მითითება ახლავს, რაც ლექსიკონის ერთ-ერთ ღირსებას წარმოადგენს. დამოწმების მქონე სიტყვათა რაოდენობა საბას ლექსიკონის სხვადასხვა რედაქციასა თუ ნუსხაში ერთნაირი არ არის. ჩვენამდე მოღწეულია საბას ლექსიკონის 100-ზე მეტი ნუსხა. რომელთაგან 9 ავტოგრაფულია ([3], 7; 41.[2], 7). საბას ლექსიკონის ადრეულ რედაქციებში დამოწმებული ლიტერატურა უფრო მცირეა, ვიდრე შემდგომ რედაქციებში. ლექსიკონის ყოველი ახალი რედაქცია ახალი წყაროებიდან ამოკრებილი სიტყვებით არის შევსებული, თანაც საბოლოოდ განმარტებული სიტყვა ხშირად კარგავს მითითებას იმ წყაროზე, რომლის საფუძველზეც განიმარტა; ასე რომ ლექსიკონის ბოლო რედაქციებისათვის საბას მიერ თავდაპირველად გამოყენებული წყაროების დიდი ნაწილი დაკარგულია. შენიშნულია ისიც, რომ საბას ლექსიკონის ბოლო რედაქციებში დამოწმებისათვის უპირატესად ძველი და ახალი აღთქმის წიგნებია გამოყენებული ([4], 34; [3], 142—144).

საბას ლექსიკონში დამოწმებული წყაროების შესწავლა, განსამარტავი სიტყვის ფორმისა და მნიშვნელობის შეჯერება კონტექსტთან ძნელი და შრომატევადი სამუშაოა; ძნელია იმით, რომ ჩვენ უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, დასახელებული წყაროების რომელი რედაქციით სარგებლობდა საბა; შრომატევადია იმით, რომ საბა 140-მდე წყაროს ასახელებს და ყველა მათგანი დღეისათვის ხელმისაწვდომი როდია. თვით ბიბლიურ ციტატებშიც კი საბას ლექსიკონი სულ სხვადასხვა რედაქციის იკითხვისებს იძლევა; ეს მაშინ, როცა ყველაზე მეტი გარკვეულობა და ერთგვარობა თითქოს აქ იყო მოსალოდნელი, რადგან ჩვენამდე მოღწეულია საბას ხელთ ნაქონი, ე. წ. „მცხეთური“ ბიბლია (A—51) და საფიქრებელი იყო, რომ საბა ბიბლიურ ციტატებს ამ ხელნაწირიდან მოიყვანდა. მაგრამ ასე არ არის. პროფ. ი. შანიძის დაკვირვებით, ძველი აღთქმის წიგნებიდან სიტყვების ჩვენებისას სულხანი ხან მცხეთურ (A—51) რედაქციას მისდევს, ხან იმ რედაქციას, რომელიც ათონურ ნუსხაშია დაცული, ხანაც კი იმას, რომელიც ქართული ბიბლიის მოსკოვურ გამოცემაშია წარმოდგენილი ([5], 26).

საბას ლექსიკონის ბოლო გამოცემაში, რომელიც პროფ. ი. აბულაძემ განახორციელა, მეტწილად დაძებნილია საბას ლექსიკონის დამოწმებათა წყაროები და შეჯერებულია მათგან მოყვანილი ციტატ-მოწმობანი. მაგრამ ეს მაინც ცოტაა. საბას ლექსიკონის დამოწმებათა ავ-კარგვიანობაზე სწორ და საბოლოო წარმოდგე-



ნას ვერ მოგვეცემს რომელიმე დამოწმებული ძეგლის ერთ ხელნაწერსა, რომელიც ცემში დაცული ვითარება მაგალითად, აღნიშნულია, რომ ლექსიკონის გამოცემაში „ბიბლიის წიგნთა დამოწმებისა თუ მითითების შემთხვევაში ე. წ. საბას ნარედაქციევ (ზოგჯერ მცნეთურად წოდებულ) ბიბლიას (A—51) მიემართავდით იმის გამო, რომ იგი საბას ხელში გავლილად გვეგულება“ ([1], 9). მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბას ლექსიკონში დადასტურებული ბიბლიური დამოწმებანი სხვადასხვა რედაქციის წყაროს გულისხმობს ამოსავლად და ზოგჯერ ისეთ რედაქციასაც, რომელიც დღეს ჩვენთვის უცნობია [12]. ასე რომ მომავლის საქმედ რჩება: სპეციალური ძიებებით დადგინდეს საბას ლექსიკონის ყველა ლიტერატურული წყარო, გამოწვლილივით იქნეს შესწავლილი დამოწმებანი თვითველი დასახელებული ძეგლის ყველა ხელმისაწვდომი რედაქციის მიხედვით. ცხადია, ასეთი შეჯერების შემდეგ ზოგი რამ კიდევ დაზუსტდება საბას ლექსიკონში.

ჩვენ შევისწავლეთ საბას ლექსიკონში დაცული ის ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც მითითება აქვთ პავლეს ეპისტოლეებზე. ამ წერილის მიზანი ის არის, რომ გაარკვიოს: საბას ლექსიკონის წყაროდ სამოციქულოს, კერძოდ, პავლეს ეპისტოლეთა რომელი რედაქციის ტექსტი უნდა ვივარაუდოთ, რა ოდენობითაა პავლეს ეპისტოლეებზე მითითებანი ლექსიკონის სხვადასხვა რედაქციაში, რამდენად შეესაბამება განსამარტებლად აღებული სიტყვის ფორმა და მნიშვნელობა (ახსნა) წყაროსეულ კონტექსტს.

პირველი საკითხის შესახებ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საბა, ალბათ, „სამოციქულოს“ ვახტანგისეულ 1709 წლის გამოცემს გამოიყენებდა. მაგრამ ასე მარტივად არ წყდება ეს საკითხი. საბას სალექსიკონო მასალების შეკრება, ლექსიკონზე მუშაობა ძალიან ადრე დაუწყია და ლექსიკონი 1685 წლისათვის პირვანდელი სახით დაუმთავრებია კიდევ ([8], 1—11; შდრ. [3], 16), ოღონდ მის სრულყოფას საბა სიცოცხლის დასასრულამდე განაგრძობდა. ასე რომ ლექსიკონის ადრეულ CME რედაქციებში დამოწმების მოყვანა საბას მხოლოდ „სამოციქულოს“ ხელნაწერებიდან შეეძლო, გვიანდელ (ABZ)* რედაქციებში კი შეიძლებოდა საბას ბექედური „სამოციქულოდანაც“ მოეყვანა დამოწმებანი. როგორი არის რეალურად საქმის ვითარება?

საბას თავიდან გამოუყენებია „სამოციქულოს“ გიორგისეული რედაქციის ხელნაწერები და ზოგჯერ ეფრემისეული რედაქციის ნუსხებიც, ხოლო შემდგომ—ვახტანგ VI-ის სტამბაში 1709 წ. დაბეჭდილი სამოციქულოც (ვახტანგისეული „სამოციქულო“ გიორგისეული რედაქციის ტექსტს წარმოადგენს). ამ დისკუსიის საშუალებას იძლევა შემდეგი ფაქტები:

საბას ლექსიკონში წყაროზე მოუთითებლად შეტანილია სიტყვა მენიღონ და განმარტებად მიწერილი აქვს: კრიტელთ(ა) მისანთა მისნობა(ი) ZABC. ჩვენთვის აშკარა ვახდა, რომ განსამარტავი სიტყვა და მისი განმარტებაც საბას აუღია „სამოციქულოს“ გიორგისეული (და ეფრემისეული) რედაქციის ნუსხებიდან. „სამოციქულოს“ გიორგისეულსა და ეფრემისეული რედაქციის ნუსხებში ტიტეს მიმართ ეპისტოლეში მოყვანილია ციტატა: „კრიტელხი მარადის მტყუ-

* ლექსიკონის რედაქციათა აღსანიშნავად იგივე ლიტერებია გამოყენებული, რაც მის უკანასკნელ გამოცემაში.



ვარნი, მგეცნი ბოროტნი, მუცელნი უქმნი“ (ტიტ. 1,12). ამ ადგილს ბერძენულ რებში აშიაზე კომენტარი ახლავს: „მენიდო კრიტელთა მისნისა მის-
 ნობაჲ“. ეს მითითება ევთალეს „სტიქომეტრიიდან“ არის და გვაუწყებს, რომ დასახელებული ციტატი (ტიტ. 1,12) მენიდოს თხზულებიდან არის. ვინ არის ეს მენიდო? ეს არის კრიტელი პოეტი ეპიმენიდე, რომელიც ცხოვრობდა ძვ. წ. VI საუკუნეში. საფიქრებელია, მენიდო ბერძნული წყაროს მცდარი წაითხვის საფუძველზე იყოს მიღებული, ან ბერძნულ წყაროში აკლდა „ეპი“, ან ეს უკანასკნელი შეიძლება ბერძნულ თანდებულად გაიგო მოარგმნელმა და ჩამოაშორა ფუძეს. ყოველ შემთხვევაში „სამოციქულოს“ ძველ ქართულ რედაქციებში დასახელებულ ადგილას სწორი მითითებაა დაცული: ეპიმენდშისი, კრეტელისა მისნისა ზმნაჲ. აშკარაა, საბას დასახელებული სიტყვა და მისი განმარტებაც „სამოციქულოს“ გვიანდელი რედაქციების ხელნაწერებიდან აუღია, რადგან ევთალესული აპარატიდან მომდინარე მისათითებელი „სამოციქულოს“ 1709 წლის გამოცემაში არ ვადასულა.

ლექსიკონში განმარტებულია „ქლოველ“ სიტყვა: ქლოველი (I კორ. 1,11) გამოძიებულია) ZABCD. დამოწმებულ ადგილას წყაროში იკითხება: რამეთუ მეუწყა მე თქუნთვს, ძმანო ჩემო, ქლოველთა მთვან, ვითარმედ ჯღომა რადმე არიან თქუნენ შორის (I კორ. 1,11). აქ ლაპარაკია ვიღაც ქლოვეზე, პიროვნებაზე, რასაც ცხადყოფს ბერძნული რედაქციის ჩვენება: *ἄπὸ τοῦ Χλῆγου*.

კომენტატორთა აზრით, აქ ნახსენები ქლოვი უნდა იყოს კორინთში მცხოვრები ვიღაც ქალი [20], რომლის შვილებს თუ მსახურებს უცნობებიათ პავლესთვის კორინთის მცხოვრებთა შორის არსებული უთანხმოებანი ([16],14). ქართულ თარგმანში კი, ისევე როგორც სომხურ რედაქციაში, ქლოვი შეკლამით პიროვნების სახლად კი არ არის გაგებული, არამედ წარმომავლობის სახელად: ქლოვ-ელ-თა, შდრ. ქლოვ-აც-ოც. ცხადია, საბასეული განმარტება, რომ ქლოვი გამოძიებულია, არ შეეფერება კონტექსტს (არც დენდსეულ და არც ქართული თარგმანის იკითხვის). მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს, თუ რის საფუძველზე განმარტა ეს სიტყვა ამგვარად.

აღსანიშნავია, რომ „სამოციქულოს“ ეფრემისეული რედაქციის ხელნაწერებში „ქლოველთა“ სიტყვას აშიაზე განმარტება ახლავს, რომელიც თვით ეფრემ მცირისა უნდა იყოს: „ქლოვი გამოძიებულია დამოითარგმანების. ამის მიერ ცხად არს, ვითარმედ ზედა-მდგომელთაგან და წინამძღუართა ვუწყა პავლეს“. საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ქლოვ სიტყვის საბასეული განმარტება ეფრემ მცირისეული კომენტარიდან მოდიოდეს. აქედან ისიც საცნაურდება, რომ საბას „სამოციქულოს“ ეფრემისეული რედაქციის ხელნაწერებში იც უსარგებელია.

ზემოთ მოყვანილ აზრს ისიც ამტკიცებს, რომ განსამარტავი სიტყვა საბას მოჰყავს „სამოციქულოს“ გიორგისეული რედაქციიდან და მას განმარტავს ეფრემისეული რედაქციის ტექსტის მიხედვით, ასე ვთქვათ, სინონიმური პარალელიზმის წესით. მაგ. განმარტებულია: ეციქუ 2 კორ. 5,20; ეფეს 6,20 ესე (იგი) არს ვიოხ. გინა ვმოციქულობ ZA. მითითებულ ადგილას გიორგისეულ რედაქციაშია: ეციქუთ (2 კორ. 5,20), ეციქუ (ეფეს. 6,20), ხოლო ეფრემისეული საბასი (შესაბამისად) ვიოხთ, ვიოხ.



საბას ლექსიკონის გვიანდელ რედაქციებში სიტყვები შესულა ბჭუქაში „სამოციქულოდანაც“ (1709 წლის გამოცემიდან), რაშიც საბასთან ერთად მის ძმას—ზოსიმესაც მიუძღვის წვლილი. ბჭუქაში „სამოციქულოს“ გამოყენებას ერთი შემთხვევაც კი ცხადყოფს. საბას ლექსიკონში შესულია მცდარი დაწერილობის სიტყვა: მევერწმუნეთა (2 კორ. 5,21) ესე იგი არს, სარწმუნოების დამმარხველთა ZA.

წყაროში (ვიორგისეული რედაქციის ხელნაწერებში) იკითხება: უწყით უკუე შიში უფლისაჲ, კაცთა—მევერწმუნეთა? რამეთუ ღმრთისა წინაშე განცხადებულ ვართ (2 კორ. 5,11). ცხადია, კითხვითი მე ნაწილაკი შეერთებულა „ვერწმუნეთა“ ზმნასთან და წარმომდგარა მცდარი „მევერწმუნეთა“: ასეთი დაწერილობით ეს სიტყვა მხოლოდ 1709 წლის გამოცემაში მოიპოვება* და არა ხელნაწერებში. მცდარად დაბეჭდილ სიტყვას შეცდომაში შეუყვანია საბა. საბას „მევერწმუნეთა“, როგორც ეს განმარტებიდან ჩანს, აქტიურ მიმღეობად გაუზარება („ესე იგი არს, სარწმუნოების დამმარხველთა“).

* * *

სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის უკანასკნელი (1965/66 წლის) გამოცემის მიხედვით პავლეს ეპისტოლეებიდან დამოწმებულია 180-მდე სიტყვა. წყაროზე მითითების მქონე სიტყვების რაოდენობა ლექსიკონის სხვადასხვა რედაქციაში სხვადასხვაგვარია. ვნახოთ, რომელ რედაქციაში რომელი სიტყვებია მოყვანილი პავლეს ეპისტოლეებიდან, ან რომელმა ადრე შეტანილმა სიტყვამ შეიძინა წყაროზე მითითება.

გარკვეულია, რომ საბას ლექსიკონის უკანასკნელ რედაქციას წარმოადგენს H 1429 ნუსხა (ჭუთათელაძით, SZ², აბულაძით Z), რომელიც 1723—1725 წლებშია გადაწერილი. ხელნაწერი 508 გვერდს შეიცავს; 300 გვერდამდე ხელნაწერი ზიარად არის გადაწერილი საბასა და ზოსიმეს მიერ, ხოლო საბას სიკვდილის შემდეგ გადაწერა დაუსრულებია ზოსიმეს ([9], 4—7; [3],38,87). როგორც ლ. ქუთათელაძე აღნიშნავს, ზოსიმეს ეს უკანასკნელი გიდანაწერი შეუდარებია მის პირველ წყაროსთან, Z²-სთან (აბულაძით, Ab-სთან); Z² 1722 წელს ზოსიმეს მიერ გადაწერილი ავტორიზებული ნუსხაა (A 75). ზოსიმეს შედარების დროს დანუსხვისას გამოჩნდილი 51 სიტყვა ჩაუმატებია თავ-თავის ადგილზე და შემდეგ შეუვსია კიდევ, დამატებით შეუტანია 228 სიტყვა ([3],81). საგულისხმოა, რომ მათგან 68-ს მითითება პავლეს ეპისტოლეებზე აქვს. ამ 68 სიტყვიდან უმეტესობა ზმნის პირიელ ფორმებს წარმოადგენს (45

* საბას ლექსიკონის ბოლო (1965 წ.) გამოცემაში ამ სიტყვას შენისშენა ახლავს სქოლიოში: სიტყვა მცდარად არის ამოწერილი; დამოწმებულ ადგილას იკითხება: „უწყით უკუე. შიში უფლისა, კაცთაჲ მევერწმუნეთა“? არა, სიტყვა სწორად არის ამოწერილი ლექსიკონში, „სწორად“ იმ გაგებით, რომ სიტყვა იმ სახით ვაღმოვიდა ლექსიკონში, რა სახითაც ის იყო საბას ეტლ წყაროში, ასე რომ შეცდომა წყაროშივეა დაშვებული და არა ამოწერაში. თანაც, წყაროში არ არის „ვერწმუნეთა“. ხელნაწერებში „ვერწმუნეთა“, 1709 წლის გამოცემაში კი—„მევერწმუნეთა“. გამოდის, რომ საბას ლექსიკონის წყაროდ დასაზღვრებულა „სამოციქულოს“ გვიანდელი გამოცემა.

ქართული
ენების
სახელწოდება

ერთეული) და ჩვეულებრივ განუმარტავია, მიმღობაა 7, საწყისი—6, სხვათა—4.
ულეტერი—4.

ზოსიმეს საბას ლექსიკონში არსებითად „არაძნელოვანი“ სიტყვები შეუტანია და, როგორც მოსალოდნელი იყო, განმარტების გარეშე. ზოსიმეს უთულო კეთილი მიზანი ჰქონდა, შეეცხო და სრულყო თავისი ძმის ნაღვაწი. მაგრამ მან ვერ შეძლო ლექსიკონში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც შესაბამისობაში იქნებოდნენ საბასეულ მეთოდსა და მეცნიერულ სტილთან: ა) საბას დამოწმებები ძირითად „ძნელოვან“, ძნელად გასაგებ სიტყვებთან მოჰყავს, ზოსიმეს კი პირიქით, — „არაძნელოვან“ სიტყვებთან. ბ) საბას ზმნური ფორმების მეთაურად ჩვეულებრივ საწყისი მიაჩნია [6], და თუ პირველი ფორმა მოჰყავს, უმეტესად მოჰყავს წყვეტილის მწკრივის, მხ. რიცხვის, მე-3 სუბ. პირის ფორმით; ზოსიმე კი უპირატესად პირიელ ფორმებს იმოწმებს, თანაც არა წყვეტილის მე-3 სუბ. პირის ფორმით, არამედ ხშირად წყვეტილის მხ. რიცხვის მე-2 სუბ. პირის ფორმით ([3] 97—98).

როგორც აღვნიშნეთ, ზოსიმეს არსებითად ზმნა პირიელი ფორმით მოჰყავს; მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი ზმნები წყაროში დაცული ფორმით იქნებოდა მოყვანილი. ეს ასეცაა, მაგრამ არცთუ იშვიათად დასტურდება სხვაობა დამოწმებულ ფორმასა და წყაროში არსებულ ფორმას შორის. მაგალითად, შეცვლილია: 1) პირისა და რიცხვის ფორმა; ლექსიკონშია: დაახსა 1 კორ. 3,6; ვსციქუ 1 კორ. 5,20; ვსწამებ 1 კორ. 15,15; მეწყინა 2 კორ. 4,1; მიიღე ჰრომ. 5,17; მიუთხარ 1 კორ. 9,14. წყაროშია: დავსხ, ვციქუთ, ვწამებთ, გუეწყინების, მიიღებენ, მიუთხრობენ.

2) მწკრივის ფორმა: ლექსიკონშია: აღემატა 2 კორ. 3,9; დაეცა 1 კორ. 15,52; ეუწყა ეფეს. 3;10; განამტკიცა 2 კორ. 2,8; მო-ვეეკუშეთოს ჰრომ. 11,22. წყაროშია: აღემატოს, დაეცეს, ეუწყოს, განამტკიცეთ, მო-ვეეკუეთო.

3) მიმღობა საწყისად: ლექსიკონშია: განვრდომა ვალ. 5,4; განვრცომა 2 კორ. 6,11; დაყუშნვა 1 კორ. 11,5; შეიწრება 2 კორ. 6,12; წყაროში: განვრდომილი, განვრცობილი, დაყუენილი, შეიწრებულ.

4) რთული ან წინდებულიანი ზმნა დასახელებულია მართივე ფუძის სახით: ლექსიკონშია: ვმატო ჰრომ. 3,9; მივყავანე 2 კორ. 12,18; უთქმიდა 1 კორ. 10,6. წყაროშია: წინა-მე-ვკმატთა, თანა-მი-ვაყვანე, გული-უთქუმიდა.

ახლა განვიხილოთ სიტყვებს, რომლებიც წინა რედაქციებშიც იყო და მხოლოდ ბოლო Z (ქუთათელაძით, SZ²) რედაქციაში შეიძინეს დამოწმებანი პაველს ეპისტოლეებზე მითითებით. 55-მდე ასეთი სიტყვების რაოდენობა, რაც საგულისხმო ფაქტია. ლექსიკონზე მუშაობის ადრინდელ ეტაპზე საბას ძნელად განსამარტავ სიტყვებთან მოჰყავდა დამოწმებები და როცა სიტყვა განმარტებას შეიძენდა, მომდევნო რედაქციასა თუ ნუსხაში ხშირად დამოწმებები აღარ გადაჰქონდა. მაგრამ თავის სიცოცხლის ბოლო წლებში საბას განუზრახავს გაედიდებინა დამოწმებები უპირატესად ბიბლიური წიგნებიდან ([4], 34. [3], 76). ლექსიკონის ბოლო რედაქციაში პაველს ეპისტოლეებზე მითითებით დამოწმების გაზრდა ამის აშკარა დადასტურებაა, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ დამოწმებო



შეუძენიათ ასეთ არა ძნელად ასახსნელ სიტყვებს: გულითადი, დაძვრება, დაგება, კლდე, შვი, მიმიყუანა, მოიწია, უმჯობესი, ქება და სხვა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სიტყვები, რომლებსაც ბოლო რედაქციაში მიუწერეს დამოწმებანი, პრინციპულად ისეთსავე მიმართებას ავლენენ წყაროში დადასტურებულ ფორმებთან, როგორც ზოსიმეს მიერ ჩამატებული სიტყვების გაერთიანება ვაფიქრებინებს, ლექსიკონის ბოლო რედაქციაში რომ დამოწმებანი შეიტანეს, ამასი ზოსიმეს გარკვეული წილი უნდა ედოს. აი რა მიმართებაშია ლექსიკონში მოყვანილი სიტყვები წყაროში დადასტურებულ ფორმებთან:

1) შეცვლილია ზმნის პირისა და რიცხვის ფორმა: ლექსიკონშია: განჯდა კორ. 10,1 (უნდა: 1 კორ. 10,1); დაეგო ჰრომ. 5,10; ვიჭირვი 2 კორ. 1,6; იჭმია 1 კორ. 7,21. წყაროშია: განჯდეს, დავეგენით, ვიჭირვით, იჭუმეი.

2) შეცვლილია მწკრივის ფორმა. ლექსიკონშია: ეწყალოდა ჰრომ. 9,16; ვიჭმევ 1 კორ. 9,15, წყაროშია: ეწყალის, ვიჭუმეი.

3) შეცვლილია პირიელი ფორმა საწყისად: ლექსიკონშია: საგრობა 1 ტიმ. 1,18; შეძინება 1 კორ. 9,18; წყაროშია: ჰსაგრობდე, შეძინენე.

4) შეცვლილია წარმოქმნილი განყენებული სახელები: ლექსიკონშია: მწიკული იფეს. 5,27; უხრწნელი 1 კორ. 15,53; წადიერი 1 თეს. 2,17, წყაროშია: მწიკულევიანება, უხრწნელება, წადიერებითა.

არის შემთხვევები, როცა ლექსიკონის ბოლო რედაქციაში ზოგიერთი სიტყვა წყაროზე მითითებას იძენს, მაგრამ ეს მითითება იმდენად არ შეეფერება განსამარტავ სიტყვას, რომ ზოგჯერ პირს ან შეუძლებელია ლექსიკონში შესული სიტყვა ამოიციო მითითებულ წყაროში.

მაგალითად, განმარტებულია:

ა) დედაკაცი საერო (1 კორ. 7,16) საჯაროდ შეძავე ZABCb. როგორც ჩანს, საბას ეს სიტყვა ადრეულ რედაქციებშივე განუმარტავს, წყაროზე მითითება კი ამ სიტყვას ბოლო (Z) რედაქციაში შეუძენია. წყაროში ლაპარაკია ცოლისა და ქმრის დამოკიდებულებაზე, კერძოდ, ნათქვამია: თუ ცოლ-ქმრიდან ერთ-ერთი „ურწმუნო“, ე. ი. არამორწმუნე იქნება, კავშირი მიინც არ უნდა დაირღვეს (1 კორ. 7, 12—13), რადგან „განწმინდების ქმარი იგი ურწმუნოა ცოლისა მისგან მორწმუნისა და განწმინდების ცოლი იგი ურწმუნოა ქმრისა მისგან მორწმუნისა (1 კორ. 7,14), მაგრამ თუ ურწმუნოს უნდა ცოლ-ქმრული კავშირის გაწყვეტა (ე. ი. გაყრა), გაშორდესო („განეყენენ“), „რამეთუ რაა იცი, დედაკაციო, აცხოვნო თუ ქმარი შენი? ანუ შენ რაა იცი, მამაკაციო, აცხოვნო თუ ცოლი შენი? (1 კორ. 7,16).

როგორ უნდა ავხსნათ ის შეუსაბამობა, რომ განმარტებულია დედაკაცი საერო, ხოლო წყაროში ჩვეულებრივ ქალზე, ცოლზეა საუბარი? ვერ ვიტყვით, რომ „დედაკაცი საერო“ იქნებოდა საბას ხელთ არსებულ წყაროში, რადგან ასეთი რამ „სამოციქულოს“ არც ხელნაწერებსა და არც 1709 წლის გამო-



ცემაში არ არის და არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან დანაშაულებრივად აღიგნა ტექსტში საუბარია არა მქავე ქალზე, არამედ ჩვეულებრივ ქალზე, ცოლზე. ვერც იმას ვიტყვით, რომ საბამ არასწორად გაიგო ტექსტი, საბამ ტექსტის გაგებაში რომც შემცდარიყო, „საერო“ სიტყვას მაინც ვერ ამოიღებდა წყაროდან, რადგან ეს სიტყვა წყაროში არასოდეს ყოფილა რჩება ერთადერთი ახსნა: საბას ლექსიკონში აღრევე შეუტანია ცალ-ცალკე როგორც „დედაქაჯი“ (9,22 მათე ZAA) დიაცი ZABCb“, ასევე „დედაქაჯი“ სავრო საჯაროდ მქავე ZABCb“ და ორივე სწორად განუმარტავს, ოღონდ პირველისთვის წყარო მიუწერია Aa-ში, ხოლო მეორისთვის წყარო ვერ დაუხატელებია. ჩანს ზოსიმეს უქანასკნელ (Z) რედაქციაში დედაქაჯი სავრო რომ დაუწერია, მისთვის წყაროც მიუწერია, მაგრამ არასწორად (როგორც აღნიშნეთ, წყაროშია დედაქაჯი და არა დედაქაჯი სავრო). ასე უნდა გაჩენილიყო ის შეუსაბამობა, რომელიც არსებობს სიტყვის საბასეულ სწორ განმარტებასა და ზოსიმესეულ არასწორ დამოწმებას შორის.

ბ) მიმიყუანა (1 კორ. 12,2 Z) მიმგვარა ZAB. ჩანს, საბას ეს სიტყვა პირველად B რედაქციაში შეუტანია დამოწმების გარეშე, აქედან ეს სიტყვა A-ში გადასულა ასევე დამოწმების გარეშე და მხოლოდ უქანასკნელ Z-ში შეუტანია დამოწმება, ალბათ, ზოსიმეს ხელით. რადგან ზმნის პირიელი ფორმა განმარტებული, მოსალოდნელი იყო, მითითებულ წყაროშიც ზმნის პირიელი ფორმა იქნებოდა. თითქოს ასეცაა, მაგრამ წყაროში ზმნა სულ სხვა აგებულებისა და გვარისაა: მიმოყუანებულ იყვენით. ცხადია, დამოწმება არ შეეფერება განმარტავ ერთეულს.

გ) მრწამსი (1 კორ. 9,18) მართალი სარწმუნოება ZA. საბას ეს სიტყვა B-ში შეუტანია განუმარტავად, A-ში განუმარტავს, მაგრამ დამოწმება არ აღუნიშნავს, ხოლო უქანასკნელ Z რედაქციაში, ალბათ, ზოსიმეს ამ სიტყვისათვის დამოწმება მიუწერია. მაგრამ მითითებულ წყაროში მრწამსის ნაცვლად სულ სხვა აგებულების სიტყვა იკითხება (ოღონდ 1 კორ. 9,18 მუხლში კი არა, არამედ 1 კორ. 9,17-ში): „რამეთუ ნებისთ თუ ვიქმ ამას, სასყიდელი მაქუს. ხოლო უკუეთუ უნებლიეთ, სამნო რწმუნებულ არს ჩემდა“. განმარტების გარეშეც ცხადია, თუ რამდენად დამორებულია განმარტავი სიტყვა წყაროში არსებული სიტყვისაგან.

დ) მთქმელი (1 კორ. 10,6 Z) თქმის მოქმედი ZAB. ეს სიტყვა ლექსიკონის B-სა და A რედაქციებშია განმარტებული წყაროზე მითითების გარეშე და დამოწმებას იქნის უქანასკნელ რედაქციაში, მაგრამ არ შეეფერება განმარტებულ სიტყვას. წყაროშია: „და ესენი სახე ჩუენდა იქმნეს, რათა არა ვიყვნეთ ჩუენ გულის მთქმელ ბოროტისა“. სწორია საბა, როცა მთქმელს (მთქმელს) თქმის მოქმედად განმარტავს, მაგრამ არ არის სწორი ზოსიმე, როცა ამ სიტყვის საილუსტრაციოდ გულის მთქმელ სიტყვას უთითებს, რადგან რთული სიტყვის კომპონენტად ნახმარ მთქმელს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა არა აქვს და მხოლოდ ორ სიტყვას ერთად („გულის მთქმელს“) აქვს ერთი გაგება და ნიშნავს „მსურველს“.

აქამდე ჩვენ ვეხებოდით ლექსიკონის უქანასკნელ (Z) რედაქციაში შეტანილ დამოწმებებს. როგორია ამ მხრივ საქმე აღრეულ რედაქციებში?



ადრეულ (CDE) რედაქციებში პავლეს ეპისტოლეებზე მითითებით და მოწმობათა რიცხვი მინიმალურია, E-ში—ორი (ესციგუ, ნაოჭ), D-ში—ერთი (იქვე), C-ში—სამი (თავისუფალ, მარანათა, შიმშიდ), სულ ექვსიოდენ სალექსიკონო ერთეული. მაგრამ მომდევნო პერიოდის რედაქციებში თანდათან იზრდება დამოწმებათა რიცხვი, B რედაქციაში 12 სიტყვას ემატება წყაროზე მითითება (თბე, ლალვა, მოთნე, მწამლველი, რვალი, საგრობა, სილოდა, სრსვილი, სტომაქი, უზავი, ქლოველი, წარმღებ), ხოლო 8 ერთეული დამოწმებითურთ ახლად არის შეტანილი (ესენია: მევერწმუნეთა, მიმოწულილეა, ნასხურ, სიკონილი, უქუარ, შეზნნილ, წიგნის ტყაყები).

მომდევნო რედაქციაში კიდევ უფრო იზრდება დამოწმებათა რიცხვი, კერძოდ, დამოწმება ემატება ამ სიტყვებს: ევლოგია, კრული, ლალი, კერამსახური, მამათ-მავლობა, მესტუმრე, რეცა, სარგანი, სარწმუნოება, საფუძველი, სიძვა, უბადრუცი, შრანდელო, ძელი.


ახლად არის შეტანილი დამოწმებითურთ სიტყვები: ვმადლობ, ვციქუ, თუალუხუავი, ლირწი, მარტგლია, მკურნალი, მომორვალე, საკდემელი, სარგნით, საწერტელი, ფელანი, შესუარული.

როგორც დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, ლექსიკონის ადრეულ რედაქციებში (წინააღმდეგ ბოლო რედაქციისა) დამოწმებები არსებითად ძნელად განსამარტავ სიტყვებს ახლავს, თანაც: ა) წყაროში არსებული ზმნის პირიანი ფორმა ლექსიკონში უფრო საწყისის სახითაა შეტანილი (წყაროშია: მიმოწულილვენ 2 თეს. 3,11; ჰსაგრობდე 1 ტიმ. 1,18, ლექსიკონშია: მიმოწულილვა, საგრობა). ხოლო თუ ლექსიკონში პირიანი ზმნაა შეტანილი,—იმ სახით, რა სახითაც წყაროშია (იხ. ვმადლობ ჰრომ. 1,8).

ბ) წყაროში არსებული წარმოქმნილი სახელი ლექსიკონში ძირეული ფორმით არის შეტანილი (წყაროშია: ლირწება ვალ. 5,21; მწამლველობანი ვალ. 5,20, ლექსიკონშია: ლირწი, მწამლელი („მწამლე“ ფუძეს ეყრდნობა „მწამლველობანი“, ამიტომ ვთვლით პირობითად პირველ სიტყვას ძირეულად, თორემ თავად მწამლელ ფუძეს წარმოქმნილია მ-ელ აფიქსებით წამალ ძირისაგან).

ლექსიკონში ზოგიერთი სიტყვა არასწორი ფორმითა და განმარტებითა მოყვანილი. ამის მიზეზი ხან საყრდენი წყაროა, ხანაც ზოსიმეს მიერ მიწერილი დამოწმებები. შევებოთ მათ.

1. მენიღონ (იხ. ზევით), 2. დედაკაცი საერო (იხ. ზევით), 3. ქლოველი (იხ. ზევით), 4. მიმიყუანა (იხ. ზევით), 5. მრწამსი (იხ. ზევით), 6. მთქმელი (იხ. ზევით). 7. გამოფრდილით (5,16 ვფეს.) ესე იგი არს მოსყიდლით ეამთა, რამეთუ ღლენი მოვლენან Z. წყაროშია: „გამოფრდილით ეამთა, რამეთუ ღლენი ბოროტნი არიან“. ქართული (ასევე სომხური) რედაქციის იკითხვისი პირდაპირი, სიტყვასიტყვითი თარგმანი ბერძნული წყაროს შესაბამისი ადგოილა: ჰჯაყიჲჯჲცჲსვი ძხვ ჯაჲცხვ. ასევე პირდაპირი მნიშვნელობით არის ეს სიტყვა ლექსიკონში განმარტებული (გამოფრდილით — მოსყიდლით). რეალურად კონტექსტში ლაპარაკია იმაზე, რომ მოწმუნებები სიკეთის ჩასადენად მაქსიმალურად უნდა იყენებდნენ დროს ([16], 226), მართალია, ბერძნულში ჰჯაყიჲჯჲც ზნა ნიჲნაჲს: შესყიდვას, ყიდვას, გამოსყიდვას, მაგრამ მედი-



უმის ფორმით მას ილიომური შინაარსი აქვს, ახალი აღთქმის ტყუილად გამოითქმის და *παρὰ τὸν ἄδελφον* ნიშნავს: *пользуясь удобным случаем* [18]. ასე რომ გამოითქმის დიდით ეპითთა ნიშნავს: ისარგებლეთ ხელსაყრელი დროით, დრო მოიხელოთ.

8. ევლოგია (+2 კორ. 9,5 ZAA) ბერძნულად კურთხეული ZAE. მითითებულ ადგილას წყაროში იკითხება: უმჯობესად უკუ შევპარავ, რაათა ვეველორო ძმათა, რაათა წინაშეწარ მივიდენ თქუენდა და წინაშეწარ განგაკრძალენ, და დაამტკიცონ ჰირველ აღთქმული იგი ევლოგია თქუენი, რაათა ესე განშაღებულ იყოს, ვითარცა ევლოგია და არა ვითარცა ანგაპრება.

აქ რეალურად ლაპარაკია შეწირულობის შეგროვებაზე, მაგრამ ძველ ქართულ რედაქციებში ბერძნული *εὐλογία*-ს ეტიმოლოგიური თარგმანია „კურთხეული“.

ჩანს, გაორგი მთაწმინდელს შეუმჩნევია, რომ ბერძნული *εὐλογία* მოცემულ შემთხვევაში „კურთხეულს“ არ ნიშნავდა და ის უთარგმნელად გადამოულა. „ველოგია“ აღრეც არის ნახმარი („სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებასა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“) და გაორგიც ორიგინალურ თხზულებაშიც ხმარობს მას ძღვეენის, შესაწირავის მნიშვნელობით (171,99).

9. ვიდრე (+1 კორ. 9,15 Z) სადასავეთ ZABCD. განმარტება საერთოდ სწორია, მაგრამ მითითებულ ადგილას „ვიდრე“ სიტყვას აღნიშნული მნიშვნელობა არა აქვს. წყაროშია: „უმჯობეს არს ჩემდა სიკუდილი უფრთას ვიდრე და სიჭადღული ჩემი“. ცხადია, აქ „ვიდრე“ ზმნიზედა კი არ არის, არამედ შედარებით-შეპირისპირებითი კავშირი.

10. იქვ (იქვ ZABCD, იქვი და ექვი E) (1 კორ. 10,27) ექვი Z. განმარტება არ შეეფერება სიტყვის შინაარსის კონტექსტში, რადგან მითითებულ ადგილას ლაპარაკია არა ექვზე, არამედ სინდისზე: „ხოლო უკუეთუ ვინმე გხადის თქუენ ურწმუნოთაგანი, და გნებაგს მისლგაჲ, ყოველივე წინადაგებული თქუენი ჰამეთ და ნურარას განიკითხეთ იქვსათჳს“.

ბერძნულსა და სომხურ-სირიულ რედაქციებში იქვ სიტყვის ფარად ნახმარია სინდისის მნიშვნელობის სიტყვა.

ასეთივე ვითარებაა სხვა ადგილებშიც; 1 კორ. 10, 25—29; 2 კორ. 1,12; 5,7... საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ძველსა და გაორგისეულ რედაქციებში სინდისის მნიშვნელობით ნახმარი იქვ ეფრემ მცირეს სკნიდის სიტყვით შეუცვლია.

11. მარტულია (1 კორ. 16,8) პენტეკოსტე ZAA. სულის წმინდის მოსლვას ეწოდება მეერგასისესა მას დღესა B. სულის წმინდის მოსლვა (მოსელა Cq), რომელ არს დღე მეერგასე (მეერგასისე Cq) CBq. სულის წმინდის მოსლვა CaD წყაროშია: „ხოლო დაავდგრე ეფესოს შინა ვიდრე მარტულია დმდე“. მარტულია მარტური ბერძნული სიტყვაა (ἡ μαρτυρία), მაგრამ ბერძნულ წყაროში სულ სხვა სიტყვაა, ესაა ἡ Πεντηκοστή. ეს სიტყვა სომხურსა და სირიულ თარგმანებში უთარგმნელად გადასულა, ხოლო რუსულში მისი ეტიმოლოგიური თარგმანი მოიპოვება Пятидесятница.

წყაროში ლაპარაკია ძველ ებრაულ დღესასწაულზე, რომელიც დაწესებული იყო იმ დღის მოსახსენებლად, რაცა ებრაელებს სინას მთაზე „შუღლი“ მოუცია, იგი მოდიოდა ებრაული პასქიქილან 50-ე დღეს, მკის დისასრულსა და ნაყაფის



მოწვევის ეამს: თითქოს ამ დღეს მოხდა სული წმიდის გარდამოსვლა და მარტვიანთა ქრისტეს მოციქულებზე. ამიტომ ეს დღესასწაული ქრისტიანულ ეკლესიაშიც გადავიდა და აღნიშნავს ქრისტეს აღდგომიდან 50-ე დღეს სული წმიდის მოციქულებზე მოფენის დღესასწაულს (აღნიშნება IV საუკუნიდან).

აღსანიშნავია, რომ მარტვიანთა სიტყვას საბა განმარტებას აძლევს ადრეულ რედაქციებში, ხოლო ბოლო რედაქციებში განმარტებაზე ხელს იღებს და ბერძნულ შესატყვისს—*პენ ტე ეოს ტეს ასახელებს*. ჩანს, სარწმუნოა ის შეხედულება, რომ საბას „ქართულ ბიბლიასთან ერთად ხელთა აქვს სომეხთა, ლათინთა და ულენთა ბიბლიები“ (19), 15—16).

12. მიმოწულილვა 2 თეს. 3,11 ცუდი გამოძიება Z.A. წყაროშია: „მესმის ვითთვსმე, რომელნი იქცვიან თქუენ შორის უწესოდ; არარას იქმან, არამედ მიმოწულილვენ“. უკანასკნელი სიტყვის ფარდად ბერძნულ რედაქციაში იკითხება *περπαρῶνται*. რომლის გათვალისწინებით ირკვევა, რომ მიმოწულილვა სიტყვის მნიშვნელობაა: ზედმეტი ცნობის მოყვარეობით ამაო, ტყუილუბრალოდ გარჯა.

13. ნასხურ (1 კორ. 4,13) (+ესე არს AB) აღსაწებელ, წარსაჯოცელ, გინა იგივე ნასხოვარი ZAB.

წყაროშია: „მგობართა ჩუენთა ულოცავთ. ვითარცა ნარჩევნი სოფლისანი შეექმნენით, ყოველთა ნასხურ* მოაქამდე“. ეფრემისეულ რედაქციაში ნასხურ სიტყვის ფარდად წარსაჯოცელ არის ნახმარი და შესაძლოა, საბა იყენებდეს სიტყვის განმარტებისას ეფრემისეულ იკითხვისას.

ნასხური იშვიათი ხმარების სიტყვაა და საბა მას ნათლად ვერ განმარტავს. სიტყვის მნიშვნელობა ზუსტდება პარალელურ რედაქციათა ჩვენების გათვალისწინებით. ნასხურ სიტყვის ფარდად ბერძნულ წყაროში გვაქვს *περπαρῶνται*, სომხურში — *խարխի*, სირიულში ქუფნარ. ბერძნული სიტყვა ნიშნავს ნაგავს, სომხურში—სასურველს, საყვარელს და მტერის საწმენდ ჩვარს, სირიული—ნარჩენს, ნაყარ-ნუყარს, ნაგავს, უვარგისს. ამ მნიშვნელობათაგან რომელი უნდა ჰქონდეს ქართულ თარგმანში ნახმარ ნასხურ სიტყვას, ნათელი არ არის. მაგრამ ნათელია ეფრემისეული წარსაჯოცელ სიტყვის შინაარსი. ეფრემს ბერძნული *περπαρῶνται* სახელი, რაც „ნაგავს“ ნიშნავს, შეცდომით გაგებულად აქვს მიმღობად *περπαρῶνται* ზმნისა, რომელიც ნიშნავს „მოხოცვას“, „მოწმენდას“, „მოშორალებას“, ძვ. ქართულით „წარჯოცა“-ს. ცხადია, ეფრემისეული იკითხვისი არ შეესაბამება კონტექსტის დენდისეულ გაგებას. „ნასხურ“ სიტყვის უუკველი განმარტება დღემდე არ მოგვებოვება. საბას განმარტება კონტექსტს არ შეეფერება.

თითქოს კონტექსტთან შესაბამებელ განმარტებას იძლევა დ. ჩუბინაშვილი „ოვანეს და ეფთვემეს ცხოვრების“ დამოწმებით: ნასხური ზედ. უღირსი, უნდო, *недостойный* [14].

* ამ სიტყვას ლექსიკონის უკანასკნელ გამოცემაში შენიშვნა აქვს: „წყაროში: ნასახურ“. არა, ასეთი რამ წყაროში არ არის. საბას ლექსიკონის წყარო „სამოციქულის“ გიორგისეული რედაქციის ხელნაწერები და ამ უკანასკნელზე დამყარებული ვახტანგ VI-ის 170 წლის გამოცემა, მაგრამ არც ერთ მათგანში ნასახურ არა გვაქვს, არას ნასხურ. მცდარი ნასახურ ფორმა სამოციქულოს მხოლოდ გვიანდელ სიეკლესიო გამოცემებშია.



5. მარამა ეს სიტყვა იპოლიტეს „ქება ქებათას“ თარგმანების არქაიკის მიხედვით განმარტა, როგორც *посмешнице* და იგი წარს. დროის ვნე ბითი გვარის მიმღობად მიიჩნია სხრ ძირისა, ხოლო ეს უკანასკნელი დაუკავშირა არაბულ *كس* („დაცინვა“) ფუძეს [15].

ბ. შთაწმიდლის „ივანეს და ეფთვმეს ცხოვრებაში“ ნასხურ სიტყვა ასეთ კონტექსტშია ნახმარი: ერთ-ერთმა წინამძღვარმა ქართველთა მონასტერში „ბერძენნი ფრიად შეიყუარანა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიდრკა, ხოლო ქართველნი, ვითარცა ნასხური ი რამე და უნდონი, უგულუბელს-ყუნა და შეამცირნა“ ([7], 115). ა. შანიძე თავს იკავებს „ნასხურ“ სიტყვის განმარტებისაგან, მაგრამ იმოწმებს 1 კორ. 4,13 ადგილს, სადაც „ნასხურის“ ფარდად ბერძულ წყაროში *καταφύα* „ნავაგი“ არის ნახმარი, და იპოლ. „ქებათა ქების“ 6,15-ს ([7], 122).

მ. კებაშვილი მთაწმიდლის ზემოდასახელებულ თხზულებაში ნახმარ „ნასხურ“ სიტყვას ასე განმარტავს: „ულირსი, უმნიშვნელო (?)“ ([11], 451), ოღონდ მკვლევარი დაეკვებულება მოცემული განმარტების სიზუსტეში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნასხური ნა პრეფიქსით ნაწარმოები წარსული დროის ენ. გვარის მიმღობაა სხურება ზმნისა (მდრ. მასხურე მე საპყურებელითა შენითა და განწმინდნე, ფსალ. 50,9). მართალია, ნა პრეფიქსიანი წარმოება ილ/ულ სუფიქსიან წარმოებას ეტოლება საერთოდ (მაგ. ნა-წერ-ი და (და)-წერ-ი-ლი, ნა-ხატ-ი და (და)-ხატ-ულ-ი), მაგრამ ზოგჯერ ნა პრეფიქსიან წარმოებაში დაჩრდილულია მიმღობური შინაარსი და სემანტიკურად გადაწეული სუბსტანციური შინაარსის წარმოჩენილი, გვაქვს ასეთი მიმართება: რეცხს—(გა)-რეცხ-ი-ლი-ი-არ-ეცხ-ი, ჰგვის—(და)-გვის-ი-ლი-ნა-გავ-ი (ნა-გ-ე-ი), ფრცქენის—(გა)-ფრცქენ-ი-ლი-ი / ნა-ფრცქენ-ი, აკლებს—(და)-კლებ-ულ-ი / ნა-კლებ-ი (ნა-კლ-ი „აკლს“, აკლია“ ზმნიდან).

როგორი მიმართებაც არის აქ დასახელებულ ნა პრეფიქსიან ფორმებსა და ილ/ულ სუფიქსიან ფორმებს შორის, ისეთივე მიმართებაში უნდა იყოს ნა-სხურ-სხურ-ებ-ულ ფორმასთან. ეტიმოლოგიურად ნასხური უნდა ნიშნავდეს: სხურ-ებ-ულს, ნასხამს, (გადა)სხულს, მნიშვნელობის ოდნავ გადაწევით: გადადგარილს (წყალს), ნარეცხს, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით: უეარგისს*.

14. სრსვილი (2 ტიმ. 2,17) ჯორჯთ მძოარი ZAB. წყაროშია: „და სიტყუამან მთმან, ვითარცა სრსვლმან საძოვარი პოვოს“. პავლე მოციქული ტიმოთეს არიგებს, რომ ღირსეულად დაიჭიროს თავი ურწმუნოთა შორის (2,16); ისეთ ცრუმოდვარტ, როგორიც არიან ჴმენეოს და ფილიტოს, რომელნიც ქეშმარტებას განუდგნენ და მკვლართა აღდგომა არა სწამთ (1,17—18), განერიდოს, რადგან მათი მწვალებლური სიტყვები დამლუპველია და ისე მოედება ქრისტიანული ეკლესიის სხეულს, როგორც სრსვილიო.

სინტერესია იმის აღნიშვნა, რომ პავლეს ეპისტოლის ზემოდასახელებული ადგილი (2 ტიმ. 2, 17) გვხვდება იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“. იაკობი არიგებს ვარსქენისაგან განმდგარ შუშანიკს: „ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტესსა, ნუუკუე მტერმან ვითარცა სრსვლმან საძოვარი პოოს შენ თანა“. ([10], 134). „შუშანიკის წამებას“ გამოცემებში სრსვლი გავებულია, როგორც

* ასეთი აბსნი „ნასხურ“ სიტყვასა შე არ მეჩვენება დამოკრებლად. ა. შ.



ერთგვარი კანის ავადმყოფობა, სირსველი (სირსველი) [2], 96; [11], 450 [10]. არის კი ასე? სრსკლი რომ დღევანდელი სირსველი, სირსველ სიტყვაა, ეს უტყველია, მაგრამ საკითხავია: ამ სიტყვას ძველ ქართულშიც ის მნიშვნელობა ჰქონდა თუ არა, რაც დღეს აქვს? ამ საკითხის გარკვევისას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს პავლეს ეპისტოლის ზემოდასახელებულ ადგილს, რომელიც ციტატად მოჰყავს იაკობ ხუცესს. ცხადია, რა მნიშვნელობაც აქვს სრსკლ სიტყვას პავლეს ეპისტოლეში, იგივე მნიშვნელობა ექნება მას „შუშანიკის წამებაშიც“. დაუბრუნდეთ საბას განმარტებას, რომლითაც სრსველი არის „ჯორცთ მძოარი“ (იგულისხმება სენი, ავადმყოფობა). ერთი შეხედვით, საბასეული განმარტება თითქოს მეტაფორულია, სენი ხორცთ მძოვენელი რეალურად ნიშნავს ხორცის მჭამელს, ხორცის მომსპობს, გამანადგურებელ სენს. მაგრამ სრვევია კი საბას სიტყვის განმარტება მეტაფორულია? არა. საბა ამ შემთხვევაში კონტექსტს ეყრდნობა, სადაც სრსკლის მიერ საძოვრის მოპოვებაზეა ლაპარაკი. მაგრამ საქმე ისაა, რომ 2,17-ის როგორც ძველი, ასევე გიორგისეული რედაქციის იკითხვისი „სიტყუამან მათმან ვითარცა სრსკლმან საძოვარი პოვოს“ სწორად არ გადმოსცემს, პირველწყაროში გამოხატულ შინაარსს. ბერძნულ წყაროშია: *ὁ ἄγιος ἄβραῆμ ὁ ἔχρησεν ἡμῶν ἕξαι.* ბერძნული *ἡ ἡμῶν*, რომელიც უპირველესად საძოვარს, ბალახობას ნიშნავს, დასახელებულ კონტექსტში ზღვას ზმნასთან იდიომური მნიშვნელობისაა და ნიშნავს: გავრცელებული იქნება [18], ე. ი. ნათქვამია: მწვანელებელთა სიტყვა როგორც განგრენა გავრცელებული იქნება ე. ი. განგრენასავით მოედება. აქედან, ქართული რედაქციის იკითხვისი პირდაპირი, მაგრამ არასწორი თარგმანია. მაგრამ ეს ადგილი არც სომხურ რედაქციაშია სწორად გაგებული, სომხურშია: *բանք նոցա իբրև դքայցկիք նարակ գտանին* ე. ი. მათი სიტყვები როგორც კიბო (განგრენა) საძოვარს პოვებენ; ცხადია, ქართული იკითხვისი სომხურ წყაროს უფრო მიჰყვება, რადგან ბერძნული წყაროს პირდაპირი თარგმანი თითქოს ასე უნდა ყოფილიყო: სიტყუასა მათსა ვითარცა სრსკლსა საძოვარი ექნეს (ἡμῶν ἕξαι). სირიულ რედაქციაში დაახლოებით ქართული და სომხური რედაქციის მსგავსი ვითარებაა, ოღონდ მასში ბერძნული *ἡμῶν* სიტყვა უთარგმნელად არის შესული და ნათქვამია: როგორც განგრენას საძოვარი ექნება [21].

გამოდის, რომ როგორც პირველწყაროში (ბერძნულ რედაქციაში), ასევე სხვა (სომხურ, სირიულ) თარგმანებში ლაპარაკია ძლიერ სენზე, რომელიც ცოცხალ ორგანიზმში ერთი ადგილიდან სხვა ადგილებს მოედება და დაავადებული ორგანოს კვდომას იწვევს, ესაა განგრენა (γῆγγραινα)*, რომლის ფარდი შინაარსობრივი ერთეულებია სომხური რედაქციის *քայցկիք* და სირიული რედაქციის (ხლდნთნ).

რადგან ბერძნულსა და სხვა რედაქციებშიც განგრენის მნიშვნელობის სიტყვაა ნახშირი, უნდა ვიფიქროთ, რომ მის ფარდად ქართულ რედაქციაში ნახშირ სრსკლ სიტყვას ასეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა; საყურადღებოა, რომ კ. კეკელიძეს სრსკლი განგრენად მიაჩნდა, როგორც ეს ჩანს „შუშანიკის წი“

* *γῆγγραινα*-ს ძველსა და ახალ ბერძნულშიც განგრენის სენის მნიშვნელობა აქვს [18], [19]



მების“ შემოდასახელებული ადგილის თარგმანიდან:... „ЧТОБЫ гангрена, не обрел в тебе пажити“ [17].

ძნელია გადაჭრით თქმა, რას გულისხმობდა საბა „ქორცთ მძოარ“ სენ-ში, მაგრამ რადგან ეს განაჩრტება უშუალოდ კონტექსტს ემყარება, უფრო საფიქრებელია, რომ მასში ლექსიკოგრაფი გულისხმობდა ხორცის მკამელ, ხორცის მომაკვდინებელ სენს, განგრენას (როგორც ესაა ბერძნულ, სომხურ, სირიულ რედაქციებში), ან კიბოს (როგორც ესაა რუსულ თარგმანში), ვიდრე სირსვილს, რომელიც კანის ავადმყოფობაა ერთგვარი; ახასიათებს კანზე წვრილი დამონაყარი, რომელიც ზოგჯერ აიჭერცლება, ამ ვარაუდს ისიც უჭერს მხარს, რომ საბას ლექსიკონზე დამყარებულ ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში სრსვილი/სრსვლი განმარტებულია როგორც гангрена, рак [13], [14]. ასე რომ სრსვლი ძველ ქართულში დღევანდელი მნიშვნელობით არ არის ნახმარი.

დასკვნები: მიუხედავად იმისა რომ ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის უკანასკნელ აკადემიურ (1965 წ.) გამოცემაში მეტწილად დამკვიდრებულია დამოწმებათა წყაროები და შეფერებულია მათგან აღებული ციტატ-მოწმობანი, არსებითად კვლავ შესასწავლია საკითხი, თუ რა მიმართებაშია საბას ლექსიკონის ციტატ-მოწმობანი წყაროსეულ ტექსტთან. ეს იმიტომ, რომ უკანასკნელ გამოცემაში არ მოხერხდა საბას ლექსიკონის წყაროთა რედაქციულ სხვაობათა გათვალისწინება. ცხადია, თუ წინასწარ არ დადგინდება ლექსიკონში დასახელებული წყაროს რომელი რედაქციით, რატომის ტექსტით სარგებლობდა საბა, სწორად არ გაირკვევა დამოწმების წყაროსეულ კონტექსტთან დამოკიდებულების საკითხი.

ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის სხვადასხვა რედაქციაში სხვადასხვა ოდენობითაა მოყვანილი დამოწმებანი „პავლეს ეპისტოლეებიდან“. ირკვევა, რომ სიტყვითა დამოწმებისას საბას გამოუყენებია „სამოციქულოს“ გიორგისეული რედაქციის როგორც ხელნაწერები, ასევე 1709 წელს დაბეჭდილ ტექსტიც, ხოლო სიტყვათა განმარტებისას—ეფრემისეული რედაქციის ხელნაწერებიც.

ლექსიკონში განსამარტივად მოყვანილი სიტყვის ფორმა და ახსნა, განმარტება ზოგჯერ არ შეეფერება წყაროსეულ კონტექსტს. ასეთ შემთხვევათა საგრძნობი წილი იმ სიტყვებზე მოდის, რომლებსთვისაც დამოწმებანი საბას ძმას—ზოსიმესს მიუწერია. ჩვენს წერილში საბას ლექსიკონის წყაროდ გამოყენებული „პავლეს ეპისტოლეთა“ რამდენიმე სიტყვის ფორმა და მნიშვნელობა დაზუსტდა. ცხადია, როცა ლექსიკონის ყველა წყარო საფუძვლიანად იქნება შესწავლილი, ზოგი რამ კიდევ დაზუსტდება ლექსიკონში. თუ ეს გაკეთდა, მაშინ საბოლოოდ დაჩნდება დიდი და უეჭველი ღირებულება საბას ლექსიკონისა და ეს უკანასკნელი სანდო სამაგიდო წიგნად დარჩება მომავალშიც.

ძველი ქართული ენის კათედრა

რედაქციის მოუვიდა 1971 წლის 25 ნოემბერს

К. Д. ДАНЕЛИЯ

**„ПОСЛАНИЯ ПАВЛА“ КАК ИСТОЧНИК ГРУЗИНСКОГО СЛОВАРЯ
С.-С. ОРБЕЛИАНИ**

Резюме

В грузинском словаре С.-С. Орбелиани объяснено значительное количество слов из „Посланий“ Павла, изучение которых показывает, какой редакцией „Посланий“ пользовался лексикограф для своего словаря при ссылках на слова и какие слова приводятся в ошибочной форме или толкуются неточно.

ლიტერატურა

1. ს. ს. ორბელიანი, თხზულებანი, ილ. აბუ ლაძის გამოცემა, ტ. IV, 1965.
2. იაკობ ცურტაველი, მარტვლობა შუშანიისი, გამოსცა ილ. აბუ ლაძემ, 1938, გვ. 96.
3. ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, 1957.
4. ე. მეტრეველი, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი: საქ. სახ. ბუხუშტის მთამბე, ტ. XIX—B, 1956.
5. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი; პროფ. ი. ყოფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, 1928.
6. ა. შანიძე, ზნის ფორმათა მეტაფრი ს. ს. ორბელიანის ქართულ ლექსიკონსა და ებსტანგ VI-ის თარგმანში: ს. ს. ორბელიანი, საიუბილეო კრებული, 1959, გვ. 256—257.
7. ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა... გ. მთაწმიდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთემისი, გამოსაცემად მოამზადა ი. ჯავახიშვილმა, გამოსცა ა. შანიძემ, 1946.
8. მ. ქავთარია, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უცნობი ავტოგრაფი: ხელნაწერთა ინსტიტუტის მთამბე, ტ. II, 1960.
9. ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1949.
10. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაკვ. I, 1970.
11. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, ტ. I, 1946.
12. კ. დანელია, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყარო: „მაცნე“, № 2, 1964, გვ. 212.
13. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ალ. ლონტის რედაქციითა და გამოცემით, 1961.
14. Грузинско-русско-французский словарь, составленный Д. Чубиновым, С.—Пб., 1840.
15. Тексты и разыскания..., III, С.—Пб, стр. XLIX.
16. Толковая Библия ... проф. А. Лопухина, С.—Пб., т. 12, 1914.
17. К. Кекелидзе, Памятники древнегрузинской агнографической литературы, Тб., 1956, стр. 16.
18. И. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, Москва, I, II, 1968.
19. А. Иоанидис, Новогреческо-русский словарь, Москва, 1961.
20. Pape's Wörterbuch der griechischen Eigennamen, II, 1884.
21. W. Jennings, Lexicon to the Syriac New Testament, Oxford, 1926.

სორნელი ჯანელია

ძველი ქართულის ლექსიკიდან

1. ჩ უ ჩ ლ უ ბ ა, ჩ უ ჩ უ ლ ე ბ ა

ჩ უ ჩ ლ უ ბ ა იშვიათი ხმარების სიტყვაა ძველ ქართულში და ეს იმიტომ, რომ იგი მცდარი ფორმაა სხვა სიტყვისა. რეალურად «ჩუჩლუბა» სიტყვა არც უნდა გვექონოდა ქართულში; იგი შეცდომითაა მოხვედრილი ლექსიკონებში და, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველგან განმარტების გარეშეა დატოვებული. დიახაც ძნელი იყო არარსებული სიტყვის განმარტება!

ჩ უ ჩ ლ უ ბ ა მ (ჩ უ ჩ უ ლ ე ბ ა მ) ჩვენი ყურადღება მიიპყრო დავით აღმაშენებლის თხზულებაში «გალობანი სინანულისანი». ამ ძეგლში «ჩუჩლუბა» ისეთ კონტექსტშია ნახმარი, რომ შეიძლება კაცმა იგი ცუდი საქციელის აღმნიშვნელ სიტყვად მიიჩნიოს. დავით აღმაშენებელი გულწრფელად, მაგრამ ზედმეტი გულახდილობით აღიარებს მარიამ ღვთისმშობლის წინაშე იმ შეცოდებებს, რომლებიც მას ჩაუდენია, როგორც მეფეს და როგორც მიწიერ, მომაკვდავ არსებას. დავითი აღნიშნავს: ღმერთმა მომანიჭა მეფობის გვირგვინი (შარაჟანდედი), სოლო «მე ვნებათა ბილწთა მონებად მივჭყიდე თავი... კენის მკულელებრი ცნობაა, სეთის ძეთა ღირწებაა, გმირთა სილოდით მავალობაა, ხუთქალაქელთა შეგინებისა მწვრუ უფროსად ვამრავალწილე, ვითარცა რაა დაღმართ-მსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან.

ძეგვპტურტი გულმძიმობაა, ქანანელთა ჩ უ ჩ ლ უ ბ ა ნ ი, მსხურპლგაა ნაშობთაა, ზმნაა და სახრვაა, კოწოლი თმათაა და სხუანი, რომელთაა შენ ჰბრძანე არამსგავსებაა, უწარმდებესად მოვიგენ თვთ მათ პირმშოთა სახეთასაცაა».

ციტატი მოგვეყავს ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს ვამოცემიდან¹. ვამოცემე-ლი აღნიშნავს, რომ «გალობანი სინანულისანი» როგორც ხელნაწერებში (A-85, ფ. 178v—190r, A-290, ფ. 245v—247v), ისე ვამოცემებში, დამახინჯებულია. «ყოველგვარი მონაცემების გათვალისწინებით, ქვემომოყვანილი ტექსტი გამართა აკად. კ. კეკელიძემ»².

უერ ვიტყვით, რომ კ. კეკელიძის მიერ დადგენილი ტექსტის ყუბანეი-შვილისეულ ვამოცემაში «ჩ უ ჩ ლ უ ბ ა ნ ი» ხელნაწერთა მონაცემებს ემყარე-

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 374.

² იქვე, გვ. 373.



ქართული ენის ინსტიტუტი

ბოდეს. არა. ორივე ხელნაწერში (A-85, A-290), რომლებიც კ. კეკელიძის მოუყენებია, სწერია «ჩუჭულე ბანი».

ძინელია იმისი თქმა, თუ რატომ მოუვიდა სახელგანთქმულ მკვლევარს, რომ ამ სახით დაბეჭდა სიტყვა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში იგი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს დაეყრდნო და ნაწილობრივ — თ. ქორდანაის «ქრონიკებში» გამოქვეყნებულ ტექსტსაც.

თ. ქორდანაის მიერ გამოცემულ ტექსტში «ჩუჩულე ბანი» იკითხება. მაგრამ გამოცემული დაეჭვებულა ამ ფორმის სისწორეში და «ჩუჩულე ბანის» გვერდით ფრჩხილებში მოუთავსებია კითხვის ნიშნის ქვეშ «ჩუჭულე ბანი»¹.

ტლანიშნავია, რომ საბინინს, რომელმაც პირველად გამოსცა ზემოსხენებული ტექსტი, «ჩუჭულე ბანი» აქვს დაბეჭდილი².

შეიძლება, კ. კეკელიძემ თ. ქორდანაის «ჩუჩულე ბანი»-ს ახსნა ვერ მოუტეხა, რადგან ასეთი ფორმის სიტყვა არც ერთ ლექსიკონში არ მოიპოვებოდა, ამიტომ იგი შეცვალა «ჩუჩულე ბანი» ფორმით, რომელიც სულხან-საბას ლექსიკონში იყო შესული.

ძინელი ჭაბაშვილს ს. უბანიშვილის ქრესტომათიაზე დართულ ლექსიკონში შეტანილი აქვს «ჩუჩულე ბანი» (364(?)). ჩანს, ჭაბაშვილს შეუსწორებია ტექსტისეული წაკითხვა, სალექსიკონო ერთეულად გამოუტანია არა ჩუჩულე ბანი, როგორც მოსალოდნელი იყო გამოცემული ტექსტის მიხედვით, არამედ ჩუჩულე ბანი, თუმცა ამ უკანასკნელის სისწორეშიც დაეჭვებულა და განმარტების გარეშე დაუტოვებია კითხვის ნიშნის ქვეშ.

მოკორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავით აღმაშენებლის თხზულებაში «გალობანი სინანულისანი» «ჩუჩულე ბანი» კ. კეკელიძისეული კონიექტურაა, რომელიც, თუ არ ვცდებით, საბას ლექსიკონში დაცულ «ჩუჩულე ბანი»-ს გათვალისწინებით უნდა იყოს შეტანილი. საქმის ნამდვილი ვითარების გასარკვევად საჭიროა ვიცოდეთ, საიდან, რომელი თხზულებიდან აიღო საბამ «ჩუჩულე ბანი» და რას აღნიშნავს იქ ეს ფორმა.

საბას «ჩუჩულე ბანი» დამოწმებული აქვს ნემესიოს ემესელიის თხზულებიდან «ბუნებისათვის კაცისა», იქიდან მოპყავს ციტატი, მაგრამ განმარტებას არ იძლევა.

«ჩუჩულე ბანი» (30 ნემესიო). ქ. «ვინათაგან მიზეზი დასაბამი თვთ თვთ შორის უპყრიეს მათ ლირწთა ჩუჩულე ბანთაგან ვნებთა და ადვლად წარტუშენილ იბაგებთან»³.

საბას თავისი ლექსიკონის ერთი ადრინდელი (D) რედაქციის ნუსხაში (S-2498), რომელსაც ვახტანგ VI ნაწერად მიიჩნევენ, ამ სიტყვის განმარტებაც უცდია: ჩუჩულე ბანი 29 ნემეს: «უპყრიეს მათ ლირწთა ჩუჩულე ბანთაგან(!) ვნებანი» CaqD. ჩუჩა მგონია D⁴.

¹ თ. ქორდანია. ქრონიკები, II, 1889, გვ. 104.

² საბინინი. საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 544.

³ სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა, ს. ქორდანისეულის რედაქციითა და წინასიტყვაობით, 1949, გვ. 426.

⁴ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული: თხზულებანი, ტ. IV₂, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, 1965, გვ. 325.



ჩანს, კონტექსტმა აფიქრებინა საბას განსამარტავი სიტუვის კავშირი «ჩუქრა»-სთან. მაგრამ საბოლოოდ მას ხელი აუღია ამ ვარაუდზე და განუმარტავი დაუტოვებია «ჩუქრლება».

ბნდა აღინშნოს, რომ წყაროში «ჩუქრლებათაგან» კი არ იკითხება, არამედ «ჩუქრლებათაგან»: «ენათგან მიზეზი დასაბამი თვთ თვთ შორის უპყრის მათ, ლირწთა ჩუქრლებათაგან ენებათა მიერ აღვილად წარტუშნულთა, იბაგებინ უკუშ, რომელნი ამათ იქმოდინ...» 129,17¹.

ს. ლორგაძის, რომელმაც გამოსცა ნემესიოს ემესელის თხზულება «ბუნებისათვის კაცისა», სამი ხელნაწერი აქვს გამოყენებული: A—2579 (მე-14—15 საუკ. გადაწერილი), A¹—339 (მე-18 საუკ.), A²—1358 (მე-19 საუკ.), გამოსაცემად დადებულია A ნუსხა, რომლისგანაც მომდინარეობენ A¹ და A². არც ძირითად ტექსტსა და არც ვარიანტებში «ჩუქრლებათაგან» არ იკითხება. უნდა ვიფიქროთ: ან საბას ნემესიოსის თხზულების ქართული თარგმანის სხვა ნუსხა ჰქონდა, სადაც «ჩუქრლებათაგან» იქნებოდა «ჩუქრლებათაგან»-ის ადგილზე, ან თვითონ საბამ წაიკითხა არასწორად სიტყვა. ასეა თუ ისე, გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ჩუქრლება აქ ჩუქრლება მცდარი ფორმაა «ჩუქრლება» სიტყვისა, წარმომდგარი გრაფიკულ ნიადაგზე: ნუსხური შ (ქ) აღრეულია ჩ(ჩ)ში: *ჩაქაყოფე—ჩაქაყაყფე*. უმარცვლო უ-სთან ე-ს ნაცვლად შ-ს ხმარება დამახასიათებელია სწორედ გვიანდელი ხანის (მე-12 საკ.-ის აქეთა) ხელნაწერებისათვის². ასე რომ, თავდაპირველად წყაროში იყო «ჩუქრლება», რომელიც შეცდომით წაიკითხულ იქნა, როგორც ჩუქრლება, ხოლო ამ უკანასკნელიდან (კერძოდ, მისი დაქარაგმებული ფორმიდან) უნდა მოდიოდეს ჩუქრლება³.

საიდან ვიცით, რომ რეალურად არ არსებობდა სიტყვა «ჩუქრლება» და იგი «ჩუქრლება» სიტყვის დამახინჯებული ფორმაა? ჯერ ერთი, ძველი ქართული, თუ არ ვცდებით, არ იცნობს ასეთ სიტყვას. მეორეც, ნემესიოს ემესელის პეტრიწისეული ქართული თარგმანის ბერძნული დედანი საბას მიერ დამოწმებულ ციტატაში «ჩუქრლებას» ფარდად «ჩვეულების» აღმნიშვნელ სიტყვას შეიცავს. აი ზემოდასახელებული ციტატის ფარდი ბერძნული დედნისა: *ბატე ხაღ რჩე ძეჯჩე რჳ აღწიან ჭაუციღ პარეχონთაი, ზმე ფასღჳ ძეჯჩე რჳ ნთი რთი პამთი რბმანს აღჳმ-ჯლთაწრამეი*⁴.

ქართული თარგმანის ჩუქრლება (უფრო სწორად, ჩუქრლება) გადმოსცემს ბერძნული ტექსტის ძეჯჩე სიტყვას; ამ უკანასკნელს კი ბერძნულში

¹ ნემესიოს ემესელი. ბუნებისათვის კაცისა, ბერძნულითგან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ, ს. ლორგაძის გამოც., ტფილისი, 1914.

² ა. შანიძე. ძველი ქართული ენა, 1935, გვ. 09, შვშვ. 1. ქ. ლორთქიფანიძე. კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები X—XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, 1954, გვ. 123. ც. ქურციკიძე, ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, 1959, გვ. 049.

³ საბას ლექსიკონის უკანასკნელ აკადემურ (1965 წლის) გამოცემაშიც მოითხოვება: წყაროში «ჩუქრლებათაგან» იბოვება და შეცდომა გრაფიკულ ნიადაგზე აღმოცენებული. იხ. დანახ. ნაშრომი, გვ. 324, სქოლიო.

⁴ Patrologia Graeca, ტ. XL, 1858, გვ. 724.



რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, მათ შორის ჩვეულებას, საღმრთოებრივად აღნიშნავს (поведение, образ жизни)¹.

შაშასადავამ, ჩუჩულუბაჩუჩულუბა ენაში არარსებული სიტყვაა, რომელიც წარმომდგარია «ჩუჭულუბა» სიტყვის მცდარი წაკითხვის საფუძველზე. ამდენად, მისი ლექსიკონებში შეტანა ვაუშარბოველია.

2. აღდაჭი

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში შესულია მეტად იშვიათი ხმარების სიტყვა «აღდაჭი», სახელოვანი ლექსიკოგრაფი განმარტავს: «აღდაჭი (17,6 იერემ.) ბიცი ZABC»². ხოლო «ბიციის» შესახებ აღნიშნავს: «ბიცი (106,34 ფსალმ.) ესე არს მიწა, სადა სიმღამით ნაყოფი არა იქმნებინ, რომელ არს აღდაჭი»³. მაშასადამე, საბას აზრით, «აღდაჭი» და «ბიცი» სინონიმებია და აღნიშნავს მლაშობს, უნაყოფო მიწას.

საიდან გაჩნდა საბას ლექსიკონში «აღდაჭი», როდესაც განსამარტავ სიტყვასთან მითითებულ წყაროში სხვა ფორმის სიტყვაა? წყაროში ასეთი ვითარებაა: ქართული ბიბლიის ათონურსა და იერუსალიმურ ვერსიებში «აღდაჭის» ნაცვლად «ბიციანსა» იკითხება: და იყოს იგი, ვითარცა გრივი ველისაჲ უდაბნოსა შინა, და არა იხილოს მან, რაქამს მოიწიოს კეთილი, დაეშენოს იგი ბიციონსა, ქუეყანასა უდაბნოსა, ქუეყანასა მარილოვანსა, რომელსა ვერვინ დაეშენის⁴.

ველათურ ვერსიაში ეს ადგილი ამ სახით გვხვდება: და იყოს ვითარ ველური გრივი უდაბნოს შინა, რომელი არა იხილავს, ოდეს მოვიდენ კეთილნი, და დაეშენოს აღდაჭისა, ქუეყანასა უდაბნოსა, ქუეყანასა შინა მარილოვანსა, რომელი არ დაიმკვდრების (A-1108, 226v).

შოსალოდნელი იყო, რომ საბას თავის ლექსიკონში შეეტანა არა აღდაჭი, არამედ აღდაჭი, რადგან ცნობილია, რომ გელათური ბიბლია (A-1108) საბას ხელთაა, დაუმუხლავს კიდევ იგი. ეს ის ხელნაწერია, რომელიც საფუძვლად დაედო თბილისში, ვახტანგ VI სტამბაში, დაბეჭდილ წინასწარმეტყველთა წიგნებს, რომლის რედაქტორადაც სულხან-საბა ორბელიანს მიიჩნევენ⁵. დღეისთვის ამ ნაბეჭდი ტექსტის სამად სამი ცალია ცნობილი: ერთი

ინახება თბილისის კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ($F \frac{135}{4}$),

მეორე უნივერსიტეტის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში (F19578), მესამე — კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (A-51). სამსავე ცალში აღდაჭი იკითხება და არა აღდაჭი.

¹ И. Дворецкий. Древнегреческо-русский словарь, т. I, 1956, გვ. 28.
² სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული: თხზულებანი, ტ. IV, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, 1965, გვ. 79.
³ იქვე, გვ. 109.
⁴ Patrologia Orientalis, t. XXIX, f. 4, Paris, 1961 (ბლევკისა და ბრიერის გამოცემა).
⁵ პ. ინგოროევა. ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: მნათობი, 1932, № 4, გვ. 125; ქ. შარაშიძე. პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 174—177.



1743 წელს მოსკოვში გამოცემულ ბაქარისეულ ბიბლიაში თითქმის უცვლელად შევიდა თბილისში დაბეჭდილი (1710—1723) წინასწარმეტყველთა ტექსტი, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ მოსკოვერ გამოცემაშიც ალდატი გვექნონოდა ზემოთ დასახელებულ ადგილას. მაგრამ არა, არც 1743 წლის და არც მისგან მომდინარე 1884 წლის გამოცემაში ალდატი კი არ იკითხება, არამედ ალდაჭი. გასარკვევია, საიდან განჩნდა ბაქარისეულ ბიბლიაში ალდაჭი, ან მოსალოდნელი ალდატი რატომ არ არის შესული საბას ლექსიკონში? სანამ ამაზე ვუპასუხებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, მოვიყვანოთ სხვა ლექსიკოგრაფთა მოსაზრებანი ამ სიტყვაზე.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნიკო ჩუბინაშვილს, რომელიც საბას ლექსიკონს ემყარებოდა, თავის ქართულ-რუსულ ლექსიკონში ალდატიც აქვს შეტანილი და ალდაჭიც. როგორც ჩანს, ნიკოს შეუმოწმებია საბას მიერ ალდაჭთან მითითებული წყარო და მის მიხედვით განუმარტავს ალდატი, მაგრამ მას ანგარიში გაუწევია საბას ავტორიტეტული ნაშრომისათვის და ალდაჭიც შეუტანია. ნ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს: «ალდატი ალქატი ანუ ბიცი (იერემ. 17,6) сухота. ს. ალდაჭ»¹.

ღღაჭი ალდატი, ბიცი (იერემ. 17,6) сухота².

ნ. ჩუბინაშვილის განმარტებაში რამდენიმე უზუსტობაა: 1) ალდატი სომხურ ალდაჭ სიტყვად მიიჩნია³. არა! სომხურშია ალტალტი|ღღაჭი და არა ალდაჭ, 2) ალდატი ან ალდაჭი არ არის сухота. 3) ალდატი იგივე არ არის, რაც ალქატი. გაუგებარია, რატომ აქვს ნიკოს ალდატი და ალქატი სინონიმებად მიჩნეული, მაშინ როდესაც ალქატს იმავე ლექსიკონში განმარტავს, როგორც «მსუბუქი, მჩატე, დამშხალული (ვეფხ. 249 და 1455) пыльный, дряхлый»⁴. ნიკოს «ალქატი» რუსთველის ტექსტზე დაყრდნობით აქვს განმარტებული, მაგრამ არასწორად. «ალქატს» საერთოდ და «ვეფხისტყაოსანშიც» აქვს არა მსუბუქის, მჩატის მნიშვნელობა, არამედ ღარიბისა, უკონელია⁵. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას (ахуаჰა-ს) სომხურში⁶, საიდანაც არის ის ქართულში შემოსული.

წავით ჩუბინაშვილი, რომელიც იყენებდა სულხან-საბა ორბელიანისა და ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონებს, ასეთ განმარტებას იძლევა: «ალდატი (arm. ахуаჰა) сухая, неплодородная земля, lieu aride, terre improductive, sterile იერ. XVII, 6»⁷.

¹ ნიკო ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი, აღ. დლონტის რედაქციითა და გამოკლევით, 1961, გვ. 135.

² იქვე, გვ. 142.

³ «ალდატის» განმარტებისას ნ. ჩუბინაშვილს აღნიშნული აქვს: ს. ალდაჭ. (ს. აღნიშნავს «სომხურია»). ნიკო თვითონვე განმარტავს ლექსიკონის შესავალში: «განსარჩევლად სომხურთა ლექსთა (ე. ი. სიტყვათა — კ. დ.) წინ უზისთ ასო ს და თურქთა — ასო თ: დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

⁴ ნიკო ჩუბინაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

⁵ ა. შანაძე. ლექსიკონი: შ. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, აღ. ბარამიძის, კ. ქვეკლიძის, ა. შანაძის რედაქციით, 1957.

⁶ А. Худябашев Армяно-русский словарь I, 1898, გვ. 24.

⁷ დ. ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, 1840, გვ. 12.



ც ღ და ჯ ი *Сухота, безплодная земля, terre improductive, sécheresse*
იერ. XVII, 6».¹

ანდა აღინიშნოს, რომ დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს განმარტება საბასა და ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებებზე რამდენადმე ღრმა და ზუსტია.

ძართლაც, «აღდატი» სომხურიდან მომდინარე სიტყვაა. ქართული «აღდა-ტის» ფარდად სომხური ბიბლიის სათანადო ადგილას *აყთაყთაი* იკითხება, რაც იგივე *აყთაყთა*-ია. აშკარაა, რომ ამ უკანასკნელიდან მომდინარეობს ქართული «აღდატ» ფორმა. *აყთაყთა* სიტყვა *აყთ* ფუძის გარკვევებითაა მიღებული (*აყთ + აყთ*). თავის მხრივ *აყთ* ფუძე სომხურ ლექსიკონებში გამოჭყავთ *აჟ* («მარილი») ძირისაგან, რომლის *ა* უნდა მომდინარეობდეს ქონების აღმნიშვნელი *ათ* მწარმოებლისაგან (= ი ა ნ, ო ვ ა ნ ს უ ფ ი ქ ე ბ ს); *აყთათ* > *აყთი* > *აყთ* «მა-რილიანი».

ჭრ. ა ჯ ა რ ი ა ნ ი *აყთ* ფუძის ვარიანტად ასახელებს *აჟბ*-ს, რომელიც ცალკე არ იხმარება და გვევლება მისგან ნაწარმოებ ფორმაში *აჟბხა* «დამარი-ლებული». მკვლევარი *აყთ* || *აჟბ* ფორმებს უკავშირებს წინარეინდოევროპულ *sald* («მარილი») ფუძეს და აღნიშნავს: *აყთ* უფრო დამაჯერებლად ამტკიცებს

sald-ისგან მომდინარეობას, ვიდრე *აჟ*, რადგან პირველს შენახული აქვს წინარე-ინის ფუძის უკანასკნელი ბგერა *დ*, როგორც ესაა გოთურსა (*salt* «მარილი») და ლათინურში *salio* < *sald* «დამარილება».²

საც შეეხება *აყთაყთაი*-ს, რომელიც ქართული «აღდატ»-ის ფარდადაა ნახმარი სომხურ ბიბლიაში, მას შემდეგი მნიშვნელობა აქვს: 1) დამარილებული, მარილიანი, 2) მარილიანი ადგილი, მლაშობი. ხოლო *აყთ* ფუძე აღნიშნავს რო-გორც «მარილიანს», ასევე ნიადაგის სიმწირეს, უნაყოფობას, და საერთოდ, სი-ცუდეს უოველივესი.³

ცლსანიშნავია, რომ *აყთაყთა* || *აყთაყთაი* თანამედროვე სომხურშიც იხ-მარება ძველი მნიშვნელობით.⁴

ქართულ თარგმანში «აღდატი», ცხადია, სომხური წყაროდან მომდინარე-ობს და მას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც სომხურ *აყთაყთა* || *აყთაყთაი*-ს, აღნიშნავს მ ღ ა შ ო ბ ს, მ წ ი რ ნ ი ა დ ა გ ს.

ყეიძლება ითქვას, რომ ამ სიტყვას ქართულში ფეხი არ მოუკიდებია, არ დამკვიდრებულა. ჩანს, ეს სიტყვა სომხური წყაროდან გადმოჰყვა ქართული ბიბ-ლიის გელათური ვერსიის ტექსტს, ხოლო ეს უკანასკნელი, რ. ბ ლ ე ი კ ი ს მტკიცებით, სომხურიდან მომდინარე ქართული თარგმანის გადამუშავებას უნდა წარმოადგენდეს.⁵

¹ დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი. ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, 1840, გვ. 18.
² ჯ. ბ ნ ა ა ქ ა ნ. *Հայկերէն արձանագրութեան բառարան, Յերբեմն, I*, 1927 გვ. 162.
³ იქვე, გვ. 162.
⁴ Толковый словарь армянского языка, в четырех томах, составил Ст. Малхас-сянц, т. I, Ереван, 1944, გვ. 49.
⁵ Р. Б л а з ъ к. О древне-грузинских версиях Ветхого завета: Известия Кавказско-го отделения Московского Археологического общества, вып. VI, გვ. 35.



სომხური *საყათაყათი*-ისგან ქართული ალ და ტ-ის მიღება გასაგებია: ალტალ-ტი > ალდალტი > ალდატი. საყურადღებოა, რომ სომხურ *ჟ-ს* გადმოსვცემს *ლ* მოსალოდნელი კი იყო ლ, რადგან ველათური ნუსხა XII—XIII საუკუნეთა მიჯნას მიეკუთვნება, ხოლო სომხურ *ჟ-ნი* მნიშვნით გადმოცემული ბგერის ლ-ში გადასვლა XI საუკუნისათვის უკვე დამთავრებულად მიიჩნევა. ეს ფაქტი შეიმთხვევა ორიგინალად ახსნას: ან იმით, რომ *ჟ-ს* შენარჩუნებული აქვს ძველი ბგერობლივი მნიშვნელობა (ლ-სი) ლიტერატურული ტრადიციის ძალით, ან კიდევ: ველათური ნუსხა, მართალია, XII—XIII საუკუნეთა მიჯნას მიეკუთვნება, მაგრამ მას საფუძვლად ისეთი ძველი ქართული თარგმანი უძევს, რომელიც, შესაძლებელია, სომხურ წყაროზე ყოფილიყო დამოკიდებული¹. ამიტომ ბუნებრივია, *ჟ* ძველი ბგერობლივი მნიშვნელობით იყოს გადმოღებული ქართულ თარგმანში. ჩვენ უფრო სარწმუნოდ მეორე ახსნა მიგვაჩნია.

შესაძლოა ვიფიქროთ, რომ «აღდაჭი» დიალექტური ფორმა იყოს «აღდაცისა», სადაც *ჟ-ს* ახალი გამოთქმაა დაცული (*ჟ-ლ*), ხოლო ტ-სა და ჭ-ს მონაცვლეობა სომხური კილოებისთვის არ არის უცნობი. მაგრამ არა. ასეთი ვარაუდი უნდა გამოირიცხოს. ჯერ ერთი, სომხური, თუ არ ვცდებით, არ იცნობს «აღდაჭ» ფორმას და, მეორეც, სომხური ბიბლია, საიდანაც ეს სიტყვა მოხვედრილა ქართული თარგმანის ველათურ ვერსიაში (იერ. 17,6), შეიცავს მხოლოდ *საყათაყათი* ალტალტუჟ || ალტალტუჟ ფორმას. ხოლო ამ უკანასკნელს, ცხადია, ქართველი ავტორი «აღდაჭად» არ გადმოიღებდა.

ტ ლ და ტ და ა ლ და ჭ ფორმათა ურთიერთმიმართების გარკვევას ის გარემოება აძნელებს, რომ ძალზე შეზღუდულად არის ეს ფორმები ფიქსირებული წერილობით წყაროებში. ალ და ტ ფორმას საბას მიერ მითითებულ წყაროს ვარდა (იერ. 17,6) ვერსად მივაკვლიეთ. სომხური ბიბლიის სიმფონიის ჩვენებით, *საყათაყათი* სიტყვა მთელს სომხურ ბიბლიურ წიგნებში მხოლოდ სამ ადგილას ყოფილა ნახმარი: იობ. 39,6; ფს. 106,34; იერ. 17,6. დასახელებული ადგილებიდან ველათური ვერსია, სამწუხაროდ, მხოლოდ უკანასკნელს შეიცავს (იობის წიგნი და ფსალმუნი აკლია), ხოლო სხვა წყაროებით ასეთი ვითარებაა:

იობ. 39,6: და დაუდვა საყოფელი მისი უდაბნოსა და საყოფელი მისი სიმაღლა შესა² (შდრ. სომხ. *ბე ზამ ლაქანა ჟანაყარა, ს რნასილქჩან ზამ ფაჟათაჟათი*).

ფს. 106,34: შექმნა ქუეყანაჲ ნაყოფიერი ბი ც ა ლ უკეთურებისა მკვდრთა მისთაჲსა.³ ბი ც ა ლ იკითხება ბაქარისეულ ბიბლიაშიც (შდრ. სომხ. *Արամ դերქჩერ ათიჟანერ კაჟათაჟათი*), *ქამს ჯარლქჩან რნასილქაჲ ზარა*.

იერ. 17,6: და დაეშენოს ალ და ტ ს ა, ქუეყანასა უდაბნოსა, ქუეყანასა შინა მარ ილი ან ს ა, რომელი არა დაიმკვდრების (A-1108, 226v). ძველ ვერსიებში⁴ «ალ და ტ ს ა-ს» ადგილზე «ბი ც ო ა ნ ს ა» იკითხება. შდრ. სომხ.

¹ P. Блэк, დასახ. ნაშრომი, გვ. 35, შდრ. კ. დ ა ნ ე ლ ი ა, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი ენა (სადისერტაციო ნაშრომი), 1986.

² ბაქარის ბიბლიის 1743 წლის გამოცემიდან. ათონურ ბიბლიას აკლია ეს ადგილი.

³ ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XVIII სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა პ. ლ. შ ა ნ ი ძ ე შ, თბილისი, 1960.

⁴ ათონური და იერუსალიმური რედაქციების წაკითხვები წინ არის დასახელებული.



ს კნსკსწყტ კ ა ჟ ა ა რ თ ი ლ კ ა ანსაყათი, ქერქტე ა ჟ ა ა რ თ ი ლ კ ა ანსაყათი. საყურადღებოა, რომ უკანასკნელი მაგალითის სომხურ რედაქციაში ორჯერ არის ნახმარი **ა ჟ ა ა რ თ ი ლ კ ა**, რის შესაბამისდაც ქართულ თარგმანში პირველად «აღდატსა» გვაქვს, მეორედ — «მარლიანსა».

ნასახელბული მაგალითებიდან ჩანს, რომ სომხური **ა ჟ ა ა რ თ ი ლ კ ა**-ის ბაღდად ქართულ თარგმანებში გვაქვს: ბ ი ც ი || ბ ი ც ო ა ნ ი, ა ლ დ ა ტ ი || ა ლ დ ა ჳ ი, ს ი მ ლ ა შ ე, მ ა რ ი ლ ო ვ ა ნ ი || მ ა რ ი ლ ი ა ნ ი. ამთვან სომხური **ა ჟ ა ა რ თ ი ლ კ ა**-ის ქართული ბაღდადი ბ ი ც ი (ბიცონი), ა ლ დ ა ტ ი კ ი ქართულში შეცვლილი სომხური **ა ჟ ა ა რ თ ი ლ კ ა** სიტყვაა, ხოლო მ ა რ ი ლ ო ვ ა ნ ი, ს ი მ ლ ა შ ე შესაბამისი სომხური სიტყვის თარგმანი.

რაც შეეხება ა ლ დ ა ჳ -ს, რომელიც გვხვდება ბაქარის და 1884 წლის გამოცემაში, ის ა ლ დ ა ტ -ის შერყენილი ფორმა უნდა იყოს, წარმომდგარი გრაფიკულ მსგავსების ნიადაგზე: **რ (ლ)**-ს მარჯვენა ნაწილმა რომ სიმკვეთრე დაკარგოს **რ (ღ)**-ს მოგვეცეს, ასევე ნუსხური **ჟ (ტ)** და **ჯ (ჭ)** მსგავსებაც საგრძნობია, ასე რომ **რჟჟჟ** — **რჟჟჟ**. ბევრი მაგალითია ცნობილი, რომ გადაწყურთ გრაფიკულად ნაკლებად მსგავსი სიტყვებიც კი ერევათ ერთმანეთში. ყოველ შემთხვევაში, ფიქრობთ, რომ ა ლ დ ა ჳ ი ა ლ დ ა ტ -ისგან განსხვავებული დამოუკიდებელი სიტყვა არ უნდა იყოს.

ს უ ლ ხ ა ნ -ს ა ბ ა ს ა ც კარგად სცოდნია, რომ ქართული ა ლ დ ა ტ ი ს ა (შეცდომით, ა ლ დ ა ჳ ი ს) და ბ ი ც ი ს შესატყვისად სომხურში ა ლ დ ა ჳ დორმა კი არ იყო, არამედ ა ლ ტ ა ლ ტ უ კ. საბას ქართულის უცხო სომხურ შესატყვისობებთან ბ ი ც ი სიტყვასთან მიწერილი აქვს: **ს. ჭაპიჭ ZAA, ალტალტუკ BCD**¹.

საბას, როგორც ჩანს, ბიბლიის რამდენიმე, და მათ შორის, დღვისთვის ჩვენთვის უცნობი ნუსხა უნდა ჰქონოდა ხელთ, როდესაც განსამარტავ სიტყვებს წყაროზე მითითებას უკეთებდა. ან რომელიდაც ნუსხაში იყო მცდარი ფორმა «აღდაჯი» და საბამ იქიდან ამოიწერა, ანდა ხელნაწერისეული ა ლ დ ა ტ -ი თვითონ საბამ ამოიკითხა მცდარად. მსგავსი შემთხვევები საბას ლექსიკონში სხვაგანაცაა შენიშნული². ჩანს, საბას გელათური ნუსხის მიხედვით არ შეუმოწმებია ბიბლიური (კერძოდ, წინასწარმეტყველთა) წიგნებიდან ადრე გაკეთებული დამოწმებანი, თორემ, ცხადია, ლექსიკონში ა ლ დ ა ტ ი მოხვდებოდა. საბას უსარგებლია ბიბლიის ისეთი ნუსხითაც, რომელიც «დიდად არ უნდა ყოფილიყო დამორბეული გელათურ ვერსიას»³.

საერთაშორისო, საიდან გაჩნდა «აღდაჯი» ბაქარის ბიბლიაში, სადაც წინასწარმეტყველთა წიგნები ვახტანგ VI სტამბაში (თბილისში) დაბეჭდილ ტექსტს იმეორებს? ამ უკანასკნელში ზომ «აღდატი» გვაქვს? საქმე ისაა, რომ ბაქარს, როგორც გამოცემის წინასიტყვაობაშიც აღნიშნავს, რედაქცია გაუკეთებია.

¹ ს უ ლ ხ ა ნ -ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ლექსიკონი ქართული, თხზულებანი, ტ. IV, ავტორგრაფულ ნუსხეებს მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე შ, 1966, გვ. 484.

² ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ე ლ ი. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 1949, გვ. XXX — XXXI. ლ. ქუთათელიძე. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, 1957, გვ. 206; კ. დანელია. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყარო: ს.მ.ა. საზოგ. მეცნ. განყოფილების მაცნე, № 2, 1984, გვ. 205—220.

³ კ. დანელია. დასახელებული ნაშრომი, გვ. 218.



არჩილ მეფის ხელნაწერი ბიბლიისათვის, და, შესაძლებელია, ვახტანგ VI-ის ხელნაწერში დაბეჭდილ წინასწარმეტყველთა ტექსტისათვისაც. ბაქარი წერს: «ორთა ამთ მეფეთა ნამუშავენი ცუდად მღებარე» იყო და «მოვიღვეით მეფის არჩილის ნამუშავენი დაბადება ჳელით წერილი და შევამოწმეთ დედანსა ფრიად კეთილსა და სარწმუნოსს მრავალთა წმიდათა და ფილოსოფოსთა და ღმრთისმეტყუელთა მიერ ვამოძიებით თარგმნილსა და გამართულსა ბერძენთა სარწმუნოებასა ზედა და განვმართეთ ახლად უოველნივე სიტყვა მეტნაკლებნი თავად თავად და რიცხვ რიცხვად სამოწმითა ესრეთ უნაკლულოდ»...

ცნდა ვიფიქროთ: «აღდაჭვი» ბაქარის გამოცემაში ან რომელიღაც ნუსხის ჩვენებას ემუარება, ან წინასწარმეტყველთა თბილისური (ვახტანგ VI) გამოცემის «აღდატ»-ის მცდარად წაკითხვას. ასეა თუ ისე, ამ «აღდაჭვ» ფორმამ არათუ ლექსიკონებში, არამედ მწერლობაშიც შეადგნია. დ. გურამიშვილი წერს:

მე ვარ, ვითა აღდაჭვი, ბიცი და მლაშობი,
დედისგანვე ცოდვასა შინა ნაშობი;
უშრტო და უნაყოფო, ვით გალი ვანჭმარი,
უსუო, უასულო, არარად საქმარი! (267,3).

წდვილად შესამჩნევია, რომ დავით გურამიშვილის ზემოდასახელებული სტროფი პოეტური პერიფრაზია ბიბლიის იმ ადგილისა (იერ. 17,6), სადაც აღდაჭვია ნახმარი. საეჭვო არ უნდა იყოს, რომ დ. გურამიშვილს «აღდაჭვი» ბაქარის ბიბლიიდან აქვს აღებული.

ბ. სურამიშვილის თხზულებიდან «აღდაჭვა» ორ ლექსიკონშიც შეადგნია: დ. გურამიშვილის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაზე დართულ ლექსიკონში¹, რომელიც ივ. გიგინეიშვილს ეკუთვნის, და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში². ორივეგან აღდაჭვი განმარტებულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონზე დაყრდნობით.

ბასკენა: აღდაჭვი გრაფიკულ ნიადაგზე წარმომდგარი შერყენილი ფორმაა აღდატ სიტყვისა. ეს უკანასკნელი ჯერჯერობით მხოლოდ ერთხელ არის დადასტურებული გელათურ ბიბლიაში (იერ. 17,6). ქართულ თარგმანში ეს სიტყვა სომხურიდან არის შესული (*აღდატ* || აღდატი) და მისი მნიშვნელობაა: მარჩილიანი; მლაშობი ადგილი; მწირი, უნაყოფო ადგილი. აღდატ-ის ბადალად ქართული ბიბლიის თარგმანებში ზემოდასახელებულ და სხვა ადგილებშიც ნახმარია: ბიციიბიცოანი, სიმლაშე, მარჩილიანი ილიანი ილიანი.

ზემოთ განხილული ორივე სიტყვის განხილვა (ჩურღუბისა და აღდაჭვისა) გვიდასტურებს იმ ფაქტს, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება სოლმე, რომ სიტყვის მცდარი ფორმა გაუგებრობის ნიადაგზე დამოუკიდებელი მნიშვნელობის ერთეულად მიიჩნევა, ასე ვთქვათ, მოქალაქეობას იძენს: გზას იკაფავს სამწერლო ენასა და ლექსიკონებში. ერთხელ დაშვებული უნებლიე შეცდომა დიდხანს რჩება გამოუსწორებელი ტრადიციის ძალით.

¹ დ. გურამიშვილი. თხზულებათა სრული კრებული, 1955 (საქ. მეც. აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გამოცემა).

² იქვე, გვ. 328.

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი I, რედაქტორი პროფ. ან. ჩიქობავა, 1950, გვ. 743.

ხორნელი ბანელია

„ჩეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

4. მოცალეობა

სუსთველი „ჩეფხისტყაოსნის“ პროლოგში საგანგებოდ ეხება მიჯნურობას, ასე ვთქვათ, თეორიულ ასპექტში იხილავს მას. სოეტის აზრით, ნამდვილად იდეალურ მიჯნურს ბევრი კარგი და დადებითი თვისება უნდა ჰქონდეს, მას არ უნდა აკლდეს „მიჯნურთ ზნეობა“, კერძოდ, მიჯნური უნდა იყოს „ხანიერი“, ე. ი. წარამარა არ იცვლიდეს სატრფოს, „გული ერთსა დააჯეროს“, იყოს „არ მიძაეი“, ე. ი. სპეტაკი, „თავისსა ზვაშიადსა არვისთანა ამქლავნებდეს“ და ასე შემდეგ. შავრამ პოეტი იდეალური მიჯნურისათვის დამახასიათებლად მართლ ზნეობრივ სიწმინდეს კი არ მიიჩნევს, არამედ ფიზიკურ უნაკლობას, სრულყოფასა და მაღალ ინტელექტუალობას:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე კმართებს, მართ ვითა შხეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუსვე, სიუმე და მოცალეობა,
უნა, გონება, დათმობა, მძლეოთა მეზრძოლთა მძლეობა.
ბა ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა“ (23)¹.

ბამოწმებულ სტროფში ნახმარი სიტყვა „მოცალეობა“ პოემაში სხვაგან არ გვხვდება, იგი მხოლოდ ერთხელ არის დადასტურებული. ამ სიტყვის განმარტებაზე საგანგებოდ არაფერი შეჩერებულა. ზღაბთ იმიტომ, რომ „მოცალეობის“ მნიშვნელობა თითქოს ყველასათვის ნათელი იყო. უცხად ვთქვით, როგორც მოცლა, თავისუფალი დროის ქონება. ამ გარემოებითვე უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ პოემის ცნობილ გამოცემებზე დართულ ლექსიკონთა უმრავლესობაში ეს სიტყვა სულ არ შესულა, არ მოხვედრილა. ჩანს, მკვლევრებს ეჭვი არ შეჰქონდათ „მოცალეობის“ ტრადიციულ გაგებაში. ამ უეჭველობის საფუძველს ძველი ქართულის ძეგლებთან ერთად, პოემის კონტექსტიც იძლეოდა, რომელიც იწყინარება

¹ შოთა სუსთაველი, ჩეფხის-ტყაოსანი, სარედაქციო კოლეგია: ლ. ყარაბაგი, ბ. ხეკელიძე, ტ. შანიძე, ტბილისი, 1957.



„მოცალეობა“ სიტყვის ტრადიციულ მნიშვნელობას: მიჯნურს უნდა ჰქონდეს: სილაბაზე, სიბრძნე, სიმდიდრე, სიუსწვე, ახალგაზრდული ასაკი (სიყმე) და მოცლა — ი ავისუფალი დრო (მოცალეობა).

ტდმოჩნდა, რომ „მოცალეობას“ ძველ ქართულში მხოლოდ „მოცლის“ მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჩვენი მიზანია ამ სიტყვის „მოცლისაგან“ განსხვავებული მნიშვნელობის გამოვლენა და, ასე ვთქვათ, მისი მისადაგება „იუფისტიკონის“ პროლოგში ნახმარ „მოცალეობასთან“. შანამდე საჭიროდ მიგვაჩნია ამ სიტყვის შესახებ არსებული ცნობები მოვიყვანოთ.

ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს თავის ცნობილ ლექსიკონში განმარტებული არა აქვს „მოცალეობა“, მაგრამ „ცალ“ ძირზე დამყარებული სხვა ფორმები კი ბევრჯერ აქვს შეტანილი: ა ც ა ლ ე და ა ც ა ლ ე (გვ. 28)¹, გ ც ა ლ ი ა ნ მოცალედ ხარ (გვ. 77), და ა ც ა ლ ა ა დ რ ო ვ ა (გვ. 81), და მ ა ც ა ლ ა მ ა ც ა ლ ა (87), და ა ც ა ლ ე ბ ა დ ა ც ლ ე ვ ი ე ბ ა (გვ. 93), მ ა ც ა ლ ე მოცლა (მოცლა A) მ ო მ ე ც (გვ. 200), მ ო ც ლ ა ს ა ქ მ ის ა გ ა ნ მ ო ც ა ლ ე ბ ა (გვ. 225), მ ც ა ლ ი ა ნ მოცალედ ვარ (გვ. 236), უ ც ა ლ ო მ ო უ ც ლ ე ო ბ ი (გვ. 348), ც ლ ე ვ ი ე ბ ა ს ა ქ მ ე ა დ რ ო ო ს (გვ. 419), ც ლ ა მოცლა, და ც ლ ა (გვ. 419).

ჩ ი კ ო ხ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს ლექსიკონში ვკითხულობთ: მ ო ც ა ლ ე ბ ა (მოცალე ვარ, ვმოცალეობ) მართვა საქმესა რასმე შინა (საქმ. 17,21) *упражняться. проводить время в чем.*

შ ო ც ა ლ ე ბ ა მოცლა, საქმისაგან თავისუფალი დრო, *досуг*².

ბ ა ვ ი თ ხ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, რომელიც თავისი ბიძის — ჩიკოს — ლექსიკონს ემყარება³, არსებითად მსგავს განმარტებას იძლევა: შ ო ც ა ლ ე ბ ა (მოცალე ვარ, ვმოცალეობ) *иметь время, быть досужным, праздным, проводить в чем время. შ ო ც ა ლ ე ო ბ ა досуг, loisir*⁴.

ხუბინაშვილებს „მოცალეობა“ ორ ლექსიკურ ერთეულად აქვთ შეტანილი ლექსიკონებში (ბავით ხუბინაშვილმა მეორე ერთეულად „მ ო ც ა ლ ე ო ბ ა“ მოგვცა, რითაც არსებითად არაფერი შეცვლილა, რადგან ძველ ქართულში იშვიათად „მოცალეობა“-ს ვეერდით „მოცალეობა“-ც გვხვდებოდა). უკლებლად, რომ ხუბინაშვილების ლექსიკონებში ეს სიტყვა ერთი ფუძით ყოფილიყო შეტანილი და მისი ორი მნიშვნელობა გამოყოფილიყო.

მუ „მოცალეობას“ გრამატიკულად გავაანალიზებთ, ცალ ძირად უნდა მივიჩნიოთ, მო — ზმნისწინად, ებ — თემის ნიშნად, ა — საწყისის მწარმოებლად. სირიელი ფორმები „ცალ“ ძირზე დაურდნობით ორგვარად იწარმოება: 1) მარტივი, უთემისნიშნო ფუძით და ობიექტური წყობით: მ-ცალ-ს, გ-ცალ-ს, ს-ცალ-ს, მ-ცალ-და, გ-ცალ-და, ს-ცალ-და... 2) რთული, თემისნიშნაანი ფუძით და სუბიექტური წყობით: მო-ვ-ი-ცალ-ებ, მო-ი-ცალ-ებ, მო-ი-ცალ-ებ-ს, მო-ვ-ი-ცალ-ებ-დ-ი, მო-ი-ცალ-ებ-დ-ი, მო-ი-ცალ-ებ-და.

¹ ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ნ. ყიფშიძისა და პროფ. ტ. შანაბის რედაქციით, ტბილისი, 1928.

² ჩ. ხუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ტლ. ი ლ ო ნ ტ ი ს რედაქციითა და გამოკვლევით, ტბილისი, 1981, გვ. 296.

³ ლქვე, გვ. 85—97.

⁴ შ. ხუბინაშვილი, ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, 1840, გვ. 399.



„მოცალეობა“ ფორმა თითქოს ნაწარმოებია ზმნის პირიანი ფორმებისგან: ემოცალეობ, მმოცალეობ, მოცალეობს. შავრამ ასეთი წარმოება, თუ არ ვცდებით, ძველი ქართლისათვის დამახასიათებელი არ უნდა იყოს. ძველით „მოცალეობა“-ც კი ძალზე იშვიათად იხმარება „მოცალეობა“-სთან შედარებით.

„მოცალეობა“ ასე უნდა დაიშალოს: მო-ცალ-ე-ობ-ა. ცალ ზმნური ძირისგან მიმდგომბაა ნაწარმოები: მო-ცალ-ე (=მოცლილი), რომელიც ხშირად იხმარება ძველ ქართულში. ამ „მოცალე“ ფუძეზე უნდა იყოს დართული აბსტრაქტულობის ნაწარმოებელი ობა სუფიქსი, რომელიც, თავის მხრივ, საწყისური წარმოშობისაა (ობ-ა)¹. „მოცალე“ ისეთივე წარმოების მიმდგომბაა, როგორც: მო-ლუაწ-ე, მო-ძულ-ე, მო-ფუარ-ე, მო-ქენ-ე, მო-შურნ-ე და ა. შ. ცლასწავნიანია, რომ მო-ე არა მართო მიმდგომბას, არამედ ე. წ. ხელობის სახელგებაც აწარმოებს: მო-სენა-ე, მო-დას-ე, მო-საგრ-ე და ა. შ.

ქართული ცალ ძირის საეხებით კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი გვაქვს ჩოლ-ის სახით მეგრულში: მო-ჩოლ-ამ-ა², „მო-ცალ-ე-ობ-ა“ (მოცლა). შავრამ მეგრულში ჩოლ ძირს ზოგჯერ ჩოლ ფორმა ენაცვლება, რაც ქართული ცალ ძირის ცალ ფორმასთან კავშირს გვაფიქრებინებს: მივჩოლდე „მოვიცალე“, შდრ. ვაშა ჩოლუ „ვერ მოვიცალე“. ქართულშიც ცალ ფორმას ზოგჯერ ცალ ენაცვლება: დამაცალე // დამაცადე. ამ ფორმათა მონაცვლეობა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდანაც ჩანს, სადაც და ც და-ს (1) ერთ-ერთ მნიშვნელობად მიჩნეულია „საჭირო დროს მიცემა, დროება, დაცლა“³, ხოლო დაცლა (2) ფუძესთან აღნიშნულია: „დროს მიცემა, დროება, დაცლა“³. ცალ // ცალ ფორმათა მონაცვლეობა ძველი ქართულინათვისაც ფაქტია. მოვიყვანთ „ხანმეტ“ ნაწივეტს სახარების ცნობილი ადგილიდან: ძაასა ხხედაე წუელსა ძმისა შენისა თულასა და თულასა შინა შენსა დირესა არა ხხედაე, ანუ ვითარ ხეტუე ძმისა შენსა: მა ცა აღე და აღმოვიღო წუელი იგი თულათ შენით? და აპა ეგერა დირმ იგი თულასა შინა შენსა გიც (შათ. 7,3-4)⁴. საეჭვო არაა, რომ „მაცაღე“ აქ ნიშნავს: მაცალე, შადროვე. ასეთი მნიშვნელობით ცალ ძირზე დამყარებული ფორმები ჩვეულებრივ გვხვდება ძველ ქართულში⁵.

„ჩუფხისტყაოსნის“ განმმარტებელთ თუ ლექსიკონების შემდგენელთ „მოცალეობაზეც“ გამოუთქვამთ თავიანთი აზრი. სოემის პირველი გამოცემული და კომენტატორი ზახტანგ VI მთელ სტროფს, სადაც „მოცალეობა“ არის ნახმარი, „საღმრთოდ“ აცხადებს: აქ მიწიერ, საერო მიჯნურობაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ ღვთიურზეო. ზახტანგ VI იძულებული იყო „ხელისხედ საგომანენებ“ პოემად დაეცვა კლერიკალების ღვენისაგან და ამიტომ ზოგჯერ, სამწუხაროდ, პოემის ისეთ ადგილებს აძლევდა „საღმრთო“ გააზრებას, რომელთაც ნამდვილად არ შეეფერებოდა ეს. ამ სტროფის განმარტებისას ზახტანგი აშკარა პოლემიკუ-

¹ ტ. მანძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 131.
² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. ტ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. III, ტომის რედაქტორი პროფ. შ. ტოფურია, ძილისი, 1953, გვ. 982.
³ 7 ქვე, გვ. 391.
⁴ 7 ქ. ავახიშვილი, ცხლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა შეცნაერებისათვის: ქართული პალეოგრაფია, ტ. 2, 1948, გვ. 328.
⁵ 7 ქ. მნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ძილისი, 1953, გვ. 530.



რი ტონით აცხადებს (უთუოდ, სამღვდლოების გასაგონად!): „ნაბიჯი რომელიც იტყვის პუსტოლის ნათქვამში სამღვდლო არა ურევია რა, მაშ ეს რა არის? თუ წორცის მიჯნურობაზედ თქუა ეს, რომლის წორცოდ კაცისაგან იქნება: სიმდიდრე და სიყმე ჰქონდეს და მოცლა, ან ეს როგორ იქნება მოცლილი იყო ს, უთმობდეს და მძღეს მტერს ერეოდეს? მძღის მტრის მორევა და მოთმინება როგორ იქნება? წსრე ახირებულსა და ტყუილს როგორ იტყოდა? შაგრამ ეს საეროდ არ უთქუამს, სამღვდლოს კაცზედ უთქუამს... სიმდიდრე: მადლით სიმდიდრეს უბნობს, სიყმედ, რომე ვაჭკაცურად გარჯის შეძლება ჰქონდეს. წსე მოცლას ეუბნება, სოფლის ზრუნვა სასუფეველის მეტი არა ჰქონდეს რა, ენა ქადაგებისა გრძელი და კარგი ჰქონდეს, გონება კეთილის გონებისა, სამღვდლო წერილთა სმენისა მოთმინება ჰქონდეს; მძღე მებრძოლი ეშმაკია, იმას ერეოდეს... თუ სამღვდლოს ესეები არ სჭირს, სასუფეველის ტრფიადების და მიჯნურობის წესი დიად აკლდება“¹.

საინტერესოა, რომ წახტანგ VI ხსნის არა „მოცალეობას“, არამედ „მოცლას“, როგორც ეს შენიშნული აქვს წ. ჭანიძეს². ხომენტარიდან აშკარაა, რომ წახტანგის გაგებით „მოცალეობა“ ნიშნავს მოცლას, ამქვეყნიურ („სოფლის“) საქმეებზე ფიქრისა და დარდის უქონლობას.

თეიმურაზ ჭაკრატიონს მთლიანად მოჰყავს 23-ე (წახტანგით, თეიმურაზით, მე-8) სტროფი, მაგრამ არც ერთ სიტყვას არ განმარტავს, მხოლოდ ზოგად შენიშვნას ურთავს: „შერვესა ამას სტისსა სრულიად და საკვირველად გამოხატავს ყოელსა ხარაკტირსა მიჯნურისასა; ძნელია, რომ ამდენი ნიჭი ერთად ერთს კაცში იპოვებოდეს. შაგრამ ზეპირად საქართველოს ერნი ასე მოუთხრობენ, რომელ პუსთაველი თვით იყოვო ესევეთარი სრული ყოელითა სიკეთითა“³.

თეიმურაზის შენიშვნა ახალს არაფერს შეიცავს ლექსიკური თვალსაზრისით, მაგრამ საინტერესოა სტროფის მთლიანი შეფასება: მერვე სტროფი განსაკვირვებელი სისრულით გამოხატავს მიჯნურის თვისებებს, ძნელია, ერთ კაცს ჰქონდეს ამდენი ნიჭი (სიკეთე), მაგრამ ქართული ზეპირსიტყვიერება გადმოგვცემს, რომ თვითონ პუსთაველი იყო ამნაირად სრულყოფილი „ყოელითა სიკეთითა“.

შ. ჭაროხეს, ზ. ჭალაევანდიშვილისა და ბ. ხუბინაშვილის მიერ 1841 წელს გამოცემული პოემის ლექსიკონში „მოცალეობა“ სიტყვა არ შესულა. წსევე პოემის 1860 წლის გამოცემაში, რომელსაც გამომცემლის — ბ. ხუბინაშვილის — განმარტებები ახლავს, 23-ე (მე-9 ხუბ.) სტროფიდან ახსნილია მხოვობა, სიყმე, მძღეობა, მაგრამ მოცალეობაზე არაფერია ნათქვამი.

ბ. ხარიჭაშვილის ლექსიკონში „მოცალეობა“ კი არაა განმარტებული, არამედ: მოცლა 113 გათავისუფლება⁴. ხარიჭაშვილის მიერ დამოწმებული 113-ე სტროფი პოემის საიუბილეო და მასზე დამყარებულ შემდგომ გამო-

¹ შოთა პუსთაველი, რეფორმების ტეაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ტეაკი ჭანიძის მიერ, ლეილისი, 1937, გვ. სქა—სქბ.

² ჭევე, გვ. 378.

³ თეიმურაზ ჭაკრატიონი, ჭანმარტება პოემა რეფორმების ტეაოსანისა, ჭაიოზ მღედაშვილის რედაქციით, გამოველევითა და სამიებლით, ტბილისი, 1960, გვ. 5.

⁴ შოთა პუსთაველი, რეფორმების ტეაოსანი, ბ. ხარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელის ლექსიკონით, ლეილისი, 1903, გვ. 327.



ცემებში არ შესულა როგორც არარუსთველური. ამ სტროფში მინათინი განმარტებულია:

„ძუ ყოფილა იგი მოემე ზორციელი, ხმელთა მელელად,
შას ნახვიდა სხეაცა ვინმე, გამოჩნდების მსწაულელად.
ძვარემ ეშმა გრენეზია, ღმინთა შენთა შეცამშლელად,
მა სეიდისგან მოცალე, რად შექმნილხარ მოლხენლად“.

ბ. ხარბაშვილმა ეს სიტყვა („მოცლა“) განმარტებისა და დამოწმების შე-
სცვლელად შეიტანა პოემის 1920 წლის გამოცემაზე დართულ ლექსიკონშიც¹.

უსტ. ტბულაძემ 1914 წელს გამოცემული პოემის² ლექსიკონში
„მოცლა“ ან „მოცალეობა“ არ შეუტანია, მაგრამ 1926 წლის გამოცემაზე დარ-
თულ ლექსიკონში ვკითხულობთ: შოცალეობა 74¹,4; 749,4 დაცალეობა;
მოცლა, დროს შოვნა გინა დროს ქონება, მოცლით ყოფნა³. 74¹ ის სტროფა,
რომელიც ბ. ხარბაშვილს აქონდა დამოწმებული 113 ნომრით, ზოლო 749 (სა-
იუბილეოთ 867) იმ ამბავს ევაცნობს, როცა წეთანდილი წააწყდა ღომ-ვეფხვის
დახოცვის შემდეგ გულწასულ ძარიელს:

„ძა შეხენდა, ყმას გულმან გაუფეთქნა, გაუნათდა,
ქა ღმინი დარეჯილსა უათსდა, არ უათდა;
ზარდმან ფერი განანათა, ბროლი ბროლდა, სათი სათდა,
მა ვით გრივალმან ჩაირბინა, არ მოსცილდა ჭვრეტად მათდა“.

სწკარა შეუსაბამობაა განსამარტავ სიტყვასა და დამოწმებულ ფორმას შო-
რის: „მო ს ტ ი ლ და“ ზმნის საწყისი იქნება „მო ც ი ლ ე ბ ა“ და არა „მო-
ცალეობა“. ამ უკანასკნელი ფორმის შესაბამისი ზმნა დაბეჭდილი საიუბილეო გა-
მოცემებში: მო ს ც ა ლ და.

1951 წელს გამოსულ „რეფხისტყაოსანში“, რომელიც არსებითად 1937 წლის
საიუბილეო გამოცემას ემყარება, მნიშვნელოვანი შესწორებანი იქნა შეტანილი
სარედაქციო კოლეგიის მიერ (კოლეგიაში შედიოდნენ: ლ. ჭარამიძე, ხ. ზეველი-
ძე, ტ. შანიძე). ამ გამოცემას დაერთო უსტ. ტბულაძის მიერ შედგენილი ლექსი-
კონი, რომელშიც არც „მოცლა“ შესულა და არც „მოცალეობა“.

„შოცალეობა“ არ შესულა არც ს. ხაკაბაძის 1913 და 1927 წლების
გამოცემებზე დართულ ლექსიკონებში, არც ხ. ნიჭინაძის 1934 წლის გა-
მოცემის ლექსიკონში.

ფ. შარმა, რომელიც სპეციალურად შეესო „რეფხისტყაოსანის“ პრო-
ლოგსა და ეპილოგს, „მოცალეობის“ შემცველი სტროფი ასე თარგმნა (შარის
თარგმანი პოეტური კი არ არის, არამედ სიტყვა-სიტყვითი; ამდენად, მეტად ღი-
რებულია ლექსიკური თვალსაზრისით): „Влюбленный обязан обладать изыс-
канной красивой внешностью, святъ как солнце; он должен быть муд-

¹ შოთა ძუსთველი, რეფხისტყაოსანი, შინაარსის და ვრცელის ლექსიკონის დართვით,
ბ. ხარბაშვილის რედაქტორობით, ძიბლისი, 1920, გვ. 295.

² შოთა ძუსთველი, რეფხისტყაოსანი, 22-ე გამოც., უსტ. ტბულაძის რე-
დაქტორობით, ძიბლისი, 1914.

³ შოთა ძუსთველი, რეფხისტყაოსანი, 26-ე გამოც., უსტ. ტბულაძის რედაქ-
ტორობით, ძიბლისი, 1926, გვ. 267.



рым, богатым, щедрым, быть витязем, должен иметь дос. უნდა იქნება მასტეროვ სლოვა, ობლადატელემ რაზუმა ი თერპენია ი პობედიტელემ ვსესილნых პროტივნიკოვ. კომუ ვსე აზო ნე დანო ვ უდელ, უ თოგო ნეტ კაქტვთ ვლუბლენნოგო¹.

შაშასაღამე, ნ. შარს „მოცალეობა“ ესმის როგორც თავისუფალი დროის ქონება. სსეთივე ახსნას აძლევს ტ. შანიძე ამ სიტყვას პოემის 1957 წლის გამოცემაზე დართულ ლექსიკონში: მოცალეობა 23,2 თავისუფალი დროის ქონება².

მუ შევაჯამებთ ზემოთ მოყვანილ ცნობებს, ასეთი ვითარება იქნება: 1) „მოცალეობა“ არ შესულა საბას ლექსიკონში, ნიკო და ჯავით ჩუბინაშვილებს ლექსიკონებში კი გვაქვს. 2) სოემის „მოცალეობა“ სულ არ განმარტებულია (ტ. ჭავჭავაძის, ბ. ჩუბინაშვილის, ს. ხაკაბაძე, ხ. ნიჭინაძე). 3) სოემის სხვა ადგილების დამოწმებით განიმარტებოდა მოცალა (ხარიჭაშვილი), მოცალეობა (უსტ. ტბულაძე). 4) „მოცალეობა“ პროლოგიდან დამოწმებით განმარტებულია როგორც მოცალა, თავისუფალი დროის ქონება (ჩახტანგ VI, ნ. შარი, ტ. შანიძე).

* * *

სოგორც აღვნიშნეთ, „მოცალეობა“ პოემაში ერთხელ არის ნახმარი, მაგრამ ცალ ძირზე დამყარებული სხვა ფორმები პოემაში იშვიათი როდია. შარტო მარტივი (უთმისნიშნო) პირიელი ფორმები 16-ჯერ დასტურდება და ყველგან მოცლის მნიშვნელობა აქვს. უახსახელებთ რამდენიმეს:

- მა სთქვი, რას იტყვი, არ მესმის, არცა მცალს სმენად მაგისად (885,1);
- ჯერთ ქორწინებად არა მცალს, აწ გული ცეცხლ-ნადებია (1240,2);
- მუცა შენ ჩემად არა გცალს, მე შენთვის მომსურეება (1008,2);
- ლაჭრა ხელია მიჯნურთა, რად სცალს თავისა ბერებად (784,3);
- წიღხან მათად არა სცალდა საუბრად და არცა ჭერეტად (500,3).

სოემაში ზმნისწინიანი პირიელი ფორმებიც გვხვდება (6-ჯერ):

- 1) სხლოს მივიდა, მოსცალდა სიტყვისა თქმად აღარისად (86,4);
- 2) შონახეთ, ტეხეთ იგი ყმა, სხვად ნურად მოიცლიდეთა (115,3);
- 3) ზით გრიაგალმა ჩაირბინა, არ მოსცალდა ჭერეტად მათა (867,4);

¹ Н. Марр, Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой коже Шоты из Рустава: Т. Р., кн. XII. СПб, 1910, გვ. 8.

² მათა სუსთაველი, ზეფსიტუაონის, სარედაქციო კოლეგია: ტლ. ჭარამიძე, ხ. ხეკელიძე, ტ. შანიძე, თბილისი, 1957, გვ. 372.

- 4) ზაჭრობისა საქმისაგან მოვიცალით, იგი ვნახით (1162,3);
- 5) მარიელ ბრძანა: მოემნო, აწ თქვენგან რა იმედია?
ნა აღრე მოვიცალი იმათგან, ღმერთი და ჩემი ბედია (1598,3-4);
- 6) მუ მოუვარე მოუვრისათვის ტირს, ტირილსა ემართლებს;
სიარული, მარტოობა კშენის, გაჭრალი და თუფლებს;
გონებდეს, მისგან კიდე ნურაოდეს მოვიცლები (31,1-3).

ყველა ზემოდანსახელებულ მაგალითში ცლა // მოცლა // მოცალე ბა ერთი მნიშვნელობითაა ნახმარი, „მოცლის“ მნიშვნელობით. შხლოოდ უკანასკნელ მაგალითშია შესაძლებელი, რომ მას სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს (ამაზე ქვემოთ). ცსეთივე მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა ძირითადად ძველ ქართულში.

აგრე განვიხილოთ „მოცალე“ ფორმა, რომელზედაც არის დამყარებული მოცალეება // მოცალეობა.

„სამეთუ ზედა ჰილენძი არს და შინაგან მოცალე არს მუცელი მაგისი“ (ჩიშ., I, 155,15). შოცალე აქ ნიშნავს ცარიელს.

„ფთუმეს, „საეწესა მსახურებაჲ, და შრომისა დღეთა შინა მყოფნი და ხუცესნი და დიაკონნი ჰმსახურებდიან, ვითარცა მიხუდებინ, და სხუაჲ მოცალე ერი“ (ცხ. სოვ. და ფთ. 38,1)¹. აქ „მოცალე“ ნიშნავს მოცლილს².

„აწ ემა არს, წარედ, და ჟამსა მოცალესა მოვიწოდო შენ“ (საქ. მოც. 24,25)³. აქ „მოცალე“ ნიშნავს თავისუფალს.

შამსადაძემ, ძველ ქართულში „მოცალე“-ს მნიშვნელობაა: 1) მოცლილი; 2) ცარიელი; 3) თავისუფალი.

ძველ ქართულში „მოცალეების“ პირიელი ფორმებიც არაა იშვიათი:

„ნღეს კეთილისა საქმედ მომიცალე ბიეს და სინანულად მიწუიეს“ (შამ. სწავ. 257,29)⁴.

„სამეთუ ხედვიდეს ღირსნი იგი ბერნი, რომელ მიზეზითა მრავალფერითა ზრუნვათაჲთა დაეხრწოდა თარგმანებისაგან წმიდათა წერილთაჲსა, და ესრეთ მოიცალა (ფთუმე) და თვსსა სენაკსა დაჯდა“ (ცხ. სოვ. და ფთ. 47,22).

„შოელოდიან სარგებელსა, ვითარცა საზრდელსა მწიფესა, რაჲთა უცალოთა მათ საქმეთა შინა სოფლისათა მოიცალონ“ (ქ. დღ. 52,22)⁵.

„ჩითარ მსგავს არიან თუალნი ბუვისანი თუალთა მათთა, რომელთა-იგი მოცალე ბიეს ამოაქსა ფილოსოფოსობისათჳს“ (ქ. დღ. 118,24).

„ხოლო ვიდრე მოიწოდეს მოციქულნი უახტანგ მეფისანი, წარსულ იყო

1 ლ. შთაწმიდელი. ცხორებაჲ ზოგანის და ფთუმესი, გამოსაცემად დაამზადა ზ. ავახიშვილიმ, გამოსცა ტ. შანიძემ, ძბილისი, 1946.

2 ქვევ. გვ. 118.

3 საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ლ. ტბულაძემ, ძბ., 1949.

4 შამისა სწავლანი, X-XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ლ. ტბულაძემ, ძბ., 1955.

5 აქმელებს რედაქციები წასილი ზესარიელის „ქუსთა დღეთაჲსა“ და ზრიგოლ ნოსელის თარგმანების „ხაცისა აგებულებისათჳს“, X-XIII სს.-ის ხელნაწერთა მიხედვით, გამოსცა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ტბულაძემ, 1964.



კენისარი ქუეყანით ღაზარეთით კერძო, რომლისაგან ვერ მოიცილებულა მოსლვად ქართლად“ (Xუანშ. 179,17)!

სირიელ ფორმებზე უფრო ხშირად ძველ ქართულში საწყისის ფორმით გვხვდება „მოცალება“: „ღმთაჲ დგას და განსცდის გულთა თქუენთა, რათა პოვოს მოცალება და დასთესოს თესლი თჳსი თქუენ შორის და მზაკუვარებაჲ უკეთურებისა თჳსისაჲ“ (წარტყ. 34,19: T.P., IX, 1909).

„ყოველინი კულა ანუ მოცალეებით იყენიან ანუ სუბუქთა სამსახურებელთა გინა თუ სუცენის გინა თუ დიაკონნი გინა თუ მჭამობელნი, უკუეთუ ჭაბუკნი იყენიან, ასი მუჭლი მოადრეკის“ (ცხ. სოფ. და წფთ. 34,22).

„მოცალეება და უქმობა თჳნიერ შინისა ღმრთისა ბოროტისა მოძლუარ ექმნების უცებთა და უმანკოთა“ (ქ. ღღ. 102,29).

„შენ, ჩანა, უკეთუ გეცესლა მოცალეება, ცხოვრებისა ჩემისა შემდგომად განუად სამეფო განმი ორად, და მიილე სამარხავს ჩინოსა, განმანათლებელისა ჩუენისასა, ჭამთა შეცვალებისათჳს, რათა არა შეიბრუნოს უკუნისამდე“ (ზ. შროვ. 129,13)².

ლოდასაფი მეფობას ღარაქიას გადასცემს და უდაბნოში წასვლის წინ დიდებულებს მიმართავს: ჩემი მოღვაწეობა დამისრულებია და აწი მოსვენება მინდაო: „სრბაჲ ჩემი აღმისრულებიეს და აწ მოცალეება გერ-არს ჩემდა“ (ღალავ. 159,23)³. ტქ „მოცალება“ ნიშნავს დასვენებას, მოსვენებას, როგორც ეს აღნიშნული აქვს სლ. ტბულაძეს⁴.

ყიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ „მოცალება“ სიტყვის ხმარების შემთხვევათა უდიდესი ნაწილი (დაახლოებით 90 პროცენტი) იმას ადასტურებს, რომ ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა ძველ ქართულში არის მოცლა. შაგრამ ძველ ქართულშივე ამ სიტყვას სემანტიკური გადახრით სხვა მნიშვნელობაც შეუძენია, ესაა: სიმშვიდე, მოსვენება, აუჩქარებლობა, სიდასჯე. შოგვაყავს მავალითები:

1) იფრემ წსურის ერთ-ერთი ეგზეგეტიკური თხზულების ქართულ თარგმანში გადმოცემულია ბიბლიური სიუჟეტი სოსების შესახებ: სოსები, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა მამას — საკობს, შურიანმა ძმებმა მიჰყიდეს ეგვიპტელ ვაჭარს. სოსები ძალზე მშვენიერიც იყო და გონიერიც. რაჭარმა მას მთელი მამულისა და ქონების მოვლა-პატრონობა ჩააბარა, თვითონ კი სავაჭროდ დადიოდა შორეულ ქვეყნებში. რაჭრის ცოლს მოეწონა ღამაზი სოსები და დააპირა მასთან სამიჯნურო ქსელის გაბმა, მაგრამ სოსები მტკიცე უარს უცხადებს ვნებაშლილ ქალს: ჩემმა ბატონმა, შენმა ქმარმა, მე მთელი მამული და ქონება ჩააბარა, მაგრამ შენი თავი კი არ მოუცია, შენ მას ეკუთვნი, მე ვერ ვიზამ სულის წარსაწყმედ საქმესო. სოსები მძიმე განსაცდლის წინ მოუხმობს მამას, საკობს: ილოცე ჩემთვის, ღმერთს შესთხოვე „რათა განვერე მწეცისა ამისგან, რომელსა მნებაჲს განრეყუნაჲ შეილისა შენისაჲ, რამეთუ არა აქუს მოცალეება ურცხვ-

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ზღაპრის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955.

² ქვეყ.

³ ღალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დართო სლ. ტბულაძემ, 1957.

⁴ ქვეყ. გვ. 197.



ნოსა ამას დედაკაცსა, არცადა კულად შიში ღმრთისაჲ“ (ოფრემ წსურა, ბისტოთს, 66,38)¹.

მოყვანილი ადგილიდან აშკარაა, რომ „მოცალემა“ აქ მოცლას არ ნიშნავს, რადგან თხზულებიდან ცხადად ჩანს, რომ ვაჭრის ცოლს „მოცალემა“, მოცლა დიასაც ჰქონდა, იგი მარტო იყო სახლში და გულდაგულ ცდილობდა ოსიების გადაბრებას. ხონტექსტის მისედვით აქ „მოცალემა“ უნდა ნიშნავდეს სიმშვიდეს, მოსვენებას. ოსები ამბობს: ამ ურცხვინო დედაკაცს მოსვენება არა აქვს და არც ღმრთის შიშო. შართლაც, მოსვენება და სიმშვიდე ჰქონდა დაკარგული ვაჭრის ცოლს. სამწუხაროდ, ამ თხზულების ბერძნული დედანი არ გვექონდა ხელთ, რომ გადაჭრით გვეთქვა, რა მნიშვნელობის ბერძნული სიტყვა გადმოიღო ქართველმა მთარგმნელმა „მოცალემა“ სიტყვით. ძუსული თარგმანი კი ტექსტულურად განსხვავებული აღმოჩნდა ქართულისაგან. „...чтобъ избавитесь мнѣ отъ этого звера, который хочетъ растянуть сына твоего, не имеетъ стыда в очахъ, а также и страха Божия в сердце“². ძუსული „не имеетъ стыда в очахъ“-ის ფარად ქართულში „ურცხვნოსა“ გვაქვს, ხოლო „მოცალემა“-ს შესატყვისად რუსულ თარგმანში არაფერია.

2) შიფანე ხვარელს თხზულებაში „მარგმანება და ვითის ფსალმუნებისაჲ“ ფსალმუნიდან მოჰყავს ერთი ადგილი: „სეოს იგი ვითარცა ხმ, დანერგული თანა-წარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცეს ხილი მისი ჭამსა თვისსა და ფურცელი მისი არა დასცვეს; ყოველივე რააცა ყოს, და წარემართენ მას“ (ფს. 1,3). შიფანე განმარტავს: აღამანის სულს რწყავს ღმერთი. ჩუალი კი ქრისტემ თავის მოძღვრებას უწოდა: „სომელთა გწყურისო, მოვედინ ჩემდა და სუთ“ (ოვ. 7,37). სხევე ეუბნება უფალი სამართელ დედაკაცს: „სომელი სუმიდეს წელისა ამის-გან, კულად სწყუროდისევე, ხოლო რომელმან სუას წელისა მისგან, რომელი მე მისეცე მას, არაღარა სწყუროდის უკუნისამდე“ (ოვ. 4,13). ამასვე ამბობს უფალი „საია წინასწარმეტყველის პირით: „შე ვსციე წყალი წყურთელთა და რომელნი ვლენან ურწყულსა“ (მტრ. საია 44,3); „ხოლო აწ მსგავსად ამის სახისა ნეტარი შავით, რომელი საღმრთოთა წერილთა მოცალეებით მიეწიფა ხედ დანერგულად, ნაყოფის გამოშლელიად სახელ სდვა თანა-წარსადინელსა წყალთასა...“ (155,17)³.

ზემოთ დამოწმებული ადგილიდან ჩანს, რომ შიფანეს ფსალმუნის ერთი ადგილის განსამარტავად მოჰყავს მსგავსი (პარალელური) ადგილები ახალი აღთქმიდან (ოვ. 7,33; 4,13) და ძველი აღთქმიდანაც (საია 44,3) და დასძენს: როგორც ეს ავტორები (ოვანე, საია) ამბობდნენ უფლის პირით, მათ მსგავსად ამბობს ნეტარი შავითიც, რომელიც საღმრთო წიგნებს „მოცალეებით მიეწიფა“, ე. ი. შავითი საღმრთო წიგნებს აუჩქარებლად, მშვიდად, დინჯად დაეუფლაო. სროფ. ლ. ტბულაძეს „მოცალემა“ განმარტებული აქვს დამოწმების ვარშე, როგორც მოცლა, და მის სომხურ შესატყვისად მოჰყავს *սպարիպել*⁴. ოუიქრობთ, ასეთი განმარტება საერთოდ სწო-

¹ საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა პროფ. ჯ. შინაიშვილმა, 1966.

² Творения святого отца Ефрема Сирина, ч. II, издание пятое, 1908, გვ. 39.

³ ლ. ტბულაძე, ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, გამოკლევა და ტექსტები, ძიბილსი, 1944.

⁴ ლ. ტბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 228.



რია, მაგრამ სხვაგვარი ახსნაცაა დასაშვები დასახელებული ^{პლტონისაჲნი} რადგან მოცლა, რეალურად უსაქმოდ ეოფნაა, უიფანე არ იტოვდა, რომ შავითი საღმრთო წიგნებს მოცლით (მოცლილობის დროს) დაეუფლაო.

ქართული „მოცალებით მიეწიფა“ ზუსტად გადმოსცემს სომხური ტექსტის ამ ადგილს *ყარაჲყხაქ ქაძინაჲყხს*. შართალია, სომხური *ყარაჲყქ* მოცლას ნიშნავს, მაგრამ მას სხვა მნიშვნელობაც აქვს, იგი აღნიშნავს: სიბეჯითეს, გულმოდგინებას, რაც სწორედ კონტექსტს შეეფერება. *С. Еу да ба-ში ანის განმარტებით, ყარაჲყქ (ჰმ, ყხეყა) гл. возв. Отделяться от работы, быть порожным, праздным; заниматься, упражняться, прилежать, вдаваться, пристать, пристраститься¹.*

რა გევონია, სადაო იყოს, რომ „მოცალებით მიეწიფა“ კონტექსტის მიხედვით რეალურად ნიშნავდეს: მშვიდად, დინჯად, გულმოდგინედ და ეუფლა. შაგრამ სადაო შეიძლება იყოს შემდეგი: სომხური *ყარაჲყქ* რომელი მნიშვნელობით გაიგო ქართველმა მთარგმნელმა, „მოცლის“ თუ „სიღინჯის, გულმოდგინეობის“? სქნებ მან სომხური სიტყვა მოცლის მნიშვნელობით გაიგო და გადმოიღო „მოცალება“ სიტყვით, ასე ვთქვათ, შეუსაბამობა დაუშვა თარგმანში. შიახ, ეს შეუძლებელი არაა. შაგრამ ვერც იმას გამოვრცხავთ, რომ ძველ ქართულში „მოცალებას“ მოცლასთან ერთად არ ჰქონდეს სხვა მნიშვნელობა, სემანტიკური გადახრით მიღებული: მოცალება 1) შოცლა, თავისუფალი დროის ქონება; 2) თავისუფლება, სიმშვიდე, მოსვენება; 3) უჩქარებლობა, სიბეჯითე, გულმოდგინება. ცხეთი მნიშვნელობები აქვთ ქართულ თარგმნებში ნახმარ „მოცალების“ ფარდ სიტყუებს სომხურსა და ბერძნულში და რატომ გამოვრცხვთ ეს მნიშვნელობანი ქართული „მოცალებისათვის“? უნახოთ სხვა მაგალითებიც.

3) ლორგი შონახენის „ქრონოლოგის“ ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „*სმბროსი ვიდრე-მე საზრდელისა მისისა და მალემწერლთათასა ქარტათა და სხუათა წარსაგებელთა მათთა მზრუნველ იყო, ხოლო არიგენი მღვდარებასა შინა და მოქალაქობასა კნინდა და უკორცობასა და ფრიდასა მოცალებასა საღმრთოასა წერილისა გამოძიებასა შინა გულს-მოდგინებით მოლოაწე იყო*“ (237,8) ². ქდრ. ბერძნ. ...*τοις δὲ Ἐριγίνους ἐν τα ἀγρυπνίαις καὶ πολιτείῃ υπεργαλλιστοῦ καὶ σχολῇ μαγίστῳ τὸν παρὶ τῆς Γραφῆς διαύσαντος χάριματον*...³

ქქ ლაპარაკია, რომ *სმბროსი* სურსათზე („საზრდელზე“), ქაღალდზე („ქარტაზე“) და სხვა საჭირო ნივთებზე („წარსაგებელზე“) ზრუნავდა, ხოლო *არიგენი* კი დაშე უძილობისას („მღვდარებისას“), ცოტათი საზოგადოებრივი საქმიანობისას („მოქალაქობისას“) და მიწიერი, ხორციელი ზრუნვისაგან თავისუფლებისას („უკორცობისას“) ძალიან დინჯად, წყნარად, უშფოთველად „მოცალებით“ საღმრთო წერილების განმარტებაზე („გამომძიებაზე“) გულმოდ-

¹ А. Худобашев, Армяно-русский словарь, II, 1838, Москва, гл. 329.
² ლორგი შონახენი, ქრონოლოგი, გამოსცა ს. კაუხჩიშვილმა, *Регისტр*, 1920.
³ Patrologiae... ser. Graeca..., ტ. CX, 1904, გვ. 538.



გინედ მუშაობდაო. ქართულ თარგმანში მოსალოდნელი იყო „ფრიადი მოცალებითა“, მაგრამ ბერძნული *σχιζή* *μαρτυρ*-ის გავლენით ვაქვს „ფრიადისა მოცალებასა“. შთარგმნელს *σχιζή* მიცემითი ბრუნვის ფორმად გაუგია, თუმცა მას აქ ინსტრუმენტალისის ფუნქცია აქვს. ქართული „მოცალების“ ფარდი ბერძნ. *σχιζή* „მოცლის“ გარდა ნიშნავს: სიწყენარეს, დასვენებას, აუჩქარებლობას¹. წმაფე ძირის ზედსართავი *σχιζαιος* ნიშნავს: 1) მოცლილი, გადატ. უშფოთველი, მშვიდი, 2) ჩელი, აუჩქარებელი².

4) „ხოლო ვინათგან წინადასწარ ჰხედვიდა საწინადასწარმეტყუელოა სიტყუა საღმრთოასა წერილისა გარდაქცუელად მთარგმანებლობასა და სიგლისპესა ჰუროათასა, ვითარცა პირითა წინადასწარ მოსწავებულსაათა, თქუა მათდა მიმართ, ვითარცა წინაგანმაკურვებელმა მათმან ესრეთ: *შოიცალებეთ და გულისხმაყავთ, ვითარმედ მე ვარ ღმერთი*“ (ქრონ. 149,33). *Οψιανასენელი* წინადადების ფარდად ბერძნულში ვაქვს: *Σχιζασατε και γυατε οτι εγώ ειμι ο Θεος*³. ქართული „მოცალება“ სიტყვის ფარდად ბერძნულში *σχιζαζω* ზმნაა, რომელსაც რამდენიმე (შვიდამდე) მნიშვნელობა აქვს⁴, ნიშნავს როგორც მოცლას, ასევე თავისუფლად ყოფნას, გათავისუფლებას, დაყოვნებას და ა. შ.

ზემოდასახელებული წინადადება „მოიცალებთ და გულისხმაყავთ, ვითარმედ მე ვარ ღმერთი“, ასე უნდა გავიგოთ: ჩუნარად, დინჯად იყავით და გაიგონეთ, შეისმინეთ, რომ მე ვარ ღმერთი.

5) „*Οψιვი*, პრქუა მრავალგზის, *Οψιლენტიანე*, მოცალებობას შინა მკედრობისასა კეთილმსახურთა მეფეთა მიერ წარმართებაჲ ძლევისაჲ და მორჩილად მისსა მიყვანებაჲ წინაღმდგომთა უმუნოასა ბანაკისაჲ“ (ქრონ. 296,27). „*შოიცალებობასა შინა მკედრობისასა*“ გადმოსცემს ბერძნული ტექსტის შემდეგ ადგილს: *ησχιζαζοντες τον σπαρταπενθου*⁵. *ქ* აშკარად ჩანს, რომ მოცალებობა არ უნდა ნიშნავდეს მოცლას, რადგან მის ფარდ ბერძნულ სიტყვას მოცლის მნიშვნელობა საერთოდ არა აქვს; *ησχιζαζω* ზმნა ნიშნავს: 1) *Οεταваться спокойным*; 2) *жить спокойно*; 3) *упорно продолжать*; 4) *прекращаться*; 5) *отдыхать*; 6) *молчать*; 7) *успокаивать*⁶. შაშასადაჲ, მოცალებობა აქ უნდა ნიშნავდეს: სიმშვიდეს, სიწყენარეს, მოსვენებას.

6) ჩუქუე ივითსეჲ, თუ რაჲ არს განგებაჲ იგი, რომლითა ვერ მივიწვეით მყის საწადელსა მას და მი-შვა-ვიცვალენით ცხორებისა ამისგან საჭირველისა, არამედ ცხორებაჲ ესე ქორციელადი განგრძნდა საზომით განსრულებაჲ ყოვლისაჲ, ვადრემდის გამოიქსნეს ამის აღკურისაგან და მიიწიოს კულად ცხორებისა მას მოცალებულსა და განსასუენებელსა მშვდობისა და სიხარულისასა (ქრ. ჩო-

¹ И. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, т. II, 1858, стр. 1595.
² ქვევ.
³ Patr. ser. gr. ტ. CX, 1904, გვ. 358.
⁴ И. Дворецкий, დასახ. ლექსიკ., გვ. 1594.
⁵ Patr. ser. gr. ტ. CX, 1904, გვ. 896.
⁶ И. Дворецкий, დასახ. ლექსიკონი, ტ. I, გვ. 782.



სელი, 195,7)¹. **წ** „მოცალეული ცხორება“ უნდა ნიშნავდეს მანქანულად, მშვიდ, მოსვენებულ, უშფოთველ ცხოვრებას, როგორც ეს კონტექსტიდან ჩანს: „ცხოვრებასა მას მოცალეულსა და განსასუენებელსა მშუდობისა და სიხარულისასა“. **ყ**ერძულ ტექსტში „მოცალეულის“ ფარდად გვაქვს *ἐλευθερία*², რომელიც თავისუფალს ნიშნავს. **ლ**. **წ** ბუღაძის განმარტებითაც მოცალეული არის: თავისუფალი, მარჯვე³.

ზემოთ განხილული მასალების საფუძველზე შეიძლება დაეკენათ: მოცალეება ძველ ქართულში ძირითადად მოცლას აღნიშნავს, მაგრამ ამ პირველი მნიშვნელობიდან სემანტიკური გადახრის გზით მას შეეძინა აქვს მეორეული მნიშვნელობა, ესაა: მოსვენება, სიმშვიდე — უჩქარებლობა, სიდიდრე, სიბუნებოთე, გულმოდგინება. სწორედ ამ მეორეული მნიშვნელობით უნდა იყოს პოემის პროლოგში ეს სიტყვა ნახმარი. ნაფუკვირდეთ კონტექსტს, სადაც პოეტი ჩამოთვლის იდეალური მიჯნურისათვის დამახასიათებელ ნიშნებს:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე მმართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიუფე და მოცალეობა,
წნა, გონება, დათმობა, მძლეუთა მებრძოლთა მძლეობა.

ნა ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა“.

წ ჩამოთვლილ თვისებათა უმრავლესობა წმინდა პიროვნულია, ადამიანურია და არა გარემოებით განპირობებული: სილამაზე, სიბრძნე, გულუხეობა, სიუფაწვილე, კეთილგონიერება, გამძლეობა... მიჯნურის პიროვნულ დახასიათებას იძლევა, მაგრამ სიმდიდრე და მოცლა გარემოებაზეა დამოკიდებული და არა პიროვნებაზე. **წ**მდენად, ეს ორი უკანასკნელი თვისება გარკვეულ უხერხულობას ქმნის მიჯნურის დახასიათებისას. ზამოდის, რომ მიჯნური მოცლილი უნდა იყოს, ხოლო მოუცლელ, საქმით დაკავებულ კაცს მიჯნურობა არ შესძლებია. **წ**რა, პუსთველი ამას არ იტყოდა; არც პოემის იდეალური მიჯნურები — ძინათინი და **წ**ეთანდილი არიან მოცლილები: ერთი სახელმწიფოს განაგებს, მეორე კიდევ სარდალია, ქვეყნის უშიშროებაზე მზრუნველი. **წ**ნ როგორ გავიგოთ „მდიდარი“? **წ**უ მას ჩვეულებრივი მნიშვნელობით გავიგებთ, გამოდის რომ ღარიბს მიჯნურობა არ შეუძლია. პუსთველი ამ შემთხვევაში ფეოდალური არისტოკრატიის ეთიკის გამომხატველად მოგვევლინება (წ გასაკვირიც არაა), თუმცა სხვა შემთხვევაში პოეტი თავისი დემოკრატიობითა და პუმანიზმით გეზიბლავს ჩვენ (წავისხენოთ: „შიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები, ჰენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები“ 803,2-3).

პოგორი გამართლებაც უნდა მიეცეთ „სიმდიდრის“ ხმარებას, მას ერთგვარი დისპარმონია შეაქვს მიჯნურობის კოდექსში, „მიჯნურთ ზნეობაში“. **წ**მ

¹ **ა**ძველესი რედაქციები ჭასილი ზესარიელის „ქუსთა დღეთასა“ და ზრიგოლი ნოსელის **წ**არგანებისა „**ა**იცისა აგებულებისათჳს“ X-XIII სს.-ის ხელნაწერთა მიხედვით, გამოსცა, გამოკლევა და ლექსიონი დაურთო **ლ**. **წ** ბუღაძემ, **ა**ბილისი, 1964.

² **Patr. ser. gr.**, ტ. XLIV, 1863, გვ. 204.

³ **ა**ძველესი რედაქციები ჭასილი ზესარიელის „ქუსთა დღეთასა“... გვ. 247.



საქართველოს
ხელნაწილების
სამეცნიერო ცენტრი

შეუსაბამობას ადგილი არ ექნება, თუ „სიმდიდრის“ ნაცვლად ტექსტში ბული იქნება „სიმდაბლე“, როგორც ეს ზოგიერთ ხელნაწერსა და გამოცემაშია. უ. ნგოროყვა პოემის 1953 წლის გამოცემაზე დართულ გასწორებებსა და შენიშვნებში აღნიშნავს: „სიმდიდრე“ მცდარი წაკითხვაა და გასწორდა „სიმდაბლე“ სიტუვით (ასევეა ხელნაწერებში). სამომცემლის აზრით, მცდარი წაკითხვა „სიმდიდრე“ სრულიად ცვლის მიჯნურობის კოდექსის შინაარსს. პოეტის სწავლით, „სიმდაბლე“ არის ერთი მთავარი ღირსებათაგანი პოემის გმირთა, შდრ. შესავლის „სიბრძნე, სიმდაბლე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა“... და პოსტეიანის დახასიათება: „ყო წრაბეთს პოსტეიან, მეფე ღმრთისაგან სვიანი, მაღალი, უხვე, მდაბალი“...¹

მართლაც საუბრადღებოა უნდა იყოს ნგოროყვას შენიშვნა, რომ „სიმდიდრის“ ხმარება სრულიად ცვლის მიჯნურობის კოდექსის შინაარსს. მდონდ რატომღაც მკვლევარს არ აღუნიშნავს, რომ ზემოხსენებული გასწორება მანამდე უსტ. ცხელაძემ გაატარა თავის ორივე გამოცემაში.

პოეტი ადვინდნით, პროლოგში ნახმარი „მოცალეობა“ მოცლას არ უნდა ნიშნავდეს. ამ დაშვებას ვერ გამოვიციხავს ის ფაქტი, რომ ეს სიტუვა პოემაში სხვაგან ამ მნიშვნელობით არსად დასტურდება. ცლა // მოცლა // მოცალეობა ფუძის პირიელი ფორმები პოემაში მხოლოდ პირველადი („მოცლის“) მნიშვნელობით იხმარება. მხოლოდ ერთი საეჭვო ადგილია პოემაში, სადაც „მოცალეობა“ პირველთან ერთად მეორე მნიშვნელობასაც იგუებს, ეს ადგილი პროლოგიდანაა და მიჯნურობასვე ეხება:

„ყო მოყვარე მოყვრისათვის ტირს, ტირილსა ემართლებს,
სიარული, მარტოობა პშენის, ვაჭრად დაეთვლებს;
უგონებდეს, მისგან კიდე ნურაოდეს მოეცლებდეს“ (31,1-3).

პოეტი ამბობს, რომ მიჯნურობისათვის შეუფერებელი არ არის ტირილი, მარტოობა, ველად ვაჭრა, მაგრამ სადაც უნდა იყოს იგი, საყვარელს ყოველთვის უნდა „უგონებდეს, მისგან...“ ნურაოდეს მოეცლებდეს, ე. ი. მისგან (საუვარლისაგან) ნურასდროს ექნება მოცლა, ან: ნუ ექნება მოსვენება, სიმშვიდე, ე. ი. სულ მასზე უნდა ფიქრობდეს.

პოეტი პროლოგში „მოცალეობას“ სიყმესთან ხმარობს: „სიყმე და მოცალეობა“, ე. ი. მიჯნური ახალგაზრდა უნდა იყოს და თან მშვიდი, აუჩქარებელი, დინჯი. ქნებ სიმშვიდე, აუჩქარებლობა, სიდინჯე არ შეეფერება რუსთველურ მიჯნურს? სკი გვეუბნება პოეტი: „შიჯნური შმაგსა ვეიქვიან არაბულითა ენითა, შით რომე შმაგობს მისისა ვერ-მისხედომისა წყენითა“ (22,1-2). შა თქმა უნდა, პოეტი აქ მიჯნურობის საკუთარ გაგებას არ იძლევა, არამედ საერთო გაგებას. პუსთველის პოემის მიჯნურები სიმშვიდით რიდი მიდიან. შიჯნურობისაგან ვაშმაგება და გონება-მისხილობა სპარსული სატრფიალო ხასიათის თხზულებათა პერსონაჟებს ახასიათებს, ხოლო პუსთველი მიჯნურობის საკუთარ გაგებას იძლევა: წეთანდილი, შინათინი, ჩესტანი და თვით სევეამწარებული მარტილიც კი თავდაჭერილი, აუჩქარებელი,

¹ შოთა პუსთაველი, ჴეფხისტყაოსანი, შავლე უნგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით, მბლიის, 1953, გვ. 417, სქ. 2.



დინჯი მიჯნურები არიან. ეს კარგად ჩანს ამ გმირთა მოქმედებიდანაც და სიტყვიდანაც:

1) „...ლონიერი ხაშს აროდეს არ აჩქარდეს, ძაცა სჯობდეს, მოავაროს, საწუთროსა და აუწყენარდეს“ (589,1-2). ესე არიგებს ჩესტანს და ბარიელს სასიძოს მოკვლის წინ.

2) „ხაშს თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოავოს, ტრსიწყენარე გონებისა მოიძულოს, მოიძავოს“ (215,3-1). ესე ფიქრობს გზად მიმავალი წეთანდილი უცხო მოყმესთან შეხვედრის წინ.

3) „ძქმულა: სიწყენარე გამობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“ (1344,4).

ესე ამბობს წეთანდილი, რომელმაც იჩქარა და ბარიელს მოულოდნელად ანახვა ჩესტანის მიერ გამოგზავნილი რიდის ნაჭერი. ბარიელმა ცნობა დაკარგა, წეთანდილი ტირის და ნანობს, რომ იჩქარა.

შაშასადამე, ძუსთველი თავისი საყვარელი გმირების ერთ-ერთ დადებით თვისებად თავდაჭერილობას, სიმშვიდეს, სიდინჯეს მიიჩნევს.

მუ 23-ე სტროფში „სიმდაბლეს“ წაფიქრებულად „სიმდიდრის“ ნაცვლად და „მოცალეობას“ არა ძირითადი, არამედ მფორული მნიშვნელობით ვაფიქრებთ, მიჯნურის რუსთველური დახასიათება უნაკლო, უზადო და იდეალური იქნება: მიჯნურს უნდა ახასიათებდეს: სილამაზე („მზეობა“), სიბრძნე, თავმდაბლობა („სიმდაბლე“), გულუხვობა („სიუხვე“), ახალგაზრდული ასაკი („სიყმე“) და სიმშვიდე, აუჩქარებლობა, სიდიდნე („მოცალეობა“), მჭვერ-მეტყველება („ენა“), კეთილგონიერება („გონება“), გამძლეობა („დათმობა“) და ძლევამოსილება („მძლეობა“).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება ადამიანის პიროვნული ღირსების გამომხატველია და ასეთი დადებითი თვისებებით შემკული მიჯნურის დახასიათება „სიმდიდრითა“ და „მოცლილობით“, არა გვეგონია, რამე ღირსებას კმატებდეს რუსთველურ „მიჯნურთ ზნეობას“.

P.S. შრომა დასაბუჯდად იყო გადაცემული, როცა გამოქვეყნდა ფილოლ. მეცნ. დოქტორის ლ. ნიქაშვილის საინტერესო გამოკვლევა „უფხვისტუაონის „მოცალეობა“ (წოთა ძუსთველი, საიუბილეო კრებული, საქ. მეცნ. ტკადემიის გამოცემა, 1986, გვ. 290-295), ამიტომ ვერ შევძელით მისი სათანადოდ გამოყენება და დამოწმება.

ქართული გრაფიკული აზრის სათავეებთან

(კირიშვილი ქართული გრაფიკული ტრადიციის)

IV საუკუნის 30-იან წლებში ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას ქართლში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-თან ერთად უდიდესი განმანათლებლური მნიშვნელობა ეკონდა: მან დასაბამი მისცა თეოსოპიკულ ახალ კულტურას, უბრველესად, მწიგნობრულს და მის საფუძველზე — ეროვნულ ლიტერატურას. IV—V საუკუნეთა მიჯნიდან ღიათოდ გაშლილმა მთარგმნელობითმა მუშაობამ, რომლის ნაყოფია ქართული სალიტერატურო ენის მონუმენტური ძეგლი — ბიბლიურ წიგნთა თარგმნები, თავიდანვე წარმოაჩინა ქართულ მწიგნობართა წინაშე ენის, ფონეტიკისა და გრაფიკის საკითხებში გარკვეულ ადგილებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველ ქართულ მწიგნობრობაში აშკარად დომინირებს უმეტესად ბერძნულიდან მომდინარე წათარგმნი ძეგლები, მაშინ ცხადი გახდება, თუ რა მნიშვნელობა ეკონდა ჩვენში თარგმნის პროცესს გნათმეცნიერული აზრის ჩასახვისა და განვითარებისათვის.

ლიონისე თრაკიელის ფილოსოფიური გრამატიკა, რომელმაც საერთოდ განსაზღვრული როლი შეასრულა აღრეული შუა საუკუნეების გრამატიკული აზრის განვითარებაში, არ შეიძლება უცნობი ყოფილიყო ქართული მთარგმნელობითის. მართალია, ქართულ ენაზე გრამატიკული თხზულება (წათარგმნი თუ ორიგინალური) აღრეული საუკუნეებისა არ შემორჩენილია, მაგრამ V—X საუკუნეთა ქართული წერილობითი ძეგლები (ეპიგრაფიკული თუ ხელნაწერი) გნათმეცნიერების თვალსაზრისით ისეთ სისტემურ სტრუქტურას იკავებს, რომ ძველ საქართველოში მწყობრივ გრაფიკულ ელემენტს აჩვენებს ადგილებს, სადა გვაეარაუდებინებს. არც ისაა უმნიშვნელო ფაქტი, რომ X საუკუნეში შედგენილ სასწავლო-ენციკლოპედიური ხასიათის ცნობილ

ხელნაწერში („შატბერდის კრებულში“) შესულია ფრაგმენტები ღიონისე თრაკიელის გრამატიკის კომენტარებიდან ბერძნული ანბანის შესახებ, ასევე ეპიფანე კვიპრელის შრომიდან „ზომათოს და საწყაულთა“, რომელიც ებრაულ ანბანს ეხება. ბიბლიურ, ეგზეგეტიკურ თუ შრავალთვითა ქართულ თარგმანებში დაიწყო არაერთი ცნობა ხიტყვის ახტარისა თუ კონკრეტულ გრამატიკულ ფორმებზე, რომ არაფერი ეთქვათ კირლე აღექსანდრიელის შრომის — მათეს სახარების ანელოჟთა სიტყუათა განმარტება-ლექსიკონზე, რომელიც დაუცავს მე-12 საუკუნის ხელნაწერს (A—65-ს), და ფერდინანდო მერსალის მიერ ფსალმუნთა კომენტარებიდან ამოკრებილ სახისმეტყველებით განმარტებებზე, რომლებიც ანბანზე გაწყობილი შესულია ფსალმუნის თარგმანების ტექსტზე დაბრუნებისას. მისსავე „შესავალში“ და რაც ჩვენთვის მინტერესულია ორიგინალური ქართული ლექსიკონია.

ენის, კერძოდ, გრამატიკის საკითხებით დაინტერესება იზრდება ელინოფილურ პერიოდში, განსაკუთრებით იოანე პეტრიწისა და ასრენ იყალითოელის სალიტერატურო და სამეცნიერო წიგნებში. ს. ყაუხჩიშვილიც ცხადყო, რომ პეტრიწის პროკლე დიდაქსოსის ნაშრომის („კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“) კომენტარების ბოლოსიტყუაობაში უსარგებლოა ღიონისე თრაკიელის გრამატიკით, რაც შეეხება აქინოს ერმისის თხზულებათა ანონიმ ქართულ მთარგმნელს (ტექსტი გამოსცეს ნ. კეკელიძემ და მ. რაფაეამ 1983 წ.), რომელიც პეტრიწული სკოლის წარმომადგენელია, ის მასშტაბურად წარმომადგენს ქართულ გრამატიკულ და ფონეტიკურ ტერმინებს, კერძოდ, შრომაში მსგავსობაა შემდეგ ლექსიკურ ერთეულებზე: ხიტყვა (= „წინადადება“; „მეტყველება“), იქუმა, რიბა (= „ხმანა“), ხ-

იული (=სახელი). ბერძნ. ὀνομα), მარცვლი = ბერძნ. (ილაბე). ამა (= „ბგრა“. ბერძნ. ტიკონი). დაკრეფა/ბრომა (= „ფლექსია“, ბოუება“). შეტყავე. საყრდელი (= „კეპი“). დახვანდაძევა (= „წინდადებში წერეთა „ფიქრო“) და სხვ. აღსანიშნავია, რომ ბრუნვათა სახელწოდებანი ბერძნულთან ერთად ქართული შესატყვისებითაა წარმოდგენილი. ეთოპი (კატევითი) და ოპიო (ორივე ბერძნული) სახეობა „სახელობითი“ მნიშვნელობით, გენიკი (ბერძნ.) და მათემატიკა — „მათემატიკით“ ბრუნვის მნიშვნელობით, მიხეობათი — „მეცნიერების“ ანუ ეპიტეტის მნიშვნელობით. მიუხედავად ამისა, მათათლი იყო პროფ. აუ. ფოცნიშვილი, რომელიც ფლის წინ წერდა: „ქართული გრამატიკული აზროვნების სათავეები ჭერჭერობით წუვლიდითა მოცულია. ჩვენამდე არ მოღწეულა მე-18 საუკუნემდე აღჩინდელი ანუ ერთი შრომა, რომელშიც სავანებოდ იყო გამოქვეყნებული გრამატიკის საკითხები“ (ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979, გვ. 45). ამის ფონზე გახედულ ვარაუდად აღიქმებოდა ამავე მკვლევრის სკიკეები, რომ მე-10-12 საუკუნეების საქართველოში არა თუ იცნობდნენ, არამედ მჭიდროდ კიდევ საკითხარა გრამატიკული ლიტერატურა. (იქვე).

დღეს ეს აზრი უკვე სარწმუნო ვახვა ქართულ ბიზნოში პირველი ორიგინალური ქართული გრამატიკული შრომათა („სიტყუა აართონათაჲს“) კრატული გამოცემით, რომელიც განხორციელდა სოფ. მჭეჭლა შანიძემ (მზ. შანიძე, „სიტყუა აართონათაჲს“, ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი. თბ., 1969, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა). წიგნის რედაქტორის, აკაკი შანიძის შეფასებით, ბერძნულ აბორიწე დაწერილი ეს შრომა „ჩინებელი საენათმეცნიერო თხზულებაა“. რომელიც მოწმობს, რომ ძველი მწიგნობრები იცნობდნენ ბერძნულ გრამატიკას და ამასთან ერთად ცდილობდნენ ქართული ენის ბუნებისა და გრამატიკული წესების შესწავლასაც. ამ ნაშრომის უპირველესი მნიშვნელობა ქართული ენათმეცნიერების ისტორიისათვის ის არის, რომ თუ დღემდე ქართული გრამატიკული აზრის ისტორიას მასალობრივად მე-18 საუკუნემდე ვიწყებდით. კრძოდ, ზ. შანშანისა (1737 წ.) და განსაკუთრებით ანტონ პირველი კათალიკოსის გრამატიკებით (1753, 1767 წწ.), ამ შრომის გამოცემის შემდეგ ამ ისტორიის სათავედ დღეისათვის იქნა საუკუნის უკან გადავიდა. მე-11 საუკუნისათვის. ეს პატარა ფაქტი როდია. შეიძლება ვინმემ იკითხოს, როგორ, აქამდე არ იყო ენობრივი სპეციალისტებისათვის ასეთი მნიშვნელოვანი თხზულება? პასუხისათვის საჭიროა მოკლე ექსკურსი ამ გრამატიკული

ტრაქტატის შესწავლის ისტორიიდან. მისი ანუ ტრაქტატის სიტყუა „სიტყუა აართონათაჲს“ ცნობები პირველად მზ. შანიძის აქვე გამოქვეყნებული 1959 წელს „ქართულ ხელნაწერთა აღწერა... 5. ფლექსია. 1, გვ. 365). მაგრამ ეს ცნობები ფრაგმენტული იყო და გრამატიკული თხზულების სრული ტექსტის გამოქვეყნებლობის გამო მისი შინაარსი და მნიშვნელობა სპეციალისტთა ყურადღების გარეშე დარჩა. მაგრამ შეცნეარლმა ეთიოპისტიკურებამ და სულით არისტოკრატულობამ ქრისტიან შარაშვიც შთააფრია, რომ ეს ტექსტი შესასწავლად ლინგვისტიკისათვის შეეთავაზებინა. ასე გახდა ეს ძველი შესწავლის ობიექტი პროფ. მზ. შანიძის, რომელმაც თავის მხრე მადლიერებით აღიშნა: „დღეს მინდა მადლობით გაგიხსნეთ კალაბრინი ჩიტი, რომელშიც მისთვის ჩვეული თაფლმეღობითა და დამუშრველობით მის მიერ მიქცეული მნიშვნელოვანი თხზულება შესასწავლად სხვებს დაუტოვა“. ფიქტობით, ამ ფაქტის აღნიშვნა მეცნიერულ რეცენზიაში ზედმეტო არ უნდა იყოს. რადგან მსგავსი რამ მეცნიერთა დღევანდელ ურთიერთობაში, სამწუხაროდ, იშვითობად იქცა.

შანიც რას წარმოადგენს შინაარსობრივ თხზულება „სიტყუა აართონათაჲს“, ვინ, როდის, რა მიზნით შექმნა ეს ორიგინალური ქართული ლინგვისტიკური ნაშრომი? ამისა და ბევრ სხვა კითხვზე ვრცელსა და დამაჩერებელ პასუხს კაცი იპოვებს პროფ. მზ. შანიძის სკრუპულოზურად, ნაღვლიან მეცნიერული აკრიბიით შესრულებულ მონოგრაფიულ გამოცელებაში.

ძველი ქართული გრამატიკული თხზულებისა და მასზე დაწერილი შრომის მნიშვნელობის წარმოსაჩენად წერლის შეზღუდულობის გამო იძულებული ვართ შევეხოთ მხოლოდ რამდენიმე საკითხს.

„სიტყუა აართონათაჲს“ ბოლო 80-იან წლებამდე ცნობილი იყო მხოლოდ ერთი ხელნაწერთა (S-312), რომელიც წერლის ნუსხის ან ხელით ვადუშერისა საფარის ლავანთა მთავარბისკოპოსის იოაკიმ მამყუშერელის ბრძანებით კარგავთოდ სვიმონ დიაკონს 1541 წელს. საგანგებოდ სამეცნიერო-საწავლო მიზნით შედგენილ ამ კრებულში შესულია 55 თხზულება, უმეტესად დოგმატიკური და პოლემიკური ხასიათისა, ხოლო ორი მათგანი სხვაგვარი შინაარსისა: ერთია აბუტირიძე ტბელს კალენდარულ-ისტორიოზოგიულ ტრაქტატი, ხოლო მეორე — ქორულ აღმესანდიელის მათეს სახარების ძელოვან სიტყვათა ლექსიკონი. ამ ხელნაწერის ბოლო სამ ფურცელზე (106r-108v) მოთავსებულია „სიტყუა აართონათაჲს“, მაგრამ ამ ხელნაწერიდან შეუძლებელი იყო იმის დადგენა, თუ საი-



ღან შექმნილი გადაწყვეტილების ამოცანა ეს გრამატიკული თხზულება, რომელიც ტექსტის სირთულის გამო მას ხშირი შეცდომებით ჰქონდა გადმოთქმული. ესაა, პროფ. მ. შანიძის იძულებული იყო, ტექსტი თავიდან გემოსასყმად მოეშადადებინა მხოლოდ საფარული ხელნაწერის მიხედვით. შრომაში უხად იყო დასაბუთება 1977 წელს, მაგრამ შეცდევარი გრამატიკა მასალის უკმარისობას რიგი ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხის გადაწყვეტილების და კარგა ხნით გადადო წიგნის დასრულება. მოთმინებით შეუდგა სხვა ხელნაწერთა „ჩხრეკას“, რომ მიუხედავად არა მარტო ოქროპირის იმ ჰომილის ქართული თარგმანისათვის, რომელსაც ეს ლინგვისტური შრომა უნდა მსლებოდა, როგორც ვრცელი შეისწავი სკოლა (ამას აფიქრებინებდა თვით ნაწარმოების შინაარსი). მასალის ძიებისას შეცდევარმა უსრატლება შიაკეთა პროფ. ალ. ცაგარლის „სხობების“ | ნაკვეთში დაბეჭდილ ათონის ივერთა მონასტერში დატულ ხელნაწერთა კატალოგს. რომელიც შეუდგენია ილარიონ ბერს. და რომელშიც ერთ-ერთი ხელნაწერთან დაეკავშირებით აღწერებს აღნიშვნას: უფრო მეტ მთაწმინდელი ამბობს, „ბერძნულს ზეც კეთილად მოუვაღეს ათორი და ქართულს ენაზედ არ მოვახ (ე. ი. ბერძნულ ენას კარგად უხდება არტიკლი, ხოლო ქართულს — არა)“. მ. შანიძემ ივარაუდა, რომ ეს ხელნაწერი იქნებოდა ათონის ივერთა მონასტრის წიგნსაცავის № 85 ენა (ალ. ცაგარლის აღწერლობით) ანუ № 8 ნუსხა (რ. ბლეკის აღწერლობით), რომელშიც დატული უნდა ყოფილიყო ოქროპირის ერთ-ერთი თხზულების ქართულ თარგმანში ჩართული „სიტყუა ათორითათვის“. მაგრამ თვით ეს საუბარული ხელნაწერი რეალურად მიუწოდებელი არებოდა, საბედნიეროდ, გ. პატარაის თაონობით 1981 წელს მიღებულ იქნა ათონის ივერთა მონასტრის ქართულ ხელნაწერთა მკერფილკეში, რომელთა გაცემობა შეკლუვრის ვარაუდი გააძინდა და სეკითმა მიხებამ „ნაყოფი კეთილი“ გამოიღო: ნუსხურად ნაწერ № 8 ხელნაწერში აღმოჩნდა როგორც მე-12-13 საუკუნეებში გადაწერილი გრამატიკული ტრაქტატის ტექსტი, ასევე ოქროპირის ის თხზულება, რომლის ქართულ თარგმანის დროს გამხდარა საჭირო ამ ტრაქტატის დაწერა. საჭმე ისაა, რომ ოქროპირის შრომაში საუბარია სამების წყერთა ურთიერთმიმართებაზე. ამ საკითხზე თეოლოგიური კომპონის ერთ-ერთი საბუთად გამოყენებული ყოფილა ის ფაქტი, რომ სამების წყერთა საბელები ბერძნულში სხვადასხვა არტიკლითაა განსაზღვრული, ან ზოგი არტიკლითაა განსაზღვრული, ზოგი — არა. სამების წყერთა განსხვავებული გრამატიკული ფორმით ხშირებს შევალუბლებ ამ წყერთა უთანასწორობის ხაზითადა

შემაჯადათ: თითქოს ართორიანს „ოქროპირის“ ახალ აღქმას შინა-დღერის გამოხატავს. ხოლო უართრონი „თვის“ — ძე-ღერის: აღნიშნავს, „ათორიონის მქონებელსა უფლებასა უმეტესს აქუს, ხოლო არ-მქონებელსა ათორიანსა უფლებას აქუს ღირსებას“. ჰომილის ავტორი უართრის მწველებელთა ასეთი არგუმენტს და მწვევა პოლემიკური ტონით მიმართავს მათ: „კანონი ეს სადათა მივიხებამან (= „საიდან მოგიტანა?“), შ აპოლო მწველებელი და არა-ღმრთისმეტყუელი? პავლესა განა გინა სხვა ვისკანებ? და პოვეა განცხადებული მოძღვრება, ვითარმედ ათორიონის მქონება უფლებსად აჩუენებს ღმერთის? სა-მეთუ მე ვიდრემე (= „სრულებით“). ამასა-და-მე“) ამას არა ეპოვებ, ხოლო ეპოვებ ნაცვალ-საყუთებელსა (= „საწინააღმდეგის“) საყუთრისა შენისა მახვლსა რამეთუ არა უღონო ვარ ჩუენებად — ვინათვან ათორიონისაჲ პლილოსოფომ და არა კეშმართებისა — არა უღონო ვარ ჩუენებად ისისაჲ ათორიონისაჲ კადავებელისა“ (35; ევ. 172—173). და ჰომილეტის მოპყავს ადგილები სახარებდან, სადაც მე ღმერთი ბერძნულში ართორიანად (ო თვის) არის ხაზმარი. ჩანს, განსხვავებული მნიშვნელობით ხაზმარი არტიკლიანი და უართრული ფორმების ქართულ თარგმანში ხელსტად გადმოცემა მთარგმნელს გასჭირვებია. უფრო მეტად მიუხედავად და საგანგებოდ ამის თაობაზე დაუწერია „სიტყუა ათორითათვის“, როგორც „თვის“ სიტყვის „შეისწავნა“. ჩათა ქართველი მეთვებლისათვის გაუადვილებდა პოლემიკური პასუხის აზრის გაგება თარგმანში. ვერ გაბმით უწერია გადაწყვეტილება, ხოლო „თვის“ სიტყვის შემდეგ — ორ სვეტად, ერთში ჰომილის ტექსტი, მეორეში — „შეისწავნის“.

№ 8 ხელნაწერის ორთოგრაფიული და პალეოგრაფიული ანალიზით მ. შანიძემ ცხადყო, რომ ის გადაწერილია არა მე-14—16 საუკუნეებში (ცაგარლის) ან მე-17 საუკუნეში, არამედ მე-12—13 საუკუნეთა მიხედვით და უფრო მეტრის ლიტერატურულ სკოლას უნდა ეკუთვნოდეს. მანვე დეტალურად აღწერა ეს ხელნაწერი, რომელსაც თითქმის პირველი ნახევარი აკლია და მოსალოდნელი 33 თხზულებიან 17-ლი დღეცავს (ყველა მიუყვრება იოანე ოქროპირის, თუმცა უმეტესობა სვეტიცხოველელისა, ასევე უცნობ ავტორთა). აღმოჩნდა ქართული ლიტერატურის ისტორიანთვის სხვა საყურადღებო ფაქტი: ათონის ხელნაწერში დატული ნათარგმნი თხზულებები ქართულ წყაროებში სხვაგან წყარობით ნაკლებად ან არ არის, ისინი არა ჩანან არც „მრავალთავების“ ადრეულ თარგმანებში. სწორად ამ ათონურ ხელნაწერში მე-19 თხზულებად შეტანილია ჰომილია, რომელიც რესპერსი

გ) ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხეში შეთანხმება დარღვეულია: მშკლდოსანნი და ლახუაროსანნი ურიდ არს 6,23 A; გარდამოსთხედვინ თუალნი თქუენნი ცრემლთა 9, 18 A (შდრ. გარდამოსთხედვედ თუალნი... I).

დ) შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი წარსული დროის მიმღეობით იქნება ის გადმოცემული თუ სახელით, ჩვეულებრივ მხოლობითი რიცხვის ფორმაში დგას IA ვერსიებში, მრავლობითობას მხოლოდ მეშველი ზნა გამოხატავს: ყოველნივე ურჩ არიან..., ყოველნივე განჯრწნილ არიან 6,28 I;... რომელნი დამკვდრებულ არიან უდაბნოსა, რამეთუ ყოველნი წარმართნი წინადაუცუეთელ არიან 9,26 I.

იშვითად სახელით გადმოცემული სახელადი ნაწილიც შეიძლება მრ. რიცხვის ფორმით შეგვხედეს: შვილნი უგუენურნი არიან და არა გოციერნი 4,22 IA.

სახელადი ნაწილისა და მეშველი ზნის რიცხეში შეთანხმება საშუალ ქართულში იკაფავს გზას. ამას ადასტურებს G-ს ჩვენება:

იგინი არა არიან ღმერთნი 2,11 W (იგინი არა არიან ღმერთ IA); გლახაკნი არიან... 5,4 W (გლახაკ არიან IA); ბრძენნი ვართ ჩუენ 8,8 W (ბრძენ ვართ ჩუენ IA) და ა. შ.

ზ. ზმნის სამპირიანობა III სერიის მწკრივში. ცნობილია, რომ ზნა შეიძლება სამპირიანი იყოს ნაოლოდ I—II სერიაში, III სერიაში იგი ორპირიანი ხდება, რადგან ირიბი დამატება უბრალო დამატებად იქცევა: ამდენად ზმნას III სერიის ფორმაში არ შეიძლება ირ. დამატება შეეწყოს. ჩვენს ძეგლებში დასტურდება ორი მაგალითი, სადაც ამ წესის საწინააღმდეგო ვითარებაა წარმოდგენილი: ა) მივსცე ყოველი ესე ქუეყანაჲ ჯელსა ნაბუქოდონოსორ მეფისა ბაბილონისა, მონისა ჩემისასა; და მვეცნიცა ველისანი საქმედ მიმიცემიან მას 27,6I;

ბ) ...რამეთუ უქმოდინა ნაბუქოდონოსორ მეფესა ბაბილონისსა და ჰმონ მას, და მვეცნიცა ველისანი მიმიცემიან მას 28,14 IA.

ძველი ქართულის საერთო ვითარების მიხედვით უნდა ყოფილიყო არა „მიმიცემიან მას“ (მე იგინი), არამედ: მიმიცემიან მისა (მისდა) მე იგინი. ჩანს, ზმნას ირ. დამატება შემჩრჩენია III სერიის ფორმაში. მსგავსი მაგალითები იშვითა ძველი ქართულისათვის². ფიქრობენ, რომ ძველ ქართულში ყოფილა ცლა,

¹ მსგავსი მაგალითები იხ. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957 გვ. 477.

² ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის; სინური მრავალთავი 864 წლისა. ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, 1959, გვ. 319.



III სერიის ფორმები გათანაბრებულა I—II სერიებს ირით დასტურდა მისი ხატვის მიხედვით. „პროცესი დაწყებულია, მაგრამ ვერ განვითარდა“.

4. **სამპირიანი ზმნის ერთპირიანად ქცევა.** არის შემთხვევები, რომ ზოგიერთი სამპირიანი გარდამავალი ზმნა კარგავს ორივე ობიექტს და ერთპირიანი ხდება. ამ დროს ზმნის ფორმას ცვლილება არ მოუდის, ფორმით ზმნა სამპირიანიადვე რჩება, მაგრამ რეალურად მხოლოდ ერთი პირის გავებას შეიცავს. მაგ., ა) შეახო მახლმან ვიდრე სულად მათდამდე 4,10 W. „შეახო“ ანიანი საარვისო ქცევის ფორმით სამპირიანია (შეახო მან მას იგი), მაგრამ დასახელებულ მაგალითში ერთპირიანია რეალურად და შინაარსით უღრის: მიახლოებულ იქნა; შდრ. ...რქაძო რქაძავს წივს რქს ქაჯრქს ჰბნძ; ... სასახეზეს ათერ ძინას კანაქრს ზოგას; მეჩ დოჰოდოტ დო დუში...

ბ) მოქცევა/მიქცევა: ეს ზმნა ანიანი საარვისო ქცევის ფორმით წარმოშობით სამპირიანი უნდა იყოს: მოხაქცია მან (მას) იგი², მაგრამ ჩვეულებრივ იგი სუბიექტსა და პირად. ობიექტს შეიცავს (მიაქციის წყალი ქარისა მობერვამან 18,14 G), ხოლო ზოგჯერ პირად. ობიექტსაც კარგავს და ერთპირიანი ხდება: „მოაქციე ჩემდამო“ 3,1 W, რაც ნიშნავს: ჩემთან დაბრუნდი, „მოიქცე ჩემდავე“ IA.

აღსანიშნავია, რომ „მოქცევა“ ზმნას ერთი პირის გავება აქვს G-ში, ხოლო IA-ში შინაარს (ერთპირიანობას) ფორმაც შეესაბამება (ინიანი ვნე-ბითია):

ვარქუ: ...ჩემდა მოაქციე, და არა მოაქცია 3,7 W (ვთქუ: ...მოიქცე ჩემდავე, და არა მოიქცა I); მოაქციონ მათ შენდა, და შენ არა მიაქციო მათდამი 15, 19 G W (მოიქცენ ივინი შენდა და შენ არა მოიქცე მათა I), მოაქცია ყოველმან ერმან 41,14 W (უკმოიქცა ყოველი ერი I).

5. **„სინტაქსური ახიშილაცია“.** ზოგჯერ მთავარი წინადადების მისამართი სიტყვის (ქვემდებარის, დამატების) ბრუნვას ამავე წინადადების შესასმენელი კი არ განსაზღვრავს, არამედ იგი ბრუნვაში შეთანხმებულია დამოკიდებული წინადადების მიმართებით ნაცვალსახელთან (წვერ-კავშირთან): ა) ლმერთთა რომელთა ცაჲ და ქუეყანაჲ არა შექმნეს, წარწყმდედ ივინი ქუეყანისაგან 10,11 I;

ბ) ნათესავმან რომელმან შეყოს ქედი თვისი უღელსა ქუეშე შეფისა ბაბილონისასა და უქმნეს მას, დაუტევო იგი ქუეყანასა ზედა 27,11 I;

გ) წიგნსა მავას რომელსა იკითხავ ყურთა ერისათა, მოიღე კელითა შენითა 36,14 IA; დ) ყოველთა რომელთა ტყუენონ იგი (-A), ვანძლენ 50,10 IA.

მსგავსი მაგალითები ძველ ქართულში ფართოდ გავრცელებული არაა, მაგრამ არც იშვიათია³. ასეთი სინტაქსური მოვლენა მიჩნეულია ძველი ვითა-

¹ დ. გუჭაძე, სამპირიან ზმნათა III სერიის ფორმების შესახებ ძველ ქართულში: ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. XVII, 1957, გვ. 471.

² ი. იმნაიშვილი, სამი სინური ხელნაწერი და მათი ენა: ქართული ენის ისტორიული გრესტომათია, II, 1963, გვ. 186.

³ შ. ძიძიგური, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის, 1959, გვ. 372; ც. ქუციციძე, ქართული ვერსიები აპოკრიფების მოციქულთა შესახებ, 1959, გვ. 176.



რების ამსახველად, როცა მიმართებითი ნაცვალსახელი ერთსა და იმავედ, დროს მისამართ სიტყვასაც უნდა ჰქუთვნებოდა და დამოკიდებული წინადადებების შემასმენელსაც, და მიმართებითი ნაცვალსახელი წარმოადგენდა მისამართი სიტყვის ატრიბუტს¹. თვითონ მოვლენას იწვევს მთავარი წინადადების შუაში დამოკიდებული წინადადების ჩართვა, რის შედეგადაც მისამართი სიტყვა „ორიენტაციას“ კარგავს თავის შემასმენელზე და უახლოეს მიმართებითი ნაცვალსახელს უთანხმდება ბრუნვაში².

6. მიმღეობის მიერ პირად. ობიექტის მართვა ბრუნვაში. აღსანიშნავია, რომ (ჩ რედაქციაში მოქმედებითი გვარის მიმღეობა ზმნის პირიანი ფორმის ძალას იჩენს და პირად. ობიექტს მიც. ბრუნვაში აყენებს; მაგ., მიეც მათ ქუეყანაჲ ესე..., მაღინებელი თაფლსა და სძესა 32,22 W. წესით კი მოქმედებითი გვარის ზმნის ამავე გვარის მიმღეობად გადაყვანისას პირად. დამატება ნათ. ბრუნვაში დასმულ უბრალო დამატებად იქცევა. ამდენად, ამ წესის მიხედვით W-ში უნდა ყოფილიყო: ...მაღინებელი თაფლისა და სძისა (გამომცემელი სძისა და თაფლისაჲ IA).

მსგავსი მაგალითები W-ში არც თუ იშვიათია:

ა) შევიშინოთ უფლისაგან ღმრთისა ჩუენისა, მომცემელისა ჩუენდა წუჴმასა მსთუასა... 5,24 W (...ომელმან მოგუტა ჩუენ წუჴმად მსთუაჲ³...I); *Φεινήμθεν θη Κύριον τόν Θεον ήμιν, τόν δεόντα ήμιν νατόν πρῶτον; ...არ თაჲ ძნე განძრე ვკანოჩა.*

ბ) ვეფუცე მამათა თქუენტა მიცემად მათდა ქუეყანაჲ, მაღინებელი სძესა და თაფლსა 11,5 W (...ომელსა გამოსდის სძე და თაფლი I); ...*მათა τοίς πατράσις ήμιν, τειν δεόνται αυτοις γην ρέουσαν γάλα και μέλι; ...არ ვიქე ვმეცე კ ვკანჩა.*

გ) ცხოველ არს უფალი, ამომყვანებელი და მომყვანებელი თესლსა სახლისა ისრაილისა 23,8 GW (...ომელმან აღმოიყვანა და მოიყვანა ნათესავი სახლისა ისრაელისა I); ...*მე სთჲყაყე πῶν το σπέρμα Ἰσραήλ; ...არ სნან ვამწაჲს ვადაჲ კარაჲსიქ.*

დ) არა დაიმალოს შენგან არარაჲ, მყოფელისა წყალობასა ათასეულთამდე 32,17—18 W (...რავეჲ ჰყვი წყალობაჲ მი-ათასამდე ნათესავად I); ...*თუ მუ ἄποκαρπῆ ἄπο σεν ὀμῆν, ποιῶν ἔλεος εἰς χιλιῶδες; ...არ θამქეჩე ἴ ελῆσ ἁνῆსა ვივირმოქიან ἴ ჩაყარ ვარ.*

ე) მღდელთა ლევიტელთა არა მოაკლდეს მამაკაცი პირისაგან ჩემისა..., მკუმეველი საკუმეველისაჲ და მყოფელი საკუმეველთსა ყოველთა დღეთა 33,18 W (...მყოფელი საკუმეველთსა ყოველთა დღეთა I); *Και ἐκ τῶν ἱερῶν, και λευτῶν ὄνα ἔπιλειψει ἀνῆρ ἑνώπιον μου πρὸσθερῶν θλοαυταμα, ...και ποιῶν πρὸσθερῶν τῶν ἱμερῶν; ἡσῆλ ἡσῆ, ἡ არῆანῆლ ἱთანῆს ვამწაჲს ἁთარა.*

¹ კ. დონდუა, მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში: ენმეის მოამბე, V—VI, 1940. გვ. 335—336.

² ფ. ერთელიშვილი, ჰიპოტაქსის საკითხები ქართულში (საკანდიდატო დისერტაცია), 1953, გვ. 34.

³ ადგილის გეონომიის მიხედვით ზემოდასახელებულ წინადადებათა მხოლოდ მეორე ნაწილის ფარდი წაკითხვები მოგვყავს IA ვერსიებისა და ზოგჯერ ბერძნულ-სომხური წყაროებისად.



ვ) არა არს მეტყუელი და ტყვეებასა ობოლისა შენისასამ¹ (არა არს, რომელმანმცა თქუა დატყვეება ობოლთა შენთაჲთა IA); ...² ხეჲთაი სპილესითაი; ზრფათი თუ; ქიქ ძნაჲ იყრეთჲ გიამ ქქ ღყყყ.

შემოდისახელბულ მაგალითებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ:

ა) მიმღობური კონსტრუქცია, რომელშიც ობიექტი მოსალოდნელი ნათესაობითის ნაცვლად მიცემით ბრუნვაში დგას, „რომელ“ საკავშირებელი სიტყვის შემცველი დამოკიდებული წინადადების შეკუმშული სახეა. ასეთი მიმღობური კონსტრუქციის მაგალითები მხოლოდ G-შია და არა IA-ში. ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან მიმღობის მიერ ობიექტის მართვა მიც. ბრუნვაში ნიშანდობლივი ჩანს პეტროწონული სკოლის სქოლასტიკური ენისათვის¹, და G ვერსიასაც ხომ ასეთივე სქოლასტიკური სტილი ახასიათებს.

ბ) არის თუ არა ასეთი მიმღობური კონსტრუქცია ბუნებრივი ქართული? არა, არ უნდა იყოს. ძველმა ქართულმა (V—X საკ.) ნაკლებად იცის ისეთი მიმღობური კონსტრუქცია, სადაც ობიექტი მიცემითი ბრუნვის ფორმაშია დასმული², ამიტომ დასაჯერებელი არაა ის აზრსა, რომ, თითქოს, შემოდისახელბული ტიპის მაგალითები „ძველი ქართული ენის საერთო თვისებაა“³. ეს მოვლენა მხოლოდ პეტრიწონული სტილით დაწერულ ძველებს ახასიათებს და ამდენად XI საუკუნეზე ადრინდელ ტექსტებში იშვიათად არის მოსალოდნელი⁴. დასახელებული მაგალითების ბერძნულ-სომხური წყაროების სათანადო ადგილებთან შედარება გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში სომხური ენის გავლენა ვამორიციხულია, რადგან ქართული მიმღობური ფორმის ფარდად იქ ზმნის პირიანი ფორმა გვაქვს უმეტესად (მაგ., ა, ბ, გ, დ.). ბერძნულში ვითარება ქართულის მსგავსიც არის და განსხვავებულიც. მსგავსება იმ მხრზე, რომ ორივეში მიმღობის ფორმებია ანხმარი (გამონაკლისია ბერძნულში გ მაგალითი), მაგრამ სხვაობაა მიმღობის ბრუნვის ფორმებში. თანაც პირდ. ობიექტი ბერძნულში ბრალობით ბრუნვაში დგას, ქართულში კი—მიცემითში. ჩანს, მთარგმნელს თუ შემჯერებელს ანგარიში გაუწევია იმ გარემოებისათვის, რომ პირდ. ობიექტი ბერძნულში ბრალობითში იდგა, და თარგმანის ბერძნულ წყაროსთან დაახლოების მიზნით ცდილა, ბრალობით ბრუნვაში დასმული პირდ. ობიექტის ფარდი სახელი—უბრალო ობიექტი—გადმოეცა არა ნათესაობითის, არამედ პირდ. ობიექტის ბრუნვის (ამ შემთხვევაში, მიცემითის) ფორმით. ამდენად, მიმღობისათან მიც. ბრუნვაში დასმული სახელი G-ში უბრალო ობიექტის შინაარსს კი არ გამოხატავს (მადინებელი თაფლისა და

¹ კ. კ. კ. ლ. ი. ძე, შენიშვნები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ქართული თარგმანი გიორგი ანატოლის ბრონოვარაფისა, ეტიუდები..., ტ. 1, 1956, გვ. 255—253.

² დ. ჩხუბიანი შვილი, ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის მონაცვლეობისათვის ძველ ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, 1961, გვ. 192—195.

³ ს. ვნუქაშვილი, პეტრე იბერელის (ფსევდო-დიონისე არეოპაგელის) შრომები, 1961, გვ. 114.

⁴ ასეთი მიმღობური კონსტრუქცია სრულებით არაა ნახმარი ორიგინალურ ძველებში: შუშანიის, ვესტათი მცხეთელის, აბოს წამებებში. ხოლო გიორგი მთაწმიდლის ენაში შენიშნული მიმღობური კონსტრუქციის მაგალითები (იხ. ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა: გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, 1946, გვ. 79), შესაძლებელია, ბერძნულის გავლენას არ გამოცოცხავდნენ.



სძისა), არამედ პირდ. ობიექტისას, და „მადინებელი თაფლსა და სტეფანა დაახლოებით ამას აღნიშნავს: რომელიც ადინებს თაფლსა და სძესა.

7. **სინტაქსური კონტაქსიზაცია.** ცნობილია, რომ ქართულში თანდებულ-დართული სახელი, რომელიც წინადადებაში უბრალო დამატების ფუნქციითაა ნახმარი, ზმნაში მორფოლოგიური ნიშნით არაა წარმოდგენილი. ეს წესი, რომელიც საერთოდ უგამონაკლისოა, G-ში დარღვეული ჩანს. მხედველობაში გვაქვს ამ ტიპის მაგალითები: „ნუ ლოცვანი და ჯორცი წმიდაა მოგისპობენ შენგან ბოროტთა შენთა“ 11,15 W, „მოგისპობენ“ ზმნაში გ პრეფიქსი II ირიბ ობიექტურ პირს აღნიშნავს, ამიტომ ბუნებრივი ქართულით უნდა იყოს არა „მოგისპობენ შენგან“, არამედ „მოგისპობენ შენ“. თუ თანდებულიან („შენგან“) ფორმის დავტოვებთ, მაშინ ზმნა ხელს აიღებს მის მორფოლოგიურად გამოხატვაზე და იქნება: „მოსპობენ შენგან“. როგორ უნდა ავხსნათ ეს ფაქტი? რადგან „მოგისპობენ შენგან“ ტიპის წყობა ქართულისათვის ბუნებრივი არ არის, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ საქმე გვაქონდეს ტექსტის რედაქციული გადაშუშავების შედეგად წარმოქმნილ ფაქტთან. ალბათ, თავდაპირველად თარგმანში იყო „მოგისპობენ შენ“, მაგრამ ტექსტის ელი-ნოფილმა შემჯერებელმა ბერძნული წყაროს კვალობაზე თანდებულისი ფორმა („შენგან“) იხმარა, მაგრამ ის კი გამორჩა მხედველობიდან, რომ უცვლელად დატოვებული ზმნა „მოგისპობენ“ ანგარიშს უწყევდა „შენ“ ფორმის და არა „შენგანს“-ს. ამ ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ ასეთი ფაქტი მხოლოდ G-ში ვლინდება და არა IA-ში.

ა) ნუ ლოცვანი და ჯორცი წმიდაა მოგისპობენ შენგან ბოროტთა შენთა 11,15 W (აღნათქუემთა¹ და ნუ ჯორცთა წმიდათა განგყარნენ შენ უკეთურებანი შენნი A); ...μη εσχαι και χρεα χυα αφελισου απθ σον τδ κακιας σθ.

ბ) მართალ ხარ შენ, უფალო, რამეთუ მე მივიგო შენდამი 12,1 W (...მე მივიგო შენ IA); Δίκαιος εἶ, κύριε, ἔτι ἀπολαύσειμαι πρὸς σέ;

გ) მომითხოვდა იგი ჩემდამო ყოველთა ამით სიტყუათა 36,18 W (მითხოვდა მე იგი ყოველთა ამით სიტყუათა I); ...ἀνήγειλέ μοι: Ἱερεμίας πόνταξ τῶς λόγους τούτους;

უკანასკნელი მაგალითის ჩვენებს ეკვი შეიქვს ზემოაღნიშნულ ვარაუდში, რადგან W-ს თანდებულისი ფორმის („ჩემდამო“) ფარდად ბერძნულ ტექსტში I პირის ნაცვალსახელია მიც. ბრუნვაში (μοι) ნახმარი თანდებულის გარეშე. ექვს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ ზმნაში პირის ნიშნით წარმოდგენილი თანდებულისი ფორმა ქართული ორიგინალური ძეგლებსთვისაც არ უნდა იყოს სავსებით უცნობი. მაგ., „აბოს წამებაში“ ვკითხულობთ: „სადალა შემიწყნარა შე ქრისტემან და განმეაშორა ჩემგან ბნელი იგი პირველისა მის შემცრებისა ჩემისადა, ...არასადა უვარ-ვყო მე სახელი მისი“. 63,1 (ს. ყუბ., ძვ. ქარ. ლიტ. ქრ., I, 1946).

თუ ვიფიქრებთ, რომ W-ს ზემოდასახელებულ მაგალითებში ბერძნული წყაროს უშუალო გავლენა არ უნდა ჩანდეს, მაშინ შესაძლებელია, ეს გამოვლენილი ფაქტი პირობითად კვალიფიციურებულ იქნეს, როგორც „სინტაქსური

¹ აღნათქუემთა A.



კონტამინაცია“: მოგისპობენ შენგან ← მოგისპობენ შენ + მოსპობენ შენგან; თანაც, დასახელებული მაგალითები საინტერესო იქნებოდა პირმიმართი და უბრალო დამატებათა ადრეული ვითარების გასათვალისწინებლად. მაგრამ მასალათა სიმცირის გამო ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად არ მიგვაჩნია.

ძველი ქართული ენის
კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 2/III-64)

К. ДАНЕЛИЯ

НЕКОТОРЫЕ СИНТАКСИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ ВЕРСИЙ ПРОРОЧЕСТВА ИЕРЕМИИ

Резюме

При изучении трех древнегрузинских версий (Иерусалимской, Ошской, Гелатской) пророчества Иеремии выяснились некоторые синтаксические особенности.

В статье рассмотрены следующие вопросы: 1. согласование имен в склонении и числе; 2. согласование сказуемого с подлежащим в числе; 3. трехличность глагола в третьей серии; 4. превращение трехличного глагола в одноличный; 5. управление причастием прямого объекта в надежде; 6. „синтаксическая ассимиляция“; 7. „синтаксическая контаминация“.

При толковании вышеназванных вопросов широко используются соответствующие данные греческих и армянских источников.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი გეგმის გაგებინათვის

რუსთაველის პოეტური ვნისათვის მეტად ნიშანდობლივია მეტაფორული მეტყველება. როგორც აღნიშნავენ, „ვეფხისტყაოსნის“ სტილი ერთგვარად მეტაფორული სტილია. მეტაფორის, ამ თავისებური „შენიღბული“ შედარების, სწორი გააზრება ყოველთვის ადვილი როდია. ამ მხრივ დიდ დაზარალებებს აწუღებდათ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, რომლებსაც უხდებოდათ პოემის ტექსტის რთული მხატვრული სახეების დაყვანა მოსწავლეთა ცნობიერებაში. ალბათ, ბევრი მასწავლებელი და რუსთაველოლოგიც ჩაუფიქრებდა პოემის ერთ ადგილს, რომელზეც გვინდა საგანგებოდ შევჩერდეთ: ავთანდილმა სასოწარკვეთელ ტარიელს ნესტანის პოვნის ამბავი მიუტანა, თან ნესტანისაგან გაგზავნილი წერილი და „ქედე რიღისა“ უჩვენა. მოულოდნელო სიხარულითაგან ტარიელმა გრძნობა დაკარგა. ამ ამბით შეწუხებულმა ავთანდილმა „შველად მიმართა“, მაგრამ

„ვერა, ვერ არგო დამწერასა, სრულად ცეცხლნადებარებას“ და
„ავთანდილ დაქდა ტირილად, ტირს ხმითა შევწერიითა,
უორანსა გაგვლევს ხშირ-ხშირად, აფრთხოვს ბროლისა ჭერითა“ (1841, 1-2).¹

ამ 1341-ე სტროფის ტაევი მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ამ ერთ ტაეპს თავისი ისტორია აქვს.

პროფ. ალ. ბარამიძე ზემოთხსენებულ ადგილს ასეთ განმარტებას აძლევს. „უორანი თმბა (შავი თმა), ბროლის ჭერი — ხელი თითებით. ტაეპის შინაარსი ასეთია: ავთანდილი მწერედ, ხმამალა მოთქმით ტირილად, ახელეების თითებით: ხშირ-ხშირად იგლევდა თმას და (ბლუქებს იქით-აქეთ) ყრიდა“.²

პროფ. დ. კობიძე ალ. ბარამიძის „ნარკვევების“ III ტომის რეცენზიაში, აღნიშნავს, რომ იგი ადრე შეგხო პოემის ამ ადგილს. მისი აზრით, ამ ტაეპში „უორანი თმბა, ბროლის ჭერი — თითები“.³

ცნობილმა რუსთაველოლოგმა ალ. სარაჯიშვილმა ამ ტაეპის შემცველი სტროფი ყალბად გამოაცხადა, ოღონდ მასში შემავალი მეტაფორები საცხებოთ ისე გახსნა, როგორც ეს მომდევნო დროის მკვლევარებმა გააკეთეს. ალ. სარაჯიშვილის აზრით, „უორანი“ შავი თმბა არის და „ბროლი“ თეთრი ხელები და, მაშასადამე, ლექსი იმას გვაძენობს, რომ ავთანდილი თმას იგლევდა და იშლიდაო“.⁴

ვ. ნოზაძე არსებითად იმეორებს ამ ტაეპის ცნობილ განმარტებებს მხოლოდ იმ ვინსხვაებით, რომ „ჭერი“ მას საწყისად აქვს გაგებულ: „უორანს გაგვლევს, ანუ: შავ თმებს ხშირ-ხშირად იგლევას: აფრთხოვს ბროლისა ჭერითა, ანუ: თმის ხელის დაჭერით, თმბაზე ხელის ტაეპით“.⁵

ბ. ტვინიძე სადავოდ არ თვლის, რომ „უორანი“ შავი თმბა, მაგრამ იგი სრულიად განს-

¹ სტროფული ნომერაცია მოყვანილია გამოცემიდან: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1957.

² ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, 1952, გვ. 183.

³ ქურნ. მნათობი, 1952, № 10, გვ. 154.

⁴ დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობიდან, ლიტერატურული ძიებანი, III, 1952, გვ. 189.

⁵ ალ. სარაჯიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები. ქურნ. მოამბე, № VII, 1900, გვ. 114.

⁶ ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება. ბუენოს-აირესი, 1958, გვ. 164. მისივე ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება, სანტ-იაგო დე ჩილე, 1957, გვ. 228.



ხვედრული აზრისა ამ წყვილზე: „ბროლისა კერიოთა“. მკვლევარის აზრით, ეს წყვილი უპასუხებს არა „რით“, არამედ „სითვან“ კითხვაზე, ე. ი. ბროლის კერიოთა — ბროლის კერიოთვან ან ახ. „ბროლის კერიდან“, ე. ი. ავთანდილი ყოვანს აფრთხობს ვარაუდებით რაც ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა, არამედ კერიდან. „ბროლის კერი აქ ხელი კი არაა თითებით, არამედ თავის ზემო ნაწილი შუბლითურთ (შეიძლება ადამიანის თავის ზემო ნაწილს „კერი“ ეუწოდოთ, რადგან იგი არის ადამიანის სხეულის დასრულება, მისი სარქველი, ანუ კერი)“⁷

როგორც მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ყველა მკვლევარი ერთნაირი აზრისაა, რომ „ყორანი“ შავი თმაა. მაგრამ აზრთა სხვაობას იწვევს „ბროლის კერი“, რომელიც მიჩნეულია ხან თითებად, ხან ზელებად, ხან კიდევ „თავის ზემო ნაწილად შუბლითურთ“. ამ ტაეპის დღემდე არსებულ ყველა განმარტებას ახლავს გარკვეული დაბრკოლებანი. იმალება კითხვები: „ბროლი“ შეიძლება (და ასეც არის პოემაში) აღნიშნავდეს თითებს ან ზელს (სითეთრე-სიფაქიზის მიმხვავსებით), მაგრამ რაღაა „ბროლის კერიოთა“? თუ „კერიოთა“ არსებით სახელს (კერი, კერმა...) დაუკუჟამირეთ, რას უნდა ნიშნავდეს „ბროლის“? თუ „ბროლის კერი“ არის „თავის ზემო ნაწილი შუბლითურთ“ და დავსვით კ. კიკინაძის მიერ სწორად მიჩნეულ კითხვას „სითვან“, მივიღებთ: ავთანდილი თმებს (ყოვანს) აფრთხობს „თავის ზემო ნაწილიდან შუბლითურთ“. შეიძლება კი თავის ზემო ნაწილი, ე. ი. კერი, ბროლის ან ბროლისფერი იყოს? ხოლო თუ „ბროლი“ შუბლია, აზრი უფრო გაუგებარი რჩება. კ. კიკინაძე, რომელიც სიტყვათა ფორმებს განსაკუთრებულ ანგარიშს უწევს, ამ შემთხვევაში წინააღმდეგობას უშვებს, როცა ნათესაობით ბრუნვაში დასმულ მსახდერულს („ბროლის“) თანდებულდართულ ფორმად აზრთანებს („შუბლითურთ“). თუ „ბროლს“ შუბლად გავიგებდით, მაშინ კანონზომიერი იქნებოდა „ბროლის კერი“ შუბლის ზემო ნაწილად მიგვეჩინა. თუმცა მეტაფორას შინაარსი ნათელი მაინც არაა და ეს იმიტომ, რომ ტაეპი შილანად, ჩვენი ვარაუდით, არასწორადაა გააზრებული.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სადავო ტაეპში ხელებით თმის გლეჯა სრულებით არ უნდა იყოს გამოხატული. თუნდაც ასეთი რამ ბუნებრივი იყოს ავთანდილისათვის, მოცემულ სიტუაციაში სიტყვათა ფორმები, წყობა არ ამართლებს მას. აღნიშნულ ტაეპის სწორად გაგებასათვის საჭიროა ანგარიში გავწიოს ერთ თავისებურებას, რომელსაც რუსთაველი იქნის მხატვრულ სახის გამოყვეთისას: მწერალი ცდილობს გარკვეულ მინიშნებებით სინათლე შეიტანოს პოეტური სახის გამოყვეთაში. ეს ისეთი მინიშნებებია, რომელთაც „გასაღების“ როლის შესრულება შეუძლიათ მხატვრული სახის გახსნისას.

რუსთაველისათვის არ არის უცხო ერთი შინაარსის სხვადასხვა ფორმით გამოხატვა. შინაარსის გაძლიერებულად გამოხატვის მიზნით მწერალი მიმართავს მრავალ ზერხს, მათ შორის თავისებურად აგებულ სინონიმურ წყვილებს. სინონიმები არსებითად პირდაპირი მნიშვნელობით ვადმოსცემენ გამოსახატვ შინაარსს, მაგრამ ზოგჯერ რუსთაველს სჩვევია ასეთი რამ: პირდაპირი ფორმით გამოხატულ აზრს იქვე იმეორებს, მაგრამ იმეორებს მხატვრულ სახეებში:

„წავიდა მონა საუბრად მის ყმისად გუ ლ მ დ უ ლ ა რ ი ს ა დ,
თავ-ჩამოვდებით მ ტ ი რ ლ ი ს ა, არ კვრეტით მოლოზარისად,
მუნე წვიმს წვიმა ბ რ ო ლ ი ს ა, ჰვია გიჟრისა ღარილად“ (86).

აქ პირველ ორ ტაეპში პირდაპირ, „შეუნიღავედაა“ ვადმოცემული „გულ-მდღარედ“ და „თავ-ჩამოვდებით“ ტირილი, მაგრამ ეგვეე შინაარსი მესამე ტაეპში მხატვრული სახეებითაა გამოხატული: „მუნე წვიმს წვიმა ბ რ ო ლ ი ს ა... როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსთაველი თვითონ იძლევა „გასაღებს“ მეტაფორის გასახსნელად: რადგან გულდღარედ ტირილზეა ლპარაკი, მგითხველს წუთითაც არ სჭირდება დაფიქრება, რომ „ბროლის წვიმა“ ცრემლების ღრავდ გაივოს. აი ისეთი ვითარება უნდა გვექონდეს ჩვენ ზემოდასახელებულ სადავო ტაეპში. 1341-ე სტროფის პირველი ხანა პირდაპირი ფორმით გამოხატავს ტირილის სურათს: „ავთანდილ დაჟდა ტ ი რ ი ლ ა დ, ტ ი რ ს ზმითა შეენიერთა“, ხოლო მეორე ხანა იმავე აზრის მეტაფორული გამოხატვა უნდა იყოს. ამდენად ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ყოვანსა გაგლეჯეს ზმირ-ზმირად, აფრთხობს ბროლისა კერიოთა“ ხელებით თმის წეწვა-გლეჯას კი არ უნდა გამოხატავდეს, არამედ ტირილის პოეტურ სურათს. განვიხილოთ ამ ტაეპის კომპონენტები:

⁷ კ. კიკინაძე, „ეფესხისტყაოსნის“ ორი ადგილის გაგებისათვის, მნათობი, 1953, № 4, გვ. 114—115.



1. ყო რ ა ნ ს გ ა ჰ ლ ე ყ ს... ყო რ ა ნ ი პოემაში სიშავის გამოსახატვად და გამოყენებული (მე-
 ვი მართ ვითა ყო რ ა ნ ი). პოეტი მას (ყორანს) თანაბრად იყენებს როგორც თმის, ასევე წა მ-
 წამების მხატვრულად გამოსახვისათვის. რუსთაველი თმის თუ წამწამთა სიშავის გამოხატვას
 ხატვად ხან პირდაპირ „ყორანს“ იყენებს („მას ესეა... ქალი ყო რ ა ნ-თმანი“, 1583,4) ხან
 „ყორანის ბოლოს“, „ყორანის ფრთას“...

„მე ვიცი, ჩემსა ხელ-მეწმუნელსა თმად ყო რ ა ნ ს ბოლო სთმობია“ (965,3);

„ჰკიდავს ბროლსა ყო რ ა ნ ა ს ბოლო დაწყობილი, დანათხზნი“ (1493,3).

აქ „ყორანის ბოლო“ შავი თმაა. მგრამ ეგვეე „ყორანის ბოლო“ გამოხატავს წამწამებს
 (უფრო ლამაზად):

„გარდა ყო რ ა ნ ს ბოლო ნამსა თხელსა აქურებდა“ (1362,3).

ცხადია, აქ ნათქვამია: სახეზე, ლოყაზე (ვარდი) წამწამები (ყორანის ბოლო) ცრემლებს
 (ნაში) აქურებდათ.

ან კიდევ:

„ქალი ტრის და ცრემლსა აფრქვევს, ჰბრის ყო რ ა ნ ს ა ბოლო-ფრთათა“ (485,1).

როგორც ჩანს, „ყორანი“ გამოხატავს როგორც თმას, ისე წამწამსაც. და ჩვენ ვფიქ-
 რობთ, რომ „ყორანსა გაჰლევს“ თმის გლვას კი არ უნდა გულისხმობდეს, არამედ წამ-
 წამების გალობას, დახამხამებას ან, რუსთაველურა თქმით „დაფახვა, დაწამწამებას“-ს.

2. „ბ რ ო ლ ი ს ა კ ე რ ი თ ა“. „ბროლი“ პოემაში მეტაფორულად არა მარტო თითებს ან
 ხელს აღნიშნავს, არამედ პირისაბეს: ყელს, კბილს და ცრემლს. ბროლი, ბროლისფერი შესა-
 ნიშნავად გამოხატავს ცრემლებს:

„მუნვე წვიმს წ ვ ი შ ი ბ რ ო ლ ი ს ა, ჰგია გიშრისა ღარი სად“ (86,3);

„ნარგისთათ წ ვ ი შ ი ბ რ ო ლ ი ს ა წვიმს, ვარდი ნაწვიმარია“ (1320,3);

„ბ რ ო ლ ს ა ს ე ტ ყ ს და ვარდასა აზრობს...“ (138,3).

ცხადია, „ბროლი“ ბრწყინვალედ გამოხატავს ცრემლებს. სწორედ ასეთივე მნიშვნელო-
 ზისა უნდა იყოს იგი „ბროლისა კერიითა“-ში. „კერიითა“ არსებითი სახელი „კერი“-ს (კერმა,
 ჰერს...) მოქ. ბრუნვის ფორმა კი არ უნდა იყოს, არამედ ჰერა, დაჰერა ზმნის საწყისი: ყო-
 რანსა (წამწამებსა)... ამოძრავებს, „აფრთხილებს“ (აფრთხობს) ცრემლების (ბროლის) დაქე-
 რითო, ე. ი. ნათქვამია, რომ წამწამებზე ცრემლების მოწოლა, დაჰერა იწვევს წამწამების
 მოძრაობაში მოყვანას, „ფრთხობას“; ესაა მოწოლილი ცრემლების ვადმოგდნისთან ერთად
 წამწამების „დაფრთხობა“, ფრთხილი, მოძრაობა. ასე რომ მთელი ტყეპი: „ყორანსა გაჰ-
 ლევს ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლისა კერიითა“ — გამოხატავს შემდეგ აზრს: შეე წამწა-
 მებს (ყორანი) ხშირ-ხშირად აპობს, ახამხამებს (გაჰლევს); (წამწამებს) ამოძრავებს, აფრთ-
 ხილებს (აფრთხობს) ცრემლების (ბროლი) მოწოლით, დაქერიით (კერიით). ეს შესანიშნა-
 ვი მეტაფორული სურათია ცრემლის ღერისა. აფთანდილის მღვდმარეობას („აფთანდილ დაჰ-
 და ტრილად, ტრის ხმითა შენეიერთა“) ამ ტყეპის ასეთი გააზრება ბუნებრივად ეხამება
 და თან რუსთაველის მხატვრული სახეების სიმყარესთან წინააღმდეგობაში სრულებით არ
 არის.

ბ. დანელია

¹ დაწვრილებით იხ. ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება, ბუნენოს-აირეს, 1953, გვ. 109—110.

² თ. ბატონიშვილის განმარტებით.

ქორნელი ღანელია

მაინც „ერთგული“

(„შუშანიკის წამების“ ერთი ადგილის გაგებისათვის)

ქართლის პიტიანში ვარსკენი რჯულგამოცველილი ბრუნდება შინ სპარსეთიდან; თავ-
კერძა მთავარმა უარყო ქრისტეს რჯული და აღიარა არტოშანი, ცეცხლთაყვინისმცემლო-
ბა, რათა ქართლის მეფის ურჩს ზურგის გამმაგრებლად ძლიერი სპარსეთის შაჰი ჰყოლი-
და. ვარსკენისთვის რეზია პოლიტიკის გაგრძელება, ამიტომ ის თავად ირჩევს სარწმუ-
ნოებრივი განდგომის გზას; თორემ ვერაფერი პოლიტიკოსი საერთოდ არ არის ორთოდოქსი
მორწმუნე, ის შინაგანად ინდიფერენტულია როგორც ერთი, ისე მეორე რელიგიის მიმარ-
თაც; ამიტომაცაა, რომ თვალთმაქცურად გამაზღვანებული ვარსკენი თავის სამთავროში
საგანგებოდ არ დევნის ქრისტიანული ეკლესიის მსახურთ. მანვე კარგად იცის, რომ სპარ-
სეთის მეფესთან მისი პოლიტიკურ-რელიგიური დაახლოება და დაკავშირება მოძალადე
სპარსეთისადმი მტრულად განწყობილ ქართულ საზოგადოებაში გაგებული იქნება, რო-
გორც ერთნაირი ინტერესების ღალატი, რადგან ვარსკენის სამთავროს გა-
ძლიერება სპარსეთის მხარდაჭერით მოახლოვდება ქართლის სამთავროს დასუსტებას
და სუსტებას. ვიმეორებთ, ვარსკენი დარწმუნებულია, რომ რისიკიან ნაბიჯს დგამს,
როცა მოკავშირედ იხდის საქართველოს მრავალსაუკუნოვან, ტრადიციულ მტერს – სპარ-
სეთს. იმის შიშით, რომ სპარსეთის მეფესთან მისმა მოღალატურმა გარიგებამ, შესაძლოა,
სამთავროში მკვეთრი საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვიოს, ვარსკენი მზაკვრულ ხერხს
მიმართავს. პერეთის სახლგარს მოახლოებისას სასახლეში აგზავნის ერთ მსახურს სადი-
ასპანო ცხენით, „რათა აუწუოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსა-
ხურნი მისნი, რათა მათ გამოეკითხათ ერთ ერთს თუ ერთს თუ ერთს თუ ერთს თუ ერთს“.
ცხადია, ვარსკენს თავის რეზიდენციაში იმიტომ უნდა შესვლა ახლობელთა, დიდებულთა
თუ მსახურთა მრავალრიცხოვანი ამაღლის თანხლებით, რომ ხალხს თავი ისე მოაჩვენოს,
თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყო, ვითომ ერის, ეკლესიის თუ ოჯახის წი-
ნაშე ღალატი არ ჩაედინოს.

ზემოდასახელებულ ადგილს საგანგებოდ ეხება ალ. ჭინჭარაული წერილში („შუშანი-
კის წამების“ ლექსიკიდან), რომელიც თხზულების საიუბილეო დღეებში გამოქვეყნდა (გაზ.
„ახალგაზრდა კომუნისტი“, №136, 1978 წ. 12 დეკ.). მკვლევარი, რომელიც არა ერთი მნიშ-
ვნელოვანი ენათმეცნიერული და ტექსტოლოგიური შრომის ავტორია, ფიქრობს, რომ ზემო-
მოყვანილ ადგილზე „ერთგული“ მცდარად უნდა იყოს ნახმარი „გუელი“ სიტყვის ნაც-
ვლად; მას სათანადო არგუმენტებიც მოჰყავს, რომლებიც მოკლედ ასე შეიძლება დაჯგუფ-
დეს: 1) კონტექსტში სიტყვა „ერთგული“ უადგილოა, რადგან თავისი ქვეყნისა და ოჯახის
გამყიდველი „არავისი ერთგული არ არის, ეს მან თვითონ ყველაზე უკეთ იცის და ამიტო-
მაც არ თამაშობს ერთგულებას, რამეთუ გრძობს, რომ იგი სძულთ, სძაგთ“. 2) ყველაზე
ძველ (XI საუკ.) ხელნაწერში (A-95) „ერთგული“ კი არ იკითხება, არამედ „გუელი“; ორ
(1713, 1943 წწ.) ნუსხაშია „გული“, მხოლოდ გვიანდელ (1733, 1736, 1740, 1839, 1884...წწ.) ხელ-
ნაწერებშია „ერთგული“. თავიდან ტექსტში უნდა ყოფილიყო „გუელი“, რომელიც გრაფი-
კული მსგავსების გამო ამოუკითხავთ როგორც „გული“, ხოლო ბოლოს ეს უკანასკნელი
გაუაზრებიათ როგორც „ერთგული“; 3) იმ წიგნებში, რომლებიც „შუშანიკის წამების“ და-

წერის კამს უნდა არსებულებოდეს („ოთხთავი“, „ფხვალმუნი“), სიტყვა „ერთგული“ არა ჩანს („ფხვალმუნი“ ერთხელ ნახმარი „ერთგულდება“ შეიძლება გვიანდელი იყოს); 4) „შუშანიკის წამების“ დაწერის ეპოქის დროინდელ ძეგლებში რომ არა ჩანს „ერთგული“ სიტყვა, ამას ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური გამართლებაც აქვს: გული ერთია და მისი „ერთობის, ცალობის ხაზგასმა არაა საჭირო“, მაგრამ როცა გული ორი ხდება (ერთი ჩვეულებრივი, მეორე კი ავის მზრახველი), ენაში იქმნება კომპოზიტი „ორ-გული“, მხოლოდ მას შემდეგ, გვიანდა ჩნდება საჭიროება „ერთ-გული“-ს შექმნისა, როგორც „ორგულის“ ანტიონიმისა; 5) სიტყვა „გუელი“ კონტექსტისთვის შესაფერისია: ვარსკენის „ამოფარება ნათესავეებისა და ახლობლებისათვის და ისე შესვლა თავის სამთავროში იაკობ ხუცესისაგან (შუშანიკთან ერთად) აღიქმება, როგორც შაკერული, გველური საქციელი“.

როგორც ვხედავთ, აღ. ჭინჭარაულს თავისი შეხედულების დასამტკიცებლად საკმარის არგუმენტები მოჰყავს და ამდენად, მის მტკიცებას ღოვაცა და მახვიდგონიერულობა არ აკლავს. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მტკიცების ზოგიერთი წინამძღვარი დახუსტებას მოითხოვს და არ არსებობს უუჭველი საბუთი ასეთი კატეგორიული მოთხოვნისა: „შუშანიკის წამების“ სადავო ადგილზე „ერთგული“-ს ნაცვლად უნდა დაგებულთ „გუელი“ (ხაზი აგტორისაა - კ. დ.) არა! ბუჭდურ გამომცემებში დამკვიდრებული ტრადიციული წაკითხვა, რომელსაც იღ. აბულაძე, კ. კეკელიძე, ს. ყუბანეიშვილი, ივ. იმნაიშვილი და სხვები გვთავაზობენ, შეცვლას არ საჭიროებს, „ერთგული“ უნდა დარჩეს ტექსტში. ამის საფუძველს იძლევა შემდეგი: 1) სიტყვა „ერთგული“ კონტექსტს ესადაგება, სიტუაციისთვის სუსტად შერჩეული სიტყვაა და უადგილო სრულებით არ არის. იაკობ ხუცესის სიტყვებით, თვალთმაქც ვარსკენს თავის სამთავროში შესვლა იმიტომ უნდოდა გაზრდილი ამალით, რომ მ ო ღ ა ლ ა ტ ე კ ა ც ი ე რ თ გ უ ლ ა დ ს ჩ ე ე ნ ე ბ ო დ ა ხ ა ლ ხ ს: „რათა მ ა თ გ ა მ ო (ე. ამაღის შეოხებით) ვ ი თ ა რ ც ა ე რ თ გ უ ლ ი ს ო ფ ლ ა დ (=ქვეყნად) შევიდეს“. მწერალი ამ სიტყვებით ვარსკენის ხასიათის ერთ შტრიხს - შაკერობასა და თვალთმაქცობას გვიხატავს. მაგრამ თუ ფრანსაში „ერთგული“-ს ნაცვლად „გუელი“ იქნება ნახმარი, თხრობის სტილი დაირღვევა და მწერალი იაკობს მხაჯულის როლში აღმოჩნდება, რომელიც კი არ ხ ა ტ ა ვ ს გმირის ნაფიქრალს და ნამოქმედარს, არამედ მათს შეფასებას იძლევა. ასეთ შემთხვევაში ფრანსა, როგორც მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი შე დ ა რ ე ბ ი ს ფ ა ქ ტ ი, გააუქმებს თავის თავს და ნონსენსამდე დავა, რადგან გველივით გამოჩენა ან გ ვ ე ლ უ რ ი შე ს ვ ლ ა ქვეყანაში ღოგიკურად გ ა მ ო რ ი ც ხ ა ვ ს დ ი დ ი ა მ ა ლ ო ს თანხლების საჭიროებას და აუცილებლობას. სიტუაცია (სურათი) მხოლოდ მაშინ იქნებოდა მხატვრულად მართალი, თუ მწერალი იტყოდა, რომ ვარსკენმა არ ავიცინ იახლა, რათა გველივით შეპარულიყო თავის ქვეყანაშიო.

2) ტექსტში „ერთგული“ სიტყვის ხმარების საწინააღმდეგოდ არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცეს იმ ფაქტს, რომ მოღწეულ ხელნაწერთაგან ყველაზე ძველს (XI ს-ისა) „გუელი“ აქვს დაცული, ხოლო გვიანდლების კი (XVIII-XIX სს.) - „ერთგული“. საქმე ისაა, რომ ძველის დაწერიდან (V საუკ.) 5-6 ს-ის შემდეგ არის ეს ძველი ხელნაწერიც შედგენილი და მ ი რ ვ ა ნ დ ე ლ ი ხ ა ხ ი თ ა რ ც მ ა ს შ ი ბ რ ა რ ა ა ყველაფერი დაცული. ამაში მართლმ ბრფიქსის უქონლობას კი არ გველისხმობთ, არამედ გვიანდელ ტექსტულად გადაკეთებასაც. მაგალითად, ჩვენთვის უუჭველია, რომ V საუკუნის ტექსტში არ იქნებოდა ზოგიერთი ისეთი ფორმა, რომლებსაც ვპოულობთ ყველაზე ძველ (XI საუკ.) ხელნაწერში, ასეთებია ვ (ვი) ნიშნის მცდარად ხმარება უ-ს ადგილზე (გულს, მომკედარ, ზაკევით...) აფურტ (აფურტა) ფორმა აფოც-ის ნაცვლად (შეცდომის წყარო გრაფიკული აღრევა: ნუსხური ც წაკითხულია ტ-დ, როგორც ეს იღ. აბულაძემ აღნიშნა), გვიანდელი გადაკეთების იერი დაქარავს ძველი (A-95) ხელნაწერის ზოგიერთ წაკითხვას (ჯერ A-ს წაკითხვა მოგვყავს, მეორე გვიანდელი ხელნაწერებისა): მეტად! ჯკმა; ბოროტებდა! ხისტოდა (კეიცხობა); მწწრავლ! აღრე-აღრე; ვინმე შევიდეს! შე-ვინმე-ვიდეს; გამოყვანდა! გამო-და=კვეანდა...

რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი, რომ აქ წყულებრივ ისეთი სინონიმური მონაცვლეობა იყოს, როგორსაც ვიპოვობთ ხოლმე ერთი ტექსტის სხვადასხვა რედაქციაში, მიუხედავად იმისა, რომ ძველია პირდაპირი მტკიცება, ზემოთთქვენიდან პარალელურ წაკითხვაში წარმოიშობა მრავალი ქრონოლოგიურად უფრო ძველი (V-XII საუკუნეების ქართული საბუღალთაშობის შერჩევის შემთხვევაში გვიანდელი ხელნაწერების წაკითხვანი გვიანდელი შინაგანი ან უნდა იყოს, გარკვეული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჯერჯერობით, ხისტოლოდა (ეკიციხედა), აღრუადრუ ან ტრესური ფორმები: შევინმევიდეს, გამოლა-ვაშვანდა უპოვუსი (პირვანდელი) ტექსტიდან უნდა იღებდნენ სათავეს და არ უნდა წამოადგენდნენ გვიანდელ გადაშვრთა მიერ მოდერნიზებულ ფორმებს (ასეთად უფრო A-ს ფორმები საგულებელი). ცხადია, ამით A ხელნაწერის მნიშვნელობა არ მცირდება (სხვა რომ არა, ის 6 საუკუნით უსწრებს ყველა დანარჩენს!), მაგრამ გვიანდელი ხელნაწერების მნიშვნელობა დაინდებია პირველ არქეტიპთან მიახლოებული ტექსტის ადგილი სიკამეში. ყოველ შემთხვევაში, ზემოთთქვენიდან ფაქტი იმის დადასტურებაა, რაც უცილობელ კუმარირებად ითვლება ტექსტოლოგიაში: „В более молодом списке текст может быть древнее, чем в списке более старом. Эта самоочевидная истина часто забывается текстологами“ (Д.С. Лихачев, Текстология, М.-Л., 1964, ст. 38).

არ შეიძლება იმის თქმა, რომ „ერთგული“-დან შეუძლებელი იყოს „გული“-სიტყვის მიღება. გასათვალისწინებელია, რომ გადაწერის პროცესი ოთხ თანმიმდევრულ აქტს შეიცავს: 1. გადასაწერი ტექსტის წაკითხვა; 2. წაკითხული ფრაზის დამახსოვრება; 3. შინაგანი კარნახი (გამეორება); 4. თავად წერა. ყველა უნებლიე შეცდომა (გაზარებით გადაკეთება სხვა!) ზემოდასახელებული ოთხი აქტიდან ერთ-ერთში თავსდება. ცხადია, „ერთ“ გამოტოვებულია დამახსოვრების აქტში დაშვებული უზუსტობით და მიღებულია: „გული“ (როგორც ეს არის ორ ხელნაწერში). შემდეგ ეს „გული“ (მით უმეტეს, დაქარაგმებული!) გრაფიკული მხატვრობის გამო შეცდომით წაკითხული როგორც „გული“ (როგორც ეს არის A-ში), ე.ი. წაკითხვის აქტში დაშვებული უზუსტობით შეიძლება მიგვეღოს „გული“. საპირისპირო პროცესი, რომ გასაგებობა „გული“-სიტყვა გაზარებული იყოს „ერთგული“-სიტყვად, ნაკლებ დამაჯერებელია, რადგან ასეთი რამ პრინციპულად რედაქტორებს სწევიათ და არა გადაშვრთ.

3) თავდაპირველ ტექსტში „ერთგული“-სიტყვის არსებობას ვერ უარყოფთ ვერც იმ მოტივით, რომ თითქოს „შუშინისის წამების“ დაწერის ვაშს არ არსებულყოფს ეს სიტყვა. არა. V საუკუნეში, „შუშინისის წამების“ დაწერის დროისათვის, უკვე არსებობდა ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანები და ზოგიერთი მათგანიდან საჭიროებისამებრ ციტატებიც მოჰყავს იაკობ ხუცესს. და სწორედ ამ უძველეს თარგმანებში მრავალგზის არის ნახმარი „ერთგული“-სიტყვა. მაგ., პავლეს ეპისტოლეების ძველ რედაქციებში ვითხოვლობა: „ტიმოსთეს, ერთგულსა შეილსა სარწმუნოებით...“ (1 ტიმ. 1, 2); „ტიტეს, ერთგულსა შეილსა ზოგადისაებრ სარწმუნოებისა“ (ტიტ. 1, 4); ყვთაღეს „სტიქილ-მეტროსიშა“: „რამეთუ ახსანუსა ცოლსა აბრაამისსა და ერთგულსა შეილსა ქუმე ყოფილ ვართ“ (გალ. თ. 9). ყველა ზემოდასახელებულ ადგილას „ერთგული“-სიტყვად უცხოენოვან წყაროებში შემდეგი ერთეულებია: ბერძნულში *gnēsiōs* - „მოკეთე“; „ნამდვილი“, „მართალი“, „ერთგული“; სომხურში *sireli* - „საყვარელი“, სირიულში *Šarīrā* „ნამდვილი“, „მართალი“. ამის აღნიშვნას საჭიროდ ვთვლით არა მარტო იმისთვის, რომ საცნაურყოფთ განსხვავებულ კონტექსტში რა ნიუანსები შეიძლება ჰქონდეს „ერთგული“-სიტყვას, არამედ უფრო იმისთვის, რომ გამოიხატოს - ეს ერთგული სიტყვა ქართულში წარმოებული ერთეულია. იმასაც დავამატებთ, რომ „ერთგული“-სიტყვით მიხმარია ძველი ალექსის უძველეს ქართულ რედაქციებში და თანაც კარგა ხნის მოქალაქეობა-მოპოვებულად გამოიყურება V საუკუნის თარგმანებში, ასე რომ, მას ზნინხედური მნიშვნელობითაც ხმარობენ

და სადერეფაციო ფუძედაც იყენებენ. მაგ., ბიბლიის ცნობილ 978 წლის ოშკურ (ათონურ) ხელნაწერშია: „ე რ თ გ უ ლ ა დ“ იქმოდეს“ (IV მუფ. 22. 7); ფსალმუნის ძველ რედაქციებშია; „ეიდოდეთ ჩუენ ერთგულებით სახლსა ღმრთისასა (ფს. 54, 14); პირველ მართლიან (864 წ.) ხელნაწერში, ე.ი. „სინურ მრავალთავშია“: „ღრშიად მეცნიერს“ ვითარცა გუგლნი, და ე რ თ გ უ ლ, ვითარცა ტრედნი (221.2). საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ეს ადგილი ამავე სახით ორჯერ მეორდება იოვანე ოქროპარის თხზულებაში „საღვურებისათუს“ და წარმოადგენს ციტატას სახარებიდან (მ. 10, 16). მაგრამ ამ უკანასკნელში „ერთგული“-ს ნაცვლად ნახშირია „უშანიკო“, რაც ზუსტი გადმოცემაა ბერძნული ფარდისა akeraios. მრავალთავის საკითხავში მოყვანილი ციტატა ხელახალი თარგმანი ჩანს და არა ადრე არსებული სახარების ძველი ქართული თარგმანიდან მოყვანილი. თანაც ეს ფაქტი ავლენს, რომ „ერთგული“ მყარი სემანტიკის, ასე ვთქვათ, ერთმნიშვნელობიანი სიტყვა არა ჩანს, რადგან თარგმანებში გამოყენებულია უცხოენოვან წყაროებში ნახმარი ს ხ ე ა დ ა ს ხ ე ა დ ა ლექსიკურ ოდენობათა გადმოსაცემად.

4) რადგან დადასტურდა, რომ „ერთგული“ სიტყვა ჩვეულებრივი ხმარებისა ყოფილა V საუკუნის ქართულში, ცხადია, არ არის საჭირო ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური გამართლების ძიება იმისა, რომ „შუშანიკის წამების“ დაწერის უამს რატომ არ უნდა ყოფილიყო „ერთგული“ სიტყვა. ფაქტია, რომ წ ე რ თ გ უ ლ ო ბ ი თ ი ძველების წვენებით, „ერთგული“ ქრონოლოგიურად „ორგული“ სიტყვის ხ ნ ი ს ა ა და ორივე სიტყვის არსებობა V საუკუნისთვის რეალობაა. ხოლო იმის ზუსტად დადგენა – თვით ც ო ც ხ ა ლ ე ნ ა შ ი როდის შეიქმნა ეს ორი სიტყვა, ან რომელია უწინარესი, დღეს შეუძლებელია და არც არის საჭირო შემოსვენებული საკითხის განხილვისათვის. ისე კი შეიძებოდა გვევარაუდნა, რომ „ორგული“-ს ანტონიმური ცალი „ერთგული“ მერმე იყოს შექმნილი, რასაც გვაფიქრებინებს ფსიქოლოგ ნ. ბერულავას მეტად საყურადღებო შრომა, რომლითაც „გული“ ფუძის მონაწილეობით ქართულში შექმნილია პიროვნების ნიშან-თვისების გამოხატველი 176 სიტყვა. ამათგან 81 ერთეული ხასიათის, ხოლო 64 – გრძობა-ემოციის გამოხატველია, თანაც აშკარა ასიმეტრიაა: უ ა რ ყ ო ფ ი თ ი თვისებების გამოხატველნი ორჯერ და მეტადაც ჭარბობენ და დ ე ბ ი თ ი თვისებების აღმნიშვნელთ (ნ. ბერულავა, პიროვნების თვისებები და ენა, თბ., 1976, გვ. 59, 93...).

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ „შუშანიკის წამების“ ტექსტში ნახმარი „ერთგული“ სიტყვა „გულით“ შეიცვლას არ საჭიროებს. მისი არსებობა ტექსტში გამართლებულია როგორც კონტექსტითა და ფრაზის მხატვრული კონსტრუქციით, ასევე ისტორიული რეალობითაც.

ქორნელი დანელია

ზოგიერთი ცნობა ძველი ქართულის
თავისებურებათა შესაცნობად

კლასიკური ძველი ქართული ენის მძლავრი გამოხატველობითი საშუალებანი ნათლად არის გამკლავებული V-XI საუკუნეების ქანობრივად მრავალფეროვანი სახულიერო ლიტერატურის ძეგლებში. სამწერლო ენისა და ლიტერატურის შინაგანი კავშირი და ურთიერთგანპირობებულობა აუცილებელს ხდის, რომ - არა თუ სახულიერო, არამედ XII-XIII სს. ლიტერატურის შესწავლისას გაცნობიერებული იყოს ძველი ქართული ენის არსებითი სპეციფიკური ნიშნები, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია ტექსტის არა თუ სწორი იდუაღრმატრული ანალიზი, არამედ საერთოდ მისი შინაარსის გაგებაც კი.

ძნელია ზუსტად იმის განსაზღვრა, თუ რა უნდა იცოდეს საშუალო სკოლის მოსწავლემ ძველი ქართული ენიდან ორთოგრაფია-ფონეტიკის, გრამატიკის თუ ლექსიკის უბანში, რომ მან შეძლოს ძველი ლიტერატურული ძეგლების ჯეროვნად გაგება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოსწავლემ ძველი ქართული დ ე ქ ს ა უ კ ა უ ნდა ათვისოს იმ განმარტებებიდან, რომლებიც ახლავს სასწავლო ტექსტებს. კეთილი, მაგრამ საიდან გაიგოს მან გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ : ფორმის შინაარსი, როცა კითხულობს, ვთქვათ, ასეთ წინადადებას „შუშანიის წამებიდან“: „ვითარცა ვიხილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროდე მის თანავე“. ტყუილი იმედი უქნება იმაზე ფიქრი, რომ მოსწავლემ ამოიცნოს და მასში თხრობითი კილოს უწყვეტელი (ავტორული) დინახოს. ძველი ტექსტების გაგებისას ყველაზე დიდი დაბრკოლება ის გახლავთ, თანამედროვე მკითხველს ყველაზე ხშირად ის „აცდუნებს“, რომ დ დ უ ს სახმარ ფორმას ი ვ ე ჯ ა დ ს ხ ე ა შ ი ნ ა ა რ ს ი კქონდა, მაგრამ მას მაინც ა ხ ა ლ ი შინაარსით აცნობიერებენ. ასეთი შეცდომისაგან არა თუ მოსწავლემ ან მოსწავლეობის, არამედ ზოგჯერ თვით მკვლევარებიც არ არიან დაზღვეული. მაგ. ძველად უწყვეტლობა და წვევტილის მე-3 სუბ. პირის მრ. რიცხვის დაბოლოება - ეს იყო ჯა არა - ნენ, როგორც ეს დღესაცაა (ივინი ჭ ა მ დ ე უ ს - ივინი ჭ ა მ დ ნ ე ნ; ივინი წ ა რ ე ი დ ე ს - ივინი წ ა რ ე ს ო დ ნ ე ნ). - ეს დაბოლოებებიანი ხმების ძველებური გრამატიკული შინაარსის გაუცნობიერებლობის გამო VIII კლასის „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“ (1976 წ. გამოცემის მიხედვით) შეჯდომით იკითხება: „ორისა წელიწადისა ჟამისა ი ვ ე ნ ე ნ თაზხას მაჰამა ვრიგოლ და მოეჯასნი მისნი“. ი ვ ე ნ ე ნ ახალი ქართულის წვევტილის ფორმაა და არა ძველი ქართულია; ქრესტომათიის ადრეულ გამოცემებში (ასევე თვით ხელნაწერებშიც) ძველი ქართულით მოხალოდნელი სწორი ი ვ ე ნ ე ნ ა იკითხება: „ორისა წელიწადისა ჟამთა ივენეს თაზხას მაჰამა ვრიგოლ და მოეჯასნი მისნი“. მასასაკამე, სახელმძღვანელოს გვიანდელ გამოცემებში, სხვა ფორმების შეცვლაზე რომ არაფერი ვთქვათ, ძველი ქართულით ერთადერთი სწორი „ივენეს“ ნებისთ თუ უნებლიეთ „ვადაჯუკოებით“ მისი ახალი ქართულის ფარდის „ივენეს“ ფორმით, რაც, ცხადია, გაუმართლებელია.

საბუკის ძ ქ ე ლ ი მნიშვნელობის ა ს ა ლ შ ი ადრევის ნამუშაღ თუნდაც „ბრიგოლ ქანთელის ცხოვრების“ „ღამე ყოველ“-ის ნიბრგვარი გაგება გამოდგებოდა. ამ ძველიდინ ცნობილია რომ ზენონის და „შეაცთუნა გონიმ უკოთურმან კაცმან და დ ა მ ე ე ყ ო ვ ე დ? წარკიდეს ზეშეოს“. კრიტიკული ტექსტის გამოცემებში 3. მარმა ყ ო ვ ე ლ-

ის დღევანდელი მნიშვნელობით გაგების გამო შეასწორა ზმნა II ხოლმეობითს „წარვიდის“ ფორმით და ისე გაიგო, რომ თითქო ქალი ყოველ დამე მიდიოდა ვაჟთან შექმნის. მაგრამ აკ. შანიძემ უეჭველად დაასაბუთა, რომ ძველ ქართულსა და მერულესს შორის უნდა იქნებოდეს ბაშიც „დამე ყოველ“ ნიშნავდა „მ თ ე ღ ღ ა მ ე ს“. ასეთი ახსნის შემდეგ ცხადია, ზენონის და სრულებით არ წარმოგვიდგება თავშეუკავებელ მიჯნურად.

ადრე VIII კლასის „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიას“ ერთოდა აკ. შანიძის მოკლე კონსპექტური შრომა „ძველი ქართული ენა“, რომელიც კარგა ხანია ამოღებულია სახელმძღვანელოდან, მაგრამ ამან არა თუ მოხსნა ძველი ქართული ენის ელემენტარული ცოდნის შექენასთან დაკავშირებული სიძნელეები, არამედ უფრო გაამწვავა კიდევაც.

ზენე წერილის მიხანია, ძალიან მოკლედ გამოაჩინოს ძველი ქართული ენის ისეთი უ მ თ ა ვ რ ე ს ი თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ნ ი, რომელთა გაუცნობიერებლად წარმოუდგენელია ძველი ტექსტის ჯეროვნად გაგება, მაგრამ სანამ ამ თავისებურებებზე შეგნერდებოდეთ, საჭიროდ ვთვლით, ორიოდე სიტყვით შევეხეთ ძველებს, რომლებშიც გაცხადებულია ძველი სალიტერატურო ქართული ენა.

1. **შაჰვალში წარიღობითი აშბლავი.** ა) **წარწერები.** ყველაზე ძველ ქართულ წარწერად მიხეუდება პალესტინის (ბეთლემის) მონასტრის ნანგრევების იატაკის ფილაზე დაცული ტექსტი, რომელიც მოხსენიებული არიან მონასტრის ამგებელი დიდი ფილოსოფოს-ღვთისმეტყველი პეტრე იბერი. ერისკაცობის სახელით (მარუან-ით), მისი შამა - ბურუნ და პაპა - ბაკურ). წარწერა თარიღდება 430-იანი წლებით.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესია ბ ო ღ ნ ი ს ი ს სიონის ტაძრის წარწერები 490-იანი წლებისა; მათში მოხსენიებული არიან მშენებლები ფარნავაზი და აზარუხტი, დაეთი ეპისკოპოსი და პეროზ მეფე. სხვა წარწერებიდან აღსანიშნავია: ს ა მ ა კ დ უ ხ ტ ი ს ა (V-VI სს.), რომელიც ნაპოვია ზნაკის ჯვარისაში (ამბროლაურის რ-ნი) და ინახება ქუთაისის მუზეუმში; მ ც ვ ე თ ი ს ჯ ე რ ი ს მ ი ნ ა ს ტ რ ი ს ა (VI-VII სს.), რომლებშიც იხსენიებიან სტეფანოს ქართლის პატრიკიოსი (=ერისთავი), ადარნერსე და დემეტრე ვიპატროსები; წ ე ი ს ი ს ა (616-619 წწ.), რომელიც ნაპოვია სოფ. უღეში (სამცხეში) და ახლა ინახება თბილისის სახელმწიფო მუზეუმში; ატენის ტაძრისა (853 წ.), რომელშიც მოთხრობილია ბუღა თურქის მიერ თბილისის გადაწვის ამბავი და სხვ.

ბ) **ხელნაწერი წიგნები.** განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ე.წ. ხ ა ნ მ ე ტ ი ძველების ფრაგმენტები (VII ს.), რომლებიც დაცულია ოქსფორდის, კემბრიჯის, ვენის, გრაციის, პარიზის და თბილისის წიგნთსაცავებში. ხ ა ნ მ ე ტ-ტერმინი ცნობილია XI საუკუნის მოღვაწის გიორგი მთაწმიდლის ანდერძიდან. მისი ძველად ამოსაცნობი მნიშვნელობის დადგენა მხოლოდ მას შემდეგ მოხერხდა, როცა ივ. ჯავახიშვილმა ამოიკითხა და გამოსცა ხ-ითი (ხან-ით) „მეტე“ ტექსტები. ადრე (V-VII სს.) ეს ხ გარკვეული წესით იხმარებოდა (მერმე გადავირდა): 1. მე-2 სუბ. პირის ნიშნად (ხისმინოთ), 2. მე-3 ორ. ობ. პირის ნიშნად (ხრქუა მას), 3. უფროობით ხარისხის ფორმასთან (ხუმეტმხ); როგორც აკ. შანიძემ დაადგინა, ამგვარი ფორმები ზმნური წარმომავლობისაა. 4. ინიანი ვნებითისა და სათავისო ქცევის ფორმებთან (ხიყო, ხიტყვს), სადაც ხ უფუნქციოა და ანალოგიით არის გაჩენილი. ასეთი ხ ა ნ - მ ე ტ ი ტექსტები გამოცემული აქვთ ივ. ჯავახიშვილს, ა. შანიძეს, ნ. ბერძოლს, ბ. უტიეს, ღ. ქაჯაიას.

VIII-IX სს. ზოგ ხელნაწერში ხ თავსართს ჰ ცვლის (ხისმინოთ, პრქუა, პიყო, პუმეტმხ). ასეთ ტექსტებს პაემეტ ტექსტებს უძახიან (ისინი გამოიცა 1923 წ. ა. შანიძის მიერ).

ერთეული ხ ე ღ ნ ა წ ე რ ი წ ი გ ნ ე ბ ი დ ა ნ აღსანიშნავია: ს ი ნ უ რ ი მ რ ა ვ ა ღ თ ა ვ ი (ე.ი. ქრესტომათია), რომელიც გადაწერილია 864 წ. იერუსალიმის ქართველთა მონასტერში (დაცულია სინას მთის მონასტერში) და შეიცავს 18 ავტორის 50 თხზულების თარგმანს; ო შ ე კ ი ს ა ნ უ ა თ ო ნ ი ს ბიბლია, რომელიც გადაწერილია 864 წ. ოშკეში (ტაო-კლარჯეთში) და ინახება საბურძნეთში, ათონის მთის ქართველთა მონასტერში; ს ა ხ ა რ ე ბ ა - ო თ ხ თ ა ვ ი ს შატბერდს გადაწერილი სამი თარიღია-

ნი ხელნაწერი: ა დ ი შ ი ხ ა (897 წ.), ჯ რ უ ჭ ი ხ ა (936 წ.), პ ა რ ხ ლ ი ხ ა (973 წ.); სამივე ხელნაწერი გამოცემულია აკ. შანიძის მიერ 1945 წელს, აგრეთვე ო შ ი ხ ა (913 წ.) და ტ ბ ე თ ი ხ (995 წ.) ოთხთავები, ი ო ვ ა ნ ე ო ქ ტ რ ი უ ქ მ ე რ კ ა ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა (968 წ.) და სხვა.

ქართული ორიგინალური აგიოგრაფიული ძეგლებიც კარგადაა შემონახული, თუმცა მოგვიანო ხელნაწერებითაა მოღწეული. ასეთებია: „შუშანიის წამება“, რომელიც დაწერილია V საუკუნის 80-იან წლებში და მოღწეულია მე-11 საუკუნის ხელნაწერებით. „აბო ტფილელის წამება“, რომელიც დაწერილია VIII საუკუნეში, მაგრამ მოღწეულია XVI საუკუნის ხელნაწერით. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, რომელიც დაწერილია X საუკუნის დასაწყისში და მოღწეულია XII საუკუნის ხელნაწერით.

უნდა ვიფიქროთ, რომ მოგვიანო ხელნაწერებში აღბათ არსებითად დაცულია პირვანდელი ტექსტობრივი სტრუქტურა, ძველთა შექმნისდროინდელი სამწერლო ენის გრამატიკული და ლექსიკური წყობა, მაგრამ ენობრივად ზოგი რამ მაინც გააახლებულა. მისი გვეყვარაულებინებს არამარტო ის ფაქტი, რომ კვალად კი არსად ჩანს, არამედ სხვა გარემოებანიც. ცნობილია, რომ ბიბლიის უძველეს ქართულ თარგმანს ბერძნულ ტექსტთან არაერთგზის შეჯერების შედეგად თანდათან ეძაღებოდა ბერძნულის გავლენა და ასეთი ბერძნისებები ბიბლიის თარგმანზე აღზრდილ ქართველ ავტორთა ორიგინალურ თხზულებებშიც იხენდა თავს, რაც უფრო X საუკუნის აქტა მოვლენა უნდა იყოს (ცხადია, ასეთი რამ უფრო ძველ ძეგლებშიც არ გამოირიცხება). მაგალითად, „შუშანიის წამების“ ერთადერთ უძველეს მე-11 საუკუნის ხელნაწერში იკითხება: ვარქსენმა „იკითხა და თქუ ა მ ს ა ხ უ რ ი ს ა მ ი მ ი ა რ თ მ ი ს ი ხ ა, ვითარმედ...“; ყველა დანარჩენ მოგვიანო ათ ხელნაწერშია: „ მ რ ქ უ ა მ ს ა ხ უ რ ს ა მ ი ს ხ ა “. საეკლესიო არაა, რომ გვიანდელი ხელნაწერების იკითხვის ძველი ტექსტობრივი ფენისა და ბუნებრივი ქართულია, ვიდრე მე-11 საუკუნის ხელნაწერის თანდებუდიანი კონსტრუქცია (თქუა მსახურსა მიმართ. ეს უკანასკნელი ისევე არაა ბუნებრივი ქართული კონსტრუქციისა, როგორც ქვემოთ დასახელებული წინადადება: „ა მომეც ცოლი ჩემი, რად განმამაშო რ ე ბ ჩ ე მ გა ნ “. მოსალოდნელი იყო: „რად განამაშორებ მე“, რადგან მ პირის ნიშანი ობიექტად „მე“-ს მოითხოვდა და არა „ჩემგან“ ფორმას.

გვიანდელ ხელნაწერებში ზოგჯერ უფრო ძველი ტრადიციის ლექსიკაა შემონახული, ვიდრე XI საუკუნის ხელნაწერში, რაც გვიანდელ ხელნაწერთა მნიშვნელობას წარმოაჩენს პირვანდელ არქეტიპთან მიახლოებული ტექსტის აღდგენა - დადგენის საქმეში: „ჯგუმაშუ ტად, ხისტოლდაწოროტებდა, ადრუ-ადრუ მსწრაფლ...“ (ცხადია, XI საუკუნის ხელნაწერის მეტად, ბოროტებდა, მსწრაფლ უნდა მივიჩნიოთ „შუშანიის წამების“ ლექსიკის გვიანდელი გაახლებების შედეგად, ხოლო მათი სინონიმები ჯგუმა, ხისტოლდა, ადრუ-ადრუ ძველი ტექსტობრივი ტრადიციის კუთვნილებად.

სხვათა შორის, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აფხაზეთის მეფე დემეტრე ზოგჯერ დიმიტრი-დაც რომ მოიხსენიება, ესეც გვიანდელი გადაწერის ნახელაფი უნდა იყოს (ბერძნული ეტას ი-დ გამოთქმის გამო ძველი „დემეტრე“ გვიან „დიმიტრი“ ფორმით შეიცვალა.

II. ძველი ქართული ენის უმთავრესი თავისებურებანი

ფონეტიკა-ორთოგრაფიიდან აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში იხმარებოდა ხუთი ასო-ბგერა, (ა, მ, უ, ჯ, მ), რომლებიც მერმე დაიკარგა, ამ ასოთა ბგერითი შესატყვისობათა ცოდნა აუცილებელი პირობაა ძველი ტექსტების სწორად წასაკითხად, ამიტომ მოკლე ცნობებს წარმოვადგენთ მათზე.



ა (იოტა). ეს ასო აღნიშნავდა მოკლე ი-ს და იხმარებოდა: ფუქსხმოვან სახოგადო სახელთა სახ. ბრუნვის ფორმაში (ძმა-ი, წყარო-ი), ო-სა და უ-ზე დაბოლოებულ ფუძეებში (კვლ სახოგადო სახელთა ნათ. და მოქ. ბრუნებებში (წყარო-ის, წყარო-ით), აგრეთვე ბრუნვათა ფორმებში ხმოვანფუძიანი საკუთარი (პირის) სახელებისა (ფებრონია-ის, ფებრონია-ით...).

შ (ე მერვე; ანბანში მერვე ადგილი ეკავა) ძველ ტექსტებში არსებითად გადმოსცემდა ეს გამოთქმას. ასეთი ორხმოვნიანი, მაგრამ ერთმარცვლიანი ბგერათმომდევრობა შეიძლება ყოფილიყო: ა) ე-ზე დაბოლოებულ სახოგადო სახელთა სახ. ბრუნვაში (კლდე-ჲ/კლდშ), ბ) ე-ზე დაბოლოებულ საკუთარ (პირის) სახელთა ნათ. და მოქ. ბრუნებებში (პავლე-ის/პავლშს, პავლე-ით/პავლშით), გ) უფრობითი ხარისხის ფორმებში (უდიდე-ის/უდიდშს), დ) ზმნიზედურ ფუძეებში (ესრეთ-ის/ესრშთ, ვერეთ-ის/ვერშთ); ე) ზოგ ბერძნულიდან შემოსულ სიტყვაში გრძელი ე-ს (ეტას) ფარდად (ისრამლ, იერუსალშმ, ამშნ), ზოგჯერ შ შ ნ ე ბ ა ზნაშიც.

ჲ (უი/ვი) ასოს ძველად უ-ს ადგილი ეკავა ანბანში და არსებითად გადმოსცემდა უი (უმარცვლო უ-მარცვლიანი ი-ს) გამოთქმას და იხმარებოდა: ა) უმარცვლო უ-ზე დაბოლოებულ სახოგადო სახელთა სახ., ნათ. და მოქ. ბრუნვათა დაბოლოებებში (ნაძუ-ი/ნაძუ, ნაძუ-ისა/ნაძუსა, ნაძუ-ითა/ნაძუთა); ბ) ზმნის I ობ. პირის მრ. რიცხვის ფორმაში, როცა გუნიშანს მოსდევდა სათავისო ან სახვეისო ქცევის ი პრეფიქსი (გამოუიყვანა/გამოუიყვანა, გუიბოძა/გუიბოძა); გ) ბერძნულიდან შემოსულ სიტყვებში (ეფსილონის ფარდად); მარტული, კერძო, ვაპატე, ვაპატე...

ჭ (ჭარ) ასო გამოხატავდა ხ-ს მსგავს ყრუფშვინვიერ ბგერას, რომელიც ხახის არეში გამოითქმოდა (მთის კილოებში ეს ბგერა დღესაცაა). მისი გამოთქმის შესუსტების გამო მოიშალა დაპირისპირება ჭარ-სა და ხან-ს შორის და ჭ-ს ადგილიც ხ-მ დაიჭირა. ძველად კი ეს ბგერები სხვადასხვა ფუძეების შემადგენლობაში მონაწილეობდნენ; გარჩეული იყო, მაგალითად, ჭსოვნა და სხუა, ჭმაი და ხატი. მწიგნობრებში იცოდნენ, ტრადიციულად რომელ ფუძეებში ეხმარათ ჭ ან ხ. ძველად, მაგალითად, ჭ-ს შეიცავდა: ენაჭი, ჭელი, მჭეცი, ვერჭი, მუჭლი, ჭსნა, მჭედილი, ჭმელი, ჭორცი, ჭურელი და სხვა. ზოგი დღევანდელი ომონიმი ძველად ამ ბგერებით გარჩეული იყო და ამდენად, ომონიმებს არ წარმოადგენდა: ჭ ე ღ ი („ხელი“) - ხ ე ღ ი („გიჟი“); ჭ ე რ ჭ ი („შმაკობა - მოხერხება“) - ხ ე რ ხ ი („სახერხი იარაღი“).

შ (ოა) ასო ადრე გამოხატავდა ოუ გამოთქმას, მერმე ფშვინვიერ დამართვიან გრძელ ო-ს, ოა-ს და არსებითად იხმარებოდა ერთ გარკვეულ შემთხვევაში - წოდებითში დასმულ სახელებს წინ უძღოდა, როგორც შორისდებული: შ ქალწული, შ უფალი). იშვიათად ბერძნულიდან შემოსულ სიტყვებში გრძელი ო-ს (ომეგას) ფარდადაც გამოიყენებოდა (კლემპა, მხანა...).

ტ (უმარცვლო უ). მართალია, წერაში მარცვლიანი ტ და უმარცვლო ტ ძველად ერთნაირი ნიშნით გამოიხატებოდა, მაგრამ გამოთქმაში მკვეთრად იყო გარჩეული ერთმანეთისაგან. ახალ ქართულში ტ დაიკარგა, უფრო სწორად - ვ თანხმოვანში გადავიდა. ძველად უ იხმარებოდა სიტყვის შუაში თანხმოვანსა და ხმოვანს ან თანხმოვნებს შორის (თუალი, ქუეყანა, ჯუარი, გუერდი, მკუდარი, თთუე, ჩუენ, თქუენ, სასუმელი, შურომა, თქუმა...), ან ბოლოში თანხმოვნის შემდეგ (თაგტ, დათტ, ლელტ, ნათტ, იტტ...).

2. მორფოლოგიიდან მხოლოდ სახელისა და ზმნის ისეთ უმთავრეს სპეციფიკაზე შეეჩერდებით, რომელთა გაუცნობიერებლად ძველი ტექსტის ზოგი ფორმა გაუგებრად ან საეკვოდ შეიძლება მიუჩვენოს დღევანდელ მკითხველს.

სახელთა ბრუნებიდან აღსანიშნავია: ა) პირის სახელები სახ. და მოთხ. ბრუნვაში ფუძის სახით იყო წარმოდგენილი, რადგან ამ ბრუნვათა ნიშნები მსახდურელი ნაცვალსახელებია (ი⁰იგი, -მან⁰მან); ხოლო პირის სახელებს არ სჭირდებოდათ განსახდურულობა (დუქიკურად ისედაც განსახდურული იყვნენ). წინადადებაში ასეთი სახელის კონკრეტული ბრუნვის ფორმა ამოიცნობოდა მისი ზ შ ნ ა ს თ ა ნ კავშირით ან მ ს ა ზ დ ვ რ ე ღ ი



სახელის ფორმით. მაგ., ფუჰის სახითაა პირის სახელები შემდეგ ბრუნვებში: სახელითში: „მივიწიე დაბახა მას, რომელსა იყო შუშანიკ“, „ოაკობ მანდატის...“
 ამას განიხრახვიდა ხენონ; მოთხრობითში: „ხოლო წმიდამან შუშანდარქოვს“
 „დღეს მე დაჯოჯოაკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ“; მეფემან აფხაზეთის მან დემეტრე დიდითა პატივითა პატივ სცა“...

გამონაკლისი იყო ქრიპტი, რომელიც საზოგადო სახელით ირთავდა ბრუნვის ნიშნებს სახ. და მოთხ-ში (ქრისტე-ა/ქრისტმ, ქრისტე-მან), ოღონდ რჩებოდა (ქრისტმს ქრისტემთ).

ბ) ო-სა და უ-ზე დაბოლოებულ ფუძეუკვეცულ სახელებს ნათ. და მოქ. ბრუნვის ფორმები სრული დაბოლოებისა პქონდა (ოღონდ ი-ა): წყარო-მს, წყარო-თ.

გ) ძველად ფუძეთა კუმშვა თუ კვეცა სხვა დინამიკისა იყო. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს ტექსტებში ერთის მხრივ ასეთი ფორმები: ვეშის, მოწფის, მკრდის... მეორის მხრივ: მტერის, ჯუარის, ქუყანის, ან კიდევ პარალელური ფორმები: საყოფელად/საყოფლად, სასუმელის/სასუმლის.

დ) ძველად ვითარებით ბრუნვას მიმართულებითობის გადმოცემაც ვეალებოდა და ასეთ შემთხვევაში თანხმობანფუძიან გეოგრაფიულ სახელებს მეტწილად -დ (და არა -ად) აწარმოებდა. ეს იმდენად გაცნობიერებული პქონდათ მწიგნობრებს, რომ უნეულო ბგერათთანმიმდევრობასაც კი არ ერიდებოდნენ (წარვიდა გეთ-დ, შევიდეს ახოტ-დ...). ასეთი რამ აგიოგრაფიულ ძველებშიც დასტურდება: „გამოვიდა იგი ნერსმს თანა ქუყანად ქართლად“ (აბო), მაგრამ მოდღალობის ფუნქციით ნახშირია „ქართლად“. „ქართლად ვითად ქუყანად აღირაცხების“... (ხანძთ.) მიმართულებითობის ფუნქციითაა ნახშირი ვით. ბრ. ფორმა ასეთ შემთხვევაშიც: „ხოტ-დ წარგცე“ (შუშ.), „უკეთუ... მიიწიოს იერუსალმმდ“ (ხანძთ.).

ვით. ბრუნვაში -დ შეიძლება დაერთოს -იდ მარცვალზე დაბოლოებულ საზოგადო სახელებსაც (ხოგჯერ დ-ს დაკარგვით): „თხრამლი სდიოდა ადგილად-ადგილად“ (შუშ.), „სიკუდილდ კერძო უფრო საგონებულ არს“ (შუშ.).

ე) ძველად არსებითი სახელის განსაზღვრულობის მაჩვენებელი ნაცვალსახელი იყო (ესე, ვე) ბრუნვაში უთანხმებოდა სახელს (კაცნი იგი, კაც-მა მან, კაცხა მას...), მაგრამ არ უთანხმებოდა რიცხვში სახ. ბრუნვაში (კაცნი იგი), სხვა ბრუნვებში - კი (კაცთა მათ).

ზმნის უღლებიდან აღსანიშნავია: ა) **გრამატიკული პირების** გამოხატვა ძველად რამდენადმე განსხვავებული იყო: მე-3 სუბ. პირს გამოხატავდა ნ და ვდ სუფიქსებით (წერწერედ; 1-ლი ობ. პირის მრავლობითის ფორმა შეიძლება გუ-ითაც გამოხატულიყო და მ-ითაც, იმის მიხედვით, ობიექტად შეწყობილ წუენ ნაცვალსახელი შინაარსით აერთიანებდა 1-ლსა და მე-2 პირს (წუენ-მე+შენ/თქვენ) თუ 1-ლსა და მე-3 პირს (წუენ-მე+იგი/ვინმე). მოგუცა მან წუენ (ე.ი. მე და შენ/თქვენ), მაგრამ: მომეცა შენ იგი ნ უ ე დ (ე.ი. მე და მას/მათ). შდრ. „შენთვის ფრიად დამიკრდების წუენ“ (აბო).

ნ-თი გამოხატული პირ. ობიექტური პირი ძველად მრავლობითობის ნ(ვნ) ნიშანს ზნაშიც აჩენდა: „მამამან შენმან აღმპართნა სამარტკლენი და ეკლესიანი აღაშმნნა“ (შუშ.) „წარავლინნა კაცნი კეთილნი“ (ხანძთ.) ეს წესი „ვეფხისტყაოსანშიც“ დაცულია: „ცრემლნი ღვარანა“, „სისხლი შახნეთ მონადვარნი“.

ბ) **ასპექტი.** ძველად ზმნისწინის დართვა-დაურთველობა ასპექტის გაგებას არ ცვლიდა, I სერვის მწკრივები უსრული ასპექტისა იყო, II სერვისა კი - სრული, ვთქვით, ვწერ და ა ვ წ ვერ ორივე უსრულია. ვ წ ვერ და დ ა ვ წ ვერ - ორივე სრული.

გ) **მომავალი დრო.** რადგან ზმნისწინს არ პქონდა ასპექტის გამოხატვის უნარი, ის ვერც აწმყოზგან აწარმოებდა მომავალ დროს (კ ლ ა ვ ს და მ ო კ ლ ა ვ ს ორივე აღანდელი დრო იყო). მომავალ დროს ძირითადად კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი კ ი ლ თ ს ფორმები გამოხატავდა. მაგ., „აწ დამტკიცებულად გ ი თ ხ რ ა [=გაბეყვით, მოგითხრობ] თქვენ აღსასრული წმიდისა და ნეტარისა შუშანიკისი“; „ამერმეცა ი პ ო ლ ს [=ადმრწნდ



ბა) ვინმე, რომელმან ესე შეიძქოს [=შეიძქოს]. ზოგჯერ მომავალ დროს (უფრო კატეგორიული იფრით) გამოხატავდა ვით. ბრუნვაში დასმული საწყისი + „ყოფნა“ მეტყველებს „ცოცხალი არღარა გ ა მ ო ს ლ ვ ა დ ხ ა რ“ (შუშ) = „ცოცხალი ვერ ცაქმდნენ“ „თავი მ ო კ უ ე თ ა დ ა რ ს ჩემდა“ (ვესტ.) =თავი მ ო მ ე კ ვ ე თ ე ბ ა. იშვიათად მხოლოდით კილოს ზმნისწინაინ ფორმაც (უფრო უარყოფით ნაწილაკებთან) გადმოსცემდა მომავალ დროს: „ნუ დ ა მ ი ვ ი წ ე ე ბ თ ლოცვახა თქვენსა“ (შუშ.)

დ) ტმესი. ძველად შეიძლება ზმნისწინი და ზმნა გათიშულიყო სხვა სიტყვების (ნაცვალსახელების, ნაწილაკების, კავშირების) ჩართვით, რაც ტმესის ანუ განკვეთის სახელითაა ცნობილი. „მი-რამ-ვიდეს იშხანს“ (ხანძ.) = როცა მივიდნენ იშხანში; „მი-რამ-იწია პალატად“ (ხანძთ.) = როცა მიადგინა სასახლე.

ე) —ოდ საერცობიანი მწკრივები. ძველად ოდ საერცობიანი ზმნების უ წ ყ ე ე ტ ლ ი ს მწკრივს ე მ ა წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი ე რ თ ე ვ ლ ა (ვტირ-ოდ-ე, სტირ-ოდ-ე, ტირ-ოდ-ა, ეტირ-ოდ-ე-თ, სტირ-ოდ-ე-თ, ტირ-ოდ-ეს), ხოლო I კავშირებითისას კი - ი (ეტირ-ოდ-ი, სტირ-ოდ-ი, ტირ-ოდ-ი-ს, ვტირ-ოდ-ი-თ, სტირ-ოდ-ი-თ, სტირ-ოდ-იან). დღეს ეს თანხა კიბოთათა, ე I კავშირებითის მწკრივს აწარმოებს, ი კი - უ წ ყ ე ე ტ ლ ი ს ა ს . თუ ეს თავისებურება არ იქნა გათვალისწინებული, ძველი ქართულის უ წ ყ ე ე ტ ლ ი ს ფორმა (ეტიროდე) შეცდომით ახალი ქართულის I კავშირებითის მწკრივად შეიძლება გაგებულ იქნეს. ამ წინადადებაში „ჩუენ აღვივსენით მწუხარებთა და დიდითა ტირილითა ვ ტ ი რ ო დ ე თ განმწარებულნი“... აშკარაა, რომ ვ ტ ი რ ო დ ე თ უ წ ყ ე ე ტ ლ ი ა და ნიშნავს: ვტიროდით.

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ძველად უ წ ყ ე ე ტ ლ ი ს მ ე - 3 ს უ ბ . პირის მრ. რიცხვის დაბოლოებად ნენ კი არ გამოდიოდა, არამედ ეს. თუ ეს ფაქტი არ იქნება გაცნობიერებული, მოსალოდნელია გაუგებრობა მოხდეს და ეს დაბოლოებიანი ზმნები სულ სხვა მწკრივის ფორმად იქნეს გაგებული; მაგ. შუშანიკის თანამგრძნობელი „ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისა... ტ ი რ ო დ ე ს და ი ჳ ა ჳ დ ე ს ღაწუთა მათთა და საწყალობლად დ ა ს თ ხ ე ვ დ ე ს ცრემლთა“ [ტიროდნენ და იხახდნენ (იკაწრადნენ) ლოყებს და შესაბრაღისად ანთხევდნენ ცრემლებს]; „მოგებნეს [=მოგებნენ] ძენი კურაპალატისნი“ (ხანძ.); „კეთილად ც ხ ო ნ დ ე ბ ო დ ე ს [=კარგად ცხოვრობდნენ] იდინი სულიერად, ხოლო ჳორციელად დიდსა იწროებასა იყენეს“ [=იყენენ] (ხანძთ.).

ვ) —აგ და —ამ თემისნიშნაინი ზმნები. ეს თემის ნიშნები სხვადასხვა მწკრივში იცვლებოდა —ვე, —ემ, ან ვ, მ-ს სახით (ახლა ეს არ ხდება); მაგალითად, უ წ ყ ე ე ტ ლ შ ი ი თ ე კ ი თ ხ ე ი დ ე , პ ი თ ხ ე ი დ ე , პ ი თ ხ ე ი დ ე ს , „შდრ. „და ჩუენდა ამას გ ა ნ ე ი ზ რ ა ხ ე ი დ ი თ (უწვევ). მოვიდა ყრმაი ერთი“ (შუშ); „ვითარ ამას გ ა ნ ი ზ რ ა ხ ე ი დ ა ზენონ“ (ხანძთ.); მრავალნი მათგანნი არა ს უ მ ი დ ე ს დუნოსა“ (ხანძთ.), სუმიდეს=სვამდნენ.

ზ) ხლმეობითის მწკრივები. ძველი ქართული ახლისაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ხლმეობითის მწკრივების სიუხვით. ხლმეობითის მწკრივი ზოგადად გამოხატავს მოქმედების განგრძობითობას, მრავალჯისობას, ჩვეულებითობას, იმას, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება საერთოდ დამახასიათებელია საგნისათვის. ხლმეობითის ოთხი მწკრივი იყო ძველად, რომელთაგან ორი ხშირი ხმარებისა იყო (აწმყოს ხლმ. და II ხლმ.), ორი კი - იშვიათი (უწყ. ხლმ., III ხლმ.).

აწმყოს ხლმეობითის მხოლოდ მე-3 სუბ. პირის ფორმა ჰქონდა (კლავ-ნ, კლვ-ედ, წერ-ნ, წერ-ედ): „მჭვლდ მ ი მ ო დ ა ს ღ ე ვ ნ ი ნ და მეოტ პ ყ ო ფ ნ მათ ყოველთა“ (შუშ) = ცხენზე ამხედრებულ ვარსკენი იქითაქით დასდევდა ხალს და ფანტავდა, გააქცევდა ხლმედ. „[აბო] ფარულად იმარხავნ და ილოცავნ ქრისტეს მიმართ“ (აბო).

II ხლმეობითის მწკრივს ი აწარმოებდა და ხშირი ხმარებისა იყო (მოვკლი, მოჰკლი, მოკლის/მოვკლით, მოჰკლით, მოკლიან; ვწერი, სწერი, წერის, ვწერთ, სწერთ, წერიან): „ესრმთ მ ი ო დ ი ს საზრდელი საგლახაკი“ (ხანძთ.); „ტრაპეხსა ზედა ერთბამად ჭამიან“ (ხანძთ.) [სუფრაზე ერთად ჭამდნენ ხლმედ].

„ვეფხისტყაოსანშიც“ ხშირად იხმარება II ხლმეობითის მწკრივი: ისრითა მ ო - კ ლ ი ს ნადირი, სადაცა ნ ა ხ ნ ი ს, ეუბნის; თ ქ ე ი ს: საყვარელო, მოგზორდი...

აწმყოს ხოლმეობითსა და II ხოლმეობითს შორის რომ დროული განსხვავება ირ-
ქმის არ იყო და ორივე კონკრეტული დროის გარეშე მიმდინარე ჩვეულებრივ მოქმედებს
გამოხატავდა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ზოგჯერ ერთ ქვემდებარესთან ორივე ხოლმეობითის
ფორმა გვერდ-გვერდაა შეწყობილი: „შემასმენელნი შ ე ვ ი დ ი ა ნ II ხოლმეობითისა
ვტყავდ“ [აწმყ. ხოლმ.] (აბო), რაც ნიშნავს: მამხსლარნი შედიოდნენ მასთან და კუბნებოდ-
ნენ ხოლმე.

თ) ბრძანებითის მწკრივები: ძველად ბრძანებითის ორი მწკრივი იყო: I ბრძანებითი,
რომელიც უწყვეტელს ემყარებოდა და უსრული ასპექტისა იყო და II ბრძანებითი, რომე-
ლიც წყვეტილს ეყრდნობოდა და სრული ასპექტისა იყო. ორივე მწკრივის მე-2 სუბ. პირი
იმორებდა უწყვეტელის ან წყვეტილის ფორმას(პირის ნიშნის გამოკლებით), ხოლო მე-3
სუბ. პირის დაბოლოებად ირთავდა -ნ (მხ.რ.) და -ედ (მრ. რ.) სუფიქსებს: I ბრძანებითი
წერდ-(ი)/წერდით (მე-2 პ.), წერდინ/წერდედ (მე-3 პ.); II ბრძანებითი: წერე/წერეთ (მე-2 პ.),
წერენ/წერედ (მე-3 პ.)

სხვათა შორის, მე-2 სუბ. პირის ხ ნიშნის უქონლობის გამოა, რომ მოხვდა ზმნის II
ბრძანებითის მე-2 სუბ. პირის ფორმა მ ო ვ ე დ, მ ი ვ ე დ (შენ) [წყვეტილის ფორმა:
მ ო ხ ე დ, მ ი ხ ე დ], რომელიც I-ედ სუბ. პირის წყვეტილის ფორმას ემთხვევა.
კონტექსტში ხშირად ზმნასთან სუბიექტად შეწყობილი ნაკვალასხელის რომელიცა ცხად-
ყოფს, რომელი მწკრივია საზიარო ფორმა. მაგ., II ბრძანებითი: „აწ მ ი ვ ე დ ი თ [=მიდით!]
და არქუთ“ (შუშ.); „მივედ [მიდი შენ] და მომართუ იგი ყოველივე“ (შუშ.); შდრ. ნ. ბარა-
თაშვილის სტრიქონი: „გ ა ნ ვ ე დ ი ნემგან პოე მაცდურო, სულო ბოროტო“.

ძველ ტექსტებში უფრო ხშირია II ბრძანებითის ფორმები: „მოკითხვა ვეგ შენი შე-
ნადვე მოიქცინ“ (შუშ.); ქრისტეან ა დ გ ა ვ ს ე ნ ო ნ თქუენ ყოველითა კეთილითა“
(შუშ.). „უკეთუ არა აღიაროს შეჯული მამვედ მოციქულისა... მოკუედინ იგი“ (აბო); „ამიერ-
ითგან ო ხ ა რ ე ბ დ ო ნ უდაბნოე ესე“ (ხანძთ); „ღმრთის მიერი კურთხევაჲ პირთა
შენითა ო ყ ა ვ ნ ჩვენ ყოველითა ზედა (ხანძთ).

ცხადია, გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოში“ ნახმარი „იყავნ“ ზმნისა და სუბიექტის
რიცხვში შეთანხმება დარღვეულია (მას პოეტური სტრუქტურითაც ვერ ავსხნით): „დავით
მსთქუე: „ ო ყ ა ვ ნ ქალაქნი“ [სწორი იქნებოდა: „იყავნ ქალაქი“ ან „იყვედ ქალაქნი“].

3. სინტაქსური აღსანიშნავია: ა) მცა ნაწილაკიანი კოსტრუქცია. ძველად მცა ნაწი-
ლაკიან წინადადებაში ზმნა მ ხ ო ლ ო დ თ ხ რ ო ბ ო თ ი კ ი ლ ო ხ ფორმით იხ-
მარებოდა, მაგრამ მას ამ ნაწილაკის მეშუეობით კ ა ე შ ი რ ე ბ ო თ ი კ ი ლ ო ს შინაარსი
ქჷონდა. ამ წესის გაცნობიერება აუცილებელია ტექსტის სწორად გაგებისათვის, მაგ. „შე-
ვიდეგს [=შევიდნენ] ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რათამცა მასცა
ა ჳ ა მ ე ს პური“ [რათამცა აჭამეს = რათა აჭამონ]; „ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მი-
ართუა ღვინო ჭიქითა... რათამცა იგი ხოლო შესუხო“ [=...რათა მარტო ის შესუას]. ეს წესი
მტკიცედაა გატარებული „ვეფხისტყაოსანშიც“: „წავად, თოკთა მოხახმელად, მწადსო, თუქ-
ცა ამოგზიდე, 256.2 [..მსურს, რომ ამოგზიდო (ამოგიყვანო)]; შენ არ სჯერხარ, უსწავლელ-
ნი კაცნი ვითმცა შეგაჯერენ! 791.4 [=უსწავლელი კაცები როგორდა დაეჯერო].

ბ) კითხვითი ნაწილაკები. კითხვითობის გასაძლიერებლად ძველად კითხვით წინადა-
დებაში იხმარებოდა -ა, -მე, მე-ა ნაწილაკები, რომელთა წინა მარცვალზე მოდიოდა მახვი-
ლი (უმახვილობის გამო ეს ნაწილაკები ხამწკრლო ქართულმა დაკრთა და ზოგ კილნდა
შერჩა): „იაკობ მანდ არ ს ა რ ს ა ?“ (შუშ.); „ხუცეს, მ ი თ მ ე უ ა ნ ო ა სამკაული ესე მი-
სი“ (შუშ.). „უწყი-მე, დელო, რასთვის მოვედ აწ?“ (ხანძთ). ა ნაწილაკი „ვეფხისტყაოსან-
შიც“ იხმარება: „ქალი ვინმე გიკითხავსო: „ ო ნ ა ხ ვ ო ს ა ამირბარი?“ 370, 2.

გ) საწყისური წყვილები (სინტაგმები): ძველად ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყის-
ის სინტაქსური ძალა მეტი იყო; გამოხატავდა: 1. პირ. დამატებას [ც.ი. ვით. ბრუნვა აღ-
ჭურვილი იყო ხახ. და მიც. ბრუნვათა ფუნქციით]: „იწყო გ ო ნ ე ბ ა დ და გ მ ო ბ ა
დ ღმრთისა“ (შუშ.); „იწყეს ს ა ქ მ ე დ სენაკებისათვის ქუეყანისა და ვ ა კ ე ბ ა დ“
(ხანძთ); 2. მიზნის გარემოებას [ს ა წ ე ო ს ი გამოდიოდა მომავლის დროის მ ი მ დ ე ვ



ო ბ ი ს როდში: „თუთ [ვარსკენ] ნ ა დ ი რ ო ბ ა დ წარვიდა“ (შუშ); „მოვიტინა შეილნი იგი ხ ი ლ ვ ა დ დედისა“ (შუშ); 3. პირიანი ზმნის მსგავსად შეიწყოდა ქ ი რ ე ლ დ ა მ ა ტ ე ბ ა ს სახელობითი ამ ნიციშითი ბრუნვის ფორმით: „უბრძანა დ ა მ ა ტ ე ბ ა ს ჯაბა“ (შუშ); „უკუეთუ შემძლებულ ხარ მ კ უ დ ა რ ს ა ა ლ დ გ ი ე ბ ა დ, პირველად დედაი შენი აღადგინე“ (შუშ)

III. ლექსიკის საკითხები. 1. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა. ძველი ქართულის (V-XI სს.) გრამატიკული ფორმებისა და ლექსიკის საგრძნობი ნაწილი საშუალ ქართულშიც (XII-XVIII სს.) განაგრძობდა სიცოხლეს ლიტერატურული ტრადიციის ძალით (თეთი მე-19 საუკუნის 1-ელ ნახევარშიც კი, განსაკუთრებით რომანტიკოსთა შემოქმედებაში).

ძველი ქართული ლექსიკის უმთავრესი ერთეულები ათვისება, მათი მნიშვნელობის შეცნობა, ცხადია, სათანადო ძველი ტექსტის შესწავლასთან ერთად უნდა ხდებოდეს. „შუშანიკის წაშობისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლის შემდეგ მოსწავლეს ათვისებული უნდა აქონდეს ისეთი აქტიური ხმარების სიტყვები, როგორცაა: ვითარ (როგორ), მუნ ((იქ), უწყის (იცის), ჳამს (უნდა, საჭიროა), ქუყანა (მიწა), აგარაკი (ყანა) კარაული (ვირი), უდები (ხარმაცი), სახიერი (კეთილი), მჭევვალი (მსახური ქალი), დამარხვა (შენახვა, დაცვა), კადრება (გაბედვა), პატიგი (სასჯელი), ხორშაკი (ცხელი), მუნქუყუყე (მაშინვე), ტრაპეზი (სუფრა), ჳამლი (ფეხსაცმელი), მეფარეამ (დიდხანს) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ XII საუკუნისა და აღორძინების ხანის მწერლებთან ფეხს იკიდებს საშუალი ქართულის ლექსიკა: არმაღანი (ძღვენი), აუგი (ცული, სასირცხო), აჯა (თხოვნა), ბედიითი (ამო), ვამა (დარდი); არა მგამა (არ შენადვლევა), დადრეჯა (ძლიერ მოწყენა), დუხჭირი (ულამაზო), ეჭვა (ფიქრი, შდრ., „კაცმან საქმე მოაგაროს, ვეჭვ ცვიქრობ“, ჳმუნვასა ესე სჯობდეს“ (ვეფხ., 107,4); ჳენა(ა)რი (ფიცო), კაეშანი (ხედა); მოყიენება (შერცხვენა); მუფარახი (გამამხსენებელ-გამახალისებელი წამალი), მუჭაფა (სამაგიერო), მუხთალი (მოღალატე), ტერება (შველა) შდრ. „აწ წადით და მე დამაგდეთ, ეტერენით თავთა თქვენთა“ (651,1) და სხვა.

ძველი და საშუალი ქართულის ლექსიკის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ სიტყვებს, რომლებიც დღესაც იხმარებიან, მაგრამ განსხვავებული შეცვლილი მნიშვნელობით; ასეთი სიტყვებია: მეღვარი, ცხედარი, შჯული, აგარაკი, დათობა, დამარხვა, კადრება, განმარტება, ტალანტი, პატიგი და სხვა. ძველი ტექსტის ჯეროვან გაგებას ასეთი სიტყვები იმით „უშლიან ხელს“, რომ ისინი მკითხველის ცნობიერებაში დღევანდელი მნიშვნელობით აღიქმებიან. ამიტომ ასეთი სიტყვების ძველ მნიშვნელობათა შეცნობა მარჯვე კონტექსტის მოშველიებით უნდა ხდებოდეს. დაეასახელებთ რამდენიმე მაგალითს.

ა) განმარტება. ძველად ეს სიტყვა ნიშნავდა გ ა შ ლ ა ს , გ ა დ ე ბ ა ს. ამ მნიშვნელობიდან განვითარდა მისი დღევანდელი შინაარსიც: ვრცლად, გაშლილად განსახლვრა (განმარტება) რამესი. პირვანდელი მნიშვნელობა კარგად ჩანს იოვანე საბანის ძის სიტყვებში: „მოშიკურენით საჩინონი ვეე სასმენლნი თქუენნი და უფრომს-და საცნობელნი ვეე ყური გულისა და გონებისა თქუენისანი განმარტენით სმენად“. აქ „განმარტენით სმენად“ ნიშნავს: გ ა ხ ს ე ნ ი თ მ ო ს ა ს მ ე ნ ა დ ყური გონებისა და გონებისა. მეორეგან მწერალი ამბობს: აწ მოვიდით [=მოდიოთ], ქრისტეს მორწმუნოს, და... გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ უ ლ ი თ ა ე ნ ი თ ა ვ ა ქ ე ბ ლ ე კ თ ი ლ ა დ მოღვაწეობასა მისსა. აქაც განმარტებულ ი ე ნ ი თ ქება ნიშნავს არა მ ა რ ტ ი ვ ი , ხ ა ლ ხ უ რ ი ე ნ ი თ ქ ე ბ ა ს, როგორც ეს ზოგჯერ პგონიით სპეციალისტებსაც კი, არამედ გ ა შ ლ ი ლ-გ ა ვ რ ც ო ბ ი ლ ა დ. ე. ი. ს ი ტ ყ ვ ა უ ხ ვ ო ბ ი თ ა ნ უ მ ჳ ე ვ რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი თ ქ ე ბ ა ს .

ბ) პატიგი. ეს სიტყვა ძველად ნიშნავდა: დასჯა-სასჯელს, ჳირსა და უბედურებას. ამის გაუთვალისწინებლად გაუგებარი იქნება ახალგაზრდა გრიგოლის სიტყვები, როცა ის უარს ამბობს მღვდლად კურთხევაზე: „აწ პატივისა ვხედავ და მ ა ტ ი ვ ი ს ა გ ა ნ მ ე მონისო“. აქ ნათქვამია, რომ სამრევლო ეკლესიის მღვდლობაში მე საპატიო თანამდებობას



ეხედვე და ს ა ს ჯ ე ლ ი ს მეშინია, ე.ი. დმურთმა მდედლობაჲე დათანხმება ანგოტე-
ან სულსწრაფობაში არ ჩამითვალის და არ დამსაჯოსო.

ძველი მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანშიც“. გავეყვილოყვიოთ
თის ციხეში დატყვევებული ნესტანი ბედზე ჩივის: „აქ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მო-
მისართა, არ დასჯერდა ბედი ჩემი მათ პ ა ტ ი ქ თ ა მრავალგვართა“. აქ: მ რ ა ვ ა ლ -
გ ვ ა რ ი პ ა ტ ი ქ ი იგოვეა, რაც ა თ ა ს ნ ა ი რ ი ს ა ს ჯ ე ლ ი, ჭირი და უბე-
დურება.

ბ) ტალანტი. ეს სიტყვა ჩვენში ბერძნულიდან შემოვიდა და ერქვა დიდი ღირებულე-
ბის ოქროს ან ვერცხლის ფულს, ძვირფას განმსაც, მერმე კი მას ახალი მნიშვნელობა გა-
ნუვითარდა: აღამიანის გამორჩევიით, ძვირფასი უნარი, ნიჭი, რომელიც ვლინდება მისი
მოღვაწეობის სხვადასხვა უბანში. გიორგი მერჩულე, ცხადია, მას ძველი მნიშვნელობით
ხმარობს. მეფე დემეტრეს თხოვნით გრიგოლმა მოიხილა მონასტრის ასაშენებლად შესაფე-
რი ადგილები აფხაზეთში (დას. საქართველოში) და განაცხადა: აქ არ არის ისეთი მოწა-
წყალი, რომ მონასტრის აშენება გამართებული იყოს, „რამეთუ ტ ა ლ ა ნ ტ ი მონასტ-
რისა მარხვად არს. და ამას მოწასა ზედა ვერ ეგების მარხვად სულისგან ხორშაკისა მაკუ-
დინებელისა“. აქ ნათქვამია: ეს ადგილები არ არის შესაფერისი მონასტრის ასაშენებლად,
რადგან მონასტრის (ბერის) ოქრო-ვერცხლი, ქონება-განძი მარხვად (ხორციელი სიტკბოები-
საგან განკრძალვა, თავის შენახვა) მხოლოდ (და სხვა არაფერი). ამ მოწაზე კი მარხვაც
არ შეიძლება (ცხელი, მომაკვდინებელი ჰაერის გამო, ე.ი. სხვა ბუნებრივი პირობები მაინც
(მოწა, ტყე, წყალი, ჰაერი) უნდა ჰქონდესო.

როგორც აღვნიშნეთ, სიტყვათა ძველი მნიშვნელობის დასასწავლად მოსწავლეს უნდა
ეძლეოდეს მარჯვედ შერჩეული, აზრობრივად და მხატვრულად გამოკვეთილი კონტექსტი.
ძნელია შიშველი განცხადებით დაიმასხვოროს კაცმა, რომ ქ უ ე ყ ა ნ ა ძველად ნიშნავ-
და მოწას, მაგრამ თუ მოსწავლე ტექსტიდან დაიმასხვორებს, რომ რჯულგამოცემლი
ქმრის საქციელთ გამწარებული შუშანიკი „დავარდა ქუეყანასა ზედა“, მისთვის საცნაური
და ადვილად ასათვისებელი გახდება ქ უ ე ყ ა ნ ა სიტყვის მნიშვნელობა და ვ ა რ დ ნ ა
„ხმის გვერდით. ანდა, თუ მოსწავლეებს დაემახსოვრებთ, რომ, როცა თავშიშველი შუშა-
ნიკი ციხეში მიჰყავდათ, „ვერვინ ი კ ა დ რ ა თ ე ვ ს მისსა დაბურვად“, მაშინ არ გა-
ჭირდება, რომ „ვერვინ ი კ ა დ რ ა“ მათ გაიფონ, როგორც „ვერვინ გ ა ბ ე ლ ა“.

2. ძველი სიტყვების მნიშვნელობათა მოდიფიკაცია. ზოგჯერ არქაული სიტყვა მნიშ-
ვნელობის დასუსტება-გაბუნდოვნების შედეგად გვიან ამა თუ იმ მწერლის თხზულებაში
ისეთ შინაარსობრივ ნიუანსს ღებულობს, როგორც მას ენაში საერთოდ არა აქვს. მოვიყ-
ვანთ რამდენიმე მაგალითს.

ა) აღ. ჰაეკვატავო ლექსში „ვამ სოფელსა ამას“ წერს: „სამეფონი ურთიერთსა მქცვე-
ლობენ წაქცევან, ანგრევენ, შუწწყალოდ, მხეცებერ კაცთა მ ხ ე ვ ე ლ ო ბ ე ნ“. ცხადია,
მ ხ ე ვ ე ლ ო ბ ე ნ ნაწარმოებია მ ხ ე ვ ა ლ სიტყვისაგან, რომელიც ძველად მ ს ა -
ხ უ რ, მ ო ნ ა ქ ა ლ ს ნიშნავდა. პოეტი კი ამ სიტყვას უფრო განზოგადებულ მნიშ-
ვნელობას აძლევს: მ ხ ე ვ ე ლ ო ბ ე ნ, ე.ი. ი მ ო ნ ე ბ ე ნ.

ბ) ძველ ქართულში ფოლოცი ნიშნავდა ქუჩას. ბესიციც ამავე მნიშვნელობით იყენებ-
და ფოლოცს: „არ დია შევრჩა მინდვრად რბენანი, არ ფ ო ლ ო რ ც ვ ე ბ შ ი გამოჩე-
ნანი“. მაგრამ პოეტი ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობითაც ხმარობს: „რახუდ მომკად არ-კე-
თილმან ფ ო ლ ო რ ც მ ა და გარეცხილმან“. ფოლოცი აქ მტონიმითრადია ნახმარი
და ნიშნავს: ქ უ ნ ა შ ი გ ა ვ ა რ დ ე ნ ი ლ ს, უ რ ც ხ ე ს, მ ა წ ა ნ წ ა ლ ა ს.

გ) ძველად ქველი „კეთილს“, „სიკეთეს“ ნიშნავდა, საშუალ ქართულში კი — „ვაჟ
კაცს“, „რაინდს“ (შდრ. „ზღვათა მეფე მოახსენებს, ხელმწიფო, ღმობი, ქველი, ვეფხ,
144,2), მაგრამ ბესიცი ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობით ხმარობს „ამბავსა ქ ე ლ ს ა მო-
გითხრობ გულისა ამოდ მღხენელსა“. აქ ქველი არც კეთილს ნიშნავს და არც რაინდს,
არამედ ირონიულად არის ნახმარი და რეალურად აღნიშნავს ცუდს.



დ) გულის-თქუმა ძველად ს უ რ ვ ი ლ ს, ნ დ ო მ ა ს ნიშნავდა. შდრ. გიორგი მერ-
წულის სიტყვები, რომ გრიგოლი არ იყო „ჭამადთა გ უ ლ ი ს ს ა თ ქ უ მ ქ ე რ ე ს ო ბ ი
მოყვარე“, ე.ი. სასურველი (კარგი) საჭმელების მოყვარული არ იყო, მაგრამ მოყვარული იყო
ნის მწერლები ამ სიტყვას ფიქრის, განზრახვის მნიშვნელობით ხმარობენ. ცნობილია, სულ-
ხან-საბას „გლახაკი და ქილა ერბოს“ პერსონაჟმა ერთი ქილა ერბოს პოვნის საფუძველზე
გამიდრების რა გეგმა არ შეადგინა? საბა ამბობს: „ამ გ უ ლ ი ს თ ქ ი მ ა შ ი ხ-
რებს შემა აუღვა და ქილაქვს გახასყიდად წამოიღო“. ცხადია, აქ გ უ ლ ი ს თ ქ ი მ ა
ნიშნავს ფ ი ქ რ ს, განზრახვას. ნ. ბარათაშვილიც ამ მნიშვნელობით ხმარობს ამ
სიტყვას პოემაში „ბედი ქართლისა“, როცა ამბობს: „ერსა ეკუთვნის გ უ ლ ი ს თ ქ ი მ ა მე-
ფის“.

ე) ქრონიკონი ძველად წელთაღრიცხვის ერთ-ერთი სისტემა იყო ქ რ ი ს ტ მ ს ი თ და
დასაბამით განის პარალელურად და ემყარებოდა 532 წლიან ციკლს (წლების ათ-
ვლა 532-ზე ზევით არ მიდიოდა, მერმე კვლავ ახლად „მოქცევა“ ანუ ციკლი დაიწყებოდა).
დავით გურამიშვილი ამ სიტყვას სოგადად წ ე ლ თ ა ღ რ ი ც ხ ე ვ ი ს მნიშვნელობას
აძლევს: ქ ო რ ო ნ ი კ ო ნ ს ქრისტეს აქეთ ათას შეიდას ოცდაერთსა“.

3. ძველი ქართული ლექსიკა რომანტიკოსთა შემოქმედებაში. მე-19 საუკუნის I ნახე-
რისათვის, როცა მოღვაწეობა უხდებოდათ რომანტიკოსებს, ძველი ქართული ლექსიკის
გარკვეული რაოდენობა უკვე მივიწყებული და გადავარდნილი იყო საღაპარაკო, ცოცხალ
ქართულში, მაგრამ სამწერლო ქართულში არსებობას განაგრძობდა როგორც არქაიზმი.
რომანტიკოსები არქაიზმებს მიმართავდნენ, როგორც ისტორიული და პოეტური სტილიზა-
ციის ეფექტურ საშუალებას. ასეთი არქაული სიტყვების საგრძნობი ნაწილი განმარტებუ-
ლია სასკოლო ქრესტომათიაში, მაგრამ ნაწილი განუმარტავადაა დარჩენილი. საეჭვო
არაა, რომ განმარტებას საჭიროებენ ქვემოთ მოყვანილი ხაზგასმული სიტყვები: „სხაჯეთ,
პურობილმა უწყისა ტრფობა“ (ა. ჭავჭავაძე), ნიშნავს: გ ა ნ ს ა ჯ ე თ, შეპყრობილმა (პარ-
მარმა) იცის ტრფობა? „ჭმუნვთა თვისთა მნახველთაჲა აზიარებენ“ (ა. ჭავჭავაძე), ე.ი. თვისი
მწუხარების მოხიარედ, მონაწილედ მნახველებსაც ხდინა. „აჲა ჩვენისა მომავლისა ნამდვი-
ლი ხატი“ [=სურათი] (ა. ჭავჭავაძე); „ჲად სოფელსა ამას და მისთა ადგმურთა“ (ა. ჭავჭავაძე) [სოფე-
ლი = წყლისოფელი, ცხოვრება]. შდრ. „ს ო ფ ე ლ ი ო მად არა ღირს“. (გრ. ორბ.); „შენს
წმინდა სახეს, შვენებით სავსეს, სახიერებით განსხივებულსა“ (გრ. ორბ.) [სახიერებით=სი-
კეთით]; „ძღვეის ყიჟინით“ (გრ. ორბ.) [ძღვეა=გამარჯვება]; „და მე ვედარ მცნობ გულშე-
მუსერილსა, დამცირებულსა, ხმამიღებულსა... ეკვით აღვსილსა, უსასოდ ქმნილსა“ (გრ.
ორბ.) [ხმამიღებული=ხმაწართმეული, ე.ი. უუფლებო; უსასო=უიმედო]; „მე განუსჯელნო,
უმაღლო შეილნო (გრ. ორბ.), ე. ი. განსჯის უნარს მოკლებული, უმაღურო შეილებო...; „მე-
გობრისგან ოუდასი აზბორი“ (გრ. ორბ.) = მეგობრისგან დალატი, ფლიღობა (სახარების მი-
ხედვით, ქრისტე გასცა მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ – ოუდამ, რომელმაც შემპყრობთ ამბო-
რით (კოცნით) ანიშნა, თუ რომელი იყო მრავალთა შორის ქრისტეს პიროვნება); რატომ
გაცუდდა ძალი შენი“ (ნ. ბარათა) [გაცუდდა=ამათ გახდა]; „ცუდად ხომ მიინც არ ჩაიფ-
ლის...“ (ნ. ბარათა). [ცუდად=ტყუილ-უბრალოდ, ამაოდ]; „სიღამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციე-
ლების“ (ნ. ბარათა), ე.ი. სიღამაზე სხეულისთვის (ხორცისთვის) ბოძებული ს ა ნ უ -
ქ ა რ ი ა“. ზეგარდმო მაღლით დაუხსნელად დამტკიცებულსა“ (ნ. ბარათა). [და უ ხ ს ნ ე ლ ი
= დაურღვეველი]; „აჲყარეს (მაშულს სიმტკიცის ბტენი“ (ნ. ბარათა) [=კარი, ზღუდე]; „მარ-
ქვი, რომელს შეიღს მხედავ ღირსუელს, რომ ექმნას კვერთხად მაშულს დარღვეულს“ (ნ.
ბარათა.) [მარქვი = მთხარე; კვერთხი = ჯოხი, ძალაუფლების სიმბოლო, გადავ. ძაღვ];
„ჰოი, დედანო, მარად ნებარნო... რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ სულიცა თქვენი გამოჰ-
ყოლოდათ“ (ნ. ბარათა.) [აქ: დედა=ქალი].

არქაული ლექსიკის განმარტებაც არ არის ზოგჯერ ჯეროვანი და ზუსტი. ამ რივის
ზოგიერთი უზუსტობა ჩვენ აღნიშნული გვაქვს პროფესორ ზურაბ სარჯველაძის თანაე-
ტორობით დაწერილ სტატიაში „საშური საქმე“ (იხ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკო-
ლაში“, 1982, №2, გვ. 92-117).

დასასრულ, სხვა სატირო საკითხებზეც შეიძლება თქმულიყო, მაგრამ, ვერტიკობით, აქ მეტად მოკლედ გადმოცემული ცნობები მაინც უნდა კჭინდეს საშუალოს სკოლის მის-
წაედეს გათავისებული, რომ მისთვის გაუცნობერებელი არ დარჩეს V-XVIII საუკუნეში
შექმნილი ქართული ლიტერატურული ძეგლების შემეცნებითი და მნიშვნელობანი.

ბ. დანელია

მნიშვნელოვანი გვარის წარმოშობისათვის კოლხურში

გვარის სახეთაგან კოლხურში (მსგავსად ქართლისა) მხოლოდ ვნებიანთა მორფოლოგიური ნიშნით გამოხატული. ვნებიანობის გადმოსაცემად კოლხურში, განსაკუთრებით მეგრულ კოლოში, რამდენიმე ნიშანი მოიპოვება, ეს ნიშნები კარგა ხანია გამოყოფილია სპეციალურ ლიტერატურაში. მაგრამ ზოგჯერ ისეთი ნიშნებიც მიიჩნევა ვნებიანობის გამოხატველად, რომელთაც სხვა წარმომავლობა და ფუნქცია უნდა ჰქონდეთ; თანაც ვნებითი გვარის წარმოშობისას ისეთი ელემენტი ვლინდება, რომელიც ვნებიანობის ნიშნად არ მიაჩნიათ, მაგრამ არც მისი გენეზისი და ფუნქციაა გარკვეული. ცხადი რომ იყოს, რომელ აფიქსზეა აქ ლაპარაკი, ვაჩვენებთ დღევანდელ ცნობილ ვითარებას.

ცნობილია, რომ ვნებითი გვარის გამოხატვით ქანური კილო საგრძობლად სხვაობს მეგრულისაგან; ის წარმოება, რომელიც მეგრულში მხოლოდ შესაძლებლობის შინაარსს ვადმოსცემს, ქანურში საკუთრივ ვნებითობასაც გამოხატავს. საკუთრივ ვნებითობის შინაარსს კი მეგრული სხვაგვარი წარმოებით ვადმოსცემს, რასაც ქანური მოკლებულია. ვნებითი გვარის მაწარმოებლად გამოიყოფა ([1], 110—114; [2] 32—37):

-უ: ტუბ-უ-ნ (ჰ), ტიბ-უ-ნ (მ.) „თბება“. ეს წარმოება ე. წ. „უნიშნო“ ვნებითებს აქვთ და ერთნაირად დამახასიათებელია მეგრულისა და ქანურისათვის.

ი—ე: ი-ჰარ-ე-ნ „იწერება“ (ჰანურად), „შეიძლება დაიწეროს“ (მეგრულად, ჰანურად).

ა—ე: ა-ჰარ-ე-ნ „ეწერება“ (ჰანურად), „შეუძლია დაიწეროს“ (მეგრულად, ჰანურად). უკანასკნელი (ა—ე) წარმოების ყველა ზმნა ინვერსიული წყობისა და აქტიური შინაარსისა: მ-ა-ჰარ-ე-ნ აგებულებით „მ-ე-წერ-(ებ)-ის ფორმას ეტოლება, მაგრამ შინაარსით უდრის როგორც მეწერება-ს (ჰანურში), ასევე: შე-მ-ი-ძ-ლ-ი-ა ვ-წერ-ო-ს (მეგრულში და ჰანურშიც).

-დ: გომოჰყორ-დ-უნ (ჰ.), გომოჰყორ-დ-უნ(ნ) (მ.) „დამავიწყდება“. ეს წარმოება ძალზე იშვიათია კოლხურისთვის.

მეგრულში საკუთრივ ვნებიანობის მაწარმოებლად გამოიყოფა:

ი. — უ: ი-ჰარ-ე-უნ(ნ) იჭრება.

ა — უ: ა-ჰარ-ე-უნ(ნ) იჭრება.

ე — უ: ე-წუხებ-უნ(ნ) უწუხდება.

ო — უ: ო-ჩქარ-უნ(ნ) ერქარება.

გასარკვევია: არის კი ვნებიანობის მაწარმოებელი -უ სუფიქსი, რომელიც ცალკე იხმარება (ტუბ-უ-ნ) და — დ სუფიქსთან (შქურონ-დ-უნ(ნ)¹ „შინდება“),

¹ დ-ს მომდევნო უ არავის მიუჩნევა ვნებიანობის ნიშნად, თუმცა ადგენილია და დანიშნულებს მიხედვით ის იგვე უ არის, რომელიც პრეფიქსიან ვნებითებთან ვლინდება. ამდენად, უ-ს ცვლილებაცაა ორავ შემთხვევაში ერთნაირი უნდა იყოს.



თუ ი-, ა-, ე-, ო- პრეფიქსებთან ერთად? რა წარმოშობისა და ფუნქციონირებისაა ეს? უ, რომელიც ი—უ და ა—უ ტიპის წარმოების შიგნით ვლინდება (ი-ჭკირ-უ-უნ)? ქართულისათვის უფრო ვნებიითი გვარის პრეფიქსიანი წარმოებაა დამახასიათებელი (ს უფიქსიანი წარმოება შეზღუდულია და კოლტურისათვის რამდენად ახის მოსალოდნელი პრინციპულად პრეფიქს-ს უფიქსიანი წარმოება?

ქართულში გვარის კატეგორია სრულად და სექუელურიანად არის დამუშავებული ([3] 289—331). ქართულის ვითარებისა ვათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ზოგი იმ საკითხის გარკვევა, რომელიც გვარის წარმოებასთან არის დაკავშირებული კოლტურში.

5. მარს მკრთალად და ბუნდოვნად აქვს გადმოცემული გვარის წარმოების საკითხი ჭანურში ([4] 57—61). ის საგანგებოდ არც მსჯელობს თავის „ჭანურას გრამატიკაში“ ვნებიითის წარმოებაზე და არაერთად აწყობს თემის დაბოლოებებს ენება. I ჯგუფად გამოყოფს უპრეფიქსო წარმოების ორ ტიპს: -ერ და -ურ დაბოლოების (მავალითები შესაბამისად: ბ-ხ-ერ „ვზუარ“; ბ-ტუ-ურ „ვთები“). ამ ზოლოსართების მარი მეშველი ზმნისაგან მომდინარედი სახეს ([4] 57). არას ვამბობთ იმაზე, რომ -ერ და -ურ რთული შედგენილობისაა, ე და უ სხვადასხვა ოდენობაა; ხოლო რ, მართლაც, ო რენ („არის“) ზმნის ნაშთი უნდა იყოს ([5] 131—139).

ენებიების მეორე ჯგუფად ი პრეფიქსიანი წარმოება მიჩნეული, მესამედი კი—დ სუფიქსიანი (გომოჭკონ-დ-უ „დამავიწყდა“). მითითებულია, რომ ეს უკანასკნელი (დონიანი) წარმოება ქართული წარმოშობისაა. სხვაგან, ობიექტური წყობის ზმნათა უღლებისას, ნ. მარს მოჰყავს ზმნები: მაბარბალენ ბრეჟი, მაბძირენ (sic) я могу видеть, ვარ აქო უფენ не может ловить და ფორმათა ანალიზის გარეშე აღნიშნავს: ამ (ე. ი. ა—ე —ა. დ.) ტიპის წარმოება იხმარება для выражения возможности ([4], 61). ნ. მარმა კი უენიშნა შესაძლებლობის (პოსიბილიტივის ანუ პოტენციალის) ფაქტი ჭანურში, მაგრამ არ აღნიშნავს, რომ შესაძლებლობის შინაარსის გამოშხატველი წარმოება ჭანურში ვნებითობასაც გადმოსცემს. პოტენციალის გადმოცემის საშუალებანი ქართულურ ვნებში საგანგებოდ ა. ჩიქობავას აქვს შესწავლილი ([1] 111—116; [2] 32—37).

6. ყიფშიძემ უკეთ შექლო ვნებითი გვარის მაწარმოებლების გამოყოფა მერტულში. პირველ ჯგუფად ყიფშიძემაც (ალბათ, მარის გრამატიკის კვლობაზე) უპრეფიქსო წარმოების ვ(<ერ) და უ(<ურ) დაბოლოებიანი ზმნები გამოყო (ბ-ხ-ერ-ქ „ვზუარ“, ბ-ჟყორ-უ-ქ „ვწყურები“), მეორე ჯგუფად -ი პრეფიქსიანი წარმოების ზმნები (ფი-ჭარულქ „ვიწერები“); აქვეა ვანილული ი—ე წარმოების ზმნები: მი-ი-ბრთექ (←მი-ე-ი-რთ-ე-ქ)² „მივისვლები“. ყიფშიძე მათ ე კლასის შესაძლებლობის გამოშხატველ ზმნებს უწოდებს: „...можно бы назвать страдательными формами возможности: მი-ი-ბრთე-ქ мне можно идти (туда), იბქარექ я могу быть написан. მკვლევარს სწორად აქვს პარალელი ვავლებული ქართულითან: აღნიშნავს, რომ ამ ტიპის (შესაძლებლობის) ზმნები პირის ვაკების გარეშე (безличнo) იხმარება: მი-ირთე можно идти (გრ. მიისვლება, მო-ისვლება) ([6], 070).

² 6. ყიფშიძეს გუინალიზებლად მოჰყავს ფორმა.



ენებითა შესაძრე ჩგუფად — სუფიქსით ნაწარმოები ზმნებია დასახელებული (ბ-ჩენ-დ უქ я останавливаться), ხოლო მეოთხე ჩგუფად—ე პრეფიქსით ნაწარმოები (ქართულიდან ნასესხები) ფორმები (ვ-ე-ცხადებუქ „ვეცხადები“). ამავე ჩგუფშია დასახელებული ა და ო პრეფიქსებით ნაწარმოები ზმნები (ვ-ა-ჭარუქ „ვეწერები“, ვ-ო-დუქ „ვედავები“) (6] 071).

მაშასადამე, ო. ყიფშიქმ არსებითად სწორად გადაწყვიტა ენებითი გვარის წარმოების საკითხი მეგრულში, როდესაც ენებითობის მაწარმოებელ აფიქსებად გამოყო: ო (ვ-ი-ჭარუქ „ვიწერები“), ა (ვ-ა-ჭარუქ „ვეწერები“), მ (ვ-მ-ცხადებუქ „ვეცხადები“), დ (ვ-ენ-დ-უქ „ვერდები“), ო (ვ-ო-დუქ „ვედავები“), ო—მ (პოტენციალისის გადმოსაცემად): მი-ი-რ-თ-ე „მიიხველება“.

ყველა შემოდასახელებულ აფიქსს ა. ჩიქოზავაც მიიჩნევს ენებითობის მაწარმოებელად, ოღონდ უმატებს ოდენ უ-სუფიქსიან წარმოებას (ლურ-უ-ნ „კვდება“) და ამავე უ-ს ვამოყოფს -ი, -ა, -ე, -ო პრეფიქსებით ნაწარმოებ ფორმებშიც. ენებითობის ნიშნად უ-ს გამოყოფის საფუძველი, ალბათ, ისაა, რომ მოქმედებითი გვარის კონვერსიისას ეს სუფიქსი მუდამ აღმოაჩნდება პრეფიქსიან ენებითებს, ასევე დონიანებსაც. საფიქრებელია, რომ ეს უ სხვა წარმომავლობისა და ფუნქციისა იყო. ამის საჩვენებლად საჭიროა განვიხილოთ ოდენ უ სუფიქსით თუ უ-ს მონაწილეობით ნაწარმოები ენებითები.

1-ს კოლხურის —უ სუფიქსით ნაწარმოებ ენებითებს ქართულში „უნიშნო“ ტიპის ფორმები შეესაბამება, იქნება ის „მარტივი“ ტიპისა თუ „რთული“ ტიპისა (გართულებული ფუძის საწარმოებელი აფიქსებით) ([7] 227—233; [8] 104). „უნიშნო ენებითი“ ზმნები ისევე ცოტაა კოლხურში, როგორც ქართულში და ამ ტიპის ფუძეები უმეტესად საერთოა ქართულსა და კოლხურში.


ა) „მარტივი“ ტიპის „უნიშნო ენებითები“:

მეგრ.	კან.	ქართ.
ვ-ღურ-უ-ქ ³	ვ-ღურ-ურ	ვევლები
ვ-ტბ-უ-ქ	ვ-ტბ-ურ	ვთბები
ვ-ხომ-უ-ქ	ვ-ხომ-ურ	ვხმები
ვ-სქირ-უ-ქ	ვ-სქირ-ურ	ვსრები
დო-ვ-დირთ-უ-ქ	დო-ვ-დგით-ურ	დავდგები
დო-ვ ხოდ-უ-ქ	დო-ვ-ხედ-ურ	დავცლები
ვ-ჭყორდ-უ-ქ	ვ-ჭკოდ-ურ	ვჭყვლები
ვ-სქიდ-უ-ქ	ვ-სქიდ-ურ	ვსრები (ვცხოვრობ).

ბ) „რთული“ ტიპის „უნიშნო ენებითი“ ზმნები ძალზე ცოტაა კოლხურში. მათ შესაბამის ზმნებს ქართულში მოქმედებით ფორმებში აღტერნაცია (ვ/ი) ახასიათებს, კოლხურში კი—არა. კოლხურში ენებითის ფუძე რედუქციას განიცდის, მოქმედებითისა კი—არა. მაგალითები: მ. შჭირტ-უნ-ს „აქრობს“ („შრეტს“) და შჭირტ-უ-ნ („შრება“) („შრტება“) დ ი რ ი კ-უნ-ს „დრეკს“ („დრიკავს“) და დორკ-უ-ნ („დრიკება“) („დრკება“). წ ი რ ი დ-უნ-ს „წრეტს“ („წრიტავს“) და წ ი რ დ-უ-ნ („წრიტება“) („წრდება“).

ამ ტიპის ზმნათა თავისებურება ის არის, რომ მათ ენებითის ახალი, პარა-

³ ზ-ის ნიშნად ფორმათა სცხადისათვის მხოლოდ ვ-ს ვისახელებთ, ნაცვლიდასამილიაკით მიღებული ბ, პ, ფ, ვ ნიშნებისა.



ლელური, პრეფიქსიანი ფორმებიც ეწარმოებათ. ამ შემთხვევაში ენბიტის ფუნქცია მოკმეღებითთჲს საერთო ექნება.

ძველი წარმოება

ახალი წარმოება

შქირტ-უ-(ნ)	შრტება	ი-შქირიტ-უ-უ-(ნ)	იშრიტება
ღირკ-უ-(ნ)	ღრკები	ი-ღირიკ-უ-უ-(ნ)	იღრიკება
წირღ-უ-(ნ)	წრღება	ი-წირიდ-უ-უ-(ნ)	იწრიტება.

ზოგჯერ ქართულის „უნიშნო ენებითს“ მეგრულში — სუფიქსიანი წარმოება კი არ შეეფარდება, არამედ ი—უ პრეფიქს-სუფიქსიანი: ვ-ი-რ-ძლ-უ-უ-ქ „ვძლები“, ვ-ი-ნჯირ-უ-უ-ქ „ვწვები“ („ვიძინებ“), ვ-ი-შირ-უ-ქ „ვცვლები“. ქანური ამ ტიპის ზმნებში — სუფიქსს არ ავლენს (შღრ. ვ-ი-ძლ-ღ-რ „ვძლები“, ვ-ი-ნჯირ „ვწვები“).

გ) — სუფიქსი მარტო ღინამიკურ ენებითებს კი არ დაერთვის, არამედ სტატიკურ ზმნებსაც. — უ-ს ზმარება უფრო სინტემატური მეგრულში, ხოლო ქანურში უ-ს ფარდად ზოგჯერ ი გვაქვს ან არაფერი:

- კირ-უ-(ნ): ზოჯი კირ-უ „ხარი აბია“; შღრ. ჰან ნო-კირ-ს „აბია“.
- ძ-უ-(ნ): ორთვალს თირი გეძუ(ნ) „სახურავს* თოვლი აძევს“; სო ძუ(ნ)? „სად ძევს?“ შღრ. ჰ. ძ-ი-ნ „ძევს“.
- რძ-უ-(ნ): დაჩხირი რძუ(ნ) „ცუცხლი ანთია („გზია“); შღრ. ჰ. ოგზ-უ-ნ „აგზია“.

დგუ-(ნ): ლავანს ღვინი დინოდგუ(ნ) „ქვევარში ღვინო (შიგ) დვას“; შღრ. ჰან. დოლო-დგ-ი-ნ „შიგ დვას“.

თას-უ-(ნ): თაქ ქობალი თასუ(ნ) „აქ ხორბალი სთესია“.

თხორ-უ-(ნ): სო თხორუ(ნ) ლურელი? „სად ჰმარხია („სთხრია“) მკვდარი?“

შქ-უ-(ნ): ჯას არგუნი გეშქუ(ნ) „ხეს ნაჯახი ასვია“.

ხანტ-უ-(ნ): ვაზეთის კოჩი ხანტუ(ნ) „ვაზეთში კაცი ჰხატია“.

რჩ-უ-(ნ): ნოხი რჩუ(ნ) „ნოხი (ა)გია“ (შღრ. ნო-რჩ-ალ „სა-რეც-ვლ“) ([9], 310).

ჯოგ-უ-(ნ): ჰირიცილო ჯოგუ(ნ) ტყურა „ჰირივით სძულს (სძავს) ტყუილი“.

სტატიკურ ზმნათა ნაწილს რაიმე თემატური ნიშანი არა აქვს: უ-ცოროს „უყვარს“ (ქანურში ეს ზმნა სუბიექტური წყობით იხმარება: ვ-ყოროფ „მიყვარს“ (ყუყვარობ), ან მოქმ. გვარის თემის ნიშნაც დაირთავენ: მ. ც-უნ-ს (<ყ-უნ-ს), ჰ. უ-ყონ-უნ-ს „ჰყავს“, მ. შქირ-ენ-ს, ჰ. შქირ-ონ-ს „ჰშია“, ცუმ-ენ-ს „სწუწურია“. ქანურში დღეს ეს ფუძე თითქმის დაეწევილებულია. იტყვიან: წკაი მაშეე მწყურია“, „სიტყვა-სიტყვით: „წყალი მესმევა“, თუმცა არის: წკაი მაომინუ (<მ-ა-ყონ-ინ-უ).

„ლურ-უ-ნ“ ტიპის ზმნებში, როგორც აღვნიშნეთ, ა. ჩიქობავას — უ ენებითობის მაწარმოებლად მიაჩნია, მაგრამ საყურადღებოა, რომ მკვლევარი ამ უ-ს პარალელად ქართული „უნიშნო ენებითების“ აწმყოში გამოვლენილ ი-ს ასახელებს ([1], 110):

- ტუბ-უ-ნ — თბება (ძვ. ქართ. ტფებ-ი-ს).
- ღურ-უ-ნ — კვდება (ძვ. ქართ. კულდებ-ი-ს)
- სქიდ-უ-ნ — რჩება, ცხოვრობს (ძვ. ქართ. რჩებ-ი-ს).
- დგით-უ-ნ — დგება (ძვ. ქართ. დგებ-ი-ს)

* ო-რ-თ-ე-ი-ლ-ი-ბ ზუსტი შესატყვისია ქართული ს-ა-რ-თ-უ-ლ-ი-ს-ი, რომელიც ძველ ქართულში ს-ახ-რ-ავ-ს ნიშნავდა.



გ. მაქავარიანსაც ადრე კოლხური უ (<ო) სუფიქსი ქართულში მოვლითობის -ის ფუნქციის მატარებლად მიიჩნდა ([8] 104), მაგრამ შემდგომ ეს უ აწმყოს თემატურ ნიშნად ცნო ([10], 277). ა. ჩიქობავას სხვაგვარი ვარაუდოც აქვს გამოთქმული: „უ ტიპი ვარაუდობს ქართულში -ა- ტიპის არსებობას, მაგრამ ასეთი ვნებითი ქართულში ნაშთების სახით თუა შემონახული, ისიც ფუნქციის ცვლით: ვგულისხმობდ დგ-ა-ს ზმნას და ზოგ სხვას, რომელსაც -ა მრავლობითში უჩნდება: წვ-ა-ან-ან, გვ-ა-ან-ან...ეს ზმნები სიშუალო გვარისადაა მიჩნეული, მაგრამ საშუალო და ვნებითი გვარის გამიჯვნა ყოველთვის არ ხერხდება ახლაც კი, მით უფრო ძნელია ეს წინა პერიოდისათვის; სათანადო ზმნებიდან კი მეგრულში ზოგს -უ აქვს: გ-უ-ნ გავს, დგ-უ-ნ დგას“ ([1] 115).

ვფიქრობთ, -უ სუფიქსის ფუნქციის დასადგენად საჭიროა, უპირველესად მისი ხმარების არე, შემთხვევები განისაზღვროს. ფაქტი ასეთია:

- ა) -უ სუფიქსი ყველა ტიპის ვნებითს ახლავს მეგრულში (ქანურში კი პრეფიქსიან წარმოებას არ ახასიათებს); კერძოდ, 1. „უნიშნო ვნებითს“: ღუ რ-უ-ნ) „კვდება“; 2. სტატიკურ ვნებითს: რ-დ-უ-ნ), (მ.) ო-გზ-უ-ნ (ქ) ანთია („აგზია“); 3. -დ სუფიქსიან ვნებითს: ჭითან-დ-უ (ნ) „წითლდება“. მომწონ-დ-უ-ნ) „მომწონს“; 4. პრეფიქსიან ვნებითს (მეგრულში) ი-ჭარ-უ-უ-ნ) „იჭირება“, ა-ჭარ-უ-უ-ნ) „ეჭირება“, ე-წუხებ-უ-ნ) „უწუხდება“, ო-ჩქარ-უ-ნ) „ეჩქარება“.

უ-ს ხმარების ფაქტი ანალოგიურია ქართულში ებ-ის ხმარებისა: ებ-ი ქართულში ყველა ტიპის ვნებითს მოუღდის (სტატიკურის გამოკლებით): პრეფიქსიანს (ი-წერ-ებ-ა, ე-წერ-ებ-ა), სუფიქსიანს (შენ-დ-ებ-ა), „უნიშნოს“ (ქრ-ებ-ა). ამდენად, -უ ფუნქციონალურად თემატური ნიშნის როლში გამოდის.

ბ) -უ სუფიქსი არცერთი ტიპის ვნებითს არ გადაყვება II სერიის მწკრივებში. ეს შემწეული იყო ი, ყიფ შიძის მიერ ([6] 071). ა. ჩიქობავაც წერს: „სუფიქსითა და პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები ვნებითები კარგავენ მაწარმოებელ სუფიქსებს აორისტა და მისგან ნაწარმოებს დროებში“ ([1] 111). ცხადია, ეს იმიტომ ხდება, რომ -უ სუფიქსი გვარის მაწარმოებელი კი არ არის, არამედ თემატური ნიშანია.

გ) „მარტივი“ ტიპის „უნიშნო ვნებითებს“ აქტიური (მოქმედებითის) ფორმები კაუზატიურად ეწარმოება ო პრეფიქსითა და ნულ-სუფიქსით ([10] 277). ამ შემთხვევაში მოქმედებითი ვნებითის თემას ეწყარება და ამიტომაცაა -უ სუფიქსი მოქმედებითის ფორმებშიც ვლინდება:

	ვ ნ ე ბ ი თ ი		მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი
სქირ-უ-ნ	შრება	ო-სქირ-უ-ან-ს (მ.),	ო-სქირ-ამ-ს (ქ.)
ხომ-უ-ნ	ხმება	ო-ხომ-უ-ან-ს (მ.),	ო-ხომ-ამ-ს (ქ.)

ცხადია, ჭანურს -უ დიკარგული აქვს კაუზატივებში ([10] 277): ო სქირ-ამ-ს (<ო-სქირ-გ-ამ-ს ო-სქირ-ჟ-ამ-ს). -უ სუფიქსი, რომელიც კოლხურში „ღურ-უ-ნ“ ტიპის ზმნებს მოუღდის I სერიის მწკრივითა ფორმებში, დანიშნულებით თემატური ნიშანია. გავსცელებულობით და ხმარებით ის ქართულ ებ-ის ეტოლება, მაგრამ, რა თქმა უნდა, მისგან არ მომდინარეობს. -უ-ს ვერც ქართული ო-ს ბალოად მიფიქნევთ (იქნება ეს ი თემის ნიშანი, თუ ხოლმეობითობისა). -უ; საფიქრებელია, ო ვ-ისაგან მომდინარეობდეს, ხოლო ეს უკანასკნელი კი ქართული ავ-ის შესატყვისი იყოს (ავ > ოვ > უვ > უ). ო > უ პროცესისთვის. ვ-საც უნდა შეეწყოს ხელი, თუმცა უმიხილავ დასტურდება ასეთი გადასვლა: დოჭარ-უ (<დოჭარ-ო) „დაწერა“. ასე რომ: ღურ-უ-ნ < ღურ-უ-გ-ნ < ღურ-ო-გ-ნ; ამდენად, „ღურ-უ-ნ“ ტიპის



წარმოება ამოსავლად უნდა გულისხმობდეს არა კულ-ეზ ტიპის თემას (კულ-ეზ-ი-ს), არამედ კულ-ავ ტიპს (*კულ-ავ-ნ, შდრ. მო-კულ-ავ-ი). -უ პასიურის ზმნის თემის მაწარმოებელია და ყველა ტიპის ვნებითს ახასიათებს. „უნიშნო ვნებითი“ ზნნები კოლხურშიც უნიშნო წარმოებით ხასიათდება.⁵

2. ვნებითი გვარის მაწარმოებელი პრეფიქსები კოლხურს საერთო აქვს ქართულთან: ი- აბსოლუტური წყობის ზნნებთან და ა (ქართ. ვ-ს კანონზომიერი შესატყვისი)—რელატიურებთან. ასეთი პრეფიქსული წარმოების ვნებითის თემა შევტრულში ორმაგი სუფიქსაციით ხასიათდება, თემატურ ნიშნად უს ნაცვლად უ-უ არის (ასეთი წარმოება ჰანურმა არ იცის). როგორც მოსალოდნელი იყო, II სერიის მწკრივებში უ-უ არ გადააყვევა თემას; თემის ორმაგი სუფიქსაცია ერთნაირად ეხება პირველადსა და ნასახელარ ზნნებს: ა) პირველადი ზნნები:

- ვ-ი-ა-ქარ-უ-უ-ქ ⁶ „ვ-ი-ე-წერ-ებ-ი“, წყვ. ვ-ი-ა-ქარ-ი⁶ (და)-ვ-ი-ე-წერ-ე
- ვ-ი-ა-ლუბ-უ-უ-ქ⁷ „ვ-ი-ე-ლუბ-ებ-ი“, წყვ. ვ-ი-ა-ლუბ-ი (და)-ვ-ი-ე-ლუბ-ე
- ვ-ი-ა-ხაშ უ-უ-ქ⁸ „ვ-ი-ე-ხარ-შ-ებ-ი“, წყვ. ვ-ი-ა-ხაშ ი (და)-ვ-ი-ე-ხარ-შ-ე.
- ვ-ი-ა-ფულ-უ-უ-ქ⁹ „ვ-ი-ე-მალ-ებ-ი“ („ვიფარები“), წყვ. ვ-ი-ა-ფული-ი

(და)-ვ-ი-ე-მალ-ე.
ვ-ი-ა-ლანძლ-უ-უ-ქ¹⁰ „ვ-ი-ე-ლანძლ-ებ-ი“, წყვ. ვ-ი-ა-ლანძლ-ი (გა)-ვ-ი-ე-ლანძლ-ე.

ბ) ნასახელარი ზნნები:

- ვ-ი-ფერ-უ-უ-ქ¹¹ ვიფერები, წყვ. ვ-ი-ე-ფერ-ი (<გო-ვ-ი-ფერ ი) ვაფერვ
- ვ-ი-ხაზ-უ-უ-ქ¹² ვიხაზები, წყვ. დ-ი-ე-ხაზ-ი (<დო-ვ-ი-ხაზ-ი) დავიხაზე
- ვ-ი-ღობ-უ-უ-ქ¹³ ვიღობები წყვ. დ-ი-ე-ღობ-ი (<დო-ვ-ი-ღობ-ი) დავიღობე
- ვ-ი-ცალ-უ-უ-ქ¹⁴ ვიცალები, წყვ. დ-ი-ე-ცალ-ი (<დო-ვ-ი-ცალ-ი) დავიცალებ

უ-უ დაბოლოების პირველი უ იმავე ოდენობისა უნდა იყოს, რისაც ის უ, რომელიც პასიურ ზნნათა თემას აწარმოებს. ამას ორი გარემოება ადასტურებს:

ა) მოსალოდნელი უ-უ დაბოლოების პირველი უ მხოლოდ მაშინ შეიძლება არ ექნეს ზნნას, თუ ამ უ-ს ადგილზე მას სხვა თემატური ნიშანი აღმოაჩნდა; ქართული ებ ან კოლხური აფ: ვ-ი-შენ-ებ-უ-ქ¹⁵ „ვშენდები“, ვ-ი-სუფთ-ებ-უ-ქ¹⁶ „ვსუფთავდები“, ვ-ი-ბად-ებ-უ-ქ¹⁷ „ვიბადები“, ვ-ი-რტუ-აფ-უ-ქ¹⁸ „ვღობები“ („ვტლები“).

⁵ ზნნის პასიური თემის მაწარმოებელი უ და ძველ ქართულში ვნებითი გვარის ზოგიერთი ზნნის I სერიის თემაში გამოვლენილი ვ (ავ) სავარაუდოა ისტორიულად ერთმანეთთან კავშირში იყოს. ვგულისხმობთ იგმობვის, იძიებვის, წარიგებვის, ბყრობვის, განეყოფვის ტიპის ფორმებს. თუ, ვთქვათ, გმ-ობ ს ზნნის აქტიურ ფორმას ვნებითად მოვაქცევთ, ვლბულობთ: ი-გმ-ობ-ვ-ი-ს (*ი-გმ-ობ-ავ-ი-ს), ე. ი. ვ-ს მიმატებით აქტიური თემა (გმ-ობ) პასიურად იქცევა (გმ-ობ-ვ); მაგრამ სანამ ძველი ქართულის ამ მონაცემებს მტკიცედ დაუკავშირებდეთ კოლხურის უ-ს, სპირობი განისაზღვროს ვ-ს ქრინოლოგია, ხმარების არე და სიხშირე ძველ ქართულში.

⁶ სიტყვადსათვის უზნისწინა ფორმები მოგვეყვას. ისე ცი ჩვეულებრივ წყვიტში ზნისწინაინ ფორმებია დამახასიათებელი, გარკვეული ცვლილებით: პირის ნიშნის გადასმა ზღობა¹⁹ და ზნისწინისუელი ხმოვნის ასიმილაციური დაკარგვა: დო-ვ-ი-ქარი>დო-ი-ვ-ქარი>დ-ი-ვ-ქარი > დ-ი-ვ-ქარი > დ-ი-ფერე²⁰. შდრ. რელატიური ფორმება: დო-ა-ქარი (<დო-ვ-ა-ქარი) „დავიწერე“, დ-ა-ქარე (<დო-ა-ქარე<დო-ა-ქარე), „დავიწერე“.

⁷ ა. რიქობაცას ამ ტიპის (ორმაგი სუფიქსაციის) ზნნები ორგვარი დაწერილობით მოჰყავს: ი-ქარ-ტ-(-ნ) „იწერება“, ითას-ტ-(-ნ) „ითესება“ ([1] 113), ი-თას-ტ-ტ-(-ნ) „ითესება“, ი-ნაბ-ტ-ტ-(-ნ) „ირეცება“ ([2] 33). უ-უ დაბოლოების უკანასკნელი უ გვარის მაწარმოებლად და მიჩნეული, მაგრამ პირველ უ-ზე არაფერია ნათქვამი.



ბ) უ-უ დაბოლოების პირველი უ-ს აღრინდელი ო (<ოვ) სახეც დასტურდება მეგრულში: ი-ბ-რ-დ-ო-უ-ქ (>ი-ბ-რ-დ-უ-უ-ქ) „ვიზრდება“. ასე რომ: „ი-ბ-რ-დ-ო-უ-ქ>ი-ბ-რ-დ-ო-უ-ქ>ი-ბ-რ-დ-უ-უ-ქ“.

ი. ყიფშიძე ამ უ-ს ფუძეში განვითარებულად თვლიდა და ო-საგან მომდინარედი მაინდა: В некоторых темах перед у вспомогательного глагола нарастает на основу другое у, гесп. ო: იჭარ-უ-უ-ქ ა пишусь, იბრდ-უ-უ-ქ, гесп. იბრდ-ო-უ-ქ ა расту, воспитываюсь ([6] 071).

გ. როგავა პრეფიქსიანი ენებითების უ-ს ე-უ-საგან ასიმილაციით მიღებულად თვლის და ქართულის ოდ საერთობის ო ელემენტის ტოლფარად მიიჩნევს ([11] 82—83),

აღსანიშნავია, რომ შეიძლება ერთსა და იმავე ზმნას პრეფიქსიანი ენებითის თემა ორგვარად უბოლოვდებოდეს, უ-უ—თი და აფ-უ-თი (ე. ი. პირველ უ-ს ენაცვლება აფ სუფიქსი). ამ შემთხვევაში შინაარსობრივი სხვაობაც ივარძობა: უ-უ დაბოლოების ფორმებში პასიურია გრამატიკული სუბიექტი, ის რეალური ობიექტის როლშია, ე. ი. ზმნას ჩვეულებრივ ენებითის შინაარსი აქვს: ე-ი-ხვამ-უ-უ-ქ „ვილოცები“ (მე ვილაცხვან); ხოლო აფ-უ დაბოლოების ფორმებში გრამატიკული სუბიექტი აქტიურიცაა, მოქმედია, აღონდ ობიექტი არა აქვს: ე-ი-ხვამ-აფ-უ-ქ „ვილოცები“ (მე ვილაცხვ. რაღაცხვ). ამ წარმოების ზოგმა ზმნამ მოქმედებითი გვარის შინაარსი შეიძინა: ი-ყვილ-აფ-უ-(ნ): დუს იყვილაფუ „თავს იკლავს“; ი-ჭარ-აფ-უ-(ნ): მუს იჭარაფუ ბალანა? „რას იწერება ბავშვი?“ ზმნებს, რომელთაც ენებითის თემა მხოლოდ აფ-უ-ზე უბოლოვდებოდა, ლეონენსური გავება აქვთ: ფორმა პასივისაა, მნიშვნელობა—აქტივისა ([3] 305). ი-ცქე-აფ-უ-(ნ) „იქება“ („იქებს“), ი-ჭყ-აფ-უ-(ნ) „იწყველება“, ი-გორ-აფ-უ-(ნ) „იგინება“ და სხვ.

3. ზოგიერთ ზმნას მეგრულში ენებითობის მაწარმოებელ პრეფიქსად ო აქვს: ე-ო-დღუქ „ველავები“, ე-ო-ვერდუქ „ვევერდები“ ([6] 071), ო-ჩარბ-უ-(ნ) „ეჩარება“, ო-ხიოლ-უ-(ნ) „უხარია“ ([1] 144). რა მიმართებაშია ეს ო ქართულის ენებითობის მაწარმოებელ პრეფიქსებთან? ამაზე, თუ არ ვცდებით, არაფერია ნათქვამი.

ეს ო, თითქოს, ქართულისაგან განსხვავებული ენებითობის პრეფიქსი ჩანს. ნამდვილად კი ო ქართულში ა-ს გავარაუდებინებს. ასეთი ა ქართულში სტატიკურ ენებითებს აქვთ და შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ მეგრულშიც ო ზში-რად სტატიკურ ზმნებს აღმოაჩნდებათ ხოლმე:

- მ-ო-ბარ-უ-(ნ) „მ-ბარ-ია“: ხოჯეფ(ი) მობარუ(ნ) ოქყეშალო „ხარები მბარია სამწყემსავად“.
- გი-მ-ო-ფორ-უ-(ნ) * „მ-ა-ფარ-ია“: დუს ქული გიმოფორუ(ნ) „თავზე ქული მფარია“.
- მი-მ-ო-ძ-უ-(ნ) * „მაცვია“ (მ-ა-ძ-(ვე)-ს-): კანჩაფ(უ)ლი მიმოძუ(ნ) „ქალამანი (ტყავის ფესაცემელი) მაცვია“.
- გი-მ-ო-რჩქ-უ-(ნ) * „გა-მ-ა-ჩნ-ია“: აფუშ მეტი მითინ ვაგმორჩქუ(ნ) (>ვარგომორჩქუ(ნ) „ამის მეტი არავინ ვამაჩნია“.
- მ-ო-ტყ-უ-(ნ) * „მ-ა-ტყ-ია“: მუთუნგ ვამოტყუ(ნ) ვარაფერი მატყვია“.

* გი- და მი- ქართული გი- და მი- ზმნისწინების ფარდი გო და მო ზმნისწინებიც (ფო-ნეტიკურად სახიცილონი).



ოპრეფიქსით იწარმოება მეგრულში ე. წ. „მიჩნევის“ ვნებით. თულის მსგავსად ([3] 300) „მიჩნევის“ ვნებითი ორპირიან ნასახელარ ზნნებს ახასიათებთ:

მ-მეტ-უ-(ნ)	მ-ე-მეტ-ებ-ა,	
მ-ო-ჰიჰარ-უ-(ნ)	მ-ე-პატარა-ე-ებ-ა,	(მეცოტავეება),
მ-ო-ე-ჰ(ვ)-უ-(ნ)	მ-ე-ეჰე-ებ-ა,	
მ-ო-მძიმ-უ-(ნ)	მ-ე-მძიმ-ებ-ა,	
მ-ო-გინძარ-უ-(ნ)	გრძლად მეჩვენება	(მ-ე-გრძელ-ებ-ა),
მ-ო-ნწარ-უ (ნ)	მ-ე-მწარ-ებ-ა,	
მ-ო-დიდარ-უ-(ნ)	დიდად მეჩვენება	(მ-ე-დიდ-ებ-ა),
მ-ო-ზარ-უ-(ნ)	მ-ე-ზარ-ებ-ა	

ამ ტიპის ზნნათა თავისებურება ის არის, რომ II სერიის მწკრივებში ო-წარმოებიდან ე-წარმოებაზე გადადიან: მ-ე-მძიმ-უ *მ-ე-ჰიჰარ-უ *მ-ე-პატარაეა, მ-ე-ნწარ-უ *მ-ე-მწარაა და სხვ. წარმოების გამოცვლა სემანტიკური დიფერენციაციის საჭიროებით ჩანს მოტივირებული: თუ ამ ზნნებს წყვეტილი ოპრეფიქსით ექნებოდათ ნაწარმოები, მხ. რიცხვის მესამე სუბ. პირში (რაც ყველაზე ხშირი ხმარებისაა) წყვეტილი დაემთხვეოდა აწმყოს

აწმყო წყვეტილი წყვეტილი (თუ ო-თი იქნებოდა ნაწარმოები)

მ-ო-მძიმ-უ-(ნ)	მ-ე-მძიმ-უ	*მ-ო-მძიმ-უ
მ-ო-ჰიჰარ-უ-(ნ)	მ-ე-ჰიჰარ-უ	*მ-ო-ჰიჰარ-უ
მ-ო-ნწარ-უ-(ნ)	მ-ე-ნწარ-უ	მ-ო-ნწარ-უ და სხვ.

ქართულში „მიჩნევის“ ვნებითი ე-თი იწარმოება, ამიტომ მეგრულში ამ ტიპის ვნებითებში მოსალოდნელი იყო ან ე (ქართული წარმოება) ან მისი კანონ-ზომიერი შესატყვისი ა (მდრ. ე-წერება და ა-ჰარუ), მაგრამ მათ ნაცვლად ო-გვაქვს. აქაც უნდა ჩანდეს ცდა პოლისემიურ ფორმათა გამიჯვნისა. თუ „მიჩნევის“ ტიპის ზნნები მოსალოდნელი ა პრეფიქსით იქნებოდა ნაწარმოები, აწმყოს მხ. რიცხვის ფორმები დაემთხვეოდა წყვეტილის აქტიური შინაარსის ფორმებს. მაგ. აწმყოში ო-ნიანი წარმოება ასეთია:

მ-ო-ჰიჰარ-უ-(ნ)	მეპატარავეება
გ-ო-ჰიჰარ-უ-(ნ)	გეპატარავეება
ო-ჰიჰარ-უ-(ნ)	ეპატარავეება

თუ ამ წარმოების ო-ს ა შეეცვლიდა, იქნებოდა:

- *მ-ა-ჰიჰარ-უ-(ნ)
- *გ-ა-ჰიჰარ-უ-(ნ)
- *ა-ჰიჰარ-უ-(ნ)

თუ გავითვალისწინებთ, რომ მე-3 პირის სუბ. ნიშანი ნ მეგრულში სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში არ გამოითქმის, უკანასკნელი ფორმები ემთხვევა წყვეტილის ნოქმედებითი გვარის ფორმებს (ობიექტური წყობისას):

მ-ა ჰიჰარ-უ	მპატარაეა
გ-ა-ჰიჰარ-უ	გპატარაეა
ა-ჰიჰარ-უ	აბატარაეა

როცა არ არის ფორმათა დამთხვევის მოსალოდნელობა, მეგრულში ა გვაქვს ქართული ე-ს შესატყვისად. ეს ასეა არამართო ჩვეულებრივ ვნებითთან (ა-ჰა-

* უ აქ მესამე სუბ. პირის ნიშანი აა არა თემატური უ ნიშანი.



რუქ(ნ) „ე.წერება“), არამედ „მიჩნევის“ ტიპის ზმნებთან შინაარსით და წარმოებით ახლოს მდგომ „გუნების“ ვნებითებშიც:

აწმყო	წვეტილი
მ-ა-ძიციუნაფ-უ-(ნ) ¹⁰	მეცინება (გა)-მ-ა-ძიციუნ-უ (გა)მეცინა
მ-ა-წგარუაფ-უ-(ნ)	მეტირება მ-ა-წგარინ-უ მეტირა
მ-ა-ბირუაფ-უ-(ნ)	მემღერება მ-ა-ბირ-უ მემღერა.

მაშასადამე, აქ შესატყვისობა დატული იქნა (ქართ. ე, მგვრ. ა), რადგან სხვადასხვა შინაარსის ფორმები არ ემთხვეოდა ერთმანეთს.

შეიძლება ითქვას: მეგრულში რელატიურ სტატიკურ ზმნათა ო პრეფიქსი შესატყვისია ამავე ტიპის ზმნების ა პრეფიქსისა ქართულში (ო-ტყუ(ნ) „ა-ტყეა“).

ა. შინაიძე ა-ს პრეფიქსად გამოჰყოფს სტატიკურ ზმნებში: ა-ბია, ა-ვლია, ა-გია..., ოლონდ მას ვნებითის ნიშნად არ თვლის ([3] 324—326). მართლაც, ა არ არის ისეთი ნიშანი, რითაც ვნებითი მოქმედებითს დაუპირისპირდება: ა მოქმედებითი გვარის ზმნებსაც ახასიათებს (ა-ბია, მაგრამ: ა-ბამს) და საზედაო სიტუაციასაც აღნიშნავს (ა-ხატია, მაგრამ: ა-ხატავს), თანაც, ყველა სტატიკურ ზმნას როდი აქვს ეს ა (პგონია, ჰკილია). ასე რომ სტატიკურ ზმნათა ა-ს თავდაპირველი ფუნქცია ნათელი არ არის¹¹. ეგვეფ უნდა ითქვას ა-ს შესატყვის მეგრულ ო-ზე. ჩანს, ლურუ(ნ) („კვდება“) ტიპის დინამიკურ ზმნათა მსგავსად სტატიკურებსაც ისტორიულად ვნებითის მაწარმოებელი სპეციფიკური ნიშანი არ გააჩნიათ. მეგრულში „მიჩნევის“ ტიპის ზმნები რელატიურ სტატიკურ ზმნათა ყალიბით იწარმოება და არა მოსალოდნელი ქართული ე-ს შესატყვისი ა-თი (სხვაგან ე-ს ბაღდალ ა არის ვატარებელი), რათა აცილებულ იქნეს სხვადასხვა გრამატიკული შინაარსის შემცველ ფორმათა დამთხვევა, ამდენად, მეგრული ქართულს ვერ დაუპირისპირდება ვერც ო პრეფიქსით, რადგან ეს ო იგივე ოდენობაა, რაც ქართული ა სტატიკური ზმნებისა.

4. -დ სუფიქსით ნაწარმოები ვნებითი იშვიათია კოლხურში. დონიან წარმოებას მეგრულსა ([1] 114) და ჰანურში ([4] 57) ქართულის გავლენით ხსნიან. შეიძლება გავლენაზე ლაპარაკი აუცილებელი არ იყოს. კოლხურს -დ სუფიქსი საერთო უნდა ჰქონდეს ქართულთან. ამას გვაფიქრებინებს ორი ვარაუდი:

ა) იმ ძალზე მცირერიცხოვან ზმნებში, რომელთაც კოლხურში ვნებითი დონით ეწარმოება, ზოგჯერ ქართულთან საერთო ფუძეა წარმოდგენილი, მაგრამ ქართულში ვნებითი დონიანი არ არის: მ. დო-შურ-დ-უ, ქ. და-შურ-ა („დაღალა“), ჰ. მო-მ-წონ-დ-უ-ნ ქ. მო-მ-წონ-ს.

ბ) ვნებითი დონით ისეთ ზმნებს ეწარმოებათ, რომლებიც უძველესი ხმარებისა და კანონზომიერად სახე-ცვლილი ქართულთან მიმართებით: მ. თან-დ-უ-(ნ) (ქ. თან-უ-ნ) „თენ-დ-ება“, შინ-დ-უ-(ნ) „სივ-დ-ება“, ყრო-დ-უ-(ნ) „ლპება“ (ეტიმოლოგიურად: ყარ-ს).

¹⁰ ამ ტიპის ზმნათა ძირებზე დართული უ-აფ (მაძიციუნ-უ-აფ-უ-ნ) მოქმედებითის ფორმებშიც გვინდება უ-ან-ის სახით (ო-ძიციუნ-უ-ან-ს) „აციუნებს“. ტ. გუდგის ვიარულით, უ-აფ (<აე-აფ) შეფარდება ქართულ ე-ებ დაბოლოებას ([12] 12).

¹¹ ე. ვ. რ თ ე ლ ი შ ვ ი ლ ს წ ე ს ა მ ლ ე ბ ლ ა ე მ ა მ ნ ი ა, რ ო მ „ა პრეფიქსს, რომელიც მხოლოდ აწმყო ფუძეში დისტრუდება, შეიძლება მიეცეს სტატიკური ვნებითის კვალიფიკაცია“ ([13] 197).



ტანურში უფრო შეზღუდულია დონის ხმარება: „შდრ. მ. ვიქტორენკო და ქ. ვი-შვითან-ერ „ვეითლდები“. დონიანი ფორმები თითზე ჩამოსათვლელია: გომოქკონ-დ-ლ-უ „მეფეყდება“, მოლორ-დ-ლ-უ „მოტყუდა“, მომწონ-დ-ლ-უ-ნ „მომწონს“, გაბწყენ-დ-ლ-ურ (накучено) ([14] 57). მეგრულს ტანურთან შედარებით მეტი შერჩა დონიანი ზმნები: შინ-დ-ლ-უ-(ნ) „სივდება“, თან-დ-ლ-უ-(ნ) „თენდება“ ცორ-დ-ლ-უ-(ნ) „ლპება“ (შდრ. ყარ-ს), ჩენ-დ-ლ-უ-(ნ) „ჩერდება“, შქურონ-დ-ლ-უ-(ნ) „შინდება“, კითონ-დ-ლ-უ-(ნ) „წითლდება“, ჩიჩონ-დ-ლ-უ-(ნ) „შეშდება, ხეცდება“, გოჯონ-დ-ლ-უ „თმა ყალუზე დაუდგა“ (შიშისაგან) [1] 114, გოსისონ-დ-ლ-უ „გაიტრუნა“, „გაისუსა“, შურ-დ-ლ-უ-(ნ) „ილდება“ („შურების“), ყვითონ-დ-ლ-უ-(ნ) „ყვითლდება“, გოკიკონ-დ-ლ-უ „ძლიერ გაბრაზდა“ (შდრ. გურული: გაკიკინდა გულზე) ([14] 44), გოხიკონ-დ-ლ-უ „ძლიერ განმა“ (შდრ. გურული: გახიკინებელი მჰადი) ([14] 45). რჩქინ-დ-ლ-უ-(ნ) „ჩნდება“, ჩხონ-დ-ლ-უ „ცხონდა“, გოფიქონ-დ-ლ-უ „გაიბერა“ (არასასიამოვნოდ), სიტყვა-სიტყვით: „გაფილტვდა“, გუხვიჩონ-დ-ლ-უ (თოლენქ) „გაუბრწყინდა (თვალები)“, გოდვიჩონ-დ-ლ-უ „გაბრაზდა, მოიღუშა“, გოყვიყონ-დ-ლ-უ „გაწყყა“,

კოლხურში დონიანი წარმოება შევიწროებულია პრეფიქსული წარმოებით. ამიტომაცაა, რომ ქართლის დონიან წარმოების ფარად კოლხურში მეტწილად პრეფიქსული წარმოება გვაქვს¹², მეგრულშია: ი-კეთებ უნ) „კეთდება“, ი-შენებ უნ) „შენდება“, ი-უჩარებ უნ) „შავდება“.

პრეფიქსაციის ტენდენცია ვნებითებში იმდენად ძლიერია, რომ თვით დონიან წარმოებას უჩნდება პარალელური, პრეფიქსიანი წარმოება. მეგრულში გვერდი-გვერდ იხმარება: კითონ-დ-ლ-უ-(ნ) და ი-კითარებ უნ) „წითლდება“, ყვითონ-დ-ლ-უ-(ნ) და ი-ყვითარებ უნ) „ყვითლდება“. აღსანიშნავია, რომ დონით ნაწარმოებ ნასახელო ზმნებში სახელური ფუძის დეტერმინანტად ონ ვლინდება (კითონ-დ-ლ-უ-(ნ), ხლო პრეფიქსით ნაწარმოებ ფორმებში -არ (ი-კითარებ უნ). პირველი (-ონ) სუფიქსი ქართული ან-ის შესატყვისი ჩანს (შდრ. მო-წით-ან-ე) ([3] 144; [17] 96), მეორე (-არ) კი -ელ-ისა (შდრ. წით-ელ).

ამრიგად, „ლურუნ“ ტიპის ზმნებში გამოყოფილი -უ სუფიქსი ვერ მიიჩნევა ვნებითი გვარის ნიშნად. უ პასიურ ზმნათა თემატური ნიშანია, ამიტომაც ახასიათებს ის ვნებითის ყველა ტიპს¹³. მართალია, ეს -უ გავრცელებულობით ქართულ ებ-ს ეტოლება, მაგრამ ავ-ის შესატყვისი ჩანს (ოვ > უვ > უ). ზოგიერთ პრეფიქსული ვნებითის თემს მეგრულში ორმაგი სუფიქსაცია ახასიათებს (ვ-ი-ქარ-უ-უ-ქ), რაც პრინციპულად ქართლისთვისაც არ არის უცხო (ვ-ი-კ-ვ-ე-ი). ი პრეფიქსი, რომელიც მეგრულში სტატიკურ და „მიჩნვეის“ ზმნებს მოუღდის, ქართული სტატიკური ზმნებისა ა თავსართის შესატყვისი ჩანს (ო-ტყუ(ნ), ზ-ტყვია). მეგრულში „მიჩნვეის“ ტიპის ზმნები სტატიკურ ზმნათა ყალიბით იმით იწარმოება, რომ აცლებულ იქნეს სხვადასხვა გრამატიკული შინაარსის ფორმათა დამთხვევა. ვნებითის -დ სუფიქსი საერთოა ქართლისა და კოლხურისათვის, ოღონდ დონიანი წარმოება ტანურში დაკარგავს მისული, ხოლო მეგრულში მეტად შეზღუდულია ვნებითთა პრეფიქსაციის ძლიერი ტენდენციის შე-

¹² ვნებითი გვარის პრეფიქსული წარმოების უპირატესობით კოლხური ძველ ქართულს უახლოვდება, მაგრამ სუფიქსური წარმოების იშვიათობით ახალ ქართულს შორდება, ე. ი. ამოსავალს ეთარება ერთგვარია, განვითარებას ტენდენცია კი-სხვადასხვაგვარი (შდრ. ([15] 68—71; [16] 27—54).

¹³ ეს არ ეხება პოტენციალისს. პოტენციალისის ე სუფიქსი ქართული ხოლმეობითობის მ-ს ბადალია: ი-ჰვ-ე, ი-წუ-ის“ ([18] 100—101).



დგად, ვნებითი გვარის მაწარმოებელი აფიქსებით კოლხურში მთლიანად ქართულს მიჰყვება. კოლხურში ეს აფიქსებია: ი-, ა-(<ე), ღ-, (ო<ა) და ნასესხები ე (ე-სახელეზუნ „ესახელეზა“).

დამოწმებელი ლიტერატურა

1. ჩიქობავა, ჰანერის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.
2. შიხივე, პოტენციალის კატეგორია ქართველურ ენებში, ენიკის შოაშე, I, 1937.
3. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.
4. Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, С.-Пб., 1910.
5. ქ. ლომთათიძე, — ქსუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში იამ, I, 1946.
6. И. Кипшидзе, Грамматика мянгрельского (инверского) языка, С.-Пб., 1914.
7. ვ. თოფური, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, ტფ. სახ. უნივ. შრ., III, 1936.
8. გ. შაჭავარიანი, „უნიშნო ვნებითი“ ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1959.
9. ა. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ. 1938.
10. თ. გამყრელიძე, გ. შაჭავარიანი, სონატთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
11. გ. როგავა, ნაშყო უსრულის ოდ სუფიქსის შედგენილობისათვის ქართულში, იამ, VI, 1954.
12. ტ. გუდავა, რან დაბოლოვების შესახებ ზანური ენის კაუზატივებში, საქ. მეც. აკად. XXV, სამეც. სესია, მუშაობის გეგმა და თეზისები, 1969.
13. ე. ერთელიშვილი, ქცევის საკითხისათვის ქართულში, თსუ შრომები, ტ. 114, 1969.
14. ს. ქლენტი, ზანიზმები გურულ ზმნებში, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, 1965.
